

საბოლოო შეთავაზების პირობების დოკუმენტი

საბოლოო შეთავაზების პირობების დოკუმენტის შედგენაზე პასუხისმგებელი პირები:

ბატონი ვახტანგ კაჭარავა - აღმასრულებელი დირექტორი

ბატონი თემურ კობოძე - სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარე

ჩვენ, ვახტანგ კაჭარავა და თემურ კობოძე ვმოქმედებთ-რა როგორც წინამდებარე ემისიის პროსპექტის შედგენაზე პასუხისმგებელი პირები, ჩვენი ხელმოწერით ვადასტურებთ, რომ პროსპექტში წარმოდგენილ ინფორმაციაში შესულია ჩვენთვის ცნობილი ყველა არსებითი ფაქტი და ადგილი არ ჰქონია ისეთი ინფორმაციის გამოტოვებას, რაც გავლენას მოახდენდა პროსპექტის შინაარსზე.

ხელმოწერები:

31.05.2023

აღმასრულებელი დირექტორი, ვახტანგ კაჭარავა

სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარე, თემურ კობოძე

განთავსების აგენტის დირექტორი, მერი ჩაჩანიძე

განთავსების, კალკულაციისა და გადახდის აგენტი:

შპს „თიზისი კაპიტალი“

მის: მარჯანიშვილის ქუჩა 7, თბილისი 0102, საქართველო

ტელ: (+995 32) 227 27 27

ელ. ფოსტა: [info@tbccapital.ge](mailto:info@tbccapital.ge)

ვებ-გვერდი: [www.tbccapital.ge](http://www.tbccapital.ge)

პროსპექტის დამტკიცებაზე პასუხისმგებელი ორგანო: საქართველოს ეროვნული ბანკი

ზვიად გამსახურდიას სანაპირო #1, თბილისი 0114, საქართველო

ტელ: (995 32) 240 6120

ფაქსი: (995 32) 240 6577

ელფოსტა: [info@nbg.ge](mailto:info@nbg.ge)

ვებგვერდი: [www.nbg.ge](http://www.nbg.ge)

შეთავაზების პირობების დოკუმენტი

1. შესავალი

1.1. მითითება იმის შესახებ, შეთავაზების პირობების დოკუმენტი წარმოადგენს პროსპექტის წინასწარ თუ საბოლოო შეთავაზების პირობების დოკუმენტს;

წინამდებარე შეთავაზების პირობები წარმოადგენს საბოლოო შეთავაზების პირობების დოკუმენტს.

1.2. ფასიანი ქაღალდის, ემიტენტის, განთავსების აგენტის დასახელება და საკონტაქტო ინფორმაცია, პროსპექტზე პასუხისმგებელი ორგანოს დასახელება, დამტკიცების თარიღი, ISIN

|  |  |
|--|--|
| ფასიანი ქაღალდის დასახელება:   | ლარის სოლიდარული თავდებობით უზრუნველყოფილი არა-სუბორდინირებული მწვანე ობლიგაცია  |
| ემიტენტის დასახელება, სამართლებრივი ფორმა, საიდენტიფიკაციო ნომერი და საკონტაქტო ინფორმაცია:  | შპს „თეგეტა მოტორსი“ (საიდენტიფიკაციო კოდი: 202177205)<br>მისამართი: საქართველო, თბილისი, საბურთალოს რაიონი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, N 129<br>ელ. ფოსტა: <a href="mailto:ir@tegetamotors.ge">ir@tegetamotors.ge</a><br>ტელ.: +995 32 224 44 44             |
| განთავსების აგენტის/შეთავაზების გამმახორციელებელი პირის დასახელება და საკონტაქტო ინფორმაცია: | შპს „თიბისი კაპიტალი“ (საიდენტიფიკაციო კოდი: 204929961)<br>მისამართი: ქ. თბილისი 0102, მარჯანიშვილის ქუჩა N7<br>ელ. ფოსტა: <a href="mailto:info@tbccapital.ge">info@tbccapital.ge</a><br>ტელ.: (+995 32) 227 27 33   |
| პროსპექტის დამტკიცებაზე პასუხისმგებელი ორგანოს დასახელება და საკონტაქტო ინფორმაცია:          | საქართველოს ეროვნული ბანკი<br>0114 თბილისი, საქართველო, ზვიად გამსახურდიას სანაპირო #1<br>ტელ: (995 32) 240 6120<br>ფაქსი: (995 32) 240 6577<br>ელფოსტა: <a href="mailto:info@nbg.ge">info@nbg.ge</a><br>ვებგვერდი: <a href="http://www.nbg.ge">www.nbg.ge</a> |
| დამტკიცების თარიღი:  | 2 ივნისი 2023 წ.   |
| ISIN   | GE 2700604376  |
| ფასიანი ქაღალდების სახელმწიფო რეგისტრაციის ნომერი  | GE 2700604376 -1-05  |

დამტკიცებულია ეროვნული ბანკის მიერ:



საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ ემისიის პროსპექტის დამტკიცება შეეხება პროსპექტის ფორმას და იგი არ შეიძლება განხილულ იქნეს, როგორც დასკვნა მისი შინაარსის სისწორის ან მასში აღწერილი ინვესტიციების ღირებულების შესახებ.

1.3. მითითება, რომ შეთავაზების დოკუმენტი წარმოადგენს პროსპექტის განუყოფელ ნაწილს და რომ „საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ ემისიის პროსპექტის დამტკიცება შეეხება პროსპექტის ფორმას და იგი არ შეიძლება განხილულ იქნეს, როგორც დასკვნა მისი შინაარსის სისწორის ან მასში აღწერილი ინვესტიციების ღირებულების შესახებ“.

შეთავაზების პირობების დოკუმენტი წარმოადგენს პროსპექტის განუყოფელ ნაწილს. საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ ემისიის პროსპექტის დამტკიცება შეეხება პროსპექტის ფორმას და იგი არ შეიძლება განხილულ იქნეს, როგორც დასკვნა მისი შინაარსის სისწორის ან მასში აღწერილი ინვესტიციების ღირებულებების შესახებ.

## 2. ფასიან ქალაქებთან დაკავშირებული ინფორმაცია

### 2.1. ფასიანი ქალაქის ძირითადი მახასიათებლები

#### 2.1.1. ფასიანი ქალაქების გამოშვების თარიღი

ობლიგაციების გამოშვების თარიღია 2023 წლის 29 ივნისი.

#### 2.1.2. შეთავაზებული ფასიანი ქალაქების ტიპისა და კლასი

„მწვანე ობლიგაციები“ წარმოადგენს „კომპანიის“ პირდაპირ, სოლიდარული თავდებობით უზრუნველყოფილ ვალდებულებებს, რომლებიც რიგითობით უთანაბრდება ერთმანეთს და „კომპანიის“ ყველა სხვა სოლიდარული თავდებობით უზრუნველყოფილ და არასუბორდინირებულ ვალდებულებას. „ობლიგაციები“ არ იქნება არც ერთი მთავრობის ვალდებულება. ობლიგაციები შეესაბამება მწვანე ობლიგაციების პრინციპებს.

#### 2.1.3. ინფორმაცია იმის შესახებ, თუ რა ვალუტაშია ნომინირებული გამოსაშვები ფასიანი ქალაქი;

„ობლიგაციები“ ნომინირებულია ლარში.

#### 2.1.4. შესათავაზებელი ფასიანი ქალაქების მთლიანი ოდენობა; თუ ოდენობა ფიქსირებული არ არის, მისი მაქსიმალური ოდენობის (თუ შესაძლებელია) მითითება. ასევე, იმ პირობის აღწერა და იმ თარიღის მითითება, როდესაც მოხდება საბოლოო ოდენობის გასაჯაროვება;

„ობლიგაციები“, რომელთა საერთო ძირი თანხა შეადგენს 20,000,000 ლარს, ხოლო დარიცხული პროცენტი - 350 საბაზისო პუნქტს („სპრედი“) დამატებული თბილისის ექსთენიან ბანკთაშორის საპროცენტო განაკვეთზე და რომლებიც ვადამოსული ხდება 2025 წლის 16 დეკემბერს. თითოეული ობლიგაციის ნომინალური ღირებულება შეადგენს 100,000 ლარს.

#### 2.1.5. ობლიგაციის შემდეგი მახასიათებლები:

ა) ნომინალური საპროცენტო განაკვეთი და გადასახდელ პროცენტთან დაკავშირებული პირობები:

- თარიღი, საიდანაც პროცენტი ხდება გადასახდელი და გადახდის დადგენილი ვადები;
- გადასახდელ პროცენტზე და ძირზე მოთხოვნის დაფიქსირების დროის ლიმიტები;

ბ) თუ განაკვეთი არ არის ფიქსირებული, უნდა მიეთითოს ცვლადი, რაზეც არის მიბმული პროცენტი, ასევე პროცენტის ფიქსირებული ნაწილი, გაანგარიშების მეთოდი და პერიოდულობა;

- მითითება, თუ სად შეიძლება ცვლადი კომპონენტის ფასის ისტორიის მოძიება ელექტრონულად;
- ნებისმიერი მოვლენის აღწერა, რაც უარყოფით გავლენას იქონიებს ცვალებად პროცენტზე

(ა) პროცენტის გადახდის თარიღები

„ობლიგაციებს“ პროცენტი დაერიცხება 29.06.2023-დან 16.12.2025-მდე (ბოლო თარიღის გამოკლებით), რომელიც გადახდილ უნდა იქნას ნახევარწლიურად (ობლიგაციების გამოშვების თარიღიდან პირველი პროცენტის გადახდის თარიღამდე პერიოდი არის უფრო მოკლე ვიდრე ნახევარწლიური პერიოდი) შემდეგ თარიღებზე: 16 დეკემბერი 2023, 16 ივნისი 2024, 16 დეკემბერი 2024, 16 ივნისი 2025 და 16 დეკემბერი 2025, რომლებიც ექვემდებარება კორექტირებას „სამუშაო დღის კონვენციის“ შესაბამისად. წინამდებარე 2.1.5 პუნქტში მოცემული პროცენტის გადახდის თითოეული თარიღი შემდგომში მოიხსენება როგორც „პროცენტის გადახდის თარიღი“, ხოლო 2025 წლის 16 დეკემბერი - როგორც „გამოსყიდვის თარიღი“. „პროსპექტის“ მოქმედების ვადის განმავლობაში, „პროცენტის გადახდის თარიღი“ შესაძლოა დაზუსტდეს, რის შესახებაც „ემიტენტი“ საქართველოს ეროვნულ ბანკში წარადგენს შესაბამის განაცხადს ცვლილებების შესახებ;

„სამუშაო დღე“ ნიშნავს ნებისმიერ დღეს (შაბათ-კვირისა და ოფიციალური უქმე დღეების გარდა), როდესაც კომერციული ბანკები და ფასიანი ქაღალდების ბაზრის მონაწილეები ახორციელებენ ტრანზაქციებს და არიან ღია ზოგადი ბიზნესისთვის (მათ შორის, სავალუტო და უცხოურ ვალუტაში დეპოზიტებისთვის) თბილისში (საქართველო).

„სამუშაო დღის კონვენცია“ ნიშნავს კორექტირებულ შემდგომ დღეს („Modified Following“), რომლის მიხედვითაც „ობლიგაციების“ „პროცენტის გადახდის თარიღი“ ან „დაფარვის თარიღი“ (გარემოებების გათვალისწინებით), გადაინაცვლებს მომდევნო სამუშაო დღეს, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც მომდევნო „სამუშაო დღე“ გადაინაცვლებას ახდენს შემდეგ კალენდარულ თვეში, რა შემთხვევაშიც ასეთი „ობლიგაციების“ „პროცენტის გადახდის თარიღი“ ან „დაფარვის თარიღი“ (შესაბამისად) გადაინაცვლებს წინა „სამუშაო დღეს“

(ა) პროცენტი: თუ ემიტენტი არ გამოიყიდის ობლიგაციებს დაფარვის თარიღამდე, თითოეულ ობლიგაციას ყოველწლიურად დაერიცხება პროცენტი გამოშვების თარიღიდან დაფარვის თარიღამდე შემდეგი განაკვეთით: 350 საბაზისო პუნქტს (სპრედი) დამატებული „საანგარიშო განაკვეთი“ (როგორც განსაზღვრულია ქვემოთ). ობლიგაციების საპროცენტო განაკვეთის განსაზღვრად „საანგარიშო განაკვეთი“ TIBR6M ან კალკულაციისა და გადახდის აგენტის მიერ განსაზღვრული განაკვეთი „ალტერნატიული ბენჩმარკის განსაზღვრის პირობების“ შესაბამისად (შემდგომში „საანგარიშო განაკვეთი“).

პროცენტი გადაიხდება ნახევარწლიურად შესაბამისი პროცენტის გადახდის თარიღების მიხედვით. თითოეულ ობლიგაციას ეკისრება პროცენტი დაფარვის თარიღამდე, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც ძირითადი თანხის გადახდა არასწორად არის დაკავებული ან უარყოფილი. ასეთ შემთხვევაში, თითოეული ობლიგაციაზე გაგრძელდება პროცენტის დარიცხვა შესაბამისი მოქმედი განაკვეთით იმ დღემდე, სანამ ამ ობლიგაციებთან დაკავშირებული ჯამური თანხა მიღებული იქნება შესაბამისი ობლიგაციების მფლობელის მიერ ან მისი სახელით.

(ბ) საკრედიტო რეიტინგის ცვლილება: ობლიგაციების ვადის დადგომამდე თუ კომპანიის საკრედიტო რეიტინგის ცვლილების შედეგად ობლიგაციები აღარ მიიღება ეროვნული ბანკის სესხის უზრუნველყოფის საშუალებად, ობლიგაციების საბაზისო სპრედი 50 საბაზისო პუნქტით გაიზრდება.

ყოველგვარი ეჭვის თავიდან აცილების მიზნით, იმ შემთხვევაში, თუ ემიტენტს მინიჭებული აქვს საკრედიტო რეიტინგი ერთზე მეტი სააგენტოდან, უპირატესობა ენიჭება უმაღლეს რეიტინგს კუპონის განსაზღვრის მიზნით ამ პუნქტის შესაბამისად.

## (ბ) პროცენტის დარიცხვა

პროცენტის დაანგარიშება მოხდება კალკულაციებისა და გადახდის აგენტის მიერ არსებული ფაქტობრივი კალენდარული დღეების მიხედვით შესაბამის „საპროცენტო პერიოდში“ 365 დღეზე დაყრდნობით შემდეგი ფორმულის გამოყენებით:

OD\*(RR\*N/365), სადაც:

OD ნიშნავს ობლიგაციის ძირ თანხას;

RR ნიშნავს TIBR6M-ისა და „სპრედის“ ჯამს;

N ნიშნავს შესაბამის „საპროცენტო პერიოდში“ არსებულ ფაქტობრივი დღეების რაოდენობას.

„TIBR6M“ ნიშნავს უახლეს განაკვეთს, რომელიც გამოსახულია როგორც „TIBR6M“ „სებ-ის (იგივე „საქართველოს ეროვნული ბანკის“) ვებ-გვერდის ეკრანზე“ სათაურით „თბილისის ბანკთაშორისი საპროცენტო განაკვეთი – TIBR ინდექსი“ „საპროცენტო პერიოდთან“ მიმართებით „პროცენტის განსაზღვრის თარიღზე“, თბილისის დროით დილის 11:00 საათისთვის.

„პროცენტის განსაზღვრის თარიღი“ ნიშნავს შემდგომ უახლოეს თარიღებს ყოველი საპროცენტო პერიოდის დაწყებამდე:

სამშაბათი, 27 ივნისი, 2023 წელი

ოთხშაბათი, 13 დეკემბერი, 2023 წელი

ოთხშაბათი, 12 ივნისი, 2024 წელი

ხუთშაბათი, 12 დეკემბერი, 2024 წელი

ხუთშაბათი, 12 ივნისი, 2025 წელი

„პროსპექტის“ მოქმედების ვადის განმავლობაში, „პროცენტის განსაზღვრის თარიღები“ შესაძლოა დაზუსტდეს, რის შესახებაც „ემიტენტი“ საქართველოს ეროვნულ ბანკში წარადგენს შესაბამის განაცხადს ცვლილებების შესახებ;

„საპროცენტო პერიოდი“ ნიშნავს თითოეულ პერიოდს, რომელიც იწყება „პროცენტის გადახდის თარიღზე“ და სრულდება მომდევნო „პროცენტის გადახდის თარიღის“ წინა დღეს, გარდა პირველი პერიოდისა, როდესაც ეს ნიშნავს პერიოდს, რომელიც იწყება „ობლიგაციების“ „გამოშვების თარიღით“ და სრულდება მომდევნო „პროცენტის გადახდის თარიღის“ წინა დღეს და გარდა ბოლო პერიოდისა, როდესაც ეს ნიშნავს პერიოდს, რომელიც იწყება ბოლო „პროცენტის გადახდის თარიღზე“ და მთავრდება „ობლიგაციების“ „დაფარვის თარიღით“ ან თუკი „ობლიგაციები“ ხდება ვადამოსული და გადასახდელი, ეს უკანასკნელი თარიღი (როდესაც „ობლიგაციები“ გახდება ვადამოსული და გადასახდელი), „სამუშაო დღის კონვენციის“ პირობის გათვალისწინებით. ყოველგვარი ეჭვის გამოსარიცხად, თუ „პროცენტის გადახდის თარიღი“ ნაცვლდება მომდევნო „სამუშაო დღით“, პროცენტის დარიცხვა განხორციელდება ასეთ გადავადებულ თარიღამდე (მაგრამ მისი გამოკლებით). გარდა ამისა, როდესაც „პროცენტის გადახდის თარიღი“ კორექტირდება წინა „სამუშაო დღეზე“ (თავდაპირველად კორექტირებული „პროცენტის გადახდის თარიღის“ მომდევნო კალენდარულ

თვეში გადანაცვლების გამო), პროცენტის დარიცხვა განხორციელდება ასეთ უფრო ადრეულ თარიღამდე (მაგრამ მისი გამოკლებით).

„შესაბამისი ვებ-გვერდის ეკრანი“ ნიშნავს თბილისის ბანკთაშორისი საპროცენტო განაკვეთის ინდექსს, რომელიც ყოველდღიურად ჩნდება წინა დღის განაკვეთად სათაურით „თბილისის ბანკთაშორისი საპროცენტო განაკვეთი – TIBR INDEX“ ეროვნული ბანკის მითითებულ ვებგვერდზე: [https://nbg.gov.ge/en/monetary\\_policy/tibr](https://nbg.gov.ge/en/monetary_policy/tibr).

**2.1.6. ფასიან ქალაქებთან დაკავშირებული უფლებებისა და არსებობის შემთხვევაში, მასთან დაკავშირებული შეზღუდვების აღწერა; ფასიანი ქალაქების თავისუფალი მიმოქცევის ნებისმიერი შეზღუდვა;**

ფასიანი ქალაქების თავისუფალი მიმოქცევა შეზღუდული არ არის.

**2.1.7. ფასიანი ქალაქების რიგითობა კაპიტალის სტრუქტურაში გადახდისუუნარობის / გაკოტრების შემთხვევაში;**

„მწვანე ობლიგაციები“ წარმოადგენს „კომპანიის“ პირდაპირ, სოლიდარული თავდებობით უზრუნველყოფილ ვალდებულებებს, რომლებიც რიგითობით უთანაბრდება ერთმანეთს და „კომპანიის“ ყველა სხვა სოლიდარული თავდებობით უზრუნველყოფილ და არასუბორდინირებულ ვალდებულებას.

**2.1.8. არსებობის შემთხვევაში, სარეიტინგო კომპანიების მიერ მინიჭებული ობლიგაციის რეიტინგები;**

ობლიგაციებს არ გააჩნიათ საკრედიტო რეიტინგი.

**2.1.9. დივიდენდების გაცემის პოლიტიკის აღწერა.**

საქართველოს კანონმდებლობის თანახმად, კომპანიას შეუძლია დივიდენდების განაწილება თავისი წლიური ან ნახევარწლიანი მოგებიდან. კომპანიას არ აქვს მკაცრად გაწერილი დივიდენდების გაცემის პოლიტიკა. დივიდენდების განაწილების თაობაზე გადაწყვეტილებას იღებს პარტნიორთა საერთო კრება, სამეთვალყურეო საბჭოსგან და დირექტორისგან მიღებული რეკომენდაციების საფუძველზე.

**3. შეთავაზების შესახებ ინფორმაცია**

**3.1. შეთავაზების პირობები და ვადები**

შეთავაზება განხორციელდება ამ პროსპექტით გათვალისწინებული პირობების შესაბამისად და კანონმდებლობით დადგენილ ვადაში. შეთავაზება დაიწყება პროსპექტის დამტკიცების შემდეგ და დასრულება ქვემოთ ჩამოთვლილი სამი შემთხვევიდან პირველივეს დადგომის შემთხვევაში:

- ა) ემისიის პროსპექტის მოქმედების ვადის გასვლისას;
- ბ) ) საჯაროდ შეთავაზებული ფასიანი ქალაქების სრულად განთავსებისას;
- გ) საჯარო შეთავაზების შეწყვეტისას.

**3.2. არსებობის შემთხვევაში, შესყიდვის განაცხადის მინიმალური ან / და მაქსიმალური თანხის ოდენობა (ფასიანი ქალაქების რაოდენობა ან ინვესტიციის ჯამური თანხა);**

მინიმალური განაცხადი წარმოადგენს 1 (ერთ) ობლიგაციას. მაქსიმალურ რაოდენობაზე შეზღუდვა არ არის.

### 3.3. სავაჭროდ დაშვება და შემდგომი ვაჭრობა

3.3.1. ინფორმაცია იმის შესახებ, იგეგმება თუ არა შეთავაზებული ფასიანი ქაღალდების სავაჭროდ დაშვება ბირჟაზე პროსპექტის ძალაში ყოფნის პერიოდში. აგრეთვე ინფორმაცია ყველა იმ ბაზრის შესახებ, სადაც ემიტენტის სხვა ფასიანი ქაღალდები ივაჭრება;

„ემიტენტი“ გეგმავს „ობლიგაციების“ განთავსების შემდგომ მათ ლისტინგს საქართველოს საფონდო ბირჟაზე.

### 3.3.2. არსებობის შემთხვევაში, ბირჟაზე სავაჭროდ დაშვების პირობები

საქართველოს საფონდო ბირჟის ლისტინგში დაშვება მოხდება ბირჟის ფასიანი ქაღალდების სავაჭრო სისტემასა და ლისტინგში დაშვების შესახებ დებულების შესაბამისი პირობების დაკმაყოფილების შემთხვევაში.

შემდეგ ბმულზე - [https://gse.ge/upload/\\_309ef15d.pdf](https://gse.ge/upload/_309ef15d.pdf) - შესაძლებელია „საქართველოს საფონდო ბირჟაზე“ ფასიანი ქაღალდების სავაჭრო სისტემასა და ლისტინგში დაშვების პირობების გაცნობა.

3.3.3. არსებობის შემთხვევაში, იმ პირთა დეტალები და მათი ვალდებულების ძირითადი პირობების აღწერა, რომლებსაც აქვთ ვალდებულება, იმოქმედონ შუამავლელად მეორად ვაჭრობაში და უზრუნველყონ შეთავაზების ლიკვიდურობა.

ასეთი არ არსებობს.

3.3.4. თუ პროსპექტით განსახორციელებელი საჯარო შეთავაზების პარალელურად ან ახლო პერიოდში იგეგმება იმავე კლასის ფასიანი ქაღალდების კერძო განთავსება, ან, თუ იგეგმება სხვა კლასის ფასიანი ქაღალდების საჯარო ან კერძო განთავსება, უნდა მიეთითოს ასეთი ფასიანი ქაღალდების რაოდენობა, მახასიათებლები და ფასი;

არ იგეგმება.

### 3.4. შეთავაზებასთან დაკავშირებული სავარაუდო ხარჯები, ინვესტორზე დაკისრებული დანახარჯების შეფასების ჩათვლით

გამოშვებული ობლიგაციების სრულად განთავსების შემთხვევაში, ობლიგაციის განთავსებიდან მიღებული წმინდა სახსრები არ იქნება 19,800,000 ლარზე ნაკლები. „განთავსების“ საფასური/დანახარჯები არ დაეკისრება ინვესტორებს.

3.5. ემისიით/შეთავაზების შედეგად მიღებული წმინდა შემოსავლისა და ჯამური ხარჯების ან მათი სავარაუდო ოდენობის მითითება; ხარჯები უნდა მოიცავდეს ინვესტორზე დაკისრებული დანახარჯებსაც

გამოშვებული ობლიგაციების სრულად განთავსების შემთხვევაში, ობლიგაციის განთავსებიდან მიღებული წმინდა სახსრები არ იქნება 19,800,000 ლარზე ნაკლები. „განთავსების“ საფასური/დანახარჯები არ იქნება დაკისრებული ინვესტორებზე.

**3.6. ემისიის დამტკიცების შესახებ პარტნიორთა (აქციონერთა) კრების ოქმებისა და ხელმძღვანელობის გადაწყვეტილებების მითითება;**

ობლიგაციების ემისია ავტორიზებულ იქნა 2023 წლის 24 მარტს პარტნიორთა კრებისა და სამეთვალყურეო საბჭოს გადაწყვეტილებით.



31 მაისი 2023

არაარსებითი ფაქტის (მოვლენის) შესახებ ცვლილების ამსახველი ოფიციალური წერილი

შპს „თეგეტა მოტორსი“

შპს „თეგეტა მოტორსის (ს/ნ 202177205 ) 20,000,000 (ოც მილიონ) ლარამდე ჯამური ნომინალური ღირებულების ობლიგაციების ემისიის პროსპექტში, რომელიც დამტკიცებულ იქნა საქართველოს ეროვნული ბანკის ვიცე-პრეზიდენტის მიერ 2023 წლის 16 მაისს N113 განკარგულებით, შედის 2 არაარსებითი ხასიათის ცვლილება.

**ცვლილებების მიზეზი:**

ცვლილებების მიზეზს წარმოადგენს (1) პროცენტისა და ალტერნატიული ბენჩმარკის კალკულაციის, ასევე (2) არასამუშაო დღეებთან და შესაბამისი პროცენტის დარიცხვასთან დაკავშირებული საკითხების კორექტირება და დაზუსტება. აღნიშნული ცვლილება მოთხოვნილია "ემიტენტის" ერთადერთი ინვესტორის, ADB-ის მიერ.

**ცვლილებების შინაარსი:**

**ცვლილება 1:** ობლიგაციების კუპონის განსაზღვრა უნდა მოხდეს 365 დღეზე დაყრდნობით, ნაცვლად 360 დღისა. შესაბამისად:

*(ა) ობლიგაციების პროსპექტის 159-ე გვერდზე, პუნქტში 2.6.5 – „პროცენტი“; (გ) პროცენტის დაანგარიშების ქვეპუნქტის შესაბამისი ტექსტი:*

"პროცენტის დაანგარიშება: პროცენტის დაანგარიშება მოხდება კალკულაციისა და გადახდის აგენტის მიერ არსებული ფაქტობრივი კალენდარული დღეების მიხედვით შესაბამის „საპროცენტო პერიოდში“ 360 დღეზე დაყრდნობით, შემდეგი ფორმულის გამოყენებით:

OD\*(RR\*N/360), სადაც:

OD ნიშნავს ობლიგაციის ძირ თანხას;

RR ნიშნავს "TIBR6M"-ისა და „სპრედის“ ჯამს;

N ნიშნავს შესაბამის „საპროცენტო პერიოდში“ არსებულ ფაქტობრივი დღეების რაოდენობას."

შეიცვალოს შემდეგნაირად:

"პროცენტის დაანგარიშება: პროცენტის დაანგარიშება მოხდება კალკულაციისა და გადახდის აგენტის მიერ არსებული ფაქტობრივი კალენდარული დღეების მიხედვით შესაბამის „საპროცენტო პერიოდში“ 365 დღეზე დაყრდნობით, შემდეგი ფორმულის გამოყენებით:

OD\*(RR\*N/365), სადაც:

OD ნიშნავს ობლიგაციის ძირ თანხას;

RR ნიშნავს "TIBR6M"-ისა და „სპრედის“ ჯამს;

N ნიშნავს შესაბამის „საპროცენტო პერიოდში“ არსებულ ფაქტობრივი დღეების რაოდენობას."

*(ბ) ობლიგაციების პროსპექტის 173-ე გვერდზე ალტერნატიული ბენჩმარკის განსაზღვრის ფორმულა:*

$$\left[ \prod_{i=1}^{d_o} \left( 1 + \frac{TIBR_i \times n_i}{360} \right) - 1 \right] \times \frac{360}{d}$$

*შეიცვალოს შემდეგნაირად:*

$$\left[ \prod_{i=1}^{d_o} \left( 1 + \frac{TIBR_i \times n_i}{365} \right) - 1 \right] \times \frac{365}{d}$$

**ცვლილება 2:** ობლიგაციების პროსპექტის 181-ე გვერდზე „ანგარიშსწორებისა და გადახდების“ პუნქტის ქვეთავში „გადახდის დაგვიანება / არასამუშაო დღეები“ შესაბამისი ტექსტი:

„ობლიგაციონერი“ ვერ მოითხოვს ჯარიმის დაკისრებას ნებისმიერი გადასახდელის დაგვიანებით გადახდისთვის იმ შემთხვევაში, თუ ასეთი გადასახდელის გადახდის თარიღი არ ემთხვევა „სამუშაო დღეს“. ვადამოსული გადასახდელის გადახდა მოხდება მომდევნო „სამუშაო დღეს“, დარიცხულ პროცენტთან ერთად, რომელიც დაკორექტირდება გადახდის გადავადების დღეების რაოდენობის მიხედვით.“

*შეიცვალოს შემდეგნაირად:*

„ობლიგაციონერი“ ვერ მოითხოვს ჯარიმის დაკისრებას ნებისმიერი გადასახდელის დაგვიანებით გადახდისთვის იმ შემთხვევაში, თუ ასეთი გადასახდელის გადახდის თარიღი არ ემთხვევა „სამუშაო დღეს“. ვადამოსული გადასახდელის გადახდა მოხდება მომდევნო „სამუშაო დღეს“, დარიცხულ პროცენტთან ერთად, რომელიც დაკორექტირდება გადახდის გადავადების დღეების რაოდენობის მიხედვით, თუ სხვაგვარად არ არის განსაზღვრული „საპროცენტო პერიოდის“ მიხედვით.“

**ცვლილებების სავარაუდო ზეგავლენა არსებულ თუ პოტენციურ ინვესტორთა გადაწყვეტილებაზე:**

იქიდან გამომდინარე, რომ ზემოთ წარმოდგენილი ცვლილებები არაარსებითი ხასიათისაა და მხოლოდ ემსახურება პროსპექტში მოცემული ინფორმაციის დამატებით დაზუსტებასა და კორექტირებას, ამიტომ ემიტენტის შეფასებით, ცვლილებას არ ექნება ზეგავლენა არც არსებული და არც პოტენციური ინვესტორების გადაწყვეტილებაზე. ცვლილებები არ ახდენს ინვესტორების უფლებების შელახვას, რადგან აღნიშნული მხოლოდ აზუსტებს არსებულ დეტალებს.

**დოკუმენტის მომზადებაზე პასუხისმგებელი პირი:**

**ბატონი ვახტანგ კაჭარავა** - აღმასრულებელი დირექტორი

**ბატონი თემურ კოხოძე** - სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარე

ხელმოწერები:

ხელმოწერი შპს „თეგეტა მოტორსის“ სახელით


სახელი, გვარი: ვახტანგ კაჭარავა

თანამდებობა: აღმასრულებელი დირექტორი

ხელმოწერა:

თარიღი:

31.05.2023



ხელმოწერი შპს „თეგეტა მოტორსის“ სახელით


სახელი, გვარი: თემურ კოხოძე

თანამდებობა: სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარე

ხელმოწერა:

თარიღი:

31.05.2023




ხელმოწერი შპს „თიბისი კაპიტალის“ სახელით

სახელი, გვარი: მერი ჩაჩანიძე

თანამდებობა: აღმასრულებელი დირექტორი

ხელმოწერა:

თარიღი:



## თავფურცელი

საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ ემისიის პროსპექტის დამტკიცება შეეხება პროსპექტის ფორმას და იგი არ შეიძლება განხილულ იქნეს, როგორც დასვენა მისი შინაარსის სისწორის ან მასში აღწერილი ინვესტიციების ღირებულების შესახებ.

### ემისიის პროსპექტი



### შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება „თეგეტა მოტორსი“ (საიდენტიფიკაციო კოდი: 202177205)

ემიტენტი პასუხისმგებელია წინამდებარე პროსპექტში წარმოდგენილ ინფორმაციაზე. კომპანიის ხელთ არსებული ინფორმაციით (რომლის სიზუსტის დასადასტურებლადაც კომპანიამ მიმართა ყველა გონივრულად შესაძლო ძალისხმევას) წინამდებარე პროსპექტში მოყვანილი მონაცემები ეფუძნება ფაქტებს და არ არის გამოტოვებული იმგვარი ინფორმაცია, რასაც შეეძლო მნიშვნელოვანი გავლენა მოეხდინა ინფორმაციის უტყუარობაზე და სისრულეზე. ამასთან, წინამდებარე პროსპექტში შესულია კომპანიისთვის ცნობილი ყველა არსებითი ფაქტი და ადგილი არ ჰქონია ისეთი ინფორმაციის გამოტოვებას, რაც გავლენას მოახდენდა პროსპექტის შინაარსზე.

**ობლიგაციები, რომელთა საერთო ძირი თანხა შეადგენს 20,000,000 ლარს, ხოლო დარიცხული პროცენტი - 350 საბაზისო პუნქტს („სპრედი“) დამატებული თბილისის ექვსთვიანი ბანკთაშორისი საპროცენტო განაკვეთი - TIBR 6M ინდექსი და რომლებიც ვადამოსული ხდება 2025 წლის 16 დეკემბერს („ობლიგაციები“). გამოშვების ფასი: 100%**

„ობლიგაციები“ გამოშვებული იქნება არამატერიალური, რეგისტრირებული ფორმით შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება „თეგეტა მოტორსი“ („კომპანია“, „ემიტენტი“, „თეგეტა მოტორსი“) მიერ 2023 წლის [●] („გამოშვების თარიღი“), 100,000 ლარის ბანკნოტებად, და მათი გამოსყიდვა მოხდება 2025 წლის 16 დეკემბერს („გამოსყიდვის თარიღი“), მათი ძირი ღირებულებით. „ობლიგაციებზე“ დარიცხული პროცენტის გადახდა უნდა მოხდეს ნახევარწლიურად (შესაძლოა ობლიგაციების გამოშვების თარიღიდან პირველი პროცენტის გადახდის თარიღამდე პერიოდი იყოს უფრო მოკლე ვიდრე ნახევარწლიური პერიოდი, შესაბამისად კონკრეტული პროცენტის გადახდის თარიღების განსაზღვრისათვის, გთხოვთ იხილოთ საბოლოო შეთავაზების პირობების დოკუმენტი). გამოშვების ფასი შეადგენს ნომინალური ღირებულების 100%-ს. თუ ობლიგაციების ვადის განმავლობაში კომპანიის საკრედიტო რეიტინგის ცვლილების გამო ეს უკანასკნელი აღარ იქნება მიღებული საქართველოს ეროვნული ბანკის სესხის უზრუნველყოფის საშუალებად, ობლიგაციების „სპრედი“ გაიზრდება 50 საბაზისო პუნქტით.

„მწვანე ობლიგაციები“ წარმოადგენს „კომპანიის“ პირდაპირ, არა-სუბორდინირებულ და სოლიდარული თავდებობით უზრუნველყოფილ ვალდებულებებს.

განთავსების, გადახდისა და



კალკულაციის აგენტი

წინამდებარე „ემისიის პროსპექტის“ გამოყენება დასაშვებია მხოლოდ მისი მიმღების მიერ, ინვესტიციის განხორციელების შესახებ გადაწყვეტილების მიღების მიზნით. დაუშვებელია წინამდებარე „ემისიის პროსპექტის“ მთლიანად ან ნაწილობრივ გამრავლება ან გავრცელება ნებისმიერი სხვა მიზნით, გარდა წინამდებარე „ემისიის პროსპექტში“ განსაზღვრული მიზნებისა.

„კომპანია“ იღებს პასუხისმგებლობას წინამდებარე „ემისიის პროსპექტში“ არსებულ ინფორმაციაზე. „კომპანია“ აცხადებს, რომ მან მიიღო ყველა გონივრული ზომა „ემისიის პროსპექტში“ მოცემული ინფორმაციის სისწორის და სისრულის უზრუნველსაყოფად და აღნიშნული ინფორმაცია შეესაბამება არსებულ ფაქტობრივ გარემოებებს და მასში არ არის გამოტოვებული რაიმე ისეთი გარემოება, რომელმაც შესაძლებელია გავლენა მოახდინოს პროსპექტის შინაარსზე. ყოველგვარი ეჭვის გამოსარიცხად, უპირატესობა ენიჭება საქართველოს ეროვნული ბანკის საიტზე გამოქვეყნებულ / გასაჯაროებულ პროსპექტს.

წინამდებარე „ემისიის პროსპექტის“ გავრცელება და „ობლიგაციების“ შეთავაზება შესაძლებელია აკრძალული იყოს ზოგიერთ სახელმწიფოში. ის პირები, ვის მფლობელობაშიც წინამდებარე „ემისიის პროსპექტი“ აღმოჩნდება, ვალდებული არიან შეატყობინონ „კომპანიას“ და „განთავსების აგენტს“ (როგორც ეს განმარტებულია „განთავსებასა და გაყიდვაში“) ამგვარი შეზღუდვების არსებობის და მათი დაცვის შესახებ.

დაუშვებელია „ობლიგაციების“ „განთავსება“, „საჯარო შეთავაზება“ ან „რეკლამირება“ (როგორც თითოეული ტერმინი განმარტებულია საქართველოს კანონმდებლობით) საქართველოს გარდა სხვა ნებისმიერ სახელმწიფოში. წინამდებარე „ემისიის პროსპექტი“ და მასში მოცემული ინფორმაცია არ წარმოადგენს „ობლიგაციების“ რეკლამას, შეთავაზებას, მოწვევას ოფერტზე, გაყიდვას, გაცვლას და/ან სხვაგვარ გადაცემას საქართველოს ფარგლებს გარეთ. წინამდებარე შეთავაზება წარმოადგენს „ობლიგაციების“ შეთავაზებას მხოლოდ საქართველოს ფარგლებს შიგნით. წინამდებარე „ემისიის პროსპექტი“ არ არის დამტკიცებული არც ერთი მარეგულირებელი ორგანოს მიერ, გარდა საქართველოს ეროვნული ბანკისა („სეზ“), რომელიც ამჟამად წარმოადგენს ფასიანი ქაღალდების ბაზრის ოფიციალურ მარეგულირებელ ორგანოს.

შეთავაზება მოხდება მხოლოდ საქართველოს ტერიტორიაზე. საჯარო შეთავაზების პრინციპების მიხედვით, შეთავაზება შეიძლება განხორციელდეს როგორც საცალო, ასევე გათვითცნობიერებულ ინვესტორებზე. „ობლიგაციების“ შეთავაზება არ უნდა მოხდეს სხვა სახელმწიფოში. უცხოელმა რეზიდენტებმა, რომლებიც შესაძლებელია გახდნენ წინამდებარე „ემისიის პროსპექტის“ ადრესატები, უნდა უზრუნველყონ, რომ ჰქონდეთ უფლებამოსილება მონაწილეობა მიიღონ საქართველოს ტერიტორიაზე ფასიანი ქაღალდებით ვაჭრობაში იმგვარად, რომ არ გახდნენ რეზიდენტობის ქვეყნის მარეგულირებელი კანონმდებლობის სუბიექტები. ამასთან, რეზიდენტობის ქვეყნის მარეგულირებელი კანონმდებლობისადმი დაქვემდებარების შემთხვევაში, ადრესატებმა დაუყოვნებლივ უნდა შეატყობინონ აღნიშნულის შესახებ „კომპანიას“ და „განთავსების აგენტს“.

ნებისმიერმა პირმა, რომელსაც სურს შეიძინოს ან შეისყიდოს „ობლიგაციები“, უნდა უზრუნველყოს შესაბამისი სახელმწიფოს კანონმდებლობის მოთხოვნათა დაცვა და მიიღოს ყველა აუცილებელი სამთავრობო ან სხვაგვარი თანხმობა და დაიცვას ყველა შესაბამისი ფორმალობა.

ინვესტორები უნდა დაეყრდნონ წინამდებარე „ემისიის პროსპექტში“ პირდაპირ მოცემულ ან მითითების გზით მასში ჩართულ ინფორმაციას. „ობლიგაციების“ გამოცემასთან ან გაყიდვასთან დაკავშირებით, არც ერთ პირს არ აქვს უფლება გასცეს ისეთი ინფორმაცია ან გააკეთოს ისეთი განცხადება, რომელიც არ არის მოცემული ან ჩართული წინამდებარე „ემისიის პროსპექტში“. „კომპანია“ არ იღებს პასუხისმგებლობას ნებისმიერ ინფორმაციაზე, რომელიც მოცემული ან ჩართული არ არის წინამდებარე „ემისიის პროსპექტში“. წინამდებარე „ემისიის პროსპექტის“ მიწოდება ან მის საფუძველზე

„ობლიგაციების“ გაყიდვა არ გულისხმობს, რომ „ემისიის პროსპექტის“ გაცემის თარიღიდან „კომპანიის“ საქმეებში არ შესულა ცვლილებები. პროსპექტის წარდგენიდან მის დამტკიცებამდე არსებითი (მატერიალური) ცვლილება არ მომხდარა, ხოლო თუკი რაიმე მატერიალური ცვლილება მოხდება დამტკიცებიდან შეთავაზებამდე, პროსპექტი შესაბამისად განახლება.

წინამდებარე „ემისიის პროსპექტი“ არ შეიძლება გამოყენებულ იქნას შეთავაზების მიზნებისათვის ნებისმიერ ისეთ სახელმწიფოში, სადაც ამგვარი შეთავაზება არ არის კანონიერი ან ნებადართული, ან ნებისმიერი ისეთი პირის მიმართ, რომლის მიმართაც ამგვარი შეთავაზების გაკეთება არ არის კანონიერი ან ნებადართული; არ ხორციელდება რაიმე ისეთი ქმედება, რომელიც დაუშვებდა „ობლიგაციების“ შეთავაზებას ან „ემისიის პროსპექტის“ გავრცელებას იმ სახელმწიფოში, სადაც ამგვარი ქმედება აუცილებელია.

შეთავაზება შეიცავს რისკის მაღალ ხარისხს. იხილეთ „რისკ-ფაქტორები“. არც წინამდებარე „ემისიის პროსპექტი“ და არც „კომპანიის“ ან „განთავსების აგენტის“ მიერ „ობლიგაციებთან“ მიმართებით მიწოდებული ნებისმიერი სხვა ინფორმაცია არ შეიცავს „ობლიგაციებში“ ინვესტიციის განხორციელებასთან დაკავშირებული რისკების შეფასებას და დაუშვებელია მათი ამ კუთხით განმარტება. თითოეულმა ინვესტორმა თავად უნდა განხორციელოს პოტენციური რისკების შეფასება. „ემისიის პროსპექტი“ არ შეიცავს „ობლიგაციებში“ ინვესტიციის განხორციელებასთან დაკავშირებული ყველა რისკის და საინვესტიციო (მათ შორის, თითოეული ინვესტორის კონკრეტულ გარემოებებთან დაკავშირებული) შეფასების აღწერას. წინამდებარე „ემისიის პროსპექტში“ იდენტიფიცირებული რისკები და საინვესტიციო შეფასებები მოცემულია ზოგადი ინფორმაციის სახით. ინვესტორებმა კონსულტაცია უნდა გაიარონ საკუთარ ფინანსურ და სამართლებრივ მრჩეველებთან „ობლიგაციებში“ ინვესტიციის განხორციელებასთან დაკავშირებულ რისკებთან და საინვესტიციო შეფასებებთან მიმართებით; ინვესტორებს უნდა გააჩნდეთ შესაბამისი რესურსები ამგვარი ინვესტიციის ანალიზისა და თავიანთ კონკრეტულ გარემოებებთან ინვესტიციის შესაბამისობის დასადგენად. არც „კომპანია“ და არც „განთავსების აგენტი“ არ აკეთებს რაიმე განცხადებას „ობლიგაციების“ რომელიმე მყიდველის ან ოფერტის მიმღების წინაშე, „ობლიგაციების“ მყიდველის ან ოფერტის მიმღების მიერ შესაბამისი საინვესტიციო ან მსგავსი კანონმდებლობის საფუძველზე „ობლიგაციებში“ ინვესტიციის განხორციელების კანონიერებასთან დაკავშირებით.

წინამდებარე „ემისიის პროსპექტის“ გამოცემა და გავრცელება, ასევე „ობლიგაციების“ ნებისმიერი შეთავაზება ან გაყიდვა, არ წარმოადგენს „კომპანიის“ ან მისი ნებისმიერი „ადმასრულებელი დირექტორის“, თანამდებობის პირის ან დასაქმებულის მიერ, „კომპანიის“ წესდებით („წესდება“), კანონმდებლობით ან სხვა რეგულაციით მინიჭებულ რაიმე ისეთ უფლებაზე, იმუნიტეტზე, პრივილეგიაზე ან შეღავათზე უარის თქმას, რომელიც მათ უნარჩუნდებათ წინამდებარე „ემისიის პროსპექტის“ საფუძველზე.

წინამდებარე „ემისიის პროსპექტი“ მომზადებულია ინგლისურ და ქართულ ენებზე. თარგმანებს შორის ნებისმიერი წინააღმდეგობის შემთხვევაში, უპირატესობა ენიჭება ქართულ ვერსიას.

წინამდებარე „ემისიის პროსპექტში“ ქართულ ლარზე და „GEL“-ზე მითითება გულისხმობს საქართველოს ეროვნულ ვალუტაზე მითითება.

„განთავსების აგენტი“ არ იღებს პასუხისმგებლობას წინამდებარე „ემისიის პროსპექტში“ მოცემული ან ჩართული ინფორმაციის სისწორეზე და პოტენციურმა ინვესტორებმა სიფრთხილით უნდა გამოიყენონ აღნიშნული ინფორმაცია.

ემისიის პროსპექტის შედგენაზე პასუხისმგებელი პირები:

**ბატონი ვახტანგ კაკარაგა - აღმასრულებელი და ფინანსური დირექტორი**

**ბატონი თემურ კოხოძე - სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარე**

ჩვენ, ვახტანგ კაკარაგა და თემურ კოხოძე, ემოქმედებთ-რა როგორც წინამდებარე ემისიის პროსპექტის შედგენაზე პასუხისმგებელი პირები, ჩვენი ხელმოწერით ვადასტურებთ, რომ პროსპექტში წარმოდგენილ ინფორმაციაში შესულია ჩვენთვის ცნობილი ყველა არსებითი ფაქტი და ადგილი არ ჰქონია ისეთი ინფორმაციის გამოტოვებას, რაც გაელენას მოახდენდა პროსპექტის შინაარსზე;

ემიტენტის წარმომადგენლების ხელმოწერები

ეროვნული ბანკის წარმომადგენლების ხელმოწერები

ხელმოწერის თარიღი:

პროსპექტის დამტკიცების თარიღი:

11.05.2023

16.05.2023 წელი

ხელმოწერები:

ხელმოწერები:

აღმასრულებელი და ფინანსური დირექტორი

ვიცე-პრეზიდენტი

სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარე

განთავსების, კალკულაციისა და გადახდის აგენტი:

შპს „თიბისი კაპიტალი“

მის: მარჯანიშვილის ქუჩა 7, თბილისი 0102, საქართველო

ტელ: (+995 32) 227 27 27

ელ. ფოსტა: [info@tbccapital.ge](mailto:info@tbccapital.ge)

ვებ-გვერდი: [www.tbccapital.ge](http://www.tbccapital.ge)

პროსპექტის დამტკიცებაზე პასუხისმგებელი ორგანო:

საქართველოს ეროვნული ბანკი

0114 თბილისი, საქართველო, ზვიად გამსახურდიას სანაპირო #1

ტელ: (995 32) 240 6120

ფაქსი: (995 32) 240 6577

ელფოსტა: [info@nbg.ge](mailto:info@nbg.ge)

ვებგვერდი: [www.nbg.ge](http://www.nbg.ge)

|  |     |
|--|-----|
| სარჩევი  |     |
| <b>თავფურცელი</b> .....  | 1   |
| ფასიანი ქაღალდების ზოგადი მიმოხილვა.....   | 7   |
| 1. შესავალი.....   | 7   |
| 2. ინფორმაცია ემიტენტის შესახებ .....  | 8   |
| 3. რისკის ფაქტორები. ....  | 17  |
| 4. შეთავაზების შესახებ დამატებითი ინფორმაცია .....   | 20  |
| მწვანე ობლიგაციის ჩარჩო .....  | 22  |
| რისკის ფაქტორები .....   | 24  |
| 1. მოკლე ინფორმაცია იმ მატერიალური რისკების შესახებ, რომლებიც სპეციფიკურია ემიტენტის საქმიანობისთვის;.....                         | 24  |
| 2. მოკლე ინფორმაცია იმ მატერიალური რისკების შესახებ რომლებიც სპეციფიურია ინდუსტრიასა და ეკონომიკისათვის.....                       | 31  |
| 3. მოკლე ინფორმაცია იმ მატერიალური რისკების შესახებ რომლებიც სპეციფიურია შესათავაზებელი ფასიანი ქაღალდებისთვის.....                | 48  |
| სარეგისტრაციო დოკუმენტი.....   | 54  |
| 1. პასუხისმგებელი პირები .....   | 54  |
| 2. ინფორმაცია ემიტენტის შესახებ.....   | 55  |
| 3. საქმიანობის აღწერა.....   | 63  |
| 4. ორგანიზაციული სტრუქტურა .....   | 85  |
| 5. საოპერაციო და ფინანსური მიმოხილვა.....  | 88  |
| 6. კაპიტალიზაცია და დავალიანება.....   | 106 |
| 7. მარეგულირებელი გარემო.....  | 122 |
| 8. ინფორმაცია ტენდენციების შესახებ .....   | 130 |
| 9. მოგების პროგნოზი და ვარაუდები.....  | 131 |
| 10. მმართველი ორგანოს წევრები და პარტნიორები/აქციონერები. ....   | 131 |
| 11. მმართველი ორგანოს და სამეთვალყურეო საბჭოს საქმიანობა .....   | 135 |
| 12. თანამშრომლები .....  | 143 |
| 13. მნიშვნელოვანი წილის მქონე აქციონერები (პარტნიორები) .....  | 143 |
| 14. ტრანზაქციები დაკავშირებულ მხარეებთან.....  | 144 |
| 15. ემიტენტის აქტივებსა და ვალდებულებებთან, ფინანსურ მდგომარეობასთან, მოგებასა და ზარალთან დაკავშირებული ფინანსური ინფორმაცია..... | 147 |
| 16. დამატებითი ინფორმაცია.....   | 150 |
| 17. მატერიალური ხელშეკრულებები.....  | 151 |



|   |     |
|---|-----|
| 18. გაკეთებული მითითებების ჩამონათვალი .....                      | 151 |
| ფასიანი ქაღალდების მიმოხილვა.....                                 | 152 |
| 1. მნიშვნელოვანი ინფორმაცია .....                                 | 152 |
| 2. ინფორმაცია, რომელიც ეხება შესათავაზებელ ფასიან ქაღალდებს ..... | 152 |
| 3. საჯარო შეთავაზების პირობები.....                               | 181 |

## ფასიანი ქაღალდების ზოგადი მიმოხილვა

### 1. შესავალი

#### 1.1. ზოგადი ინფორმაცია

|   |  |
|---|--|
| ფასიანი ქაღალდის დასახელება:  | ლარის სოლიდარული თავდებობით უზრუნველყოფილი არა-სუბორდინირებული მწვანე ობლიგაცია  |
| ემიტენტის დასახელება, სამართლებრივი ფორმა, საიდენტიფიკაციო ნომერი და საკონტაქტო ინფორმაცია: | შპს „თეგეტა მოტორსი“ (საიდენტიფიკაციო კოდი: 202177205)<br>მისამართი: საქართველო, თბილისი, საბურთალოს რაიონი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, N 129<br>ელ. ფოსტა: <a href="mailto:ir@tegetamotors.ge">ir@tegetamotors.ge</a><br>ტელ.: +995 32 224 44 44             |
| განთავსების აგენტის/შეთავაზების განმხორციელებელი პირის დასახელება და საკონტაქტო ინფორმაცია: | შპს „თიბისი კაპიტალი“ (საიდენტიფიკაციო კოდი: 204929961)<br>მისამართი: ქ. თბილისი 0102, მარჯანიშვილის ქუჩა N7<br>ელ. ფოსტა: <a href="mailto:info@tbccapital.ge">info@tbccapital.ge</a><br>ტელ.: (+995 32) 227 27 33   |
| პროსპექტის დამტკიცებაზე პასუხისმგებელი ორგანოს დასახელება და საკონტაქტო ინფორმაცია:         | საქართველოს ეროვნული ბანკი<br>0114 თბილისი, საქართველო, ზვიად გამსახურდიას სანაპირო #1<br>ტელ: (995 32) 240 6120<br>ფაქსი: (995 32) 240 6577<br>ელფოსტა: <a href="mailto:info@nbg.ge">info@nbg.ge</a><br>ვებგვერდი: <a href="http://www.nbg.ge">www.nbg.ge</a> |
| დამტკიცების თარიღი:   | [•] 16 მაისი, 2023 წ.  |

#### 1.2. მითითება

წინამდებარე ზოგადი მიმოხილვა წარმოადგენს პროსპექტის განუყოფელ ნაწილს. ინვესტორის მიერ მიღებული ნებისმიერი გადაწყვეტილება ინვესტირების შესახებ მიღებულ უნდა იქნეს მთლიანი პროსპექტიდან და არა მხოლოდ ზოგადი მიმოხილვის ნაწილიდან. ინვესტორმა შესაძლოა დაკარგოს მთლიანი ინვესტირებული თანხა ან მისი ნაწილი.

ემიტენტს შესაძლებელია დაეკისროს პასუხისმგებლობა, თუ ზოგადი მიმოხილვის ნაწილი შეცდომაში შემყვანია, ან არაზუსტი, ან არ არის ძირითადი პროსპექტის შესაბამისი ან თუ არ იძლევა ძირითად ინფორმაციას, რათა დაეხმაროს ინვესტორებს მიიღონ გადაწყვეტილება, დააბანდონ თუ არა სახსრები ამ შესათავაზებელ ფასიან ქაღალდებში;

ობლიგაციების ემისიის პროსპექტი მარტივი დოკუმენტი არ არის და შესაძლებელია რთული იყოს ინვესტორისთვის ამ პროსპექტით შეთავაზებული პროდუქტის სწორად აღქმა და შეფასება.

## 2. ინფორმაცია ემიტენტის შესახებ

### 2.1. ემიტენტის შესახებ მოკლე ინფორმაცია

#### 2.1.1. ემიტენტის იურიდიული და არსებობის შემთხვევაში კომერციული დასახელება

„კომპანიის“ იურიდიული და კომერციული დასახელება არის შპს „თეგეტა მოტორსი“

#### 2.1.2. ემიტენტის იურიდიული და ფაქტობრივი მისამართი, სამართლებრივი ფორმა, რეგისტრაციის ქვეყანა და მარეგულირებელი კანონმდებლობა

|                                    |   |
|------------------------------------|---|
| იურიდიული და ფაქტობრივი მისამართი: | საქართველო, თბილისი, საბურთალოს რაიონი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, N 129 |
| სამართლებრივი ფორმა:               | შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება                                    |
| რეგისტრაციის ქვეყანა:              | საქართველო  |
| მარეგულირებელი კანონმდებლობა:      | საქართველოს კანონმდებლობა   |

#### 2.1.3. ემიტენტის ძირითადი საქმიანობების, ამ საქმიანობებთან დაკავშირებული მნიშვნელოვანი მოვლენების, გაწეული მომსახურების ან/და წარმოებული საქონლის კატეგორიების, ასევე იმ ძირითადი ბაზრების აღწერა, რომელზეც წარმოდგენილია ემიტენტი

„კომპანია“ დღეს ლიდერია საქართველოში საავტომობილო პროდუქტებისა და მომსახურების დარგში. „თეგეტა მოტორსი“, მის შვილობილებთან ერთად, წარმოადგენს უნივერსალურ კომპანიას, რომელიც მოღვაწეობს სატვირთო და მსუბუქი ავტომობილების, სასოფლო, სამშენებლო და სამრეწველო დანიშნულების ტექნიკით, სათადარიგო ნაწილებით, საპოხი მასალებით, საბურავებით ვაჭრობისა და ტექნიკური მომსახურების სფეროში. კომპანია სახელმწიფო, კორპორატიულ და საცალო კლიენტებს სთავაზობს მაღალი ხარისხის ავტო-პროდუქტებისა და სერვისის ფართო სპექტრს. კომპანიის საქმიანობა რამდენიმე მსხვილ ბიზნეს მიმართულებად იყოფა:

- მსუბუქი ავტომობილების რეალიზაცია და გაქირავება
- სატვირთო ავტომობილებისა და სპეც-ტექნიკის გაყიდვა და გაქირავება
- ავტომობილების ნაწილებისა და აქსესუარების იმპორტი, დისტრიბუცია და საერთაშორისო რეალიზაცია
- ავტომობილის ნაწილებისა და აქსესუარების ადგილობრივი რეალიზაცია სახელმწიფო, კორპორატიულ და საცალო არხებში. აღნიშნული მოიცავს ავტო-საბურავებს, ავტონაწილებს, აკუმულატორებს, საცხებ-საპოხ მასალებს, დანადგარებს ა.შ, მსუბუქი ავტომობილებისათვის სათანადო ტექნიკურ მომსახურებასთან ერთად.

### კომპანიის საოპერაციო გარემოს მიმოხილვა

#### საავტომობილო პარკი

შსს-ს მონაცემების მიხედვით, ავტოპარკი საქართველოში ყოველწლიურად იზრდება. ზრდის მაჩვენებელი 2022 წელს 4.9% იყო, ხოლო რეგისტრირებულ ავტომობილთა რაოდენობა 1.6 მილიონს შეადგენდა. 2022 წლის მონაცემებით, ავტომობილების 82.0% მსუბუქია, 6.8% სატვირთო, 3.3% სამგზავრო, ხოლო დანარჩენ 7.7%-ს შეადგენს სასოფლო, სპეციალიზებული და სხვა ტიპის ტრანსპორტი. 2022 წლის მონაცემებით, 5 წლამდე ასაკის ავტომობილები ავტოპარკის მხოლოდ 3.6%-ს შეადგენს, 6-დან 10 წლამდე ასაკის 9.8%-ს, ხოლო 10 წელზე მეტი ასაკის ავტომობილები ბაზრის 86.6%-ს შეადგენს. გასული წლის მონაცემებით, ავტომობილების 89% ფიზიკური პირების, ხოლო 11% იურიდიული პირების მფლობელობის ქვეშ იმყოფებოდა.

**ინფრასტრუქტურული პროექტები**

კორპორაციული გაყიდვების არხი „ჯგუფის“ გაყიდვების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი მიმართულებაა და მოიცავს შემდეგ სექტორში მომუშავე კომპანიებს: გზების და ჰესების მშენებლობა, სამთო სამომპოვებლო სამუშაოები, სამშენებლო მასალების, რკინის და მეტალის წარმოება. აღნიშნულ კომპანიებთან თეგეტა მოტორსს აქვს გრძელვადიანი კონტრაქტები რის ფარგლებშიც კომპანია ახორციელებს მძიმე ტექნიკის და დაკავშირებული მომსახურებების და პროდუქტის მიწოდებას სხვადასხვა ინფრასტრუქტურულ პროექტებზე მომუშავე კლიენტებისთვის, სახელმწიფოს სტრატეგიის შესაბამისად აღნიშნულ პროექტებზე გამოყოფილია რამდენიმე ასეული მილიონი რაც თავის მხრივ აძლევს კომპანიას საშუალებას გაზარდოს გაყიდვები კორპორაციულ არხში. სამოქმედო სტრატეგიის მიხედვით უახლოეს 1-3 წლიან პერიოდში დაგეგმილია და მიმდინარეობს რამდენიმე მსხვილი ინფრასტრუქტურული პროექტი, როგორებიცაა:

**რეგიონალური და საერთაშორისო გზები**

- 2.4 მილიარდი ლარი - რიკოთის ავტომაგისტრალი
- 1.3 მილიარდი ლარი - ქვეშეთი-კობი
- 1 მილიარდი ლარი - გრიგოლეთი-ჩოლოყი
- ბათუმის შემოვლითი გზა
- კახეთის ავტობანი

*წყარო: რეგიონალური განვითარების და ინფრასტრუქტურის სამინისტრო*

2.1.4. ემიტენტის მნიშვნელოვანი წილის მფლობელი აქციონერების დასახელება, ვინ ფლობს, ან აკონტროლებს ემიტენტს პირდაპირი და არაპირდაპირი მონაწილეობით „კომპანიის“ პირდაპირი და ბენეფიციარი შემდეგი პირები არიან:

| მესაკუთრე                            | წილი საწესდებო კაპიტალში |
|--------------------------------------|--------------------------|
| შპს „თი ჯი ემ ჯგუფი“ (ს/ნ 405347058) | 98.78%                   |
| თემურ კოხომე (პ/ნ 42001000456)       | 1.22%                    |

შპს „თი ჯი ემ ჯგუფის“ მფლობელები შემდეგი პირები არიან:

| მესაკუთრე                          | წილი საწესდებო კაპიტალში |
|------------------------------------|--------------------------|
| თემურ კოხომე (პ/ნ 42001000456)     | 92.1%                    |
| მარინე მუმლაძე (პ/ნ 01006011335)   | 3.95%                    |
| გიორგი მშვილდაძე (პ/ნ 01006011532) | 3.95%                    |


2.1.5. თუ ემიტენტი ჯგუფის წევრია, ჯგუფის სტრუქტურის აღწერა მასში ემიტენტის პოზიციის მითითებით;

შპს „თეგეტა მოტორსი“ წარმოადგენს ჰოლდინგურ კომპანიას, რომელიც დაყოფილია შემდეგ ძირითად მიმართულებებად

- **კომერციული იმპორტები და საერთაშორისო ვაჭრობის მიმართულება**- ავტომობილების ნაწილებისა და აქსესუარების იმპორტი, დისტრიბუცია და საერთაშორისო ვაჭრობა;
- **მსუბუქი ავტომობილების გაყიდვების მიმართულება** - მსუბუქი ავტომობილების, ნაწილებისა და აქსესუარების რეალიზაცია და გაქირავება, მომსახურება სრული საგარანტიო სერვისით;

- ადგილობრივი გაყიდვების ოპერაციების მიმართულება- მსუბუქი, მძიმე და სპეციალური ტექნიკის ნაწილების რეალიზაცია, მომსახურება და სერვისი;
- სატვირთო და სპეციალური დანიშნულების ტექნიკის მიმართულება - სატვირთო ავტომობილებისა და სპეც-ტექნიკის გაყიდვა, გაქირავება და მომსახურება სრული საგარანტიო სერვისით.

2023 წლის 31 იანვრის მდგომარეობით ჯგუფის სტრუქტურა მოცემულია შემდეგი დიაგრამით:



2.1.6. ემიტენტის დირექტორების დასახელება პოზიციების მითითებით; ემიტენტის უმაღლესი მენეჯმენტი შედგება შემდეგი წევრებისგან:

| სახელი                     | თანამდებობა  |
|----------------------------|--|
| ბატონი ვახტანგ კაჭარავა    | აღმასრულებელი და ფინანსური დირექტორი, სატვირთო და სპეციალური დანიშნულების ტექნიკის დირექტორი |
| ბატონი დიმიტრი გოზალიშვილი | კომერციული იმპორტების და საერთაშორისო ვაჭრობის დირექტორი                                     |
| ბატონი პეტრე წაქაძე        | მსუბუქი ავტომობილების გაყიდვების დირექტორი   |
| ბატონი გრიგოლ ბარბაქაძე    | ადგილობრივი გაყიდვების ოპერაციების მიმართულების დირექტორი, შპს „თეგეტა რითეილის“ დირექტორი   |
| ბატონი რევაზ ზირაქაძე      | კომერციული დირექტორი   |
| ქალბატონი ანა ზონინაშვილი  | აღმასრულებელი და ფინანსური დირექტორის მოადგილე, შპს „თეგეტა კაპიტალის“ დირექტორი             |

|                           |                                      |
|---------------------------|--------------------------------------|
| ბატონი ირაკლი პაპიაშვილი  | ბიზნესის განვითარების დირექტორი      |
| ბატონი ალექსანდრე ბარნოვი | პროგრამული განვითარების დირექტორი    |
| ქალბატონი თამარ წიკლაური  | იურიდიული დირექტორი                  |
| ქალბატონი ლია ბერუაშვილი  | ორგანიზაციული განვითარების დირექტორი |

ემიტენტის სამეთვალყურეო საბჭო შედგება შემდეგი წევრებისგან:

| სახელი                           | თანამდებობა                   |
|----------------------------------|-------------------------------|
| ბატონი თემურ კოხომე              | თავმჯდომარე / წევრი           |
| ბატონი გიორგი მშვილდაძე          | თავმჯდომარის მოადგილე / წევრი |
| ბატონი ზურაბ საყვარელიძე         | წევრი                         |
| ბატონი ვალერიან მეზვრიშვილი      | წევრი                         |
| ბატონი პერ გუსტავ რაგნარ ნილსონი | წევრი                         |
| ბატონი პაატა ჟღენტი              | წევრი                         |
| ბატონი მალხაზ ჯიმშიაშვილი        | წევრი                         |

2.1.7. ემიტენტის აუდიტორ(ებ)ისა და პროსპექტის მომზადებაში ჩართული მესამე პირების ან ექსპერტების დასახელება, მისამართი, კვალიფიკაცია და არსებობის შემთხვევაში, მათი ინტერესი ემიტენტის საქმიანობაში;

„კომპანიის“ 2020 და 2021 წლების ფასს სტანდარტების მიხედვით მომზადებული ფინანსური ანგარიშგებების შესახებ აუდიტი განახორციელა შპს „იუაი საქართველო“-მ. საუკეთესო პრაქტიკასთან შესაბამისად „კომპანია“ პერიოდულად ახორციელებს აუდიტის ტენდერს აუდიტორების როტაციისათვის, 2022 წლისათვის კომპანიის აუდიტს განახორციელებს შპს დელოიტ საქართველო.

| აუდიტის წელი | სარეგისტრაციო ნომერი | საიდენტიფიკაციო ნომერი | სახელწოდება         | იურიდიული მისამართი                                      | საკონტაქტო ნომერი  |
|--------------|----------------------|------------------------|---------------------|--|--------------------|
| 2020-2021    | SARAS-F-855308       | 204441158              | შპს იუაი საქართველო | 0105, თბილისი, ძველი თბილისის რაიონი, კოტე აფხაზის ქ. 44 | +995 32 2 15 88 11 |

2.1.8. შეთავაზების განხორციელებაში ჩართული ფიზიკური და იურიდიული პირების ინტერესის აღწერა, მათ შორის ინტერესთა კონფლიქტისაც, რომელიც მატერიალურია ემისიის / შეთავაზების ფარგლებში; ამასთან, დეტალურად უნდა იქნეს აღწერილი დაინტერესებული პირები და ინტერესის ტიპი.

| შეთავაზებაში ჩართული პირი | როლი შეთავაზებაში                                    | ინტერესის აღწერა   | ინტერესთა კონფლიქტის აღწერა   |
|---------------------------|--|--|---|
| შპს „თიბისი კაპიტალი“     | განთავსების აგენტი და კალკულაციის და გადახდის აგენტი | წინამდებარე შეთავაზების მიზნებისთვის განთავსების აგენტს წარმოადგენს შპს „თიბისი კაპიტალი“, რომელიც ასევე იქნება კალკულაციისა და გადახდის აგენტი. შესაბამისად, მის ინტერესებშია „ობლიგაციების“ განთავსება და სანაცვლოდ, ემიტენტისგან შეთანხმებული ანაზღაურების მიღება | ემიტენტსა და შპს „თიბისი კაპიტალს“ შორის არ იკვეთება რაიმე ტიპის ინტერესთა კონფლიქტი. |

## 2.2. ძირითადი ფინანსური მაჩვენებლები

2.2.1. ემიტენტის შერჩეული ისტორიული ფინანსური ინფორმაცია ბოლო 2 ფინანსური წლისთვის, ამასთან თუ რელევანტურია, შუალედური ფინანსური ინფორმაცია შესადარისი პერიოდის ინფორმაციასთან ერთად.

შემდეგ ცხრილში მოცემულია „ემიტენტის“ შერჩეული აუდირებული ძირითადი კონსოლიდირებული ფინანსური მაჩვენებლები 2020 და 2021 წლებისთვის და არა-აუდირებული 2022 წლის კონსოლიდირებული მონაცემები. დეტალური ფინანსური მიმოხილვისთვის იხილეთ - „საოპერაციო და ფინანსური მიმოხილვა“.

| (ათასი ლარი)                         | აუდირებული     |                | არა-აუდირებული |
|--------------------------------------|----------------|----------------|----------------|
|                                      | 2020 წელი      | 2021 წელი      | 2022 წელი      |
| სულ გაყიდვები                        | 659,446        | 797,152        | 973,002        |
| სულ გაყიდვების თვითღირებულება        | (526,320)      | (626,194)      | (773,015)      |
| <b>საერთო მოგება</b>                 | <b>133,126</b> | <b>170,958</b> | <b>199,987</b> |
| <i>საერთო მოგების მარჟა</i>          | <i>20.2%</i>   | <i>21.4%</i>   | <i>20.6%</i>   |
| <b>საოპერაციო მოგება</b>             | <b>63,029</b>  | <b>73,836</b>  | <b>73,296</b>  |
| <i>საოპერაციო მოგების მარჟა</i>      | <i>9.6%</i>    | <i>9.3%</i>    | <i>7.5%</i>    |
| ცვეთისა და ამორტიზაციის ხარჯი        | (11,986)       | (14,287)       | (17,159)       |
| ფინანსური შემოსავალი                 | 815            | 2031           | 8,343          |
| ფინანსური ხარჯი                      | (32,264)       | (30,540)       | (44,585)       |
| შემოსავალი აფილირებული კომპანიებიდან | 182            | 306            | -              |
| <b>მოგება დაბეგვრამდე</b>            | <b>31,762</b>  | <b>45,633</b>  | <b>37,054</b>  |
| მოგების გადასახადის ხარჯი            | (24)           | (341)          | (2,940)        |
| <b>წმინდა მოგება</b>                 | <b>31,738</b>  | <b>45,292</b>  | <b>34,114</b>  |
| სულ მიმდინარე აქტივები               | 290,221        | 307,440        | 506,189        |
| სულ გრძელვადიანი აქტივები            | 129,102        | 154,072        | 214,960        |
| <b>სულ აქტივები</b>                  | <b>419,323</b> | <b>461,512</b> | <b>721,149</b> |

|                                      |                |                |                |
|--------------------------------------|----------------|----------------|----------------|
| სულ მიმდინარე ვალდებულებები          | 214,013        | 210,253        | 369,790        |
| სულ გრძელვადიანი ვალდებულებები       | 92,725         | 149,919        | 283,992        |
| საწესდებო კაპიტალი                   | 44,733         | 44,733         | 45,808         |
| სხვა რეზერვები                       | (22,936)       | (69,362)       | (121,597)      |
| გაუნაწილებელი მოგება                 | 90,788         | 125,969        | 143,156        |
| <b>სულ კაპიტალი</b>                  | <b>112,585</b> | <b>101,340</b> | <b>67,452</b>  |
| <b>სულ ვალდებულებები და კაპიტალი</b> | <b>419,323</b> | <b>461,512</b> | <b>721,149</b> |

„ობლიგაციების“ გამოშვებით ხდება არსებული მოკლევადიანი ვალდებულებების რეფინანსირება და შესაბამისად „ემისიას“ არ ექნება ნეგატიური ეფექტი კომპანიის ფინანსურ მაჩვენებლებზე.

2.2.2. განმარტების შესაბამისად, საჭიროების შემთხვევაში, ფინანსურ მონაცემებს თან უნდა ახლდეს პრო-ფორმა ფინანსური ინფორმაცია, დანართი 6-ის მიხედვით დადგენილი მინიმალური მოთხოვნების შესაბამისად;

2022 წელს „კომპანია“ შეისყიდა დაკავშირებული მხარის 3 საწარმო, მიიღო კონტროლი მათზე და ფინანსური ინფორმაციის მდგომარეობით ტრანზაქციის შედეგად „კომპანიის“ საკუთრებაშია :

1. შპს ავტო გალერი (ს.ნ. 405232957) – 90% წილის საკუთრება;
2. შპს ინტერავტო თრეიდიინგი (ს.ნ. 206211936) - 100% წილის საკუთრება;
3. შპს კავკასუს ავტომოტივი (ს.ნ.405302836) - 100% წილის საკუთრება;

თავის მხრივ შპს ავტო გალერის 100%-იან მფლობელობაშია შპს თეგეტა ქარ რენტ (ს.ნ. 406207322), ხოლო შპს ინტერავტო თრეიდიინგის მფლობელობაშია შპს თეგეტა რენტალს (ს.ნ. 454412305).

2022 წლის ივნისსა და ივლისში შპს „თეგეტა მოტორს ბაქომ“ გამოისყიდა შპს „აზტექ და თეგეტა მოტორსის“ აქციები და კომპანიის აქციების მფლობელობა გაიზარდა 20%-დან 75%-ით. შპს „აზტექ და თეგეტა მოტორსი“ ჯგუფის მეკავშირე საწარმო იყო.

2023 წლის 13 იანვარს ემიტენტმა შეიძინა შპს ავტო გალერის 10%-იანი წილი და ემისიის თარიღისათვის კომპანიის 100%-იანი საკუთრების უფლებას ფლობს.

აღნიშნული კომპანიები წარმოადგენდნენ დაკავშირებულ მხარეებს და ოპერაციის შედეგად გაერთიანდნენ ემიტენტის საკუთრებაში.

2.2.3. თანდართული ფინანსური ანგარიშგებების შესახებ აუდიტორის დასკვნის ტიპი (უპირობო, მოდიფიცირებული, პირობითი, უარყოფითი, უარი დასკვნის დაწერაზე) და პირობითი დასკვნის შემთხვევაში მიზეზების მოკლე აღწერა;

„კომპანიის“ 2020 და 2021 წლების ფასს სტანდარტების მიხედვით მომზადებული ფინანსური ანგარიშგების შესახებ უპირობო დასკვნა გამოხატა შპს „იუაი საქართველო“-მ.

2.2.4. მოგების პროგნოზირებული ციფრის მითითება იმ შემთხვევაში, თუ მიღებული სახსრების გამოყენების ნაწილში ფიგურირებს ეს ციფრი და ხდება მისი პროგნოზი ან შეფასება;



მიღებული სახსრების გამოყენების ნაწილში არ ფიგურირებს პროგნოზირებული ციფრები, შესაბამისად „კომპანია“ არ წარადგენს საპროგნოზო მონაცემებს.

2.2.5. თუ ემიტენტის საბრუნავი კაპიტალი არ არის საკმარისი მისი მიმდინარე ვალდებულებების დასაკმაყოფილებლად, უნდა მოხდეს ამის მითითება და უნდა აიხსნას მიზეზები.

2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, „კომპანიის“ აუდირებული საბალანსო უწყისის თანახმად, „კომპანიის“ მიმდინარე აქტივები დაახლოებით 97 მილიონი ლარით აღემატებოდა მის მიმდინარე ვალდებულებებს ხოლო 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, მიმდინარე აქტივები დაახლოებით 136 მილიონი ლარით აღემატებოდა მის მიმდინარე ვალდებულებებს. მსგავსი მდგომარეობა სტანდარტულია კომპანიის საქმიანობის სფეროსთვის და მენეჯმენტის შეფასებით კომპანიის ხელთ არსებულ მიმდინარე და სამომავლო რესურსები საკმარისი იქნება მოკლევადიანი ვალდებულებების დასაფარად.

2.2.6. ბოლო საანგარიშგებო პერიოდის განმავლობაში, და/ან პროსპექტის წარდგენის თარიღამდე მომხდარი მნიშვნელოვანი მოვლენების აღწერა, რომელიც მატერიალური იქნება ემიტენტის გადახდისუნარიანობის შესაფასებლად;

ასეთ მოვლენას ადგილი არ ჰქონია.

2.2.7. არსებობის შემთხვევაში, საკრედიტო სარეიტინგო სააგენტოების მიერ ემიტენტის ან/და მისი ფასიანი ქაღალდებისთვის მინიჭებული სარეიტინგო ქულები.

„ემიტენტის“ მოქმედი საკრედიტო რეიტინგია BB-, რომელიც 2022 წლის 5 ოქტომბერს Scope Ratings-მა განაახლა და უცვლელი დატოვა განახლებამდე მოქმედი BB- კატეგორიით და განსაზღვრა ნეგატიური პერსპექტივით;

2021 წლის 4 ნოემბერს Scope Ratings-მა განაახლა და უცვლელი დატოვა განახლებამდე მოქმედი BB- კატეგორიით და სტაბილური პერსპექტივით;

2020 წლის ნოემბერში, Scope-მა კომპანიას შეუნარჩუნა რეიტინგი, რომელიც BB- კატეგორიითა და სტაბილური პერსპექტივით შეფასდა;

2019 წელს კომპანიამ მიიღო Scope Ratings-ის საკრედიტო რეიტინგი BB- სტაბილური პერსპექტივით;

2017 წლის 16 ნოემბერს, Fitch-ის მიერ მინიჭებული „ემიტენტის“ გრძელვადიანი დეფოლტის რეიტინგი იყო B-/ სტაბილური პერსპექტივით, რომელიც 2018 წლის 23 აგვისტოს Fitch-ის მიერ დადასტურდა ერთი წლის ვადით. 2019 წლის 29 მარტს „კომპანიის“ მოთხოვნით მოხდა Fitch-ის საკრედიტო რეიტინგის გაუქმება.

2.2.8. ემიტენტის ბოლო 2 წლის აუდირებული ფინანსური ანგარიშგების მონაცემების ბაზაზე ამ წესის დანართი 9-ის შესაბამისად დათვლილი ფინანსური კოეფიციენტები. აღნიშნული და დამატებით სხვა კოეფიციენტების წარდგენა უნდა მოხდეს მათი მნიშვნელობიდან გამომდინარე ემიტენტის ბიზნეს მოდელისა და საქმიანობის ინდუსტრიისთვის.

**ძირითადი კოეფიციენტები**

|                                      |           |           |           |                        |
|--------------------------------------|-----------|-----------|-----------|------------------------|
| ა) ფინანსური ლევერიჯის კოეფიციენტები |           |           |           |                        |
|                                      | 2020 წელი | 2021 წელი | 2022 წელი | 2022 წელი <sup>1</sup> |

<sup>1</sup> კოეფიციენტები დათვლილი ობლიგაციის გამოშვების ეფექტით

|   |     |     |     |     |
|---|-----|-----|-----|-----|
| სესხებისა და კაპიტალის თანაფარდობის კოეფიციენტი | 1.5 | 2.3 | 4.2 | 4,5 |
| სესხების EBITDA <sup>2</sup> -სთან შეფარდება    | 2.2 | 2.7 | 3.1 | 3,3 |
| წმინდა სესხების EBITDA-სთან შეფარდება           | 1.9 | 2.4 | 2.9 | 3,2 |
| პროცენტის დაფარვის კოეფიციენტი (ICR)            | 2.9 | 2.8 | 1.6 | 1,6 |
| მთლიანი ვალის კოეფიციენტი                       | 0.4 | 0.5 | 0.4 | 0,4 |
| სესხის მომსახურების კოეფიციენტი (DSCR)          | 2.3 | 2.2 | 2.0 | 2,0 |

გამომდინარე იქიდან, რომ ემისირებული ფასიანი ქაღალდებით მიღებული სახსრებით სრულად მოხდება ახალი სასესხო ვალდებულებების დამატება, კოეფიციენტის ცხრილში მოცემულია ვალდებულებების 20,000,000 ლარით გაზრდის ეფექტი.

**ა) ფინანსური ლევერიჯის კოეფიციენტების განმარტება:**

**სესხებისა და კაპიტალის თანაფარდობის კოეფიციენტი:** მიმდინარე და გრძელვადიანი საბანკო სესხები, ობლიგაციები და მიმდინარე და გრძელვადიანი საიჯარო ვალდებულებები გაყოფილი აქციონერთა კაპიტალზე.

**სესხების EBITDA-სთან შეფარდება:** მიმდინარე და გრძელვადიანი საბანკო სესხები, ობლიგაციები და მიმდინარე და გრძელვადიანი საიჯარო ვალდებულებები<sup>3</sup> გაყოფილი EBITDA-ზე.

**წმინდა სესხების EBITDA-სთან შეფარდება:** მიმდინარე და გრძელვადიანი საბანკო სესხები, მიმდინარე და გრძელვადიანი ობლიგაციები და მიმდინარე და გრძელვადიანი საიჯარო ვალდებულებების ჯამს გამოკლებული ფული და ფულის ექვივალენტები (შეზღუდული ფულის გამოკლებით) გაყოფილი EBITDA-ზე. შეზღუდული ფული 2022 წლის კალუკულაციების მიზნებისათვის დაკლებულია სასესხო ვალდებულების უზრუნველყოფიდან გამომდინარე.

**პროცენტის დაფარვის კოეფიციენტი (ICR):**  $EBIT^4 / (\text{საკრედიტო პროდუქტების საპროცენტო ხარჯი} + \text{საიჯარო ვალდებულებების საპროცენტო ხარჯი} + \text{კაპიტალიზირებული პროცენტი} + \text{საპროცენტო ხარჯი სხვა ფინანსურ ვალდებულებებზე})$

**მთლიანი ვალის კოეფიციენტი:** მიმდინარე და გრძელვადიანი საბანკო სესხები, სხვა ფინანსური ვალდებულებები და მიმდინარე და გრძელვადიანი საიჯარო ვალდებულებები გაყოფილი მთლიან აქტივებზე

**სესხის მომსახურების კოეფიციენტი (DSCR) -**  $EBITDA / (\text{სესხის/გარანტიის/იჯარის ძირი თანხა} + \text{პროცენტი} + \text{კუპონი})$

| ბ) მომგებიანობის კოეფიციენტები |           |           |           |                        |
|--------------------------------|-----------|-----------|-----------|------------------------|
|                                | 2020 წელი | 2021 წელი | 2022 წელი | 2022 წელი <sup>5</sup> |
| უკუგების კოეფიციენტი აქტივებზე | 8.5%      | 10.3%     | 5.8%      | 5,7%                   |
| უკუგების კოეფიციენტი კაპიტალზე | 29.1%     | 42.3%     | 40.4%     | 40,4%                  |

<sup>2</sup> EBITDA: საოპერაციო მოგება + ცვეთისა და ამორტიზაციის ხარჯი

<sup>3</sup> საიჯარო ვალდებულებები: მოიცავს ფინანსურ და საოპერაციო საიჯარო ვალდებულებებს

<sup>4</sup> EBIT: საოპერაციო მოგება

<sup>5</sup> კოეფიციენტები დათვლილი ობლიგაციის გამოშვების ეფექტით

|   |       |       |       |       |
|---|-------|-------|-------|-------|
| ჩადებული კაპიტალის ამონაგების კოეფიციენტი | 30.8% | 32.3% | 24.3% | 23,5% |
| საერთო მოგების მარჟა                      | 20.2% | 21.4% | 20.6% | 20,6% |
| საოპერაციო მოგების მარჟა                  | 9.6%  | 9.3%  | 7.5%  | 7,5%  |
| წმინდა მოგების მარჟა                      | 4.8%  | 5.7%  | 3.5%  | 3,5%  |
| დივიდენდის შემოსავლიანობის კოეფიციენტი    | 1.3%  | 9.5%  | 12.7% | 12,7% |

ბ) მომგებიანობის კოეფიციენტების განმარტება:

უკუგების კოეფიციენტი აქტივებზე: წმინდა მოგება გაყოფილი წლის საშუალო აქტივებზე.

უკუგების კოეფიციენტი კაპიტალზე: წმინდა მოგება გაყოფილი წლის საშუალო კაპიტალზე.

ჩადებული კაპიტალის ამონაგების კოეფიციენტი: საოპერაციო მოგება<sup>6</sup> გაყოფილი საშუალო ჯამურ აქტივებს გამოკლებული საშუალო მოკლევადიანი ვალდებულებები

საერთო მოგების მარჟა: საერთო მოგება გაყოფილი გაყიდვებზე.

საოპერაციო მოგების მარჟა: საოპერაციო მოგება გაყოფილი გაყიდვებზე.

წმინდა მოგების მარჟა: წმინდა მოგება გაყოფილი გაყიდვებზე.

დივიდენდის შემოსავლიანობის კოეფიციენტი: წლის განმავლობაში გადახდილი დივიდენდი გაყოფილი წლის საშუალო კაპიტალზე.

| გ) ლიკვიდურობის კოეფიციენტები                 |           |           |           |                        |
|---|-----------|-----------|-----------|------------------------|
|   | 2020 წელი | 2021 წელი | 2022 წელი | 2022 წელი <sup>7</sup> |
| ლიკვიდური აქტივები/მთლიანი აქტივები           | 0.6       | 0.5       | 0.5       | 0.5                    |
| ლიკვიდური აქტივები/მოკლევადიანი ვალდებულებები | 1.1       | 1.1       | 1.0       | 1.0                    |
| საბრუნავი კაპიტალის კოეფიციენტი               | 6.1       | 5.6       | 7.0       | 6.6                    |
| მიმდინარე აქტივების კოეფიციენტი               | 1.2       | 1.3       | 1.2       | 1.2                    |
| საოპერაციო ფულადი ნაკადების კოეფიციენტი       | 12.8%     | 29.9%     | 16.9%     | 16.9%                  |

გ) ლიკვიდურობის კოეფიციენტების განმარტება:

ლიკვიდური აქტივები/მთლიანი აქტივები: ფულისა და ფულის ექვივალენტების (შეზღუდული ფულის გამოკლებით), სავაჭრო და სხვა მოთხოვნების და სასაქონლო მარაგების ჯამი გაყოფილი მთლიან აქტივებზე.

ლიკვიდური აქტივები/მოკლევადიანი ვალდებულებები: ფულისა და ფულის ექვივალენტების (შეზღუდული ფულის გამოკლებით), სავაჭრო და სხვა მოთხოვნების და სასაქონლო მარაგების ჯამი გაყოფილი მიმდინარე ვალდებულებებზე.

საბრუნავი კაპიტალის კოეფიციენტი: ბოლო 12 თვის გაყიდვები გაყოფილი პერიოდის საშუალო მოკლევადიან აქტივებს (სასაქონლო მარაგებს, სავაჭრო და სხვა მოთხოვნებს, გადახდილ ავანსებს) - მოკლევადიანი ვალდებულებები (სავაჭრო და სხვა ვალდებულებები, სახელშეკრულებო ვალდებულებები)

მიმდინარე აქტივების კოეფიციენტი: მიმდინარე აქტივები (შეზღუდული ფულის გამოკლებით) გაყოფილი მიმდინარე ვალდებულებებზე.

<sup>6</sup> საოპერაციო მოგება: საერთო მოგება - ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯი - რეალიზაციის და დისტრიბუციის ხარჯი + ხვა საოპერაციო შემოსავალი - სხვა საოპერაციო ხარჯი

<sup>7</sup> კოეფიციენტები დათვლილი ობლიგაციის გამოშვების ეფექტით

საოპერაციო ფულადი ნაკადების კოეფიციენტი: წმინდა ფული საოპერაციო საქმიანობიდან გაყოფილი მიმდინარე ვალდებულებებზე.

| დ) საოპერაციო კოეფიციენტები               |           |           |           |                        |
|---|-----------|-----------|-----------|------------------------|
|   | 2020 წელი | 2021 წელი | 2022 წელი | 2022 წელი <sup>8</sup> |
| ძირითადი საშუალებების ბრუნვის კოეფიციენტი | 6.3       | 7.2       | 6.7       | 6,7                    |
| მარაგების ბრუნვის დღეები                  | 80.6      | 71.3      | 95.5      | 100,3                  |
| სავაჭრო მოთხოვნების ბრუნვის დღეები        | 39.9      | 40.8      | 29.0      | 29,0                   |
| სავაჭრო ვალდებულებების ამოღების დღეები    | 39.2      | 30        | 45.6      | 45,6                   |
| ფულის ამოღების ციკლი                      | 81.3      | 82.1      | 79.0      | 83.7                   |

დ) საოპერაციო კოეფიციენტების განმარტება:

ძირითადი საშუალებების ბრუნვის კოეფიციენტი: წლიური გაყიდვები გაყოფილი საშუალო წლიურ ძირითად საშუალებებზე

მარაგების ბრუნვის დღეები: საშუალო წლიური მარაგები გაყოფილი გაყიდული საქონლის თვითღირებულებაზე, გამრავლებული 365-ზე.

სავაჭრო მოთხოვნების ბრუნვის დღეები: საშუალო წლიური სავაჭრო მოთხოვნები გაყოფილი გაყიდვებზე, გამრავლებული 365-ზე.

სავაჭრო ვალდებულებების ამოღების დღეები: საშუალო წლიური სავაჭრო ვალდებულებები გაყოფილი გაყიდული საქონლის თვითღირებულებაზე, გამრავლებული 365-ზე.

ფულის ამოღების ციკლი: მარაგების ბრუნვის დღეებს დამატებული სავაჭრო მოთხოვნების ბრუნვის დღეები და გამოკლებული სავაჭრო ვალდებულებების ამოღების დღეები.

### 3. რისკის ფაქტორები.

3.1. მოკლე ინფორმაცია იმ მატერიალური რისკების შესახებ, რომლებიც სპეციფიკურია ემიტენტის საქმიანობისთვის;

- 3.1.1 „კომპანია“ მგრძნობიარეა როგორც საერთო მაკროეკონომიკური ცვლილებების, ასევე სამომხმარებლო მოთხოვნის მიმართ, რომელთა ცვლილებამ შეიძლება უარყოფითი გავლენა იქონიოს „კომპანიის“ ფინანსურ შედეგებზე.
- 3.1.2 „კომპანიამ“ შესაძლებელია ვერ შეინარჩუნოს საკუთარი ზრდის მაჩვენებელი და/ან ამჟამინდელი პოზიცია ბაზარზე.
- 3.1.3 მოკლევადიანი სესხების რეფინანსირების და ლიკვიდურობის რისკები.
- 3.1.4 „კომპანია“ დამოკიდებულია მომწოდებლებზე და მათთან არსებული კონტრაქტების შენარჩუნებაზე.

<sup>8</sup> კოეფიციენტები დათვლილი ობლიგაციის გამოშვების ეფექტით

- 3.1.5 საავტომობილო ნაწილების და მომსახურებების სექტორის კონსოლიდაციამ შესაძლოა უარყოფითი ზეგავლენა იქონიოს „კომპანიაზე“.
- 3.1.6 სადაზღვევო შემთხვევების დადგომის რისკი.
- 3.1.7 ვალუტის კურსის ცვლილებებმა იქონია და შეიძლება მომავალშიც იქონიოს გავლენა „კომპანიაზე“.
- 3.1.8 „კომპანიას“ შესაძლებელია წარმოემვას მნიშვნელოვნად მეტი დავალიანება ან განახორციელოს სხვა ქმედებები, რამაც შეიძლება გაზარდოს ზემოთ მითითებული რისკების ინტენსივობა.
- 3.1.9 შრომითმა დავებმა და გაფიცვებმა შესაძლოა უარყოფითი გავლენა იქონიოს „კომპანიის“ წარმოების დონესა და მომგებიანობაზე.
- 3.1.10 ძირითადი ხელმძღვანელობის დაკარგვამ და ხელმძღვანელების მოზიდვის და შენარჩუნების შეუძლებლობამ უარყოფითი ზეგავლენა შეიძლება იქონიოს „კომპანიის“ საოპერაციო და ფინანსურ შედეგებზე.
- 3.1.11 კომპანია დამოკიდებულია ბრენდსა და მის რეპუტაციაზე, რეპუტაციულმა ზიანმა შესაძლოა მნიშვნელოვანი უარყოფითი გავლენა მოახდინოს კომპანიის შემოსავლებზე.
- 3.1.12 ახალმა რეგულაციებმა საცალო დაკრედიტების და სამშენებლო უსაფრთხოების მხრივ და რეგულაციური ჩარჩოს მნიშვნელოვანმა ცვლილებამ შესაძლოა უარყოფითი გავლენა იქონიოს კომპანიაზე.
- 3.1.13 კომპანია შესაძლოა დაექვემდებაროს სამართალწარმოების რისკს მისი მომხმარებლების, მომწოდებლების და მარეგულირებლის მხრიდან.
- 3.1.14 ემიტენტის საოპერაციო / საინფორმაციო სისტემების უკმარისობამ ან შეფერხებამ შეიძლება უარყოფითად იმოქმედოს მის ბიზნესზე და საოპერაციო შედეგზე.
- 3.1.15 სასესხო ვალდებულებების საპროცენტო სარგებლის ცვლადობის რისკი.
- 3.1.16 კომპანიას არ აქვს მკაცრად გაწერილი დივიდენდების გაცემის პოლიტიკა
- 3.1.17 „კომპანიის“ გაყიდვები დამოკიდებულია დისტრიბუციის არხებზე.

3.2. მოკლე ინფორმაცია იმ მატერიალური რისკების შესახებ რომლებიც სპეციფიურია ინდუსტრიასა და ეკონომიკისათვის

- 3.2.1 ინვესტიციის განხორციელება ისეთ განვითარებად ბაზრებში, როგორც საქართველოა, შეიცავს უფრო მაღალ რისკს, ვიდრე ინვესტიციის განხორციელება შედარებით განვითარებულ ბაზრებში.
- 3.2.2 საქართველოს მეზობელ ქვეყნებში ეკონომიკურმა არასტაბილურობამ და რეგიონულმა პოლიტიკურმა დაძაბულობამ შესაძლოა არსებითად უარყოფითი გავლენა იქონიოს საქართველოს ეკონომიკასა და „კომპანიის“ ბიზნესზე.
- 3.2.3 საქართველოში პოლიტიკური არასტაბილურობის რისკმა შესაძლებელია არსებითად უარყოფითი გავლენა იქონიოს „კომპანიის“ ბიზნესზე.
- 3.2.4 ეკონომიკურმა არასტაბილურობამ საქართველოში შესაძლებელია არსებითად უარყოფითი გავლენა იქონიოს „კომპანიის“ ბიზნესზე.
- 3.2.5 ლარის გაუფასურებამ აშშ დოლართან/სხვა ეკონომიკურად დაკავშირებული ქვეყნების ვალუტებთან მიმართებით შესაძლებელია არსებითად უარყოფითი გავლენა იქონიოს „კომპანიის“ ბიზნესზე.
- 3.2.6 საქართველოს სასამართლო სისტემაში არსებულმა გაურკვევლობამ შესაძლოა უარყოფითი გავლენა იქონიოს „კომპანიაზე“ და ინვესტორებზე.
- 3.2.7 შესაძლებელია წარმოიქმნას გამოწვევები „DCFTA“-ის საფუძველზე საქართველოს კანონმდებლობის ევროკავშირის კანონმდებლობასთან ჰარმონიზაციის კუთხით.
- 3.2.8 ახალი „მეწარმეთა შესახებ“. კანონის შესაბამისად, ასევე მომავალმა ან მიმდინარე ცვლილებებმა კანონმდებლობაში შეიძლება უარყოფითი გავლენა იქონიოს ინვესტორების მიერ ამონაგების მიღებაზე.

- 3.2.9 გადახდისუუნარობის მარეგულირებელი კანონმდებლობა საქართველოში განვითარების პროცესშია, რამაც შესაძლოა უარყოფითი გავლენა იქონიოს ინვესტორების მიერ ამონაგების მიღებაზე.
- 3.2.10 საქართველოს საგადასახდო სისტემაში არსებულმა გაურკვევლობამ შეიძლება გამოიწვიოს გადასახადების ან ჯარიმების დაკისრება „კომპანიაზე“ და შესაძლებელია ცვლილებები შევიდეს არსებულ საგადასახდო კანონმდებლობასა და პოლიტიკაში.
- 3.2.11 „კომპანიის“ ოპერირების სფერო არის განვითარებადი მარეგულირებელი კანონმდებლობის ობიექტი.
- 3.2.12 ანტიმონოპოლიურმა რეგულაციებმა შესაძლოა უარყოფითი ზეგავლენა მოახდინოს კომპანიის საქმიანობაზე
- 3.2.13 თუ მომავალში კომპანია ვერ შეასრულებს ფულის გათეთრებასთან ან ტერორისტთა დაფინანსებასთან დაკავშირებულ რაიმე მოქმედ რეგულაციებს, ან თუ კომპანია მათთან იქნება ასოცირებული, ამან შესაძლოა უარყოფითი ზეგავლენა მოახდინოს კომპანიაზე
- 3.2.14 კომპანია ანგარიშვალდებული საწარმოა, შესაბამისად, ექვემდებარება დამატებით რეგულაციების ანგარიშგებებს/რეპორტირების წარდგენის კუთხით.
- 3.2.15 კომპანია ვალდებულია საქმიანობა შეუსაბამოს მომხმარებლის უფლებების დაცვის შესახებ ახალ კანონს

3.3. მოკლე ინფორმაცია იმ მატერიალური რისკების შესახებ რომლებიც სპეციფიურია შესათავაზებული ფასიანი ქაღალდებისთვის

- 3.3.1 „ობლიგაციები“ წარმოადგენს *pari passu* ფასიან ქაღალდებს.
- 3.3.2 კომპანიის ან შესაბამისი გარანტორების გადახდისუუნარობის შემთხვევაში, ობლიგაციები ჩაითვლება არაუზრუნველყოფილ ვალდებულებებად
- 3.3.3 არსებობს „ობლიგაციების“ ძირის და პროცენტის დაფარვის რისკი.
- 3.3.4 შესაძლებელია მოხდეს ობლიგაციის საპროცენტო განაკვეთის ცვლილება
- 3.3.5 შესაძლებელია მოხდეს ობლიგაციების ვადამდე განაღდება (დაფარვა) ან გამოსყიდვა.
- 3.3.6 ობლიგაციებისთვის შესაძლოა არ არსებობდეს აქტიური სავაჭრო ბაზარი
- 3.3.7 „ობლიგაციების“ სავაჭრო ფასი, ლიკვიდურობა და სარგებელი შეიძლება იყოს ცვალებადი.
- 3.3.8 საკრედიტო ხელშეკრულებითა და ობლიგაციების პირობებით გათვალისწინებული გარკვეული ფინანსური დათქმები შეიძლება არ შესრულდეს
- 3.3.9 ობლიგაციების არსებული ფინანსური შეზღუდვები შესაძლოა საკმარისი არ აღმოჩნდეს და ვერ დაიცვას ინვესტორები.
- 3.3.10 „ობლიგაციები“ ხასიათდება გაცვლით კურსთან დაკავშირებული რისკებით.
- 3.3.11 არსებობს პოტენციური კონფლიქტის რისკი „კომპანიასა“ და განთავსების აგენტს შორის, ისევე როგორც განთავსების აგენტსა და სს „თიბისი ბანკს“ შორის“;
- 3.3.12 არსებობს „ობლიგაციებში“ ინვესტიციის კანონიერების დადგენის რისკი.
- 3.3.13 ინვესტორები უნდა დაეყრდნონ „რეგისტრატორის“ და შესაბამის შემთხვევებში - „ობლიგაციების ნომინალური მფლობელის“ პროცედურებს.
- 3.3.14 „ობლიგაციების“ პირობები შესაძლოა შეიცვალოს ან გაუქმდეს ან შესაძლოა „ობლიგაციების“ მფლობელთა უმრავლესობამ უარი თქვას ამა თუ იმ დარღვევის გამო დეფოლტის გამოცხადებაზე.
- 3.3.15 სოლიდარულ თავდებობასთან დაკავშირებულია სხვადასხვა რისკი, მათ შორის უზრუნველყოფის გაფორმებასა და ობლიგაციების გადაცემასთან დაკავშირებული რისკები

#### 4. შეთავაზების შესახებ დამატებითი ინფორმაცია

##### 4.1. განთავსების აგენტის შესახებ ინფორმაცია

4.1.1. განთავსების აგენტის დასახელება, სამართლებრივი ფორმა და საიდენტიფიკაციო ნომერი, აგრეთვე მისი იურიდიული და ფაქტობრივი მისამართი, რეგისტრაციის ქვეყანა და მარეგულირებელი კანონმდებლობა;

შპს „თიბისი კაპიტალი“

საიდენტიფიკაციო კოდი: 211359206

იურიდიული მისამართი: მარჯანიშვილის ქუჩა 7, თბილისი 0102, საქართველო

ფაქტობრივი მისამართი: მარჯანიშვილის ქუჩა 7, თბილისი 0102, საქართველო

რეგისტრაციის ქვეყანა: საქართველო

მარეგულირებელი კანონმდებლობა: საქართველოს კანონმდებლობა

ტელ.: (+995 32) 227 27 27 33

ელ. ფოსტა: [info@tbccapital.ge](mailto:info@tbccapital.ge)

ვებგვერდი: [www.tbccapital.ge](http://www.tbccapital.ge)

4.1.2. განთავსების აგენტთან ხელშეკრულების ძირითადი პირობები (Firm Commitment, Best Effort, Standby Commitments, Other); თუ სრულად ან საერთოდ არ ხდება ემისიის შექმნა, დარჩენილი ნაწილის რაოდენობა/წილი;

შპს „თიბისი კაპიტალი“ („განთავსების აგენტი“), [●] მომსახურების ხელშეკრულების შესაბამისად, შეუთანხმდა „კომპანია“, რომ იგი დაეხმარება მას „ობლიგაციების“ განთავსებაში, არა-გარანტირებული საფუძველით, საუკეთესო ძალისხმევის გამოყენებით.

##### 4.2. მიღებული სახსრების გამოყენება

მიღებული სახსრების ჯამური მოცულობა შეადგენს 20,000,000 ლარს. მიღებული სახსრები გამოყენებული იქნება მხოლოდ საქართველოს ბაზარზე შემდგომში გასაყიდი ეკო-მეგობრული ელექტრო ტრანსპორტის ინვენტარის შესასყიდად და ასევე, ელექტრო ტრანსპორტის დატენვის ქსელის მოწყობასთან და გაფართოებასთან საქართველოში.

##### 4.2.1. შეთავაზების მიზეზების აღწერა;

ემიტენტის გადაწყვეტილება, გამოუშვას მწვანე ობლიგაციები ადგილობრივ კაპიტალის ბაზარზე, ნაწილობრივ განპირობებულია ემიტენტის სურვილით, შეიტანოს კონტრიბუცია ადგილობრივი კაპიტალის ბაზრის განვითარებაში. პროსპექტის მომზადების თარიღისთვის, თეგეტას მწვანე ობლიგაცია წარმოადგენს ეროვნულ ვალუტაში განთავსებულ პირველ, ხოლო ადგილობრივ კაპიტალის ბაზარზე მეოთხე ESG ობლიგაციას.

მწვანე ობლიგაციების განთავსებიდან მიღებული სახსრები გამოყენებული იქნება საქართველოს ბაზარზე შემდგომში გასაყიდი ეკო-მეგობრული ელექტრო ტრანსპორტის ინვენტარის შესასყიდად და ასევე, ელექტრო ტრანსპორტის დატენვის ქსელის მოწყობასთან და გაფართოებასთან საქართველოში, როგორც აღწერილია ქვემოთ.

მწვანე ობლიგაციების განთავსების შედეგად მიღებული თანხებით „კომპანია“ გასცემს ვადიან სესხებს თავის შვილობილ კომპანიებზე და შვილობილი კომპანიები ამგვარი ვადიანი სესხების თანხებს გამოიყენებენ მწვანე ელექტრო ტრანსპორტის ინვენტარის ან/და ელექტრო ტრანსპორტის დატენვის ქსელის შესაძენად ან/და მოსაწყობად მწვანე ობლიგაციების კრიტერიუმების შესაბამისად.

„კომპანია“ მწვანე ობლიგაციების გამოშვებას შემდეგი ძირითადი მიზეზების გამო გეგმავს:

- კაპიტალის სტრუქტურის დივერსიფიცირება: ობლიგაციების მეშვეობით კომპანია მოახდენს ვალდებულებათა სტრუქტურის დივერსიფიცირებას და სესხების ჩანაცვლებას ალტერნატიული ფინანსური ინსტრუმენტით.
- წვდომა კაპიტალის ბაზრებზე: ობლიგაციების გამოშვებით კომპანია მეოთხედ გავა სასესხო კაპიტალის ბაზრებზე რითაც იგი უფრო ნაცნობი გახდება ინვესტორებისთვის რაც მომავალში გაუადვილებს კაპიტალის ბაზრებზე პოზიციონირებას.
- გამჭვირვალობა: საჯარო ფასიანი ქაღალდების გამოშვებით კომპანია არის ანგარიშვალდებული საწარმო, რაც აუმჯობესებს მის კორპორაციულ მართვას და გამჭვირვალობას.
- ტრანზაქცია ხელს შეუწყობს ადგილობრივი კაპიტალის ბაზრის განვითარებას.
- ტრანზაქცია ხელს შეუწყობს კომპანიის მიერ დასახულ კორპორატიული სოციალური პასუხისმგებლობის გაძლიერებას.

#### 4.2.2. მიღებული სახსრების გამოყენება

დადგენილი სტრატეგიის მიხედვით კომპანია მიზნად ისახავს ლარში დენომინირებული ობლიგაციების გამოშვებას და რომ „ობლიგაციების“ განთავსებიდან მიღებული სახსრები გამოიყენოს საქართველოს ბაზარზე შემდგომში გასაყიდი გასაყიდი ეკო-მეგობრული ელექტრო ტრანსპორტის ინვენტარის შესასყიდად და ასევე, ელექტრო ტრანსპორტის დატენვის ქსელის მოწყობასთან და გაფართოებასთან საქართველოში.

ემიტენტი ობლიგაციების გაყიდვიდან მიღებულ შემოსავალს გამოიყენებს ინვენტარის შესაძენად მწვანე ელექტრომობილების 0 გ/კმ CO<sub>2</sub> ემისიით (მათ შორის ელექტრო მსუბუქი, საგზაო და არასაგზაო მანქანები) (შემდგომში „მწვანე ინვენტარი“) შესყიდვისთვის და ელექტრო მანქანების დასატენი ქსელის საქართველოში გასაფართოებლად და შემდგომში საქართველოს ბაზარზე რეალიზაციისათვის. კერძოდ, ემიტენტი განახორციელებს ობლიგაციების გაყიდვიდან მიღებული თანხის ინვესტირებას შემდეგი მიმართულებებით:

- (i) სრულად ელექტრო მსუბუქი სამგზავრო მანქანები 0 გ/კმ CO<sub>2</sub> ემისიებით;
- (ii) ელექტრო საგზაო მანქანები (ავტობუსები და კომერციული) 0 გ/კმ CO<sub>2</sub> ემისიებით;
- (iii) ელექტრო არასაგზაო მძიმე მანქანები 0 გ/კმ CO<sub>2</sub> ემისიებით;
- (iv) უნივერსალური ელექტრო დასატენი სადგურები საქართველოს მასშტაბით.

4.2.3. ყველა იმ ინტერესთა კონფლიქტის აღწერა, რომელიც უკავშირდება კონკრეტულ შეთავაზებას; მათ შორის, არსებობის შემთხვევაში, შესაძლო ინტერესთა კონფლიქტი განთავსების აგენტსა და ემიტენტს შორის;

წინამდებარე შეთავაზების მიზნებისთვის განთავსების აგენტია „თიბისი კაპიტალი“, რომელიც ასევე იქნება გადახდისა და კალკულაციის აგენტი. იმავდროულად, არსებობს იმის ალბათობა, რომ „ობლიგაციების“ ნაწილის შემძენი იქნება სს „თიბისი ბანკი“, რომელიც საქართველოში მოქმედი ერთ-ერთი მსხვილი კომერციული ბანკია და აფილირებულია განთავსების აგენტთან (განთავსების აგენტი სს „თიბისი ბანკის“ შვილობილია). ჩამოთვლილმა გარემოებებმა შესაძლოა წარმოშვას ინტერესთა კონფლიქტი, ერთის მხრივ, განთავსების აგენტსა და კომპანიას, ხოლო მეორეს მხრივ, განთავსების აგენტსა და სს „თიბისი ბანკს“ შორის. თუმცა, „ემიტენტს“ მიაჩნია, რომ შესაძლო ინტერესთა კონფლიქტი მინიმუმამდეა დაყვანილი შემდგომი გარემოებების გათვალისწინებით:

(ა) სრულიად დაყოფილია და არ არსებობს პირდაპირი კავშირი „თიბისი კაპიტალსა“ და მასთან დაკავშირებული ბანკის მენეჯმენტს შორის, „თიბისი კაპიტალი“ პირდაპირ არ ექვემდებარება ბანკის მენეჯმენტს. ბანკს არ აქვს განთავსების აგენტის ყოველდღიურ საქმიანობაში ჩარევის ბერკეტები.



შესაბამისად, განთავსების აგენტი მას მოექცევა როგორც ერთ-ერთ ინვესტორს, თანასწორობის და თანაბარუფლებიანობის საწყისებზე;

(ბ) მიუხედავად იმისა, რომ პირველ ეტაპზე განთავსების აგენტი წარმოადგენს „ობლიგაციების“ ნომინალურ მფლობელს, „ობლიგაციონერებს“ უფლება აქვთ შეწყვიტონ შესაბამისი ურთიერთობა განთავსების აგენტთან და „ობლიგაციებს“ ფლობდნენ სხვა ნომინალური მფლობელის ან პირდაპირ რეგისტრატორის მეშვეობით; და

(გ) როგორც „ემიტენტსა“ და „თიბისი კაპიტალს“ შორის არსებული ხელშეკრულებები, ასევე წინამდებარე ემისიის „პროსპექტი“ ითვალისწინებს გადახდისა და კალკულაციის აგენტის შეცვლის შესაძლებლობას.

გარდა ზემოაღნიშნულისა, არსებობს არსებითი ინტერესთა კონფლიქტი კომპანიასა და „თიბისი ბანკს“ შორის, ვინაიდან „თიბისი ბანკი“ წარმოადგენს კომპანიის მომსახურე ბანკს და მას შესაძლოა ობლიგაციებისაგან დამოუკიდებელი, თვითმყოფადი ინტერესი ჰქონდეს ემისიის მიმართ. ამან კი, ერთის მხრივ, შესაძლოა გამოიწვიოს ის, რომ ბანკმა რისკი მთლიანად კაპიტალის ბაზრის ტრანზაქციაზე გადაიტანოს, ხოლო მეორეს მხრივ, გავლენა იქონიოს ბანკის, როგორც ობლიგაციების ერთ-ერთი მფლობელის მიერ მისაღებ გადაწყვეტილებებზე.

### მწვანე ობლიგაციის ჩარჩო

შპს თეგეტა მოტორსმა 2022 წელს შეიმუშავა მწვანე ობლიგაციის ჩარჩო. აღნიშნული შეესაბამება კაპიტალის ბაზრის საერთაშორისო ასოციაციის (ICMA) და სასესხო ბაზრის ასოციაციის (LMA) მხარდაჭერით შექმნილ მწვანე ობლიგაციებისა და სესხების პრინციპებს. მწვანე ობლიგაციების ჩარჩო, გარდა სხვა დამატებითი ინფორმაციისა, აზუსტებს შპს თეგეტა მოტორსის მიერ მიღებული სახსრების გამოყენების არეალსა და მიზანს. კერძოდ:

- ✓ მიღებული სახსრების გამოყენება მოხდება შესაბამისი დასაშვებობის კრიტერიუმით (იხ. ქვედა ცხრილი) შერჩეული პროექტების განსახორციელებლად. პროექტები კომპანიას მისცემს საშუალებას, განავითაროს ეკოლოგიური ტრანსპორტის სეგმენტი.

---

### კატეგორია

### სუფთა ტრანსპორტი

### დასაშვებობის კრიტერიუმი

მსუბუქი, სამგზავრო და სხვა ტიპის ტრანსპორტის, ასევე EV დამტენების მიერ CO<sub>2</sub>-ის გამოყოფის შემცირება 0 გ/კმ-მდე. ქვეყნის მასშტაბით დასატენი სადგურების ფინანსირება და დაარსება, რათა შექიმნას ხელმისაწვდომი EV ეკოსისტემა ადეკვატური დასატენი ინფრასტრუქტურით, რითიც ელექტრომობილების მფლობელობა გამარტივდება. განათლების დონის გაზრდა, ცნობიერების ამაღლება ადამიანურ და ინსტიტუციონალურ შესაძლებლობებთან კლიმატის ცვლილებასთან და ადაპტაციასთან მიმართებით.

SDGS



- ✓ მწვანე ჩარჩო მკაფიოდ გამოხატავს კომპანიის პოზიციას, ეკოლოგიურად სუფთა გარემოს შექმნის შესახებ. თეგეტა მოტორსმა შექმნა შიდა მწვანე ხედვის კომიტეტი, რომელიც მოახდენს მწვანე პროექტების შერჩევას, მონიტორინგსა და შეფასებას. მწვანე ხედვის კომიტეტი აერთიანებს კომპანიის ისეთ მნიშვნელოვან დეპარტამენტებს, როგორებიცაა -სტრატეგიული დაგეგმარება და ანალიზის, ინვესტორებთან ურთიერთობის, ადმინისტრაციის, ადამიანური რესურსების მართვის და მსუბუქი ავტომობილების მიმართულება.

„კომპანიის“ მწვანე ობლიგაციის ჩარჩოსთან დაკავშირებით Sustainalytics-მა , კაპიტალის ბაზრის საერთაშორისო ასოციაციის (ICMA-ის) მიერ ავტორიზებულმა ორგანიზაციამ, გამოსცა მეორე მხარის მოსაზრება, რომლის მიხედვითაც, „თეგეტა მოტორსის“ მწვანე ობლიგაციის ჩარჩო არის სანდო და შეესაბამება Green Loan Principles 2023-ის და Green Bond Principles 2021-ის ოთხ ძირითად კომპონენტს. კერძოდ:

- **მიღებული სახსრების გამოყენება** - მიღებული სახსრების გამოყენების დასაშვები კატეგორია, სუფთა ტრანსპორტი, შეესაბამება მწვანე ობლიგაციების და მწვანე სესხის პრინციპებით აღიარებულ ნორმებს. მოსალოდნელია, რომ შესაბამის კატეგორიაში ინვესტიციები დადებით ზეგავლენას მოახდენს გარემოზე და ხელს შეუწყობს გაეროს მდგრადი განვითარების მიზნებს, კერძოდ SDG 9-სა და SDG 11-ს.
- **პროექტის შეფასება და შერჩევა** - „თეგეტა მოტორსის“ მწვანე ხედვის კომიტეტი შეარჩევს, შეაფასებს და მონიტორინგს გაუწევს შესაბამის პროექტებს. „თეგეტა მოტორსს“ გააჩნია გარემოსთან და სოციალურ რისკებთან დაკავშირებული მართვის პროცესები, რომლებიც გამოყენებული იქნება ჩარჩოს ფარგლებში მიღებული გადაწყვეტილებებისთვის. Sustainalytics მიიჩნევს, რომ აღნიშნული თანხვედრაშია ბაზრის პრაქტიკასთან.
- **მიღებული სახსრების მართვა** - მიღებული სახსრების განაწილებას მოახდენენ შემდეგი დეპარტამენტები: ა) მანქანის გაყიდვების სტრატეგიული ბიზნეს დანაყოფი; ბ) სატვირთო და სპეციალიზებული ალჭურვილობის სტრატეგიული ბიზნეს დანაყოფი; გ) ადმინისტრაცია; დ) შრომის ჯანმრთელობა და უსაფრთხოება; ე) ინვესტორებთან ურთიერთობა. „თეგეტა მოტორსი“ გეგმავს, რომ მიღებული სახსრები ობლიგაციის გამოშვებიდან 6-12 თვის ვადაში გაანაწილოს, სრულ განაწილებამდე კი ნაღდი ფულის (ან მისი ეკვივალენტურის) სახით დააკავოს. Sustainalytics მიიჩნევს, რომ აღნიშნული თანხვედრაშია ბაზრის პრაქტიკასთან.
- **ანგარიშგება** - „თეგეტა მოტორსი“ იღებს პასუხისმგებლობას გამოაქვეყნოს მიღებული სახსრების განაწილების ანგარიშგება ყოველწლიურად, პირველ კვარტალში. ანგარიშგება მოიცავს განაწილებულ და გაუნაწილებელ სახსრებთან დაკავშირებულ ბალანსს და ემიტენტის მიერ შემუშავებულ პროცენტულ მაჩვენებლებს, ისევე როგორც „თეგეტა მოტორსის“ მიერ მოაზრებულ რელევანტურ ზეგავლენის ინდიკატორებს. Sustainalytics მიიჩნევს, რომ აღნიშნული თანხვედრაშია ბაზრის პრაქტიკასთან. ანგარიშგება გამოქვეყნდება ემიტენტის ოფიციალურ ვებგვერდზე წლის ყოველწლიურად კომპანიის მიერ მომზადებული შედეგების მიმოხილვის ანალიზით.

მწვანე ობლიგაციების ჩარჩოს ფარგლებში, ზემოთ აღწერილი ყველა დოკუმენტი მომზადებული და გასაჯაროებულია ინგლისურ ენაზე ემიტენტის ოფიციალურ ვებ-გვერდზე. აღნიშნული დოკუმენტების ხილვა შესაძლებელია მისამართზე <https://tegetamotors.ge/ka/for-investors/informacia-obligaciebze>.

არც მწვანე ობლიგაციების ჩარჩო და არც მეორე მხარის მოსაზრება არ წარმოადგენს ამ პროსპექტის ნაწილს და არ წარმოადგენს რეკომენდაციას ობლიგაციების ყიდვის, გაყიდვის ან ფლობის შესახებ.

მწვანე ობლიგაციების ჩარჩო არ არის სავალდებულო დოკუმენტი, რომლის შედგენაც ემიტენტს ევალება მწვანე ობლიგაციების გამოშვების შემთხვევაში. მისი წარდგენა რეკომენდებულია ICMA-ს (International Capital Market Association) მიერ. მსგავსად, მეორე მხარის მოსაზრებაც არასავალდებულო დოკუმენტია, რომელიც კომპანია ემიტენტმა გარე ექსპერტის დახმარებით შეადგინა. არ არსებობს მხოლოდ რეგულაცია მწვანე ობლიგაციების ჩარჩოსთან და მეორე მხარის მოსაზრებასთან დაკავშირებით.

## რისკის ფაქტორები

*„ობლიგაციებში“ ინვესტიციის განხორციელება შეიცავს რისკის მაღალ ხარისხს. პოტენციურმა ინვესტორებმა ყურადღებით უნდა შეისწავლონ წინამდებარე პროსპექტი და „ობლიგაციებში“ ინვესტიციის განხორციელების შესახებ გადაწყვეტილების მიღებამდე, სხვა საკითხებს შორის, უნდა გაანალიზონ ამგვარი ინვესტიციის განხორციელებასთან დაკავშირებული ყველა რისკი, ქვემოთ მოცემული რისკ-ფაქტორების ჩათვლით. აღნიშნულმა რისკ-ფაქტორებმა, ცალ-ცალკე ან ერთობლივად, შესაძლებელია მნიშვნელოვნად უარყოფითი გავლენა იქონიოს „კომპანიის“ შესაძლებლობაზე დაფაროს „ობლიგაციების“ ძირი თანხები და ასევე „ობლიგაციებთან“ დაკავშირებით დარიცხული პროცენტები და სხვა თანხები. ეს რისკები უნდა გაანალიზდეს წინამდებარე „ემისიის პროსპექტში“ მოცემულ ყველა სხვა ინფორმაციასთან ერთად.*

*ამასთან, ქვემოთ ასევე აღწერილია ის ფაქტორები, რომლებიც, „კომპანიის“ აზრით, მნიშვნელოვანია „ობლიგაციებთან“ დაკავშირებული საბაზრო რისკების შეფასების მიზნით. „ობლიგაციების“ ღირებულება შესაძლებელია შემცირდეს ნებისმიერი ქვემოთ მოცემული რისკის გამო და პოტენციურმა ინვესტორებმა შესაძლებელია ნაწილობრივ ან მთლიანად დაკარგონ მათ მიერ განხორციელებული ინვესტიცია. „კომპანიის“ აზრით, ქვემოთ აღწერილი რისკები წარმოადგენს „ობლიგაციებში“ ინვესტიციის განხორციელებასთან დაკავშირებულ ძირითად რისკებს, თუმცა შესაძლებელია არსებობდეს დამატებითი რისკები და გაურკვეველი საკითხები, რომელსაც „კომპანია“ ამჟამად მიიჩნევს უმნიშვნელოდ ან არ გააჩნია მათ შესახებ ინფორმაცია, და ნებისმიერმა ასეთმა რისკმა ან გაურკვეველმა საკითხმა შესაძლებელია იქონიოს ქვემოთ აღწერილი რისკების მსგავსი შედეგები.*

*ასევე, „ობლიგაციებში“ ინვესტიციის განხორციელებასთან დაკავშირებულ რისკებთან და საკითხებთან დაკავშირებით, ინვესტორებმა კონსულტაცია უნდა გაიარონ მათ ფინანსურ და სამართლებრივ მრჩეველებთან და ინვესტორებს უნდა გააჩნდეთ შესაბამისი რესურსები ამგვარი ინვესტიციის ანალიზისა და თავიანთ კონკრეტულ გარემოებებთან ინვესტიციის შესაბამისობის დასადგენად. ყოველივე აღნიშნულით არ ხდება ემიტენტის პასუხისმგებლობის შეზღუდვა ინვესტორების წინაშე.*

### 1. მოკლე ინფორმაცია იმ მატერიალური რისკების შესახებ, რომლებიც სპეციფიკურია ემიტენტის საქმიანობისთვის;

1.1 „კომპანია“ მგრძნობიარეა როგორც საერთო მაკროეკონომიკური ცვლილებების, ასევე სამომხმარებლო მოთხოვნის მიმართ, რომელთა ცვლილებამ შეიძლება უარყოფითი გავლენა იქონიოს „კომპანიის“ ფინანსურ შედეგებზე.

მშპ-ის რეალური ზრდის მაჩვენებელმა 2018 წელს 4.8% შეადგინა, 2019 წელს - 5.0%-ს, ხოლო 2020 წელს პანდემიის ფონზე ეკონომიკა 6.2%-ით შემცირდა. 2021 წლის პირველი კვარტალში ეკონომიკა 4.5%-ით შემცირდა, ხოლო მეორე კვარტალში კი, წინასწარი მონაცემების მიხედვით, ზრდამ 29.8% შეადგინა. 2022 წელს ეკონომიკური აქტივობა მოსალოდნელზე ძლიერი იყო, მშპ-ს რეალური ზრდა წლის პირველ

ნახევარში 10,5 პროცენტით არის შეფასებული. ბიზნესის მომგებიანობაზე შესაძლოა უარყოფითი გავლენა მოახდინოს ზოგადი ეკონომიკური პირობების გაუარესებამ. „კომპანია“ არ აქვს კონტროლი ეკონომიკურ ფაქტორებზე, რომელიც გავლენას ახდენს მის საქმიანობაზე, როგორცაა სავალუტო კურსი, ფულადი გზავნილების მოცულობა, ინფრასტრუქტურული დანახარჯების მოცულობა, სურსათის ფასები, ნავთობის ფასები და სამომხმარებლო ხარჯები. ეს ფაქტორები უფრო ართულებს „კომპანიისთვის“ წინასწარ განჭვრიტოს ცვლილებები მისი მომწოდებლის ხარჯებში, მომხმარებლების განწყობაში, და ფასების დონეში რამაც შესაძლოა არსებითი უარყოფითი გავლენა მოახდინოს „კომპანიის“ ეფექტურობაზე მისი საოპერაციო და ფინანსური შედეგების თვალსაზრისით.

რყევები საქართველოს ავტომობილების, საავტომობილო ნაწილების და მათთან დაკავშირებული მომსახურებების ბაზარზე ისტორიულად დაკავშირებულია ცვლილებებთან საერთო ეკონომიკურ პირობებში, მოხმარებასთან, რომელიც ზოგადად იზრდება ეკონომიკური ექსპანსიის დროს და მცირდება რეცესიის დროს. ეკონომიკური რეცესიის დროს მნიშვნელოვნად მცირდება ახალი ავტომობილების გაყიდვების დონე. საქართველოში ეკონომიკური ვარდნა გავლენას ახდენს როგორც საერთო მაკროეკონომიკურ პირობებზე, ასევე პირადი დანახარჯების დონეზე.

## **1.2 „კომპანია“ შესაძლებელია ვერ შეინარჩუნოს საკუთარი ზრდის მაჩვენებელი და/ან ამჟამინდელი პოზიცია ბაზარზე.**

როგორც ქვემოთ მოცემული ბიზნეს-აღწერილობიდან დასტურდება, ბაზარი, რომელზეც „კომპანია“ ოპერირებს, არის ძლიერ ცვალებადი და ხასიათდება ახალი მოთამაშეების გამოჩენით და არსებული მოთამაშეების გასვლით. ახალ მოთამაშეებს აქვთ სხვადასხვა დონის ფინანსური შესაძლებლობები და ბაზარზე მუშაობის გამოცდილება. მიუხედავად იმისა, რომ „კომპანია“ ბაზარზე მოღვაწეობის პერიოდის მანძილზე წარმატებულად ფუნქციონირებს, ბოლო წლების განმავლობაში ფართოვდება და ისტორიულად საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მონაცემებზე დაყრდნობით უკავია ფორმალური ბაზრის წილი შემდეგი განაწილებით - 2019 წელს 17%, 2020 წელს 16% , 2021 წელს 18%, ხოლო 2022 წელს, წინასწარი მონაცემებით, 19%. ახლად გამოჩენილი კომპანიების გამოცდილების მაღალი დონის ან „კომპანიის“ მიერ თავისი განვითარების მიზნების (რომლებიც ძირითადად მოიცავს ბაზრის წილის ზრდას და პლატფორმის გაფართოებას ქვეყნის რეგიონებში) მიუღწევლობის შედეგად, „კომპანია“ შესაძლებელია ვერ შეინარჩუნოს საკუთარი ზრდის მაჩვენებელი და/ან ამჟამინდელი პოზიცია ბაზარზე.

ავტომობილების გაყიდვები ხშირ შემთხვევაში ეკონომიკურ ციკლებზე არის დამოკიდებული და მნიშვნელოვნად შეიძლება შემცირდეს რეცესიის შემთხვევაში. ავტონაწილებისა და ავტომომსახურებების გაყიდვები შედარებით უფრო მდგრადია რეცესიის დროს.

გეოგრაფიულად „კომპანიის“ საქმიანობის უმეტესობა საქართველოზე მოდის, რაც „კომპანიას“ მგრძობელს ხდის ადგილობრივი ეკონომიკური რყევების მიმართ. გაყიდვების ნაწილი უცხოელ კლიენტებსა და ექსპორტიორებზე ხდება და „კომპანია“ ახდენს რეალიზაციას მეზობელ ქვეყნებში, თუმცა გაყიდვების უდიდესი ნაწილი ამ ეტაპზე კვლავ საქართველოშია კონცენტრირებული.

## **1.3 მოკლევადიანი სესხების რეფინანსირების და ლიკვიდურობის რისკები**

„კომპანიის“ სესხების ნაწილი წარმოადგენს მოკლევადიან (დაახლოებით 12 თვის პერიოდის გადახდის გრაფიკის მქონე სესხები) ან გრძელვადიანი სესხების მიმდინარე ნაწილს (გრძელვადიანი სესხების ის ნაწილი, რომელიც შემდეგი 12 თვის განმავლობაში უნდა დაიფაროს). მოკლევადიანი სესხების ჯამური ოდენობა აღემატება „კომპანიის“ განკარგვაში არსებული ფულისა და ფულის ექვივალენტების

მოცულობას. ობლიგაციის გამოშვებით „კომპანია“ გადაჭრის აღნიშნულ მოკლევადიანი დაფინანსების საკითხს.

„კომპანია“ ხშირ შემთხვევაში მოკლევადიანი სესხების დაფარვას მათი რეფინანსირების - ძველი სესხების დასაფარად ახალი სესხების აღების - გზით ახდენს. რეფინანსირების პირობები დამოკიდებულია რეფინანსირების მომენტში არსებულ საბაზრო პირობებზე, „კომპანიის“ ფინანსურ მდგომარეობაზე და სხვა საბაზრო ფაქტორებზე. სესხების პირობების გაუარესებამ ან რეფინანსირების პროცესის წარუმატებლობამ შეიძლება მნიშვნელოვანი გავლენა იქონიოს „კომპანიის“ ფინანსურ მდგომარეობაზე, მის მომგებიანობაზე, ლიკვიდურობასა და გადახდისუნარიანობაზე.

ინფორმაცია კომპანიის ლიკვიდურობის პროფილის შესახებ შეგიძლიათ იხილოთ თავში „საოპერაციო და ფინანსური მიმოხილვა“.

#### **1.4 „კომპანია“ დამოკიდებულია მომწოდებლებზე და მათთან არსებული კონტრაქტების შენარჩუნებაზე.**

„კომპანია“ ყიდის მომწოდებლებისგან მიღებულ სხვადასხვა სახის პროდუქციას, როგორებიცაა მსუბუქი ავტომობილები, საბურავები, ავტონაწილები, საპოხი მასალები, მძიმე ტექნიკა, აკუმულატორები, ხელსაწყოები და სხვა. „კომპანიას“ უმეტესწილად რამდენიმე ალტერნატივა გააჩნია გამოყენებული საქონლის შესყიდვის წყაროების მხრივ, თუმცა გასაყიდი საქონლის გარკვეული ნაწილი მომწოდებელთა მცირე ჯგუფისგან მიიღება, რაც „კომპანიას“ დამოკიდებულს ხდის ამ მომწოდებლებზე. მომწოდებლების მხრიდან მასალების გადმოცემის შენელებამ, შეფერხებამ ან შეწყვეტამ შესაძლოა უარყოფითი გავლენა იქონიოს „კომპანიის“ საქმიანობაზე და გამოიწვიოს საქმიანობის შეფერხება ან შეკვეთების დაკარგვა.

კომპანიის ტოპ მომწოდებლები საერთაშორისო ბაზარზე მაღალი რეპუტაციით სარგებლობენ და მასში მიმართულებების და პროდუქციის მომწოდებელთა მრავალფეროვნება კომპანიას აძლევს შესაძლებლობას გამოირიცხოს ერთ კონკრეტულ მომწოდებელზე დამოკიდებულება.

დამატებითი ინფორმაცია მომწოდებლების შესახებ შეგიძლიათ იხილოთ მე-3 დანართის თავში 3.5.6

#### **1.5 საავტომობილო ნაწილების და მომსახურებების სექტორის კონსოლიდაციამ შესაძლოა უარყოფითი ზეგავლენა იქონიოს „კომპანიაზე“.**

ამჟამად ორგანიზებული საავტომობილო ნაწილების და მომსახურების სექტორი ფრაგმენტირებულია და საჯაროდ ხელმისაწვდომი ფინანსური ანგარიშგებების მიხედვით ერთ-ერთი ყველაზე წამყვანი პოზიცია გაყიდვების მოცულობის მიხედვით „კომპანიას“ უჭირავს. არსებობს რისკი, რომ მოხდეს ორგანიზებული ბაზრის კონსოლიდაცია და გაჩნდეს ერთი ან რამდენიმე მსხვილი კონკურენტი მოთამაშე, რამაც შეიძლება გამოიწვიოს საფასო კონკურენციის გამძაფრება, მარჟების შემცირება და ბაზრის წილების ცვლილება. ანალოგიურად, არაორგანიზებული ბაზარიც დანაწევრებულია მცირე მოთამაშეებად და მათი კონსოლიდაციის ალბათობა შედარებით დაბალია, თუმცა შესაძლებელია მოხდეს არაორგანიზებული ბაზრის ეტაპობრივი ჩანაცვლება ორგანიზებული მოთამაშეების მიერ გრძელვადიან პერსპექტივაში.

#### **1.6 სადაზღვეო შემთხვევების დადგომის რისკი.**

წინამდებარე ემისიის პროსპექტის თარიღისთვის კომპანიას დაზღვევის ხელშეკრულებები დადებული აქვს სს „სადაზღვეო კომპანია ალდაგთან“ (ს/კ: 404476189) და სს „ჯიპიაი ჰოლდინგთან“ (ს/კ:204426674), შესაბამისი ხელშეკრულებების საფუძველით დაზღვეულ რისკს წარმოადგენს ისეთი საოპერაციო რისკები, როგორიცაა უძრავი/მომრავი ქონებისა და მარაგების დაზღვევა, მესამე პირების წინაშე

პასუხისმგებლობის დაზღვევა და ა.შ. თუმცა, ინდუსტრიაში დამკვიდრებული პრაქტიკის შესაბამისად, რისკები დაზღვეულია ხელშეკრულებით დადგენილ ფარგლებში. მაგალითად, უძრავი ქონება, მათ შორის არსებული მარაგები დაზღვეულია 154 მილიონი ლარის ფარგლებში, ხოლო შესაბამისი ხელშეკრულება ითვალისწინებს ანაზღაურების გამომრიცხავ გარემოებებს. შესაბამისად, არსებობს რისკი, რომ კონკრეტული სადაზღვევო რისკის რეალიზების შედეგები არ დაექვემდებაროს ანაზღაურებას ან მიყენებული ზიანი აღემატებოდეს სადაზღვევო თანხას. ასეთ შემთხვევაში, კომპანიას შესაძლოა მოუწიოს გაუთვალისწინებელი ხარჯების გაღება სადაზღვევო შემთხვევით გამოწვეული შედეგების მიტიგაციის მიზნით, რამაც შესაძლოა უარყოფითი გავლენა იქონიოს კომპანიის ხელმისაწვდომი ნაღდი ფულის ნაკადებზე და გაუჩინოს მოკლე ან საშუალოვადიანი გადახდისუნარიანობის პრობლემა, რაც ჯამში უარყოფითად აისახება კომპანიის საოპერაციო მაჩვენებლებზე.

### **1.7 ვალუტის კურსის ცვლილებებმა იქონია და შეიძლება მომავალშიც იქონიოს გავლენა „კომპანიაზე“.**

“კომპანიის“ ხარჯების მნიშვნელოვანი ნაწილი დენომინირებულია უცხოურ ვალუტაში, უმეტესად ევროსა და აშშ დოლარში, მაშინ როცა მისი შემოსავლის დიდი ნაწილი დენომინირებულია ქართულ ლარში; აღსანიშნავია, რომ კურსის ცვლილების შესაბამისად სარეალიზაციო ღირებულება კორექტირებას არ ექვემდებარება. მას ყოველთვის არ აქვს შესაძლებლობა აწარმოოს მოლაპარაკებები სახელშეკრულებო პირობებთან დაკავშირებით, რათა შეამციროს საკუთარი სავალუტო რისკები, და, ამასთან, ფასების ზრდა ქართულ ლარში შეიძლება იყოს კონტრპროდუქტიული (გამოიწვიოს მომხმარებელთა რაოდენობის შემცირება). შედეგად, ვალდებულებების ვალუტის კურსის მიმართ ლარის კურსის ნებისმიერმა გაუფასურებამ შესაძლებელია გამოიწვიოს წმინდა მოგების შემცირება, რამაც, თავის მხრივ, შეიძლება განაპირობოს ბიზნესის ზრდისკენ მიმართული ინვესტიციების შეწყვეტა და მენეჯმენტის მობილიზება არსებული საბაზრო პოზიციის შენარჩუნებისკენ. აღნიშნულმა კი შესაძლებელია არსებითად უარყოფითი გავლენა იქონიოს „კომპანიაზე“.

მიუხედავად იმისა, რომ „კომპანიას“ სურს შეამციროს უცხოურ ვალუტაში დენომინირებული ვალდებულებების რაოდენობა სესხების სავალუტო სტრუქტურის ცვლილებისა და უცხოურ ვალუტაში დენომინირებული სავაჭრო ვალდებულებების სავალუტო ფორვარდების მეშვეობით ჰეჯირების გზით, მსგავსი ზომები არ იძლევა უცხოური ვალუტის კურსის ცვლილებასთან დაკავშირებული რისკებისგან დაცვის გარანტიას. თუ ლარის გაცვლითი კურსი ევროსთან, აშშ დოლართან ან სხვა ვალუტებთან მიმართებაში შეიცვლება, ამან შესაძლებელია „კომპანიას“ მიაყენოს ზიანი, რამაც, თავის მხრივ, შეიძლება არსებითად უარყოფითი გავლენა იქონიოს „კომპანიაზე“. დღეისათვის გარდა ჰეჯირების სტრატეგიისა და ისეთი ვალდებულებების შემთხვევაში, როდესაც სასესხო პროდუქტების მოწოდება არ ხდება. კომპანია ცდილობს არ დაუშვას გრძელვადიანი ვალდებულებების კისრება და მოახდინოს უცხოურ ვალუტაში ნომინირებული ვალდებულებების დროული ანაზღაურება საკურსო ზარალისაგან თავის დაზღვევის მიზნით.

ინფორმაცია უცხოურ ვალუტაში დენომინირებული ხარჯების და კომპანიის ფინანსური აქტივების და ვალდებულებების სავალუტო პოზიციის შესახებ შეგიძლიათ იხილოთ მე-3 დანართის მე-5 თავში „საოპერაციო და ფინანსური მიმოხილვა“.

### **1.8 „კომპანია“ შესაძლებელია წარმოეშვას მნიშვნელოვნად მეტი დავალიანება ან განახორციელოს სხვა ქმედებები, რამაც შეიძლება გაზარდოს ზემოთ მითითებული რისკების ინტენსივობა.**

ორგანული ზრდის ეფექტურად მართვის მიზნით, „კომპანიამ“ დროულად უნდა გააფართოვოს და განავითაროს თავისი ოპერაციული სისტემები და პროცედურები. თუ „კომპანია“ ვერ შეძლებს ამას, შესაძლებელია იგი ვეღარ მოემსახუროს მისი მომხმარებლების მოთხოვნებს, აიყვანოს და შეინარჩუნოს ახალი თანამშრომლები, დაიწყოს ახალი ბიზნესი, ეფექტურად მართოს ბიუჯეტის ხარჯები, ზუსტად

განსაზღვროს ოპერაციული ხარჯები ან სხვაგვარად ეფექტურად წარმართოს საკუთარი ბიზნესი. იმ საქმიანობის სფეროების ბუნების გათვალისწინებით, რომლებშიც „კომპანია“ ოპერირებს, შესაძლებელია მას დროდადრო მოუწიოს პოტენციურ დანახარჯებთან დაკავშირებით მენეჯმენტის გათვლების შეცვლა და, შედეგად, უფრო ხანგრძლივი პერიოდის განმავლობაში, შეიძლება ასევე შეიცვალოს მისი დაფინანსების მოთხოვნები. აღნიშნულმა შესაძლოა გამოიწვიოს „კომპანიის“ დანახარჯების რესტრუქტურირება და გაზარდოს ან შეამციროს „კომპანიის“ მოსალოდნელი ფულადი სახსრების მიმოქცევა.

მითითებულმა რისკმა, ასევე ზემოთ აღწერილმა ნებისმიერმა სხვა ფაქტორმა, შეიძლება გამოიწვიოს „კომპანიის“ დაფინანსების მოთხოვნების ზრდა, რამაც, თავის მხრივ, შესაძლებელია გაზარდოს „კომპანიის“ სავალო ტვირთი. აღნიშნულმა შესაძლოა უარყოფითი გავლენა იქონიოს „კომპანიის“ განვითარების სტრატეგიასა და ასევე მის უნარზე დროულად შეასრულოს ფინანსური ვალდებულებები.

დაფინანსების მოზიდვის პროცესში „კომპანიამ“ შესაძლოა დროულად ვერ მოახერხოს ახალი დაფინანსების ხელსაყრელ პირობებში მოპოვება. შესაბამისად აღნიშნულმა შეიძლება გამოიწვიოს „კომპანიის“ საპროცენტო ხარჯის ან ახალი სასესხო ვალდებულებების დასაფარად საჭირო ფულადი ნაკადების ზრდა. აღნიშნულმა შესაძლოა უარყოფითი გავლენა მოახდინოს „კომპანიის“ ფინანსურ მდგომარეობაზე და მის შესაძლებლობაზე დაფაროს აღნიშნულ ობლიგაციების საპროცენტო ხარჯი.

### **1.9 შრომითმა დავებმა და გაფიცებმა შესაძლოა უარყოფითი გავლენა იქონიოს „კომპანიის“ წარმოების დონესა და მომგებიანობაზე.**

„კომპანიის“ საქმიანობა დამოკიდებულია სამუშაო ძალასთან დადებითი ურთიერთობების შენარჩუნებაზე. „კომპანიის“ წარმოების დონეზე ზეგავლენა შეიძლება იქონიოს შრომითმა დავებმა პროფკავშირებთან რამაც შეიძლება გამოიწვიოს საქმიანობის შენელება, შეფერხება ან შეჩერება გაფიცვის შემთხვევაში. შრომითი პროცესის შეჩერებამ შეიძლება გამოიწვიოს პროდუქციის მომხმარებელზე მიწოდების შეფერხება ან დროებითი შეჩერება რამაც შესაძლოა გრძელვადიანი უარყოფითი გავლენა იქონიოს მომხმარებლებთან ურთიერთობასა და საბაზრო პოზიციებზე. „კომპანიის“ საქმიანობაზე ასევე შეიძლება გავლენა იქონიონ მისი მომწოდებლების შრომითმა დავებმა თავიანთ თანამშრომლებთან და პროფკავშირებთან.

„კომპანიის“, მისი მომწოდებლების თანამშრომლების გაფიცებმა, სამუშაოს შეჩერებამ ან შენელებამ არსებითად უარყოფითი ზეგავლენა შეიძლება იქონიოს „კომპანიის“ მომგებიანობაზე, ფინანსურ მდგომარეობასა და საქმიანობის წარმოების უნარზე.

### **1.10 ძირითადი ხელმძღვანელობის დაკარგვამ და ხელმძღვანელების მოზიდვის და შენარჩუნების შეუძლებლობამ უარყოფითი ზეგავლენა შეიძლება იქონიოს „კომპანიის“ საოპერაციო და ფინანსურ შედეგებზე.**

„კომპანია“ დამოკიდებულია ტოპ-მენეჯმენტზე საქმიანობის ყველა ძირითადი მიმართულებით, როგორცაა ხარისხის კონტროლი, გაყიდვები და მარკეტინგი, ლოგისტიკა, ფინანსური მართვა და სხვა. „კომპანიის“ ტოპ-მენეჯმენტის ბევრი წევრი წლების განმავლობაში მუშაობს საავტომობილო პროდუქციისა და მომსახურებების სფეროში და „კომპანიის“ წარმატება დამოკიდებულია შესაფერისი, კვალიფიცირებული და გამოცდილი ხელმძღვანელი პირების იდენტიფიცირებაზე, აყვანაზე, განვითარებასა და შენარჩუნებაზე.

თუკი „კომპანიის“ ტოპ-მენეჯმენტის წევრები დატოვებენ მას და „კომპანია“ ვერ შეძლებს მათი შესაფერისი შემცვლელების დროულ მოძებნას და აყვანას, ამან შესაძლოა არსებითად უარყოფითი ზეგავლენა იქონიოს „კომპანიის“ მომგებიანობაზე, ფინანსურ მდგომარეობასა და საქმიანობის წარმოების უნარზე.

საქართველოში კორპორაციული მართვის სტანდარტები მუდმივად ვითარდება. ეს განსაკუთრებით რელევანტურია ანგარიშვალდებული საწარმოების შემთხვევაში. საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დამტკიცებული კორპორაციული მართვის კოდექსით დადგენილი ვალდებულებების სრულმასშტაბიანი ამოქმედების შედეგად კიდევ უფრო დაიხვეწება და მეტი მოთხოვნა დაწესდება შიდა კორპორაციული მოწყობის ნაწილში. აღნიშნულმა რეგულაციებმა შესაძლოა, გაზარდოს კომპანიის სახელფასო და/ან ადმინისტრირებისათვის საჭირო რესურსი. ამან კი შესაძლოა უარყოფითად იმოქმედოს კომპანიის საოპერაციო შედეგებზე.

### **1.11 კომპანია დამოკიდებულია ბრენდსა და მის რეპუტაციაზე, რეპუტაციულმა ზიანმა შესაძლოა არსებითად უარყოფითი გავლენა მოახდინოს კომპანიის შემოსავლებზე**

ადგილობრივ ბაზარზე კომპანია სარგებლობს კარგი რეპუტაციითა და მომხმარებლების მაღალი ნდობით. არსებობს რისკი იმისა, რომ გაუთვალისწინებელი შემთხვევების დადგომის შედეგად კომპანიამ ვერ შეძლოს ხარისხის დაცვა და ჯგუფს შეეღობოს რეპუტაცია, რაც მნიშვნელოვნად აისახება მის საოპერაციო და ფინანსურ შედეგებზე.

### **1.12 ახალმა რეგულაციებმა საცალო დაკრედიტების და სამშენებლო უსაფრთხოების მხრივ და რეგულაციური ჩარჩოს მნიშვნელოვანმა ცვლილებამ შესაძლოა უარყოფითი გავლენა იქონიოს კომპანიაზე.**

2019 წლის 1 იანვრიდან ამოქმედდა საქართველოს ეროვნული ბანკის ახალი რეგულაციები ფიზიკური პირების პასუხისმგებლიანი დაკრედიტების კუთხით. რეგულაციის ძირითადი პრინციპის თანახმად, ფინანსურმა ინსტიტუტმა ფიზიკურ პირს არ უნდა დააკისროს სასესხო ან სხვა ვალდებულება (მაგ. თავდებობა) პირის გადახდისუნარიანობის შესწავლის გარეშე. რეგულაციის თანახმად სესხის გამცემი ვალდებული იქნება სესხის გაცემისას შეაფასოს მომხმარებლის შემოსავალი, უზრუნველყოფის ღირებულება და გასცეს სესხი, რომლის ყოველთვიური გადასახდელი (PTI) და უზრუნველყოფის ღირებულება (LTV) ამ დებულებით დადგენილ ზღვრებს არ აღემატება. აღნიშნული კოეფიციენტები განისაზღვრება ადგილობრივი და უცხოური ვალუტის სესხებისთვის. რეგულაციის ამოქმედების შედეგად შესაძლებელია მოჰყვეს ბანკების მიერ ახალი საცალო დაკრედიტების მოცულობის შემცირება ან შეზღუდვა, რამაც თავის მხრივ შეიძლება უარყოფითი ზეგავლენა იქონიოს „კომპანიის“ საცალო გაყიდვებზე, რადგან საცალო გაყიდვების გარკვეული ნაწილი მყიდველების მიერ საცალო სესხების მეშვეობით ფინანსდება და ამ სესხების ხელმისაწვდომობის შემცირებამ შეიძლება უარყოფითი ზეგავლენა მოახდინოს მომხმარებლების მსყიდველობითუნარიანობაზე და შედეგად „კომპანიის“ გაყიდვებზე.

2019 წლის 15 იანვრიდან საქართველოში ამოქმედდა სამშენებლო პროდუქტების ახალი ტექნიკური რეგლამენტი, რომლის თანახმადაც დაწესდა ახალი მოთხოვნები ცემენტს, არმატურას, ელექტროკაბელების, პლასტმასის მილებს და სხვა მსგავსი სახის პროდუქციას მიმართ. აღნიშნული პროდუქციის ზედამხედველობა ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს ტექნიკური და სამშენებლო ზედამხედველობის სააგენტოს მიერ განხორციელდება. ახალმა სამშენებლო რეგლამენტმა შესაძლებელია უარყოფითი გავლენა იქონიოს უძრავი ქონების სექტორზე საქართველოში, რამაც თავის მხრივ შეიძლება უარყოფითი გავლენა იქონიოს უძრავი ქონების მშენებლობაში გამოყენებულ ავტომობილებისა და სპეც-ცტექნიკის გაყიდვებზე.



რეგულაციური გარემოს სხვა გამკაცრებებმა შეიძლება უარყოფითი გავლენა მოახდინონ „კომპანიას“ და მის კლიენტებზე, პირდაპირ ან ირიბად შეამცირონ გაყიდვები და/ან გაზარდონ ხარჯები.

### **1.13 კომპანია შესაძლოა დაექვემდებაროს სამართალწარმოების რისკს მისი მომხმარებლების, მომწოდებლების და მარეგულირებლის მხრიდან**

„კომპანიის“ ნორმალური ოპერირებისას კომპანია შესაძლოა, პირდაპირ ან ირიბად, აღმოჩნდეს ჩართული, დასახელდეს მხარედ ან სუბიექტად სხვადასხვა იურიდიულ სამართალწარმოებაში, მათ შორის მარეგულირებელ სამართალწარმოებაში, საგადასახადო სამართალწარმოებაში და სასამართლო პროცესში ისეთ დავებზე, რომლებიც ეხება ადამიანის დაზიანებას, ქონების დაზიანებას, ქონების გადასახადს, მიწის საკუთრების უფლებებს და გარემოს დაცვას. მიმდინარე, მოსალოდნელი, ან მომავალი სამართალწარმოებების შედეგების დანამდვილებით განჭვრეტა შეუძლებელია და ისინი შეიძლება გადაწყდეს კომპანიის საზიანოდ, რაც უარყოფითად იმოქმედებს კომპანიის აქტივებზე, ვალდებულებებზე, ბიზნესზე, ფინანსურ მდგომარეობასა და საოპერაციო შედეგებზე. იმ შემთხვევაშიც კი, თუ „კომპანია“ გაიმარჯვებს რომელიმე ასეთ იურიდიულ სამართალწარმოებაში, პროცესი ძვირი დაჯდება და დიდ დროს წაიღებს, აღნიშნულმა შეიძლება ყურადღება გადაიტანოს კომპანიის ბიზნეს ოპერაციებიდან, რაც უარყოფითად იმოქმედებს კომპანიის ფულად ნაკადებზე, ფინანსურ მდგომარეობასა ან საოპერაციო შედეგებზე და მის შესაძლებლობაზე გაუნაწილოს თანხა ობლიგაციონერებს.

### **1.14 ემიტენტის საოპერაციო / საინფორმაციო სისტემების უკმარისობამ ან შეფერხებამ შეიძლება უარყოფითად იმოქმედოს მის ბიზნესზე და საოპერაციო შედეგზე.**

კომპანიის ბიზნესის განვითარებასთან ერთად იმატებს იმ რისკების ოდენობა და კომპლექსურობა, რომლებიც კომპანიის საქმიანობასთან არის დაკავშირებული. კომპანია მუდმივ რეჟიმში მუშაობს მისი საოპერაციო და საინფორმაციო სისტემების დახვეწაზე, თუმცა მაინც არსებობს იმის რისკი, რომ კომპანია ვერ მოახერხებს აღნიშნული პროცესების წარმართვას.

საინფორმაციო სისტემების გამართულობა დამოკიდებულია ბაზრებთან, მომხმარებლებთან ან სხვა რელევანტურ საკითხებთან დაკავშირებული ინფორმაციის შეფასებაზე და ეს ინფორმაცია შესაძლოა იყოს არაზუსტი, არასრული, მოძველებული ან არასწორად შეფასებული.

საინფორმაციო ტექნოლოგიების მუდმივ განვითარებასთან ერთად იზრდება იმ რისკების კომპლექსურობაც, რომლებიც შეიძლება განაპირობებდნენ საინფორმაციო ტექნოლოგიების სისტემების შეფერხებას და მათ დარღვევას. აღნიშნული სისტემების დარღვევის საფრთხეები მოიცავს, მაგრამ არ შემოიფარგლება შემდეგით:

კომპიუტერული ვირუსები, არავტორიზებული წვდომები, სერვერის ფიზიკური დაზიანება და კომპიუტერული პროგრამის ან აპარატურის გაუმართაობა. შეფერხებამ აღნიშნულ სისტემებში შეიძლება ხელი შეუშალოს მომხმარებლების სწრაფ მომსახურებას, სწორ ანგარიშგებას, მომხმარებლის პირადი ინფორმაციის დაცვას. ნებისმიერი მსგავსი შეფერხება უარყოფითად აისახება კომპანიის რეპუტაციაზე და იწვევს მომხმარებლის ნდობის შემცირებას კომპანიის ბიზნესის მიმართ. აღნიშნული რისკის მატერიალიზებამ შეიძლება მნიშვნელოვანი უარყოფითი გავლენა იქონიოს კომპანიის ბიზნესზე, ფინანსურ მდგომარეობაზე, ოპერაციების შედეგებზე, პერსპექტივებსა თუ ფულად ნაკადებზე.

შესაძლოა კომპანიამ ფინანსური თუ სხვა შეზღუდვების გამო ვერ შეძლოს საინფორმაციო ტექნოლოგიების სისტემების შემდგომი განვითარება, პროგრამული უზრუნველყოფის დახვეწა და დაცვის სისტემების სრულყოფა. აღნიშნული არსებითად უარყოფით გავლენას იქონიებს კომპანიის

ბიზნესზე, ფინანსურ მდგომარეობაზე, ოპერაციების შედეგებზე, პერსპექტივებსა და მის ფულად ნაკადებზე.

### **1.15 სასესხო ვალდებულებების საპროცენტო სარგებლის ცვლადობის რისკი.**

კომპანიის მიერ მოზიდული ზოგიერთი სასესხო ვალდებულებების საპროცენტო განაკვეთი არ არის ფიქსირებული და არის ცვლადი. როგორც სასესხო ვალდებულებების პირობებით არის გათვალისწინებული, საბოლოო საპროცენტო განაკვეთი დამოკიდებულია რეფინანსირების განაკვეთზე. აღნიშნული საპროცენტო განაკვეთი კი, ინფლაციის დონის და მოლოდინების, საქართველოს სუვერენული რეიტინგის და სხვა საბაზრო პირობების გათვალისწინებით შესაძლოა მნიშვნელოვნად შეიცვალოს (გაიზარდოს ან შემცირდეს). საბაზრო საპროცენტო განაკვეთების შემდგომმა ცვლილებებმა შეიძლება არსებითად უარყოფითი გავლენა იქონიოს კომპანიის ფინანსურ მდგომარეობაზე და შესაბამისად მის უნარზე დაფაროს „ობლიგაციების“ საპროცენტო ხარჯი.

### **1.16 კომპანიას არ აქვს მკაცრად გაწერილი დივიდენდების გაცემის პოლიტიკა**

კომპანიას არ აქვს მკაცრად გაწერილი დივიდენდების გაცემის პოლიტიკა. დივიდენდების განაწილების თაობაზე გადაწყვეტილებას იღებს პარტნიორთა საერთო კრება, სამეთვალყურეო საბჭოსგან და დირექტორისგან მიღებული რეკომენდაციების საფუძველზე. შესაბამისად, არსებობს რისკი, რომ კომპანიაში დამტკიცდეს ისეთი დივიდენდის გაცემა, რაც მომავალში უარყოფითად იმოქმედებს კომპანიის ბიზნესზე, მის ფულად ნაკადებზე, ფინანსურ მდგომარეობასა და საოპერაციო შედეგებზე და მის შესაძლებლობაზე, გაუნაწილოს თანხა ობლიგაციონერებს. პოლიტიკისაგან გამიჯნულად კომპანიას გააჩნია დათქმა მის კრედიტორებთან, რომლის ფარგლებშიც კომპანია არეგულირებს გასაცემი დივიდენდის მოცულობას. გარდა ამისა, მეწარმეთა შესახებ ახალი კანონით დადგინდა შეზღუდვა დივიდენდის გაცემასთან დაკავშირებით კერძოდ, პარტნიორები ვერ მიიღებენ გადაწყვეტილებას დივიდენდის გაცემის შესახებ თუ ეს გადაწყვეტილება კომპანიის გადახდისუნარობას გამოიწვევს, რაც ინვესტორებისათვის წარმოადგენს დამატებითი დაზღვევის მექანიზმს.

### **1.17 „კომპანიის“ გაყიდვები დამოკიდებულია დისტრიბუციის არხებზე.**

„კომპანიას“ სრულად აქვს ინტეგრირებული პროდუქციის მიწოდების არხები საკუთარ სტრუქტურაში, რაც მოიცავს ფილიალებს, დისტრიბუციის სამსახურს (მიწოდების აგენტები, პრე-სელიერი და მოძრავი მაღაზიები) და კორპორაციული გაყიდვების სამსახურს. ბიზნესის ზრდასთან ერთად არსებობს თეორიული რისკი, რომ „კომპანია“ ვერ შეძლებს დისტრიბუციის არხების შესაბამის განვითარებას, რამაც შეიძლება გამოიწვიოს საქმიანობის შეფერხება ან გაყიდვების დაკარგვა.

## **2. მოკლე ინფორმაცია იმ მატერიალური რისკების შესახებ რომლებიც სპეციფიურია ინდუსტრიასა და ეკონომიკისათვის**

„კომპანიის“ ოპერაციები ძირითადად ხორციელდება საქართველოში და მისი შემოსავლის დიდი ნაწილი მიღებულია საქართველოში არსებული წყაროებიდან. შესაბამისად, „კომპანიის“ საერთო ფინანსური მდგომარეობა და მისი ოპერაციების შედეგები მნიშვნელოვნად დამოკიდებულია საქართველოში არსებულ ეკონომიკურ, სამართლებრივ და პოლიტიკურ პირობებზე. ისეთ ფაქტორებს,

როგორცაა მთლიანი შიდა პროდუქტი („მშპ“), ინფლაცია, საპროცენტო განაკვეთები და ვალუტის გაცვლითი კურსები, ასევე უმუშევრობა, პირადი შემოსავალი და კომპანიების ფინანსური მდგომარეობა, არსებითი გავლენა აქვს მომხმარებლების მოთხოვნაზე „კომპანიის“ მომსახურების მიმართ.

## **2.1 ინვესტიციის განხორციელება ისეთ განვითარებად ბაზრებში, როგორც საქართველოა, შეიცავს უფრო მაღალ რისკს, ვიდრე ინვესტიციის განხორციელება შედარებით განვითარებულ ბაზრებში.**

ინვესტორებმა, რომლებიც ინვესტიციას ახორციელებენ ისეთ განვითარებად ბაზრებში, როგორც საქართველოა, უნდა გაითვალისწინონ, რომ ამგვარ ბაზრებზე არსებობს უფრო მაღალი რისკები განვითარებულ ბაზრებთან შედარებით, მათ შორის, მნიშვნელოვანი სამართლებრივი, ეკონომიკური და პოლიტიკური რისკები. აღნიშნული რისკები მოიცავს, მაგრამ არ შემოიფარგლება, ბაზარზე არსებული ეკონომიკური მდგომარეობის მაღალი ცვალებადობით, ამასთან, განვითარებადი ბაზრებისთვის დამახასიათებელია შეზღუდული ლიკვიდურობა, ვიწრო საექსპორტო ბაზა, მიმდინარე ოპერაციების ანგარიშის დეფიციტი და ხშირი ცვლილებები პოლიტიკურ, ეკონომიკურ, სოციალურ, სამართლებრივ და მარეგულირებელ სფეროში. ინვესტორებმა ასევე უნდა გაითვალისწინონ, რომ იმგვარი განვითარებადი ეკონომიკა, როგორც აქვს საქართველოს, ხშირად იცვლება და წინამდებარე „ემისიის პროსპექტში“ მოცემული ინფორმაცია შესაძლებელია შედარებით სწრაფად გახდეს მოძველებული. მიუხედავად იმისა, რომ საქართველოს მთავრობამ მნიშვნელოვნად შეამცირა კორუფცია, საქართველოს მსგავს განვითარებად ბაზრებში მაინც შეიძლება ადგილი ჰქონდეს მთავრობის წარმომადგენლების კორუფციას და სახელმწიფო სახსრების არამართლზომიერ გამოყენებას.

კომპანიებზე, რომლებიც საქმიანობენ ისეთ განვითარებად ბაზრებზე, როგორც საქართველოა, შესაძლებელია გავლენა იქონიოს კაპიტალის საერთაშორისო ბაზრების რღვევამ და დაფინანსების ხარჯების ზრდამ ან ხელმისაწვდომობის შემცირებამ, რამაც შედეგად შეიძლება გამოიწვიოს ფინანსური სირთულეები ამ კომპანიებისთვის. „კომპანია“ ვერ იწინასწარმეტყველებს იმ გავლენას, რაც გლობალური ბაზრების ცვალებადობის გაგრძელებამ ან განახლებამ შეიძლება მოახდინოს საქართველოს ეკონომიკაზე და, თავის მხრივ, „კომპანიის“ ბიზნესზე, ფინანსურ მდგომარეობაზე, ოპერაციების შედეგებსა და პერსპექტივებზე, და ასევე „ობლიგაციების“ სავაჭრო ფასზე.

გარდა ამისა, კომპანიებისთვის კრედიტის ხელმისაწვდომობა განვითარებად ბაზრებზე მნიშვნელოვნად დამოკიდებულია ინვესტორის ნდობის ხარისხზე მთლიანად განვითარებადი ბაზრების მიმართ. საერთაშორისო ინვესტორების რეაქციას იმ მოვლენებზე, რომლებიც ხდება ერთ განვითარებად ბაზარზე, აქვს ჯაჭვური ეფექტი და ამ შემთხვევაში მთლიანი რეგიონი ან ინვესტიციის კლასი კარგავს მიმზიდველობას ინვესტორებისთვის. ამგვარი მოვლენები მოიცავს საკრედიტო რეიტინგის შემცირებას ან სახელმწიფოს ან ცენტრალური ბანკის ჩარევას ერთ ან რამდენიმე ბაზარზე, მიუხედავად იმისა, ეს დაკავშირებულია თუ არა კონკრეტულ ქვეყანასთან ან რეგიონთან. თუ ადგილი ექნება ამგვარ „გადამდებ“ ეფექტს, შესაძლებელია საქართველოზე უარყოფითი გავლენა მოახდინოს ნეგატიურმა ეკონომიკურმა ან ფინანსურმა მოვლენებმა სხვა ქვეყნების განვითარებად ბაზრებზე. წარსულში „გადამდებმა“ ეფექტებმა უარყოფითი გავლენა იქონია საქართველოზე, მათ შორის, რუსეთის ფინანსურმა კრიზისმა 1998 წელს და 2007-2009 წლების გლობალურმა ფინანსურმა კრიზისმა, ასევე რეგიონში განგრძობადმა პოლიტიკურმა და ეკონომიკურმა არასტაბილურობამ და ბაზრის ცვალებადობამ. არ არსებობს იმის გარანტია, რომ მასზე მსგავსი მოვლენები მომავალშიც არ იქონიებს გავლენას.

ნებისმიერი კომპანიის საქმიანობაზე ზემოქმედებას ახდენს იმ ქვეყნის ეკონომიკური გარემო, რომელშიც ის ბიზნეს საქმიანობას ეწევა. შესაბამისად, კომპანიის შემდგომ განვითარებაზე უდიდესი გავლენა აქვს საქართველოს ეკონომიკური განვითარების ტემპსა და საბაზრო პირობებს. კომპანიის შემოსავლის უდიდესი წყარო ტრანსპორტისა და ტექნიკის რეალიზაციიდან მოდის, აქედან გამომდინარე კომპანიის შედეგები საკმაოდ სენსიტიურია ბაზარზე არსებულ მოთხოვნასთან მიმართებაში. ქვეყნის, რეგიონის ან საერთაშორისო მასშტაბით ეკონომიკაში განვითარებულმა ნეგატიურმა მოვლენებმა შეიძლება არსებითად უარყოფითი გავლენა მოახდინონ კომპანიის შედეგებზე, მის უნარზე წარმატებით დანერგოს საკუთარი სტრატეგია და მის ფინანსურსა თუ საოპერაციო შედეგებზე.

კომპანიის საქმიანობაზე მოქმედებს არამხოლოდ შინაგანი ფაქტორები, არამედ ისეთი მაკროეკონომიკური მაჩვენებლები, რომელთა მართვაც კომპანიას არ ექვემდებარება. მსგავსი მაჩვენებლები მოიცავს, მაგრამ არ შემოიფარგლება შემდეგით: ინფლაცია თუ დეფლაცია, სავალუტო კურსის რყევები, წვდომა დაფინანსებასა თუ საპროცენტო განაკვეთების დონეები. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ საქართველო განვითარებადი ქვეყანაა და მოულოდნელმა ან ხშირმა ცვლილებებმა სახელმწიფოს მაკროეკონომიკასა თუ პოლიტიკაში შესაძლოა არსებითად და უარყოფითად იმოქმედოს კომპანიის საქმიანობაზე, ფინანსურ მდგომარეობასა და საოპერაციო შედეგებზე. არ არსებობს გარანტია, რომ კომპანია მოახერხებს აღნიშნული რისკების რეალიზების შემთხვევაში მათ წარმატებით მიტიგაციას და შესაბამისად, არ არსებობს გარანტია, რომ ამ რისკების რეალიზება უარყოფით გავლენას არ იქონიებს კომპანიის საოპერაციო თუ ფინანსურ შედეგებზე და მის სამომავლო პერსპექტივაზე.

საქართველო გარდამავალი დონის, განვითარებადი ეკონომიკების კატეგორიას მიეკუთვნება და საერთაშორისო სტანდარტებით, მისი სუვერენული რეიტინგი არ არის საინვესტიციო კატეგორიის. პროსპექტის წარდგენის თარიღისთვის, საერთაშორისო სარეიტინგო სააგენტოების მიერ საქართველოსთვის მინიჭებულია შემდეგი რეიტინგი:

- Fitch Ratings – BB (Positive Outlook) - განახლების თარიღი: 2023 წლის 27 იანვარი<sup>9</sup>
- Moody's – Ba2 (Negative Outlook) - განახლების თარიღი: 2022 წლის 28 აპრილი
- S&P Global Ratings – BB (Stable Outlook) - განახლების თარიღი: 2022 წლის 25 თებერვალი

## **2.2 საქართველოს მეზობელ ქვეყნებში ეკონომიკურმა არასტაბილურობამ და რეგიონულმა პოლიტიკურმა დაძაბულობამ შესაძლოა არსებითად უარყოფითი გავლენა იქონიოს საქართველოს ეკონომიკასა და „კომპანიის“ ბიზნესზე.**

საქართველო ესაზღვრება რუსეთს, აზერბაიჯანს, სომხეთსა და თურქეთს და შესაძლებელია მასზე უარყოფითი გავლენა იქონიოს პოლიტიკურმა არეულობამ მის საზღვრებს შიგნით და მეზობელ ქვეყნებში. კერძოდ, 1991 წელს დამოუკიდებლობის გამოცხადების შემდეგ, საქართველოს დაძაბული ურთიერთობა აქვს აფხაზეთისა და ცხინვალის (ყოფილი სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის ტერიტორიები) რეგიონებთან და ასევე რუსეთთან. აღნიშნული დაძაბული ურთიერთობა დროთა განმავლობაში გამოიხატა სამშვიდობო შეთანხმებების პერიოდულ დარღვევებში და პერიოდულ დაძაბულობაში. 2008 წლის აგვისტოში მოხდა კონფლიქტის ესკალაცია სამხრეთ ოსეთის რეგიონში, სადაც ქართული სამხედრო ძალები დაუპირისპირდნენ ადგილობრივ სამართალდამცავ ორგანოებს და რუსეთის სამხედრო ძალებს, რომლებმაც გადმოკვეთეს საერთაშორისო საზღვარი. შედეგად, საქართველოში გამოცხადდა საბრძოლო მდგომარეობა. მიუხედავად იმისა, რომ საქართველომ და რუსეთმა ხელი მოაწერეს ცეცხლის შეწყვეტის შესახებ შეთანხმებას, რომლის საფუძველზეც რუსეთს

<sup>9</sup> Fitch Revises Georgia's Outlook to Positive: Affirms at 'BB', <https://www.fitchratings.com/research/sovereigns/fitch-revises-georgia-outlook-to-positive-affirms-at-bb-27-01-2023>

საკუთარი სამხედრო ძალები უნდა გაეყვანა საქართველოს ტერიტორიიდან იმავე თვის ბოლოს, რუსეთმა სცნო გამოყოფილი რეგიონების დამოუკიდებლობა და მას შემდეგ დაძაბულობა მუდმივად გრძელდება, რამდენადაც რუსეთის სამხედრო ძალები აგრძელებენ აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის რეგიონების ოკუპაციას. მაგალითად, 2013 წლის ზაფხულიდან დაწყებული, რუსეთის სასაზღვრო პოლიციამ რამდენჯერმე აღმართა მავთულხლართები საქართველოსა და სამხრეთ ოსეთს შორის არსებული დემარკაციული ხაზების გასწვრივ. მსგავსმა ქმედებებმა მომავალში შესაძლებელია კიდევ უფრო გაზარდოს დაძაბულობის დონე. რუსეთი ასევე წინააღმდეგია აღმოსავლეთ ევროპაში „NATO“-ს გაფართოებით, რამაც პოტენციურად შეიძლება მოიცვას ყოფილი საბჭოთა კავშირის ქვეყნები, მათ შორის, საქართველო. საქართველოს მთავრობამ მიიღო გარკვეული ზომები რუსეთთან ურთიერთობის გასაუმჯობესებლად, თუმცა აღნიშნულს შედეგი არ მოჰყოლია ორ ქვეყანას შორის ურთიერთობის ფორმალური თუ სამართლებრივი ცვლილების კუთხით. ურთიერთობები ასევე არის დაძაბული აზერბაიჯანსა და სომხეთს შორის და პერიოდულად ადგილი აქვს ძალადობის შემთხვევებს. გეოპოლიტიკურმა დაძაბულობამ რუსეთსა და უკრაინას შორის ასევე შესაძლებელია უარყოფითი გავლენა იქონიოს საქართველოს ეკონომიკაზე. კრიზისი უკრაინაში დაიწყო 2013 წლის ბოლოს და ჯერ კიდევ გრძელდება. ამერიკის შეერთებულმა შტატებმა და ევროკავშირმა სავაჭრო სანქციები დაუწესეს რუსეთს, რუს მაღალჩინოსნებს და კრემლის თანამდებობის პირებს, ასევე რამდენიმე რუსულ ბანკსა და კომპანიას. მიმდინარე პოლიტიკურმა არასტაბილურობამ, სამოქალაქო არეულობამ და სამხედრო კონფლიქტმა უკრაინაში, რუსეთსა და უკრაინას შორის არსებული გეოპოლიტიკური კონფლიქტის გაგრძელებამ ან შემდგომმა ესკალაციამ შესაძლებელია უარყოფითი გავლენა იქონიოს საქართველოში არსებულ ეკონომიკურ ან პოლიტიკურ მდგომარეობაზე და გავლენა მოახდინოს „კომპანიის“ ბიზნესზე.

ასევე, საქართველოსა და რუსეთს შორის ურთიერთობის ნებისმიერმა შემდგომმა გაუარესებამ, შესაძლებელია უარყოფითი გავლენა იქონიოს პოლიტიკურ ან ეკონომიკურ სტაბილურობაზე საქართველოში. 2019 წლის 8 ივლისიდან რუსეთიდან საქართველოს მიმართულებით პირდაპირი საჰაერო ფრენები აიკრძალა, რამაც გავლენა იქონია ტურიზმის სექტორზე. ამავდროულად, პანდემიამდეც კი რუსეთიდან ტურისტული ნაკადების შემცირებამ მნიშვნელოვანი გავლენა იქონია სავალუტო ბაზარზე. სებ-ის შეფასებით რუსეთიდან პირდაპირი საჰაერო ფრენების აკრძალვით ქვეყანამ შესაბამის პერიოდში ტურიზმიდან დაახლოებით 300 მლნ აშშ დოლარით ნაკლები შემოსავალი მიიღო მოსალოდნელთან შედარებით.

ბოლო პერიოდში რეგიონში განვითარებული მოვლენებიდან ცალკეულად აღსანიშნავია სომხეთ-აზერბაიჯანის ომი 2020 წლის სექტემბერ-ოქტომბრის პერიოდში, რომელმაც უარყოფითად იმოქმედა რეგიონის ეკონომიკურ მდგომარეობაზე, და 2021 წლის რეგიონის ეკონომიკის აღდგენის მოლოდინებზე. 2020 წლის 10 ოქტომბერს მოხერხდა ცეცხლის შეწყვეტის შეთანხმების მიღწევა, რომელმაც ჩააცხრო რეგიონში პოლიტიკური დაძაბულობა და შესაბამისად მეტ-ნაკლებად გაანეიტრალა უარყოფითი მოლოდინები. თუმცა, 11 ოქტომბერს სომხეთი და აზერბაიჯანი ერთმანეთის მხრიდან ქალაქების დაბომბვას იუწყებოდნენ. კონფლიქტი 2020 წლის ნოემბერში დასრულდა, როდესაც 16 ნოემბერს სომხეთის საგარეო საქმეთა მინისტრმა თანამდებობა დატოვა, ხოლო, 17 ნოემბერს აზერბაიჯანის პრეზიდენტი კონფლიქტის რეგიონს ეწვია.

საქართველოს პოლიტიკურ თუ ეკონომიკურ სტაბილურობაზე შეიძლება იმოქმედოს ნებისმიერმა ვითარებამ ქვემოთ ჩამოთვლილთაგან:

- რუსეთთან საქართველოს ურთიერთობების, მათ შორის სასაზღვრო და ტერიტორიულ დავებთან დაკავშირებული ურთიერთობის, გაუარესება;
- ცვლილებები საქართველოს როგორც ენერგომატარებლების სატრანზიტო ქვეყნის მნიშვნელობაში;
- ცვლილებები საქართველოსთვის გაწეული დახმარების მოცულობაში ან ქართველი მწარმოებლების შესაძლებლობაში, ხელი მიუწვდებოდეთ მსოფლიოს საექსპორტო ბაზრებთან;
- რეგიონის ქვეყნებს შორის ურთიერთობების მნიშვნელოვანი გაუარესება.

- რეგიონის ქვეყნებში ეკონომიკური და ფინანსური მდგომარეობის გაუარესება.

2022 წლის 24 თებერვალს რუსეთმა უკრაინაში ომი წამოიწყო და რუსეთის პრეზიდენტმა პუტინმა დონბასისა და ლუგანსკის სეპარატისტული რეგიონების დაცვის საბაზით უკრაინაში „სამხედრო ოპერაციის“ დაწყების შესახებ განაცხადა. უკრაინის პრეზიდენტმა ვოლოდიმირ ზელენსკიმ უკრაინაში საყოველთაო სამხედრო მობილიზაცია გამოაცხადა.

აგრესიის საპასუხოდ ევროკავშირის მიერ შემზღვეული ზომების სამიზნე გახდა რუსეთი და მის წინააღმდეგ დამტკიცდა სანქციების რამდენიმე პაკეტი. სანქციები შეეხო საბანკო და საფინანსო სექტორს, ავიაციის, სამხედრო, გემთმშენებლობის, მანქანათმშენებლობის, რკინის და ფოლადის წარმოებას, ენერგეტიკას, მედია, სამხედრო და ორმაგი დანიშნულების პროდუქტებსა და სერვისების სექტორებში მომუშავე კომპანიებსა და რეჟიმთან დაკავშირებულ წარმომადგენლებს- ლობისტებს, ოლიგარქებსა და პროპაგანდისტებს. აშშ-ში დაიბლოკა რუსული ცენტრალური ბანკის აქტივები, სანქციები ასევე შეეხო რუსეთის ეროვნულ სარეზერვო ფონდსა და რუსეთის ფინანსთა სამინისტროს. პარალელურად, მსოფლიოს ქვეყნები რუსეთს სხვადასხვა სახის სანქციას უწესებენ, სანქციებს შეუერთდა დიდი ბრიტანეთი და კანადა. რუსეთს და სანქცირებულ ინსტიტუტებს შეეზღუდათ მსოფლიო ბანკთაშორის სისტემის SWIFT-ის წვდომა.

ომის და თანმდევი გლობალური ცვლილების გავლენების დასადგენად განხორციელდა კომპანიის ოპერაციებსა და ფინანსურ რისკების გავლენების შეფასება. ემიტენტს არ აქვს პირდაპირი დამოკიდებულება რუსეთთან, გამომდინარე იქიდან, რომ მას არ გააჩნია სანქცირებულ ინსტიტუტებთან კავშირი, არ ახდენს პროდუქციისა თუ სერვისის რეალიზაციას რუსეთში ემიტენტი ომის გავლენებს მიიჩნევს უმნიშვნელოდ, მიმდინარე მოვლენებს და პერიოდის განმავლობაში არასტაბილურობას არსებითი პირდაპირი ზეგავლენა შემოსავლიანობასა და ყოველდღიურ ოპერაციებზე არ ჰქონია და მოსალოდნელია რომ არ ექნება. უკიდურესი სცენარის შემთხვევაში, საბაზრო სცენარისაგან განსხვავებით, სადაც მხედველობაში მიიღება ომის გრძელ ვადაში გაგრძელება შესაძლოა დაგეგმილი ინდიკატორების გაუარესება, რაც შეიძლება იყოს გამოწვეული მსოფლიო ეკონომიკური ფონის ცვლილებით.

აღსანიშნავია, რომ საქართველოს ეკონომიკა წარმოადგენს მცირე ზომის ღია ეკონომიკას; საქართველოს საერთაშორისო ვაჭრობის პოლიტიკა ხასიათდება დაბალი ტარიფებით და თავისუფალი ვაჭრობის რეჟიმით. შესაბამისად 2021 წელს საგარეო სავაჭრო გახსნილობის დონემ (საქონლისა და მომსახურების ექსპორტი + საქონლისა და მომსახურების იმპორტი)/მშპ 102.7% შეადგინა. შედეგად საქართველოს სავაჭრო პარტნიორ ქვეყნებში მომხდარ ეკონომიკურ და პოლიტიკურ ცვლილებებს მნიშვნელოვანი გავლენა აქვს საქართველოს ეკონომიკაზე. მეზობელ ქვეყნებში ეკონომიკური პარამეტრების (ინფლაცია, მშპ-ს რეალური ზრდა, გაცვლითი კურსები და ა.შ.) გადაცემა საქართველოს ეკონომიკაზე ხდება ისეთი გზებით როგორებიცაა იმპორტი, ექსპორტი, ფულადი გზავნილები, პირდაპირი ინვესტიციები და ა.შ.

საქსტატის მონაცემებით, 2022 წელს საქონლის ექსპორტი 31.8%-ით გაიზარდა და 5,592 მილიონი დოლარი შეადგინა. ექსპორტის მთავარი პარტნიორები იყვნენ ჩინეთი (737 მილიონი, 19.7% წ/წ), აზერბაიჯანი (673 მილიონი, 26.5% წ/წ) და რუსეთი (652 მილიონი 6.8% წ/წ). სავაჭრო პარტნიორი ქვეყნების ეროვნული ვალუტების გაუფასურებამ შესაძლოა უარყოფითი ზეგავლენა იქონიოს საქართველოს ეკონომიკაზე, რადგან ეს გაუფასურება ქართულ ექსპორტებს გააძვირებს სავაჭრო პარტნიორის ვალუტაში და შეამცირებს მათ კონკურენტუნარიანობას.

2022 წელს საქონლის იმპორტი 34.5%-ით გაიზარდა და 13,588 მილიონი დოლარი შეადგინა. იმპორტის მთავარი წყაროები თურქეთი (2,374 მილიონი, 29.8% წ/წ), რუსეთი (1,835 მილიონი, 79.4% წ/წ) და ჩინეთი (1,126 მილიონი, 30.2% წ/წ) იყვნენ. სავაჭრო პარტნიორი ქვეყნების ეროვნული ვალუტების გაუფასურებამ შესაძლოა უარყოფითი ზეგავლენა იქონიოს საქართველოს ეკონომიკაზე, რადგან ეს გაუფასურება იმპორტირებულ საქონელს ლარში აიაფებს და შედეგად ზრდის იმპორტირებული პროდუქციის კონკურენტუნარიანობას.

რეგიონსა ან საქართველოში მდგომარეობის შემდგომმა გაურესებამ შეიძლება მნიშვნელოვნად უარყოფითად იმოქმედოს მეზობელი ქვეყნებისა და საქართველოს ეკონომიკაზე. გაურკვევლობის პირობებში რთულია დაზუსტებით ითქვას რა ეფექტი ექნება რეგიონში განვითარებულ მოვლენებს საქართველოს ეკონომიკაზე.

### **2.3 საქართველოში პოლიტიკური არასტაბილურობის რისკმა შესაძლებელია არსებითად უარყოფითი გავლენა იქონიოს „კომპანიის“ ბიზნესზე.**

1991 წელს დამოუკიდებლობის აღდგენის შემდეგ, საქართველომ განიცადა მნიშვნელოვანი პოლიტიკური ტრანსფორმაცია და ფედერალური სოციალისტური სახელმწიფოს შემადგენელი რესპუბლიკიდან გარდაიქმნა დამოუკიდებელ სახელმწიფოდ. პოლიტიკური გარემო საქართველოში მკვეთრად ცვალებადი იყო 1990-იან წლებში და 2000-იანი წლების დასაწყისში.

2003 წელს საქართველოში მომხდარი მშვიდობიანი რევოლუციის შემდგომ, რომელიც ცნობილია „ვარდების რევოლუციის“ სახელით, 2004 წლის იანვრიდან 2013 წლის ნოემბრამდე საქართველოს პრეზიდენტი იყო მიხეილ სააკაშვილი. 2012 წლის ოქტომბერში გამართულ საპარლამენტო არჩევნებში კოალიცია „ქართულმა ოცნებამ“, რომელსაც მეთაურობდა ბ-ნი ბიძინა ივანიშვილი, მოიპოვა ხმების უმრავლესობა (54.97%). პრეზიდენტ მიხეილ სააკაშვილის მმართველმა პარტიამ დამარცხება აღიარა, რასაც შედეგად მოჰყვა ძალაუფლების გადაცემა. 2013 წლის მარტში პარლამენტმა ერთხმად დაუჭირა მხარი საკონსტიტუციო ცვლილებებს, რომლებითაც კიდევ უფრო შეიკვეცა საქართველოს პრეზიდენტის ფუნქციები. საქართველოს პარლამენტის, პრეზიდენტის ან პრემიერ-მინისტრის უფლებამოსილებების ნებისმიერმა შემდგომმა ცვლილებამ შესაძლოა პოლიტიკური კრიზისი ან პოლიტიკური დესტაბილიზაცია გამოიწვიოს ან სხვაგვარი უარყოფითი შედეგი მოუტანოს პოლიტიკურ კლიმატს საქართველოში.

ბოლო საპრეზიდენტო არჩევნები საქართველოში ჩატარდა 2018 წლის 28 ოქტომბერს, რაც, ამავდროულად, იყო უკანასკნელი არჩევნები, როდესაც პრეზიდენტი პირდაპირი გზით აირჩა. 28 ნოემბერს გამართულ მეორე ტურში გამარჯვება სალომე ზურაბიშვილმა (რომელსაც მხარს უჭერდა სახელისუფლებლო პარტია) მოიპოვა და დაამარცხა გრიგოლ ვაშაძე - პარტია „ნაციონალური მოძრაობის“ წევრი და ოპოზიციური პარტიების გაერთიანების კანდიდატი.

2020 წლის 31 ოქტომბერს გაიმართა საქართველოს საპარლამენტო არჩევნები. არჩევნების შედეგებით, მმართველმა პარტიამ მოახერხა პარლამენტში უმრავლესობის მოპოვება. ოპოზიციურმა პარტიებმა ახალი მოწვევის პარლამენტს ბოიკოტი გამოუცხადეს.

პოლიტიკური დაძაბულობის განმუხტვას შეეცადა ევროკავშირი თავისი სპეციალური წარმომადგენლის, შარლ მიშელის მეშვეობით გამართული მედიაციის პროცესით. შედეგად, 2021 წლის 19 აპრილს ძირითად პოლიტიკურ ძალებს შორის შედგა შეთანხმება რამდენიმე არსებით პუნქტზე, მათ შორის, სასამართლოს არსებით რეფორმაზე. ამასთან, შეთანხმდა, რომ ვადამდელი საპარლამენტო არჩევნები დაინიშნებოდა 2022 წელს იმ შემთხვევაში, თუ 2021 წლის ოქტომბრის ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნებში პარტია „ქართული ოცნება“ მიიღებდა ნამდვილი პროპორციული ხმების 43% -ზე ნაკლებს. მოგვიანებით ქართული ოცნება ამ შეთანხმებიდან გავიდა. ხელშეკრულებიდან გასვლის მთავარ მიზეზად დასახელდა ის გარემოება, რომ მთავარმა ოპოზიციურმა პარტიამ - ერთიანმა ნაციონალურმა მოძრაობამ შეთანხმებას ხელი არ მოაწერა.

პოლიტიკური კრიზისის და ე.წ. „შარლ მიშელის შეთანხმების“ ფონზე, კიდევ უფრო დიდი მნიშვნელობა შეიძინა 2021 წლის 2 ოქტომბერს დანიშნულმა ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნებმა. ცენტრალური საარჩევნო კომისიის მიერ დაფიქსირებული ოფიციალური მონაცემებით,

არჩევნების პირველ ტურში ქართულმა ოცნებამ ხმათა 46% აიღო. რამდენიმე თვითმმართველ ქალაქში (თბილისი, ქუთაისი, ბათუმი და ზუგდიდი) დაინიშნა არჩევნების მეორე ტური მერის ასარჩევად. ამასთან, არჩევნებამდე რამდენიმე დღით ადრე დააპატიმრეს ქვეყანაში დაბრუნებული მესამე პრეზიდენტი, მიხეილ სააკაშვილი, რამაც მისი მომხრეების პროტესტი და გარკვეული პოლიტიკური ძალების კონსოლიდაცია მოახდინა. არჩევნების მეორე ტური ჩატარდა 2021 წლის 30 ოქტომბერს სადაც ხმათა უმრავლესობით პარტია „ქართულმა ოცნებამ“ გაიმარჯვა, ხოლო დაპატიმრებულმა მიხეილ სააკაშვილმა შიმშილობა შეწყვიტა.

2022 წლის მდგომარეობით მოქმედი პარლამენტი დაკომპლექტებულია და განაგრძობს საკანონმდებლო საქმიანობას.

ნებისმიერმა პოლიტიკურმა არასტაბილურობამ საქართველოში შეიძლება ნეგატიური გავლენა მოახდინოს საქართველოს ეკონომიკაზე, რამაც, თავის მხრივ, შესაძლებელია არსებითად უარყოფითი გავლენა იქონიოს „კომპანიის“ ბიზნესზე, ფინანსურ მდგომარეობაზე, ოპერაციების შედეგებსა და პერსპექტივებზე, და ასევე „ობლიგაციების“ სავაჭრო ფასზე.

#### **2.4 ეკონომიკურმა არასტაბილურობამ საქართველოში შესაძლებელია არსებითად უარყოფითი გავლენა იქონიოს „კომპანიის“ ბიზნესზე.**

ადრეულ 1990-იან წლებში, საბჭოთა კავშირის დაშლის შემდგომ, საქართველოს საზოგადოებამ და ეკონომიკამ განიცადა სწრაფი ტრანსფორმაცია ცენტრალიზებული ეკონომიკის მქონე ერთპარტიული სახელმწიფოდან საბაზრო ეკონომიკის მქონე პლურალისტულ დემოკრატიად. აღნიშნული ტრანსფორმაციისთვის პერიოდულად დამახასიათებელი იყო მნიშვნელოვანი არასტაბილურობა, რაც იწვევდა მშპ-ს შემცირებას, ჰიპერინფლაციას, ვალუტის არამდგრადობას, სახელმწიფო ვალების მაღალ დონეს მშპ-თან მიმართებით, „შავი“ და „ნაცრისფერი“ ბაზრის ეკონომიკის არსებობას, უმუშევრობის მაღალ დონეს და საქართველოს მოსახლეობის ნაწილის გაღარიბებას.

2008 და 2009 წლებში მომხდარი ეკონომიკური ვარდნის შემდგომ, 2010 წლიდან საქართველოს ეკონომიკა ზრდას დაუბრუნდა. აღსანიშნავია, რომ რეგიონალური კრიზისის ფონზე, საქართველოს ეკონომიკურმა ზრდამ გამოავლინა მდგრადობა და შეინარჩუნა დადებითი ზრდის ტემპი. პანდემიის დაწყებამდე, საქართველოს საშუალო ეკონომიკური ზრდა 2017-2019 წლებში შეადგენდა 4.9%-ს (2017 წელი- 4.8%, 2018 წელი- 4.8%, 2019 წელი- 5.0%). კოვიდ-19 პანდემიამ საკმაოდ მძიმე გავლენა იქონია საქართველოს ეკონომიკაზე. მკაცრმა და არაპროგნოზირებადმა შეზღუდვებმა დააზიანა მრავალი სექტორი. მათ შორის მნიშვნელოვნად დაზიანდა ტურიზმი, რომლის ხვედრითი წილი საქართველოს ეკონომიკაში სტაბილურ პერიოდში მნიშვნელოვან ნიშნულს აღწევდა. საქსტატის მონაცემებით, 2020 წელს საქართველოს ეკონომიკა 6.8%-ით შემცირდა 2019 წელთან შედარებით. 2021 წელს მოხდა ეკონომიკის მნიშვნელოვანი აღდგენა. კერძოდ, 2020 წელთან შედარებით, რეალური მშპ გაიზარდა 10.5%-ით, ხოლო 2019 წელთან შედარებით კი 2.92022 წელს, რთული გარე გარემო-ფაქტორების მიუხედავად, რეალური მშპ გაიზარდა 10.1%-ით 2021 წელთან შედარებით. ტურიზმის მოსალოდნელზე უფრო სწრაფად აღდგენამ, შემოსული ფულადი გზავნილების ზრდამ და მიგრანტების ნაკადებმა ხელი შეუწყო საგარეო პოზიციის გამლიერებას და შიდა მოთხოვნის შენარჩუნებას. ამავდროულად, გამყარდა საბანკო სექტორიც და მთლიანმა ინფლაციამ შესუსტება დაიწყო.

პანდემიის პერიოდში ასევე მოხდა მთავრობის ვალის მნიშვნელოვანი მატება. კერძოდ, 2020 წელს, ფინანსთა სამინისტროს მონაცემებით, მთავრობის ვალის შეფარდება მშპ-თან გადააჭარბა თავისუფლების აქტით განსაზღვრულ 60%-იან ნიშნულს და შეადგინა 60.2%. 2018 წელს, აღნიშნული მაჩვენებელი შეადგენდა 38.9%-ს, ხოლო 2019 წელს, 40.4%-ს. თუმცა, 2021 წლის ბოლოსკენ და 2022 წლის დასაწყისში, მოხდა მთავრობის ვალის შემცირება და ფინანსთა სამინისტროს წინასწარი მონაცემებით



2022 წლის მდგომარეობით გაუტოლდება 39.8%-ს. მთავრობის მიერ გამოცხადებული ფისკალური კონსოლიდაციის პოლიტიკის შედეგად, რომლის ერთ-ერთ მიზანს ასევე წარმოადგენს მთლიან ვალში საგარეო ვალის წილის შემცირებას (2021 წელს, საგარეო ვალის შეფარდება მშპ-თან შეადგენს 39.9%-ს) და შიდა ვალის წილის ზრდას.

2019 წელს პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მოცულობამ შეადგინა 1,335.8 მილიონი აშშ დოლარი, რაც 1.4%-ით აღემატებოდა 2018 წლის მაჩვენებელს. აღსანიშნავია, რომ 2020 წლის განმავლობაში საგრძნობლად შემცირდა პირდაპირი უცხოური ინვესტიციები, მაჩვენებელმა 571.9 მილიონი აშშ დოლარი შეადგინა. აღსანიშნავია, რომ აღნიშნული შემცირების ერთ-ერთი ძირითადი მიზეზი იყო არარეზიდენტი კომპანიიდან რეზიდენტი კომპანიისადმი საკუთრების გადაცემა. 2021 წელს პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მოცულობამ შეადგინა 1,152.8 მილიონი აშშ დოლარი, რაც 101.6%-ით აღემატება 2020 წლის შედეგს, მაგრამ 13.7%-ით ნაკლებია 2019 წლის მაჩვენებელზე. 2022 წლის მდგომარეობა მკვეთრად არის გაუმჯობესებული და წინასწარი მონაცემებით, შეადგენს 2,000 მილიონ აშშ დოლარს. 2022 წლის წინასწარი მონაცემების მიხედვით, უცხოური ინვესტიციების წილი გაერთიანებული სამეფოდან 2021 წლის პირდაპირ უცხოურ ინვესტიციებში შეადგენს 21%-ს. თუმცა, 2021 წელთან შედარებით, პირდაპირი უცხოური ინვესტიციები გაერთიანებული სამეფოდან შემცირებულია 29%-ით. მნიშვნელოვნადაა გაზრდილი პირდაპირი უცხოური ინვესტიციები ესპანეთიდან, რომლის წილიც პირდაპირ უცხოურ ინვესტიციებში შეადგენს 18%-ს, ხოლო 2021 წელთან შედარებით 25-ჯერ არის გაზრდილი. პირდაპირი უცხოური ინვესტიციების როლი საქართველოს ეკონომიკაში საკმაოდ მნიშვნელოვანია. საქსტატის მონაცემებით, 2021 წელს პირდაპირმა უცხოურმა ინვესტიციებმა მშპ-ის 2% შეადგინა, ხოლო 2022 წლის წინასწარი მონაცემების მიხედვით, 3%-ს .

ტურიზმი საქართველოს ეკონომიკის ერთ-ერთ ყველაზე მნიშვნელოვან დარგს წარმოადგენს და დიდი ზეგავლენა აქვს მთლიანი ეკონომიკის ზრდაზე. 2022 წელს საერთაშორისო ვიზიტების რაოდენობა შეადგენდა 4,703 მილიონს, რაც 2021 წელთან შეადრებით არის გაზრდილი 173%-ით, ხოლო 2019 წელთან შედარებით შემცირებულია -39%-ით.

2022 წელს საერთაშორისო მოგზაურების ვიზიტების რაოდენობა შეადგენდა 5,43 მილიონს. ეს მაჩვენებელი 2021 წელთან შედარებით გაზრდილია 188%-ით, ხოლო 2019 წელთან შემცირებულია - 42%-ით. 2022 წელს გაიზარდა საერთაშორისო ტურისტული ვიზიტების რაოდენობაც, რომელიც შეადგენდა 3.65 მილიონს. რაც 2021 წელთან შედარებით 132% არის გაზრდილი, ხოლო 2019 წელთან შედარებით შემცირებულია -28%-ით.

საქართველოს ეკონომიკური ზრდის პერსპექტივა კვლავ მნიშვნელოვანი საფრთხეების წინაშე დგას, მათ შორის გაცვლითი კურსის მერყეობის, ფინანსური სტაბილურობის შესუსტების, ინფლაციის, ბიუჯეტის შესრულებისა და კაპიტალის გადინების რისკების წინაშე. საბაზრო კრიზისმა და ეკონომიკის გაუარესებამ საქართველოში შეიძლება მომხმარებლების მხრიდან დანახარჯების შემცირება გამოიწვიოს და სერიოზული უარყოფითი გავლენა მოახდინოს საქართველოში კომპანიის მომხმარებელთა მსყიდველუნარიანობასა და ფინანსურ მდგომარეობაზე. ვირუსიდან მომდინარე გაურკვეველმა და არასტაბილურმა გლობალურმა ეკონომიკურმა პირობებმა, შეიძლება გამოიწვიოს მნიშვნელოვანი პოლიტიკური და მაკროეკონომიკური რეფორმები მსოფლიო მასშტაბით. ამან მნიშვნელოვანი გავლენა შეიძლება იქონიოს საქართველოს ეკონომიკაზე, რაც შესაძლოა უარყოფითად აისახოს კომპანიის ბიზნესზე, ფინანსურ მდგომარეობასა და ოპერაციების შედეგებზე.

2020 წლის 11 მარტს კოვიდ-19 ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციის მიერ პანდემიად გამოცხადდა. დღემდე უცნობია როდის მოხდება ვირუსის საბოლოოდ შეჩერება, რაც ეკონომიკურ პროგნოზირებას ართულებს, რადგან არ არსებობს მსოფლიოში შესადარი ისტორიული მაგალითი.

2020 წლის სექტემბრიდან ეპიდემიოლოგიური სიტუაცია საქართველოში საგრძნობლად გაუარესდა. გაიზარდა ყოველდღიურად ინფიცირების მაჩვენებელი. ჯგუფი საგანგებო მდგომარეობის გამოცხადებისთანავე ვირუსის გავრცელების თავიდან ასაცილებლად გადავიდა ნაწილობრივ დისტანციურ მუშაობაზე და ჩაატარა საკარანტინო ღონისძიებები. თანამშრომლები მორიგეობით მუშაობდნენ ოფისიდან. სერვის ცენტრები და სათაო ოფისი აღიჭურვა კოვიდ-19-თან დაკავშირებული რეგულაციების შესაბამისად. ჯგუფი მუდმივად ცდილობს მაქსიმალურად დაიცვას უსაფრთხოების ზომები, რათა თავიდან აირიდოს ვირუსის გავრცელება.

კორონავირუსის გავრცელებას მნიშვნელოვანი გავლენა არ მოუხდენია ჯგუფისა და კომპანიის ოპერაციებზე. თუმცა 2020 წლის მარტის შემდეგ მნიშვნელოვანი არასტაბილურობა დაფიქსირდა საფონდო, საქონლის და ვალუტის ბაზრებზე. ასევე უნდა აღინიშნოს, რომ კოვიდ-19-ის ახალი ტალღის შემთხვევაში, განუსაზღვრელობის მაღალი დონის გამო, ეკონომიკასა და კომპანიის საქმიანობაზე მისი ფაქტობრივი გავლენის შეფასება რთულია.

მიუხედავად იმისა, რომ საქართველოში ვირუსის გავრცელება წლის პირველ ნახევარში მინიმალურ მაჩვენებელზე შენარჩუნდა, მეორე ნახევრიდან ვირუსის ახალი შემთხვევების ზრდა შეინიშნებოდა. მკაცრი შეზღუდვების ფონზე ვითარება დასტაბილურდა. 2022 წლის სექტემბერში ეპიდსიტუაციის დასტაბილურებისა და კორონავირუსის გავრცელების დადებითი ტენდენციის შედეგად ჯანდაცვის სამინისტროს გადაწყვეტილებით კოვიდსტატისტიკა ყოველთვიურად ახლდება.

## **2.5 ლარის გაუფასურებამ აშშ დოლართან/სხვა ეკონომიკურად დაკავშირებული ქვეყნების ვალუტებთან მიმართებით შესაძლებელია არსებითად უარყოფითი გავლენა იქონიოს „კომპანიის“ ბიზნესზე.**

საქსტატისა და სებ-ის მონაცემებზე დაყრდნობით, მიმდინარე ანგარიშების დეფიციტმა 2017 წელს მშპ-ს 8.0%, 2018 წელს 6.8%, ხოლო, 2019 წელს მიმდინარე ანგარიშის დეფიციტმა 960.5 მლნ აშშ დოლარი, მთლიანი შიდა პროდუქტის 5.5% შეადგინა. აღსანიშნავია, რომ მიმდინარე ანგარიშის დეფიციტი 2019 წელს ისტორიულად ყველაზე დაბალი იყო. 2020 წელს მიმდინარე ანგარიშის დეფიციტმა 1,977 მლნ აშშ დოლარი, მთლიანი შიდა პროდუქტის 12.4% შეადგინა, ხოლო 2021 წელს კი დეფიციტმა 1,936 მლნ აშშ დოლარი, რაც შეადგენს მთლიანი შიდა პროდუქტის 9.8%-ს. 2022 წლის 30 სექტემბრის მონაცემებით, მიმდინარე ანგარიშის დეფიციტი 460 მლნ აშშ დოლარს შეადგენდა. მიმდინარე ანგარიშების უარყოფითი სალდო მნიშვნელოვან რისკს წარმოადგენს. იმ შემთხვევაში, თუ არ აღდგება და შემდგომ შენარჩუნდება წმინდა პირდაპირი უცხოური ინვესტიციების შემოსვლა, მიმდინარე ანგარიშის დეფიციტმა შესაძლებელია გამოიწვიოს მთავრობის მიერ მიმდინარე ოპერაციების ანგარიშის დეფიციტის დასაფინანსებლად აღებული სესხების ოდენობების კიდევ უფრო გაზრდა, ლარის კურსის გაუარესება ან იმპორტის შემცირება, რამაც შეიძლება არსებითად უარყოფითი გავლენა იქონიოს საქართველოს ეკონომიკაზე.

აღსანიშნავია, რომ საქართველოს ეკონომიკა არის საკმაოდ დოლარიზებული. „სებ“-ის მონაცემებით, დოლარიზაციის მაჩვენებელი კომერციულ ბანკებში განთავსებული იურიდიული და ფიზიკური პირების დეპოზიტებისათვის შეადგენდა 2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით - 65.6%-ს, 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით - 63.1%-ს, 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით - 64.1%-ს, 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით - 61.4%-ს, ხოლო 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით - 59.9%-ს. აღსანიშნავია, რომ 2022 წლის 31 დეკემბრის მონაცემებით, ეს მაჩვენებელი 51.7%-მდე შემცირდა რაც გამკაცრებული მონეტარული პოლიტიკით შესაძლოა აიხსნას. მიუხედავად იმისა, რომ სებ-ი რეგულარულად იღებს ზომებს საქართველოს სავალუტო ბაზრის განვითარების მხარდასაჭერად, დოლარიზაციის მაჩვენებელმა შესაძლებელია არსებითად უარყოფითი გავლენა იქონიოს სებ-ის სავალუტო და გაცვლითი კურსების პოლიტიკის განხორციელების ეფექტურობაზე.

ლარი სრულად კონვერტირებადი ვალუტაა, თუმცა, საქართველოს ფარგლებს გარეთ მისი კონვერტირებისთვის საერთოდ არ არსებობს სავალუტო ბაზარი. სებ-ის მონაცემებით, 2018 წელს, ლარის-აშშ დოლარის და ლარის-ევროს ბაზრებზე სავაჭრო ბრუნვის საერთო მოცულობამ (მათ შორის, გაყიდვებისა და შესყიდვების ჯამი, სებ-ის საქმიანობის გარდა), შესაბამისი თანმიმდევრობით, 31.8 მილიარდი აშშ დოლარი და 11.4 მილიარდი ევრო შეადგინა, იმავე მაჩვენებელმა 2019 წელს 48.5 მილიარდი აშშ დოლარი და 28.7 მილიარდი ევრო, 2020 წელს შესაბამისად 55.3 მილიარდი აშშ დოლარი და 36 მილიარდი ევრო, ხოლო 2021 წელს შესაბამისად 52 მილიარდი აშშ დოლარი და 26.7 მილიარდი ,ხოლო 2022 წელს შესაბამისად 105.7 მილიარდი აშშ დოლარი და 48.9 მილიარდი ევრო შეადგინა.

სებ-ის მონაცემების თანახმად, 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, მისმა ოფიციალურმა რეზერვებმა 3.9 მილიარდი აშშ დოლარი შეადგინა, 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით რეზერვების მოცულობა 4.3 მილიარდ აშშ დოლარამდე გაიზარდა, ხოლო 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, გაიზარდა 4.9 მილიარდ აშშ დოლარამდე (14.7% წ/წ). მიმდინარე რეზერვების დონე ადეკვატურია საერთაშორისო სავალუტო ფონდის შეფასებით, რომლითაც ქვეყანას შეუძლია თავი გაართვას კრიზისულ სიტუაციებს მოკლევადიან პერიოდში. გარდა ამისა, რეზერვები შეიძლება გამოყენებულ იქნას იმ შემთხვევაში თუ ლარის გაცვლითი კურსი ერთჯერადი ფაქტორების გამო მნიშვნელოვნად გაუფასურდა, რადგან ვალუტის გაუფასურებამ შეიძლება არსებითად უარყოფითი გავლენა მოახდინოს ქვეყნის ეკონომიკაზე.

წლების მანძილზე ლარის კურსი დოლართან მიმართებაში მნიშვნელოვნად იცვლებოდა როგორც საგარეო, ასევე სეზონური ფაქტორების გამო. წინა წლებში საქართველოს ეკონომიკაზე გავლენა მოახდინა რამდენიმე მნიშვნელოვანმა გარე ფაქტორმა, მათ შორის, რუსეთ-უკრაინის კრიზისმა, ეკონომიკის ვარდნამ რუსეთში და ვალუტის გაუფასურებამ პარტნიორ ქვეყნებში (თურქეთის, რუსეთის, აზერბაიჯანის და სომხეთის ჩათვლით). აღნიშნული ფაქტორების შედეგად, 2014-2016 წლებში შემცირდა საქართველოდან ექსპორტის ოდენობა, რამაც გამოიწვია უცხოეთიდან მიღებული შემოსავლის ნაკლებობა და, აშშ დოლარის კურსის გამყარების გათვალისწინებით, 2015 წელს ლარის 29.0%-ით გაუფასურება აშშ დოლართან მიმართებით. იმ დროს, როცა არსებული გაუფასურება დაეხმარა საქართველოს ეკონომიკას ამგვარ გარე ფაქტორებთან ადაპტაციაში, აღნიშნულმა დაამძიმა იმ მსესხებლების მდგომარეობა, რომლებსაც სესხები აღებული ჰქონდათ აშშ დოლარში და გაზარდა მოთხოვნა ლარში დენომინირებულ სესხებზე.

აღსანიშნია, რომ 2017 წლის დასაწყისიდან ლარმა დაიწყო გამყარება და აშშ დოლარის მიმართ 2.4-2.5-ის ფარგლებში მერყეობდა, კურსი მეტ-ნაკლებ სტაბილურობას ინარჩუნებდა 2018 წელსაც. 2019 წლის ივლისში რუსეთიდან პირდაპირი საჭაერო ფრენების აკრძალვის შემდეგ ლარმა გაუფასურება დაიწყო აშშ დოლარის მიმართ. შესაბამისად, სებ-მა გაუფასურების შესაჩერებლად სავალუტო ბაზარზე 92.8 მლნ აშშ დოლარი გაყიდა აგვისტო-ნოემბრის პერიოდში. 2020 წლის მარტიდან, კორონავირუსის გლობალური პანდემიისგან წარმოქმნილი პრობლემების ფონზე ლარმა მნიშვნელოვანი გაუფასურება დაიწყო აშშ დოლარის მიმართ და ისტორიულ მაქსიმუმს 27 მარტს მიაღწია, როცა 1 აშშ დოლარი 3.48 ლარს შეადგენდა. პანდემიის მეორე ტალღისა და არჩევნებთან დაკავშირებული პროცესების ფონზე ლარი განაგრძობდა გაუფასურებას. 2021 წლის მაისიდან მოყოლებული, ეკონომიკის სწრაფი გაჯანსაღების ფონზე, ლარმა აშშ დოლარის მიმართ გამყარება დაიწყო და 2021 წლის დეკემბრის 1 აშშ დოლარის საშუალო გაცვლითმა კურსმა შეადგინა 3.09 ლარი. 2022 წლის დასაწყისიდან, ლარი განაგრძობდა გამყარებას აშშ დოლარის. თუმცა, უკრაინა-რუსეთს შორის დაწყებული სამხედრო კონფლიქტის გამო, თებერვლის ბოლოს მოხდა ლარის შედარებით მკვეთრი გაუფასურება აშშ დოლარის მიმართ, რის შედეგადაც 1 აშშ დოლარის გაცვლით კურსმა მიაღწია პერიოდის მაქსიმუმ 2022 წლის 10 მარტს და შეადგინა 3.4, რის შედეგადაც ლარმა დაიწყო შეფარდებითი გამყარება და 2022 წლის 4 აპრილის მდგომარეობით 1 აშშ დოლარის ღირებულება შეადგენდა 2.53 ლარს.

მნიშვნელოვანია ყურადღება დავუთმოთ ინფლაციის ისტორიულ და მიმდინარე მაჩვენებლებს. „საქსტატის“ მიერ გამოქვეყნებული მონაცემების თანახმად, წლიური ინფლაციის მაჩვენებელი, რომელიც გაიზომა სამომხმარებლო ფასის ინდექსის. 2017 წელს ინფლაციის მაჩვენებელი 6.0%-ს გაუტოლდა, 2018 წელს 2.6%, 2019 წელს კი 4.9%-ს. 2020 წელს სხვადასხვა მიმართულებით მოქმედი მოთხოვნის და მიწოდების ფაქტორების შედეგად, საშუალო ინფლაციამ შეადგინა 5.2%. 2021 წელს, წინა პერიოდში არსებული გაუფასურებისა და მსოფლიო ბაზარზე ნედლეულზე და ნავთობის ფასის მნიშვნელოვანი მატების გამო, წლიური ინფლაცია გაუტოლდა 9.6%-ს. 2022 წლის წინასწარი მონაცემების მიხედვით კი ინფლაცია 11.9%-ს შეადგენს.

ნებისმიერმა ცვლილებამ სავალუტო პოლიტიკაში, აშშ დოლართან ან ევროსთან ლარის შემდგომმა გაუფასურებამ, ინფლაციის განგრძობადმა ზრდამ ან სხვა ნეგატიურმა, მათ შორის, გარე ფაქტორებმა, შესაძლებელია მნიშვნელოვანი უარყოფითი გავლენა მოახდინოს საქართველოს ეკონომიკაზე. აღნიშნულმა კი, თავის მხრივ, შეიძლება არსებითად უარყოფითი გავლენა იქონიოს „კომპანიის“ ბიზნესზე, ფინანსურ მდგომარეობაზე, ოპერაციების შედეგებსა და პერსპექტივებზე, და ასევე „ობლიგაციების“ სავაჭრო ფასზე.

## **2.6 საქართველოს სასამართლო სისტემაში არსებულმა გაურკვევლობამ შესაძლოა უარყოფითი გავლენა იქონიოს „კომპანიაზე“ და ინვესტორებზე.**

საქართველო ჯერ კიდევ ავითარებს ადეკვატურ სამართლებრივ ჩარჩოს, რომელიც აუცილებელია საბაზრო ეკონომიკის სათანადო ფუნქციონირებისთვის. ძირითადი საკანონმდებლო ბაზა შეიქმნა 1990-იან წლებში, ხოლო რამდენიმე ფუნდამენტური საკანონმდებლო აქტი (როგორცაა საგადასახადო კოდექსი, სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი, არბიტრაჟის შესახებ კანონი და ა.შ.) რამდენჯერმე ფუნდამენტურად შეიცვალა. აღნიშნული კანონმდებლობის სიახლემ და საქართველოს სამართლებრივი სისტემის სწრაფმა განვითარებამ წარმოშვა ეჭვები ამ საკანონმდებლო აქტების ხარისხთან და აღსრულებადობასთან მიმართებით, და ასევე გამოიწვია გაუგებრობა და არათანმიმდევრულობა მათ გამოყენებასთან დაკავშირებით. ამასთან, რამდენადაც საქართველოს კანონმდებლობა და მისი ინტერპრეტაცია შეიძლება იყოს გაუგებარი და ცვალებადი, შესაძლებელია, რომ პასუხისმგებელმა პირებმა და საწარმოებმა, მიუხედავად მათ მიერ მიღებული ყველა გონივრული ზომისა, მაინც ვერ დაიცვან კანონმდებლობის მოთხოვნები. აღნიშნულმა შეიძლება გამოიწვიოს მნიშვნელოვანი უარყოფითი შედეგები, მათ შორის, ჯარიმები, გაყინული საბანკო ანგარიშები და ნებართვების გაუქმება.

გარდა ამისა, საქართველოს სასამართლო სისტემამ რეფორმის რამდენიმე ეტაპი გაიარა, რომლის ფარგლებშიც მოხდა რეფორმა იუსტიციის უმაღლესი საბჭოს დეპოლიტიზირების მიმართულებით, შეიცვალა „საერთო სასამართლოების შესახებ“ კანონი, საქმეთა განაწილების ელექტრონული წესის ამოქმედება და მოხდა სხვა მნიშვნელოვანი ცვლილებები. მიუხედავად ამისა, დღემდე არსებობს, და ბოლო პერიოდში კიდევ უფრო ხშირად და მეტი სიმწვავეით ისმის, ლეგიტიმური კითხვები სასამართლოს მიუკერძოებლობასთან, ეფექტურობასა და კვალიფიკაციასთან მიმართებით. საქართველოში დავის გადაწყვეტის ალტერნატიული საშუალებებისადმი ნდობის ნაკლებობის და სასამართლოში ადამიანური რესურსების სიმცირის გამო, სასამართლო პროცესები შეიძლება გაგრძელდეს წლების განმავლობაში. როგორც წესი, სხვა ქვეყნებთან შედარებით (კერძოდ, ევროპა და შვეიცარიის შტატები), საქართველოს სასამართლოების მოსამართლეებს ნაკლები გამოცდილება აქვთ კომერციულ და კორპორაციულ სამართალში. სასამართლო პრეცედენტებს არ აქვს სავალდებულო ძალა შემდგომ გადაწყვეტილებებზე და კომპანიები რჩებიან საკანონმდებლო ხელისუფლების რეაგირების იმედად. გაურკვევლობამ საქართველოს სასამართლო სისტემაში შესაძლებელია ნეგატიურად იმოქმედოს საქართველოს ეკონომიკაზე, რამაც, თავის მხრივ, შეიძლება არსებითად უარყოფითი გავლენა იქონიოს „კომპანიის“ ბიზნესზე, ფინანსურ მდგომარეობასა და ოპერაციების შედეგებზე.

## 2.7 შესაძლებელია წარმოიქმნას გამოწვევები „DCFTA“-ის საფუძველზე საქართველოს კანონმდებლობის ევროკავშირის კანონმდებლობასთან ჰარმონიზაციის კუთხით.

2014 წლის 27 ივნისს საქართველომ ევროკავშირთან ხელი მოაწერა „ასოცირების ხელშეკრულებას“ და გახდა „ევროკავშირთან ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი სავაჭრო სივრცის შესახებ შეთანხმების“ („DCFTA“) მხარე, რაც გულისხმობს ევროკავშირთან ვაჭრობის ლიბერალიზაციას. მოსალოდნელია, რომ „ასოცირების ხელშეკრულების“ განხორციელება შექმნის ახალ ბიზნეს-შესაძლებლობებს, თუმცა შესაძლებელია ასევე წარმოშვას გამოწვევები ბიზნესისთვის, მეურნეობისთვის და სახელმწიფოსთვის. „ასოცირების ხელშეკრულებისა“ და „DCFTA“-ის განხორციელების მიზნით, საქართველო შეიძლება ვალდებული გახდეს მოახდინოს თავისი კანონმდებლობის ჰარმონიზაცია ევროკავშირის ფინანსური სექტორის მარეგულირებელ კანონმდებლობასთან და მოსალოდნელია, რომ აღნიშნული ჰარმონიზაციის პროცესი გარკვეულ გამოწვევებთან იქნება დაკავშირებული.

მას შემდეგ, რაც საქართველო 2000 წელს გახდა „WTO“-ს წევრი, იგი ეტაპობრივად ახდენდა თავისი ვაჭრობის მარეგულირებელი კანონმდებლობის ევროკავშირის კანონმდებლობის ნორმებთან და პრაქტიკასთან ჰარმონიზაციას. უახლესი საკანონმდებლო ცვლილებები მოიცავს 2013 წელს საქართველოს შრომის კოდექსში შეტანილ ცვლილებებს, რაც ემსახურებოდა საქართველოს შრომითი კანონმდებლობის „ასოცირების ხელშეკრულებითა“ და „DCFTA“-ით ნაკისრ ვალდებულებებთან დაახლოებას. აღნიშნული ცვლილებებით დამსაქმებლებს დაეკისრათ ზეგანაკვეთური სამუშაოს ანაზღაურების ვალდებულება, ასევე გაიზარდა ხელშეკრულების შეწყვეტის შედეგად დასაქმებულისთვის გადასახდელი კომპენსაციის ოდენობა (ერთი თვის ხელფასიდან ორი თვის ხელფასამდე), გამყარდა დასაქმებულის უფლებები დამსაქმებლის გადაწყვეტილების სასამართლოში გასაჩივრებასთან დაკავშირებით, აიკრძალა სამსახურიდან განთავისუფლება ობიექტური მიზეზის არსებობის გარეშე, გარანტირებულ იქნა საბაზისო სამუშაო პირობები და დაწესდა შრომის უსაფრთხოების რეგულაციები. კანონმდებლობაში შესული ცვლილებებით ასევე გაძლიერდა კონკურენციის სფეროს მარეგულირებელი სამართალი, რამაც შეიძლება შეზღუდოს „კომპანიის“ შესაძლებლობა გაზარდოს თავისი საბაზრო წილი.

აქვე აღსანიშნავია, რომ ევროკავშირსა და საქართველოს შორის გაფორმებული ასოცირების შესახებ შეთანხმების „საკორპორაციო სამართლის“ ნაწილში მითითებული ევროკავშირის დირექტივების ფარგლებში, საქართველოს პარლამენტმა მიიღო „მეწარმეთა შესახებ“ ახალი კანონი, რომელიც 2022 წლის 1 იანვრიდან ამოქმედდება. შემოთავაზებული ცვლილებები მნიშვნელოვან გავლენას იქონიებს საწარმოთა რეგისტრაციის, სადამფუძნებლო დოკუმენტების, კორპორაციული მართვისა თუ სხვა საკითხების საკანონმდებლო რეგულაციაზე. საწარმოს ხელმძღვანელობასთან მიმართებით, კანონში ასევე მნიშვნელოვნად არის წარმოდგენილი კორპორაციული მართვის თანამედროვე პრინციპები. კანონის ფარგლებში ხდება კაპიტალის ტიპების გამიჯვნა, საქმიანი წერილის ცნების შემოტანა, განიმარტება დირექტორსა და საწარმოს შორის არსებული ურთიერთობის სამართლებრივი ბუნება და ა.შ.

ასევე, შესაძლებელია სხვა ცვლილებები განხორციელდეს მთავრობის პოლიტიკაში, მათ შორის, ცვლილებები შეიძლება შეეხოს ადრე გამოცხადებული სამთავრობო ინიციატივების განხორციელებას. გარდა ამისა, „ასოცირების ხელშეკრულების“ განხორციელება შეიძლება მძიმე ტვირთად დააწვეს მარეგულირებელ ორგანოებს, მოხდეს მათი რესურსების გადახრა მიმდინარე რეფორმებიდან და შეამციროს ამ ორგანოების ეფექტურობა.

ევროკავშირის კანონმდებლობასთან ჰარმონიზაციის მიზნით განხორციელებული საკანონმდებლო ცვლილებების შედეგად, „კომპანია“ შესაძლებელია ვალდებული გახდეს შესაბამისად შეცვალოს

თავისი პოლიტიკა და პროცედურები, რათა შესაბამისობაში იყოს ამგვარი საკანონმდებლო ცვლილებების მოთხოვნებთან. „კომპანია“ ვარაუდობს, რომ ცვლილებები მომავალშიც გაგრძელდება, თუმცა შეუძლებელია იმის პროგნოზირება, თუ რა გავლენას მოახდენს ამგვარი ცვლილებები „კომპანიაზე“ და რამდენად შეძლებს „კომპანია“ დაიცვას ამგვარი ცვლილებებით განსაზღვრული მოთხოვნები.

## **2.8 ახალი „მეწარმეთა შესახებ“. კანონის შესაბამისად, ასევე მომავალმა ან მიმდინარე ცვლილებებმა კანონმდებლობაში შეიძლება უარყოფითი გავლენა იქონიოს ინვესტორების მიერ ამონაგების მიღებაზე**

2022 წელს ძალაში შევიდა განახლებული „მეწარმეთა შესახებ“ კანონი. საქართველოს კანონი „მეწარმეთა შესახებ“ 1994 წელს შემუშავდა, პერიოდული განახლებების მიუხედავად კანონის წესდებების ნაწილი ზოგადი ხასიათის იყო, რის გამოც რიგი საკითხები რეგულირების ჩარჩოს მიღმა რჩებოდა. სწორედ ამიტომ, შემუშავდა ახალი კანონი, რომელიც უზრუნველყოფს კორპორატიული სამართლის პრინციპების ევროკავშირის კანონმდებლობასთან დაახლოებას, და, შესაბამისად როგორც აქციონერთა, ისე კრედიტორთა თუ სხვა ბიზნეს-სუბიექტთა დაცვას.

ახალ კანონში „მეწარმეთა შესახებ“ შევიდა შემდგომი მნიშვნელოვანი ცვლილებები:

- შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება ემსგავსება სააქციო საზოგადოებას, რომელსაც შესაძლებლობა აქვს გამოუშვას როგორც ნომინალური ღირებულების, ისე ნომინალური ღირებულების არმქონე წილები. ამრიგად, შპს ხდება გაცილებით მოქნილი და მას ხელთ კაპიტალის მოსაზიდად კიდევ უფრო მეტი ინსტრუმენტი ექნება.
- კანონი ადგენს ყველა ფორმის სამეწარმეო საზოგადოების ორგანოებთან დაკავშირებულ ზოგად წესებს.
- კანონი დეტალურად აწესრიგებს ხელმძღვანელი ორგანოს წევრთა ისეთ კორპორაციულ მოვალეობებს, როგორიცაა: კეთილსინდისიერების მოვალეობა, კონკურენციის აკრძალვა, საქმიანი შესაძლებლობის მითვისების აკრძალვა და ინტერესთა კონფლიქტის თავიდან აცილების მოვალეობა.
- კანონით დამოუკიდებლად არის მოწესრიგებული საზოგადოების რეორგანიზაციის ისეთი სახეები, როგორიცაა გარდაქმნა, შერწყმა და გაყოფა.
- კანონი ასევე ითვალისწინებს განსაკუთრებულ დაცვას რეორგანიზაციის პროცესში მყოფი საზოგადოების კრედიტორებისთვის და ანიჭებს მათ სამეწარმეო საზოგადოების მიმართ მოთხოვნის უზრუნველყოფის გამოყენების უფლებას, თუკი რეორგანიზაცია საფრთხეს უქმნის მათი მოთხოვნების დაკმაყოფილებას.
- კანონი ადგენს მარეგისტრირებელი ორგანოს ელექტრონული პორტალის, როგორც ერთიანი ელექტრონული სივრცის, ცნებას. ელექტრონული პორტალის მეშვეობით ხდება მარეგისტრირებელ ორგანოში რეგისტრაციის პროცესში წარდგენილი დოკუმენტების გასაჯაროება, კანონით დაკისრებული გამოქვეყნების ვალდებულების შესრულება.
- მარეგისტრირებელი ორგანოს მიერ მეწარმისათვის გაგზავნილი შეტყობინება ჩაბარებულად ჩაითვლება მეწარმის იურიდიულ მისამართზე ჩაბარების მომენტიდან, ან მეწარმის ავტორიზებული მომხმარებლის გვერდზე ელექტრონულად განთავსებიდან მე-15 დღეს.
- პარტნიორთა კრება გადაწყვეტილებაუნარიანია, თუკი მას ესწრება/ესწრებიან ხმების უმრავლესობის მქონე პარტნიორი/პარტნიორები. თუ საერთო კრება გადაწყვეტილებაუნარიანი არ არის, კრების მომწვევს შეუძლია იმავე წესითა და იმავე დღის წესრიგით ხელახლა მოიწვიოს კრება. მეორე კრება გადაწყვეტილებაუნარიანია, მასზე დამსწრე ხმის უფლების მქონე პარტნიორთა რაოდენობის მიუხედავად.
- კანონი განსაზღვრავს პარტნიორთა კრების, სამეთვალყურეო საბჭოსა და დირექტორის გადაწყვეტილებების გასაჩივრების უფლების მქონე სუბიექტებს და ვადებს. კანონი შევიდების

ერთწლიან ვადასთან ერთად ადგენს, რომ ასეთი ვადა არ მოქმედებს, თუ მოხდა გადაწყვეტილების ან ინფორმაციის დამალვა. გადაწყვეტილების შეცვლების შესახებ სარჩელი შეტანილი უნდა იქნეს იმ მომენტიდან 1 თვის ვადაში, როდესაც შეცვლების უფლების მქონე პირმა გაიგო ან უნდა გაეგო ამ გადაწყვეტილების მიღების თაობაზე, მაგრამ არაუგვიანეს გადაწყვეტილების მიღების დღიდან 6 თვისა, ხოლო თუ საერთო კრება კანონის ან წესდების მოთხოვნათა უხეში დარღვევით იქნა მოწვეული ან ჩატარებული – გადაწყვეტილების მიღების დღიდან არაუგვიანეს 1 წლისა. გადაწყვეტილების ან ინფორმაციის დამალვის შემთხვევაში შეცვლების ვადა აითვლება იმ მომენტიდან, როდესაც შეცვლების უფლების მქონე პირისთვის ცნობილი გახდა აღნიშნული გადაწყვეტილების შესახებ. გადაწყვეტილების გასაჩივრების გაშვებული ვადის აღდგენა დაუშვებელია.

- აქციონერის ძირითადი უფლებების წრეში ექცევა საერთო კრებაში მონაწილეობის უფლება, დღის წესრიგის გაცნობის უფლება, დივიდენდის უფლება, აქციათა თავისუფალი განკარგვის უფლება, საზოგადოებისათვის აქციათა სავალდებულო წესით მიყიდვის უფლება და სხვა.

უცნობია როგორ იმუშავენს მეწარმეთა შესახებ კანონში შესული ცვლილებები, „კომპანია“ ვალდებულია შესაბამისად შეცვალოს თავისი პოლიტიკა და პროცედურები, რათა შესაბამისობაში იყოს საკანონმდებლო ცვლილებების მოთხოვნებთან. სავარაუდოა, რომ ცვლილებები მომავალშიც გაგრძელდება და შეუძლებელია იმის პროგნოზირება, თუ რა გავლენას მოახდენს ამგვარი ცვლილებები „კომპანიაზე“ და რამდენად შეძლებს „კომპანია“ დაიცვას ამგვარი ცვლილებებით განსაზღვრული მოთხოვნები. კანონი 2022 წლის 1 იანვრიდან ამოქმედდა და მის ამოქმედებამდე რეგისტრირებული ყველა საწარმო ვალდებულია კანონის ამოქმედებიდან 2 წლის ვადაში უზრუნველყოს სარეგისტრაციო მონაცემების კანონის მოთხოვნებთან შესაბამისობა. წინააღმდეგ შემთხვევაში მარეგისტრირებული ორგანო მეწარმეს სარეგისტრაციო მონაცემების ამ კანონის მოთხოვნებთან შესაბამისობის უზრუნველსაყოფად განუსაზღვრავს დამატებით, 3-თვიან ვადას, რომელიც აითვლება ადრესატისთვის შესაბამისი გადაწყვეტილების ამ კანონის მე-18 მუხლით დადგენილი წესით გაცნობის დღიდან. ხარვეზის აღნიშნულ ვადაში აღმოუფხვრელობის შემთხვევაში შესაბამისი სამეწარმეო საზოგადოებისა და სამეწარმეო საზოგადოების ფილიალის რეგისტრაცია გაუქმებულად მიიჩნევა. სამეწარმეო საზოგადოების ლიკვიდაცია ხორციელდება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მისი რეგისტრაციის გაუქმების შემდეგ გაირკვევა, რომ სამეწარმეო საზოგადოებას დარჩა ქონება. ამ შემთხვევაში სამეწარმეო საზოგადოების პარტნიორის ან კრედიტორის განცხადების საფუძველზე სასამართლო ნიშნავს ლიკვიდატორებს. შესაბამის შემთხვევაში გამოიყენება ამ კანონით სამეწარმეო საზოგადოების ლიკვიდაციისთვის დადგენილი წესები.

## **2.9 გადახდისუუნარობის მარეგულირებელი კანონმდებლობა საქართველოში განვითარების პროცესშია, რამაც შესაძლოა უარყოფითი გავლენა იქონიოს ინვესტორების მიერ ამონაგების მიღებაზე**

საქართველოში საწარმოთა (გარდა კომერციული ბანკების, არასაბანკო სადეპოზიტო დაწესებულების და სადაზღვევო კომპანიების) გადახდისუუნარობის მარეგულირებელ კანონმდებლობაში მნიშვნელოვანი სიახლეა, კერძოდ 2021 წლის 1 აპრილიდან ძალაში შევიდა ახალი კანონი რეაბილიტაციისა და კრედიტორთა კოლექტიური დაკმაყოფილების შესახებ. ახალი კანონით ჩნდება კრიზისში მყოფი საწარმოების ეფექტიანი და ბიზნესის გადარჩენაზე ორიენტირებული რესტრუქტურისაციის ახალი შესაძლებლობები, როგორცაა რეგულირებული შეთანხმება.

კანონის მიზანია კრედიტორთა მოთხოვნების კოლექტიური დაკმაყოფილება რეაბილიტაციის მიღწევის გზით, ხოლო რეაბილიტაციის მიუღწევლობის შემთხვევაში - გადახდისუუნარობის მასის რეალიზაციით მიღებული თანხების განაწილებით. ახალი კანონი ორიენტირებულია მოვალის რეაბილიტაციის ხელშეწყობაზე, გადახდისუუნარობის მასის შენარჩუნება-გაზრდასა და მსგავსი უფლებების მქონე კრედიტორების მიმართ თანაბარ მოპყრობაზე. კანონის შესაბამისად

„ობლიგაციების“ ინვესტორები ჩაითვლებიან არაუზრუნველყოფილ კრედიტორებად, ყოველგვარი პრეფერენციის გარეშე და დაკმაყოფილების მხრივ განთავსდებიან მსგავსი უფლებების მქონე კრედიტორთა რიგში.

გადახდისუუნარობის ახალი სისტემა სიახლეა, ამ ეტაპზე კანონის პრაქტიკაში გამოყენების მწირი პრეცედენტები არსებობს და უცნობია როგორ იმუშავებს იგი.

## **2.10 საქართველოს საგადასახადო სისტემაში არსებულმა გაურკვევლობამ შეიძლება გამოიწვიოს გადასახადების ან ჯარიმების დაკისრება „კომპანიაზე“ და შესაძლებელია ცვლილებები შევიდეს არსებულ საგადასახადო კანონმდებლობასა და პოლიტიკაში.**

საქართველოში პირველი საგადასახადო კოდექსი 1997 წელს იქნა მიღებული, ხოლო ამჟამად მოქმედი საგადასახადო კოდექსი 2010 წელსაა მიღებული და ძალაში 2011 წლის 1 იანვრიდან შევიდა. შედეგად, საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობის აღსრულების გაცილებით უფრო მოკლე გამოცდილება გააჩნია ვიდრე განვითარებული საბაზრო ეკონომიკის მქონე ქვეყნებს, სადაც საგადასახადო კანონმდებლობის პრაქტიკა ათწლეულების და ზოგიერთ შემთხვევაში საუკუნეების განმავლობაში ჩამოყალიბდა. აღნიშნული ფაქტი წარმოშობს გამოწვევებს კომპანიების მიერ საგადასახადო კანონმდებლობის მოთხოვნების დაცვასთან დაკავშირებით, რამდენადაც აღნიშნული მოთხოვნები ხშირად გაუგებარია და არსებობს მათი სხვადასხვანაირი ინტერპრეტაციის შესაძლებლობა. შესაბამისად, კომპანიებისთვის არსებობს იმის რისკი, რომ საგადასახადო კანონმდებლობის მოთხოვნების დასაცავად მათ მიერ განხორციელებულ ქმედებებს საგადასახადო ორგანოები ჩათვლიან არასათანადოდ.

გარდა ამისა, საგადასახადო კანონმდებლობაში შედის ცვლილებები და შესწორებები, რამაც შეიძლება გამოიწვიოს უჩვეულო სირთულეები „კომპანიისა“ და მისი ბიზნესისთვის. ახალი საგადასახადო კოდექსი ძალაში შევიდა 2011 წლის 1 იანვარს. 2017 წლის 1 იანვრიდან ამოქმედდა ე. წ. „ესტონური მოდელი“, რომლის საფუძველზეც საწარმოები გათავისუფლდნენ მოგების გადასახადისგან გარდა იმ შემთხვევისა, როცა ისინი ახორციელებენ დივიდენდის გაცემას. ამასთან, შეიცვალა „დღგ“-ს გადახდასთან დაკავშირებული რეგულაციები, მათ შორის, დამატებული ღირებულების გადასახადით დაბეგვრის ობიექტი გახდა ავანსები (გარდა გრძელვადიანი რეგულარული მომსახურების ფარგლებში გადახდილი ავანსებისა).

2017 წლის 23 დეკემბერს ცვლილებები შევიდა საგადასახადო კანონში, ხოლო, 2018 წლის 1 იანვარს ძალაში შევიდა შესაბამისი ცვლილებები საგადასახადო კანონში საჯარო შეთავაზების გზით ბირჟაზე დაშვებული ფასიანი ქაღალდებიდან მიღებული საპროცენტო შემოსავლის დაბეგვრასთან დაკავშირებით. კერძოდ, საგადასახადო კოდექსის 82-ე მუხლის თანახმად საშემოსავლო გადასახადით დაბეგვრისაგან თავისუფლდება ფიზიკურ პირების მიერ საქართველოს რეზიდენტი იურიდიული პირის მიერ საქართველოში საჯარო შეთავაზების გზით გამოშვებული და სებ-ის მიერ აღიარებულ ორგანიზებულ ბაზარზე სავაჭროდ დაშვებული წილობრივი ფასიანი ქაღალდის მიწოდებით მიღებული შემოსავალი. ამასთან, კოდექსის 99-ე მუხლის თანახმად მოგების გადასახადისგან თავისუფლდება არარეზიდენტის მიერ რეზიდენტი იურიდიული პირის მიერ საქართველოში საჯარო შეთავაზების გზით გამოშვებული და სებ-ის მიერ აღიარებულ ორგანიზებულ ბაზარზე სავაჭროდ დაშვებული წილობრივი ფასიანი ქაღალდის მიწოდებით მიღებული შემოსავალი, რომელიც არ მიეკუთვნება საქართველოში ამ არარეზიდენტის მუდმივ დაწესებულებას.

"ასოცირების ხელშეკრულების" საფუძველზე საქართველომ ასევე აიღო ვალდებულება საგადასახადო კანონმდებლობა დაეხლოვებინა 2006 წლის 28 ნოემბრის საბჭოს 2006/112/EC დირექტივისთვის - დამატებული ღირებულების გადასახადის (დღგ) საერთო სისტემის შესახებ. 2021 წლის 1 იანვრიდან ამოქმედებული ცვლილებები შეეხო დღგ-ს მარეგულირებელ ყველა დებულებას, რის გამოც



საქართველოს საგადასახადო კოდექსის VI კარი (დღგ-ს მარეგულირებელი ძირითადი ნორმები) სრულად ახალი რედაქციით ჩამოყალიბდა. აღსანიშნავია, რომ ფინანსთა სამინისტროს მიერ წლების განმავლობაში შემუშავებული მეთოდური სახელმძღვანელოები და საგადასახადო ინსტრუქციები, რომლებიც, მათ შორის, "კომპანიისთვისაც" წარმოადგენდა ერთგვარ გზამკვლევს, მეტწილად დაკარგავს აქტუალურობას. განხორციელებული საკანონმდებლო ცვლილებების შედეგად, განიმარტა რიგი ტერმინები, რომელთა ზუსტ ინტერპრეტაციას არსებითი მნიშვნელობა აქვს დღგ-ის მიზნებისთვის. ასევე, განისაზღვრა დასაბეგრი ოპერაციის განხორციელების ადგილის განსაზღვრის წესი, დღგ-ით დაბეგვრის დრო კონკრეტული დასაბეგრი ოპერაციების მიხედვით, დღგ-ს საანგარიშო პერიოდი და დეკლარირების წესი და დაკონკრეტდა დღგ-სგან გათავისუფლების შემთხვევები.

სამინისტროებსა და სამთავრობო ორგანოებში, მათ შორის, საგადასახადო ორგანოებში, არსებობს განსხვავებული მოსაზრებები საგადასახადო კოდექსის სხვადასხვა დებულებების ინტერპრეტაციასთან დაკავშირებით, რაც ქმნის გაურკვევლობასა და გაუგებრობას მათ მნიშვნელობასთან დაკავშირებით. თუმცა, საქართველოს საგადასახადო კოდექსი იძლევა საგადასახადო ორგანოებისთვის მიმართვის შესაძლებლობას, გადასახადის გადამხდელების მიერ დაყენებული საგადასახადო საკითხების წინასწარ გადაწყვეტის მიზნით. „კომპანია“ თვლის, რომ ის ამჟამად და წარსულშიც სრულად იცავდა საგადასახადო კანონმდებლობის მოთხოვნებს, თუმცა არსებობს შესაძლებლობა, რომ საგადასახადო ორგანოები განსხვავებულ ინტერპრეტაციას მისცემენ კანონმდებლობის მოთხოვნებს, რამაც შეიძლება გამოიწვიოს „კომპანიაზე“ გადასახადების ან ჯარიმების დაკისრება. არსებობს ასევე იმის რისკი, რომ „კომპანიას“ შესაძლებელია ჯარიმები და საურავები დაეკისროს საგადასახადო შემოწმების შედეგად.

ამასთან, საგადასახადო კანონმდებლობა და მთავრობის საგადასახადო პოლიტიკა შეიძლება შეიცვალოს მომავალში, მათ შორის, მთავრობის ცვლილების შედეგად. ამგვარმა ცვლილებებმა შეიძლება მოიცვას ახალი გადასახადების დაწესება ან გადასახადების გაზრდა „კომპანიის“ ან „კომპანიის“ კლიენტების მიმართ, რამაც შესაძლებელია არსებითად უარყოფითი გავლენა იქონიოს „კომპანიის“ ბიზნესზე.

## **2.11. „კომპანიის“ ოპერირების სფერო არის განვითარებადი მარეგულირებელი კანონმდებლობის ობიექტი.**

ბოლო წლების მანძილზე მოძველებული ავტოპარკი და ავტოსატრანსპორტო საშუალებებთან დაკავშირებული სიტუაცია ხშირად სახელდება ქვეყანაში არსებული ეკოლოგიური მდგომარეობის მთავარ განმაპირობებელ პრობლემად. ამ და სხვა მიზეზების გამო, მთავრობამ უკვე მოახდინა რამდენიმე მნიშვნელოვანი კანონპროექტის ინიციატივა. ბევრი კანონპროექტი განხილვის ან იდენის დონეზეა და იგეგმება მისი მიღება. მაგალითად, 2018 წლის 1 იანვრიდან ეტაპობრივად სავალდებულო გახდა ავტომანქანების ტექდათვალიერების გატარება. ასევე ქ. თბილისის რამდენიმე უბანში შემოღებულ იქნა ტერიტორიაზე პარკირების საათობრივი განაკვეთი, განიხილება ამ უბნების ჩამონათვალის ზრდა და გრადაცია; ავტომობილის მფლობელთათვის მესამე პირის მიმართ პასუხისმგებლობის სავალდებულო დაზღვევა ევროკავშირთან ასოცირების ხელშეკრულების ერთ-ერთი მოთხოვნაა, რომელიც საქართველომ უნდა შეასრულოს. მიუხედავად იმისა, რომ შესაბამისი კანონი ჯერ არ ამოქმედებულა, სავარაუდოა დღის წესრიგში ამ საკითხის მალე გააქტიურება.

მომავალში ახალი რეგულაციების შედეგად შესაძლებელია „კომპანიას“ მოუწიოს დამატებითი საოპერაციო ხარჯების გაწევა ისეთი მიმართულებებით როგორცაა შრომის უსაფრთხოება და გარემოს დაცვა. მომავალში სხვა რეგულაციური ცვლილებების შედეგად დამატებით სხვა დანახარჯების გაწევის საჭიროებაც შეიძლება გაჩნდეს. ამასთან, ახალი რეგულაციების შემოღებამ შესაძლოა შეამციროს იმ მომხმარებლების რაოდენობა, რომლებსაც სურვილი ექნებათ ინვესტიცია განხორციელონ საკუთარ ავტოსატრანსპორტო საშუალებაში.

და ბოლოს, მარეგულირებელი კანონმდებლობა შესაძლებელია შეიცვალოს, რამდენადაც საქართველო, ევროკავშირის ბაზარზე სრული ინტეგრაციის მიზნით, ახორციელებს საკუთარი კანონმდებლობის ჰარმონიზაციას ევროკავშირის კანონმდებლობასთან, „ასოციაციის ხელშეკრულებისა“ და „ევროკავშირთან ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი სავაჭრო სივრცის შესახებ შეთანხმების“ („DCFTA“) საფუძველზე. „კომპანიის“ მენეჯმენტის აზრით, საქართველომ, მსგავსი ჰარმონიზაციის ფარგლებში, მომავალში შესაძლოა მიიღოს ევროკავშირის მოძრაობის უსაფრთხოების და გარემოს დაცვის რეგულაციების ეკვივალენტური რეგულაციები, რამაც შესაძლოა გამოიწვიოს კომპანიის დანახარჯების ზრდა ან მომხმარებლების შემცირება.

## **2.12 ანტიმონოპოლიურმა რეგულაციებმა შესაძლოა უარყოფითი ზეგავლენა მოახდინოს კომპანიის საქმიანობაზე**

საქართველო განვითარებადი ქვეყანაა, ამასთან, ევროკავშირთან გაფორმებული ასოციაციის ხელშეკრულების პირობებში მოსალოდნელია ანტიმონოპოლიური კანონის შემდგომი ცვლილებები. უნდა აღინიშნოს, რომ 2014 წლის მარტში არსებითი ცვლილებები შევიდა საქართველოს კანონში „კონკურენციის შესახებ“ („კანონი კონკურენციის შესახებ“).

2014 წლის აპრილში „კონკურენციის შესახებ“ კანონის საფუძველზე შეიქმნა კონკურენციის სააგენტო. კონკურენციის სააგენტო უფლებამოსილია, მონიტორინგი გაუწიოს კერძო ორგანიზაციების მიერ საქართველოს ანტიმონოპოლიური კანონმდებლობის შესრულებას და აქვს უფლებამოსილება „კონკურენციის შესახებ“ კანონის დარღვევის შემთხვევაში კომპანიებს დააკისროს შესაბამისი ჯარიმები. ანტიმონოპოლიური რეგულაციების ცვლილებამ და სააგენტოს მიერ ამ რეგულაციათა აღსრულების პროცესის არაპროგნოზირებადმა ხასიათმა შეიძლება უარყოფითი გავლენა იქონიოს კომპანიის ბიზნესზე.

## **2.13 თუ მომავალში კომპანია ვერ შეასრულებს ფულის გათეთრებასთან ან ტერორისტთა დაფინანსებასთან დაკავშირებულ რაიმე მოქმედ რეგულაციებს, ან თუ კომპანია მათთან იქნება ასოცირებული, ამან შესაძლოა უარყოფითი ზეგავლენა მოახდინოს კომპანიაზე**

მართალია, კომპანია იცავს მოქმედი კანონმდებლობის ყველა მოთხოვნას, რომელიც მიმართულია იმისაკენ, რომ თავიდან იქნეს აცილებული კომპანიის გამოყენება ფულის გათეთრების ხელშემწყობ საშუალებად, მაგრამ არ არსებობს გარანტია იმისა, რომ ეს ზომები სრულად ეფექტური გამოდგება. თუ მომავალში კომპანია ვერ შეასრულებს დროული ანგარიშგების მოთხოვნებს ან ფულის გათეთრების საწინააღმდეგო სხვა რეგულაციებს, ან თუ იგი ასოცირებული იქნება ფულის გათეთრებასთან ან ტერორისტთა დაფინანსებასთან, ამან შესაძლოა არსებითი უარყოფითი ზეგავლენა მოახდინოს კომპანიაზე. გარდა ამისა, ამგვარ საქმიანობაში მონაწილეობას შეიძლება მოჰყვეს მარეგულირებელი ჯარიმები და სანქციები.

## **2.14 კომპანია ანგარიშვალდებული საწარმოა, შესაბამისად, ექვემდებარება დამატებით რეგულაციების ანგარიშგების/რეპორტირების წარდგენის კუთხით.**

კომპანია „ფასიანი ქაღალდების ბაზრის შესახებ“ საქართველოს კანონით („ფასიანი ქაღალდების ბაზრის შესახებ კანონი“) გათვალისწინებული ანგარიშვალდებული საწარმოა. ფასიანი ქაღალდების შესახებ კანონი აწესებს გარკვეული თანხმობების აღებისა და გამჭვირვალობის მოთხოვნებს ანგარიშვალდებული საწარმოებისთვის და აწესებს ანგარიშგების კონკრეტულ ვალდებულებებს. ანგარიშვალდებული საწარმო ვალდებულია საქართველოს ეროვნულ ბანკს წარუდგინოს, გამოაქვეყნოს ან მისი ფასიანი ქაღალდების რეგისტრირებულ მფლობელებს მიაწოდოს წლიური, ნახევარი წლის და მიმდინარე ანგარიშგები. თუ ობლიგაციები ივაჭრება საქართველოს საფონდო

ბირჟაზე, აღნიშნული ინფორმაცია უნდა გადაეცეს საქართველოს საფონდო ბირჟასაც. საქართველოს ეროვნული ბანკი უფლებამოსილია ანგარიშვალდებულ საწარმოს მოსთხოვოს დამატებითი ინფორმაცია.

ეროვნული ბანკის პრეზიდენტის N181/04 ბრძანებით დადგენილი ანგარიშგების წარდგენის ვადის დარღვევის და 2022 წლის ნახევარწლიური ანგარიშგების დროულად არ გამჟღავნების საფუძველზე საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ კომპანიას დაეკისრა ჯარიმა. კომპანია გეგმავს, რომ შუალედურ ანგარიშგებას წარადგენს 2022 წლის აუდირებული ანგარიშგებასთან ერთად კანონით დადგენილ ვადაში 2023 წლის 15 მაისისათვის. დამატებით ინფორმაცია მოცემულია პროსპექტის „ანგარიშვალდებულ საწარმოს დაკავშირებული მოთხოვნების“ თავთან.

დაინტერესებულ პირებთან გარიგებების დამტკიცების და ანგარიშგების მოთხოვნები კომპანიისათვის გახდება დამატებითი ტვირთი და შესაძლოა გავლენა იქონიოს მისი საქმიანობის ეფექტურობაზე. ამასთან, გარკვეულ შემთხვევებში, შესაბამისი თანხმობის არარსებობამ შეიძლება გამოიწვიოს გარიგების გაუქმება.

## **2.15 კომპანია ვალდებულია საქმიანობა შეუსაბამოს მომხმარებლის უფლებების დაცვის შესახებ ახალ კანონს**

2022 წელს ძალაში შევიდა „მომხმარებლის უფლებების დაცვის შესახებ“ კანონი, რომლითაც განისაზღვრა მომხმარებელსა და საქონლის მიმწოდებელს შორის ურთიერთობის მარეგულირებელი ახალი წესები და პირობები:

- მყიდველს ძალაში შევიდა „მომხმარებლის უფლებების დაცვის შესახებ“ კანონი, რომლითაც განისაზღვრა მომხმარებელსა და საქონლის მიმწოდებელს შორის ურთიერთობის მარეგულირებელი ახალი წესები და პირობები

მაკონტროლებელ ორგანოდ განისაზღვრა კონკურენციის სააგენტო, რომელიც 2022 წლის პირველი ნოემბრიდან იწყებს კანონის აღსრულების კონტროლს.

დარღვევის აღმოჩენის შემთხვევაში, ბიზნეს-სუბიექტებს ჯერ გააფრთხილებენ, შემდეგი ნაბიჯი კი ჯარიმაა, რომლის ოდენობა არ უნდა აღემატებოდეს კომპანიის წინა ფინანსური წლის ბრუნვის 2%-ს. აღსანიშნავია, რომ ჯარიმის ოდენობის განსაზღვრისას გათვალისწინებული უნდა იყოს დარღვევის სიმძიმე.

## **3. მოკლე ინფორმაცია იმ მატერიალური რისკების შესახებ რომლებიც სპეციფიურია შესათავაზებელი ფასიანი ქაღალდებისთვის**

### **3.1 „ობლიგაციები“ წარმოადგენს pari passu ფასიან ქაღალდებს.**

„ობლიგაციების პირობებში“ მითითებული ფინანსური შეზღუდვების გათვალისწინებით, „კომპანიამ“ დამატებით შეიძლება გამოუშვას ფასიანი ქაღალდები, რომლებიც რიგითობით გაუთანაბრდება „ობლიგაციებს“. ნებისმიერმა ამგვარმა ფასიანი ქაღალდების გამოშვებამ შესაძლებელია შეამციროს იმ თანხის ოდენობა, რომელიც ინვესტორებმა შესაძლებელია ამოიღონ „ობლიგაციებთან“ დაკავშირებით, რამდენადაც დამატებითი ვალის წარმოშობამ შეიძლება გავლენა მოახდინოს „კომპანიის“ შესაძლებლობაზე დაფაროს „ობლიგაციების“ ძირი თანხა და დარიცხული პროცენტი. აღნიშნულმა შესაძლებელია არსებითად უარყოფითი გავლენა იქონიოს „ობლიგაციების“ მეორადი გაყიდვის ფასზე.

### **3.2 კომპანიის ან შესაბამისი გარანტორების გადახდისუუნარობის შემთხვევაში, ობლიგაციები ჩაითვლება არაუზრუნველყოფილ ვალდებულებებად**

„ობლიგაციები“ წარმოადგენს „კომპანიის“ სოლიდარული თავდებობით უზრუნველყოფილ ვალდებულებებს, რომლებიც რიგითობით უთანაბრდება ერთმანეთს (pari passu) და „კომპანიის“ ყველა სხვა თავდებობით უზრუნველყოფილ და არასუბორდინირებულ ვალდებულებას. აქედან გამომდინარე, „კომპანიისთვის“ „ობლიგაციებთან“ დაკავშირებული ნებისმიერი სახის მოთხოვნა არ იქნება უზრუნველყოფილი „კომპანიის“ უძრავი ან მოძრავი აქტივებით. მიუხედავად იმისა, რომ ობლიგაციები უზრუნველყოფილია გარანტორების მიერ გაცემული სოლიდარული თავდებობით და აღნიშნული უფლებას აძლევს ობლიგაციონერებს მოითხოვონ დაკმაყოფილება შესაბამისი გარანტორებისგან, ამ ემისიის პროსპექტით და შესაბამისი თავდებობის ხელშეკრულებით გათვალისწინებული წესით, მოქმედი კანონმდებლობით, კერძოდ, „რეაბილიტაციის და კრედიტორთა კოლექტიური დაკმაყოფილების შესახებ“ საქართველოს კანონის მიხედვით, უზრუნველყოფილ კრედიტორად ითვლებიან, კრედიტორები, რომელთა მოთხოვნაც საქართველოს სამოქალაქო კოდექსით დადგენილი წესით უზრუნველყოფილია იპოთეკით ან გირავნობით. შესაბამისად, თავდებობის ხელშეკრულების არსებობა არ ანიჭებს „ობლიგაციონერებს“ უზრუნველყოფილი კრედიტორის სტატუსს და „კომპანიის“ გადახდისუუნარობის შემთხვევაში, ისინი დაკმაყოფილდებიან მასიდან, როგორც არაუზრუნველყოფილი კრედიტორები. რაც ნიშნავს იმას, რომ უზრუნველყოფილ კრედიტორებს (კრედიტორებს, ვისი მოთხოვნაც „კომპანიის“ აქტივების იპოთეკით ან გირავნობით არის უზრუნველყოფილი) ენიჭება უპირატესობა არაუზრუნველყოფილი კრედიტორების მიმართ - უზრუნველყოფილი კრედიტორების სასარგებლოდ დადებული უზრუნველყოფის საშუალებასთან მიმართებით. შესაბამისად, ობლიგაციებთან დაკავშირებით კომპანიისთვის ან რომელიმე გარანტორისთვის წაყენებული ნებისმიერი მოთხოვნა არ ჩაითვლება უზრუნველყოფილ მოთხოვნად და დაკმაყოფილდება უზრუნველყოფილი კრედიტორების შემდგომ. კომპანიის ან შესაბამისი გარანტორების უნარი, დააკმაყოფილოს მსგავსი მოთხოვნები დამოკიდებული იქნება, სხვა ფაქტორებთან ერთად, მათ ლიკვიდურობაზე, ზოგად ფინანსურ სიძლიერესა და აქტივების მოზიდვის შესაძლებლობაზე.

### **3.3 არსებობს „ობლიგაციების“ ძირის და პროცენტის დაფარვის რისკი.**

არსებობს რისკი, რომ სხვადასხვა მიზეზების გამო, „კომპანიამ“ ვერ მოახერხოს პროსპექტით განსაზღვრული ობლიგაციის პროცენტების და/ან ძირის დაფარვა დროულად, მათი გადახდის ვალდებულების დადგომისთანავე ან ვერ დაფაროს საერთოდ.

### **3.4 შესაძლებელია მოხდეს ობლიგაციის საპროცენტო განაკვეთის ცვლილება**

ობლიგაციის საპროცენტო განაკვეთი არა ფიქსირებული, არამედ ცვალებადია. როგორც ობლიგაციის პირობებშია გათვალისწინებული, საბოლოო საპროცენტო განაკვეთი დამოკიდებულია ეროვნული ბანკის მონეტარული (რეფინანსირების) პოლიტიკის დონეზე. აღნიშნული საპროცენტო განაკვეთი შესაძლოა შეიცვალოს (ან გაიზარდოს, ან შემცირდეს) ინფლაციის, მოლოდინების, საქართველოს საკრედიტო რეიტინგის და სხვა საბაზრო პირობებიდან გამომდინარე. ობლიგაციაში ინვესტირება მოიცავს იმ რისკს, რომ შემდგომმა ცვლილებებმა ბაზარზე შესაძლოა მნიშვნელოვანი გავლენა მოახდინოს ობლიგაციების ღირებულებასა და გასაყიდ ფასზე.

### **3.5 შესაძლებელია მოხდეს ობლიგაციების ვადამდე განაღდება (დაფარვა) ან გამოსყიდვა.**

პროსპექტში განსაზღვრული პირობების შესაბამისად, კომპანიას უფლება აქვს, განახორციელოს ობლიგაციების ვადამდელი განაღდება (დაფარვა) ან გამოსყიდვა სრულად (ან ნაწილობრივ) „ობლიგაციების“ განთავსებიდან ორი წლის შემდეგ ნებისმიერ დროს და ასეთ შემთხვევაში ობლიგაციების მფლობელი ვალდებული იქნება ობლიგაციები კომპანიას 102%-ით მიჰყიდოს. ვადაზე ადრე გამოსყიდვის ოფციის გამოყენების შემთხვევაში, კომპანია დამატებით აუნაზღაურებს ობლიგაციების მფლობელებს სავალუტო კურსის რისკის ჰეჯირების გაუქმების ღირებულების ნაწილს,

რომელიც აღემატება ობლიგაციების მფლობელის საკუთრებაში არსებული ობლიგაციების ნომინალური ღირებულების 2%-ს.

დეტალური ინფორმაცია ობლიგაციების ვადამდე დაფარვის ან გამოსყიდვის შესახებ შეგიძლიათ იხილოთ: „ფასიანი ქაღალდების მიმოხილვა“-ქვეთავი 2.6.4. „ობლიგაციების ვადაზე ადრე გამოსყიდვის და მიყიდვის ოფციები“.

### **3.6 ობლიგაციებისთვის შესაძლოა არ არსებობდეს აქტიური სავაჭრო ბაზარი**

არ არსებობს იმის გარანტია, რომ ობლიგაციების აქტიური სავაჭრო ბაზარი განვითარდება. არც იმის გარანტია არსებობს, რომ განვითარების შემთხვევაში ამგვარი ბაზარი შენარჩუნდება. თუ ობლიგაციების აქტიური სავაჭრო ბაზარი არ განვითარდება ან განვითარდება და არ შენარჩუნდება, ამან შესაძლოა არსებითად უარყოფითად იმოქმედოს ობლიგაციების ბაზარზე ან სავაჭრო ფასსა და ლიკვიდურობაზე ბევრი ფაქტორის გამო, რომელთა გარკვეული ნაწილი შესაძლოა არ ექვემდებარებოდეს კომპანიის კონტროლს. თუ ობლიგაციებით ვაჭრობა მათი პირველადი გამოშვების შემდეგ ხდება, შესაძლოა ისინი გაიყიდოს შეთავაზების ფასთან შედარებით დისკონტირებულ ფასად იმ მომენტისათვის არსებული საპროცენტო განაკვეთის, მსგავსი ობლიგაციების ბაზრის, ზოგადი ეკონომიკური პირობებისა და კომპანიის ფინანსური მდგომარეობის გათვალისწინებით.

მიუხედავად იმისა, რომ უცხოური ვალუტით დენომინირებული ობლიგაციების სეგმენტის მეორადი ბაზრის მაჩვენებელი ლარით დენომინირებულს მნიშვნელოვნად აჭარბებს, აქტიური სავაჭრო ბაზარი ობლიგაციებით სავაჭროდ შესაძლოა არ არსებობდეს, მითუმეტეს ისეთ განვითარებად ეკონომიკებში როგორც საქართველოა. 2021 წლის განმავლობაში, არაერთი გაუთვალისწინებელი გარემოების გათვალისწინებით, მეორადი ბაზრის აქტივობის მაჩვენებელი 16%-მდეა გაზრდილი წინა წლის 8%-თან შედარებით (წლის განმავლობაში მეორადი ბაზრის გარიგებების მოცულობის ფასიანი ქაღალდების საშუალო წლიურ ნაშთებთან შეფარდება). მიუხედავად 8 პროცენტული პუნქტის ზრდისა, 2021 წლის მაჩვენებელი მაინც ჩამორჩება პანდემიამდელი პერიოდის, კერძოდ 2019 წლის 25%-იან მაჩვენებელს.

### **3.7 „ობლიგაციების“ სავაჭრო ფასი, ლიკვიდურობა და სარგებელი შეიძლება იყოს ცვალებადი.**

„ობლიგაციების“ ბაზარზე გავლენას მოახდენს საქართველოში არსებული ეკონომიკური და საბაზრო პირობები და ასევე, სხვადასხვა ხარისხით, საპროცენტო განაკვეთები, ვალუტის გაცვლითი კურსები და ინფლაციის მაჩვენებლები სხვა ქვეყნებში (შეერთებული შტატები, ევროკავშირის წევრი ქვეყნები და სხვ.). არ არსებობს იმის გარანტია, რომ საქართველოში განვითარდება „ობლიგაციების“ აქტიური სავაჭრო ბაზარი ან, თუ განვითარდა, საქართველოში ან სხვაგან მომხდარი მოვლენები არ გამოიწვევს ბაზრის ცვალებადობას ან ამგვარი ცვალებადობა არსებითად უარყოფით გავლენას არ იქონიებს „ობლიგაციების“ ფასზე ან ლიკვიდურობაზე ან ეკონომიკურ და საბაზრო პირობებს არ ექნებათ სხვაგვარი უარყოფითი ეფექტი. თუ „ობლიგაციები“ მეორად ბაზარზე გაიყიდება, ვაჭრობა შეიძლება განხორციელდეს იმაზე ნაკლებ ფასად, ვიდრე მათი პირველადი შეთავაზების ფასია; აღნიშნული დამოკიდებულია არსებულ საპროცენტო განაკვეთებზე, მსგავსი ფასიანი ქაღალდების ბაზარზე, ზოგად ეკონომიკურ პირობებზე, „კომპანიის“ ფინანსურ მდგომარეობასა და სხვა ფაქტორებზე. ნებისმიერმა მსგავსმა ცვალებადობამ შესაძლებელია არსებითად უარყოფითი გავლენა იქონიოს „კომპანიის“ ბიზნესზე, ფინანსურ მდგომარეობაზე, ოპერაციების შედეგებსა და პერსპექტივებზე, და ასევე „ობლიგაციების“ სავაჭრო ფასზე.

### **3.8 საკრედიტო ხელშეკრულებითა და ობლიგაციების პირობებით გათვალისწინებული გარკვეული ფინანსური დათქმები შეიძლება არ შესრულდეს**

„კომპანია“ ან მისმა შვილობილმა შეიძლება ვერ უზრუნველყოს საკრედიტო ხელშეკრულებით ან ემისიის პროსპექტით გათვალისწინებული ფინანსური ან არა-ფინანსური დათქმების შესრულება. ამასთან, არ არსებობს იმის გარანტია, რომ „კომპანია“ შეძლებს დასტურის წერილების მიღებას შესაბამისი მხარეებისგან, და რომ სს „გალტ ენდ თაგარტი“ ან სხვა კრედიტორები არ ამოქმედებენ სასესხო ხელშეკრულების და ობლიგაციების „პროსპექტის“ ფარგლებში გათვალისწინებულ სანქციებს, რაც შესაძლოა გამოიხატოს ახალი დაკრედიტების გაცემაზე უარის თქმაში, ჯარიმებისა და საურავების დარიცხვაში, არსებული საკრედიტო დავალიანებების დაუყოვნებლივ გადახდის მოთხოვნაში და სხვა. აღნიშნული სანქციების ამოქმედებამ შესაძლოა არსებითად უარყოფითი გავლენა იქონიოს „კომპანიის“ ფინანსურ მდგომარეობასა და საოპერაციო საქმიანობაზე.

### **3.9 ობლიგაციების არსებული ფინანსური შეზღუდვები შესაძლოა საკმარისი არ აღმოჩნდეს და ვერ დაიცვას ინვესტორები.**

არსებული ფინანსური დათქმები და შემზღუდავი პირობები შეიძლება არ აღმოჩნდეს საკმარისი იმისათვის, რომ ობლიგაციებში ინვესტიციები დაცული იყოს და შედეგად, ინვესტორებმა შეიძლება საერთოდ ვერ მიიღონ ან მიიღონ იმაზე ნაკლები ძირი თანხა ან პროცენტი, რასაც მოელოდნენ. ინფორმაცია ობლიგაციების ფინანსურ შეზღუდვებთან დაკავშირებით შეგიძლიათ იხილოთ მე-4 დანართის 2.7 თავში.

### **3.10 „ობლიგაციები“ ხასიათდება გაცვლით კურსთან დაკავშირებული რისკებით.**

კომპანია ობლიგაციების ძირ თანხას და პროცენტს გადაიხდის ლარში. ეს წარმოშობს ვალუტის კონვერტაციასთან დაკავშირებულ რისკებს, თუ ინვესტორის ფინანსური საქმიანობა ძირითადად დენომინირებულია ლარის გარდა სხვა ვალუტაში (ინვესტორის ვალუტა). აღნიშნული მოიცავს გაცვლითი კურსების მკვეთრი ცვლილების რისკს ლარის გაუფასურების ან ინვესტორის ვალუტის რევალვაციის ჩათვლით) და რისკს, რომ ინვესტორის ვალუტაზე შესაბამისი კომპეტენციის მქონე ორგანოებმა დააწესონ ან შეცვალონ სავალუტო კონტროლის მექანიზმები ინვესტორის ვალუტის მიმართ. ინვესტორის ვალუტის ღირებულების ზრდა ლართან მიმართებაში შეამცირებს (ა) ობლიგაციის განაკვეთს ინვესტორის ვალუტაში; (ბ) ობლიგაციის ძირ თანხას ინვესტორის ვალუტაში; (გ) ობლიგაციების საბაზრო ღირებულება ინვესტორის ვალუტაში. მთავრობებმა და შესაბამისი კომპეტენციის მქონე ავტორიტეტებმა შესაძლოა დააწესონ (როგორც აღვნიშნეთ) გაცვლით კურსზე კონტროლი, რამაც შესაძლოა გამოიწვიოს არასასურველი შედეგი. შესაბამისად, ინვესტორებმა შესაძლოა ვერ მიიღონ ან მიიღონ იმაზე ნაკლები ძირი თანხა ან პროცენტი, ვიდრე ელოდნენ. აღნიშნულმა შესაძლოა ნეგატიური იმოქმედოს ობლიგაციების გადასაყიდ ფასზე.

### **3.11 არსებობს პოტენციური კონფლიქტის რისკი „კომპანიასა“ და განთავსების აგენტს შორის, ისევე როგორც განთავსების აგენტსა და სს „თიბისი ბანკს“ შორის“**

წინამდებარე შეთავაზების მიზნებისთვის განთავსების აგენტია „თიბისი კაპიტალი“, რომელიც ასევე იქნება გადახდისა და კალკულაციის აგენტი. იმავდროულად, არსებობს იმის ალბათობა, რომ „ობლიგაციების“ ნაწილის შემძენი იქნება სს „თიბისი ბანკი“, რომელიც საქართველოში მოქმედი ერთ-ერთი მსხვილი კომერციული ბანკია და აფილირებულია განთავსების აგენტთან (განთავსების აგენტი სს „თიბისი ბანკის“ შვილობილია). ჩამოთვლილმა გარემოებებმა შესაძლოა წარმოშვას ინტერესთა კონფლიქტი, ერთის მხრივ, განთავსების აგენტსა და კომპანიას, ხოლო მეორეს მხრივ, განთავსების აგენტსა და სს „თიბისი ბანკს“ შორის. თუმცა, „ემიტენტს“ მიაჩნია, რომ შესაძლო ინტერესთა კონფლიქტი მინიმუმამდეა დაყვანილი შემდგომი გარემოებების გათვალისწინებით:

(ა) სრულიად დაყოფილია და არ არსებობს პირდაპირი კავშირი „თიბისი კაპიტალსა“ და მასთან დაკავშირებული ბანკის მენეჯმენტს შორის, „თიბისი კაპიტალი“ პირდაპირ არ ექვემდებარება ბანკის მენეჯმენტს. ბანკს არ აქვს განთავსების აგენტის ყოველდღიურ საქმიანობაში ჩარევის ბერკეტები. შესაბამისად, განთავსების აგენტი მას მოექცევა როგორც ერთ-ერთ ინვესტორს, თანასწორობის და თანაბარუფლებიანობის საწყისებზე;

(ბ) მიუხედავად იმისა, რომ პირველ ეტაპზე განთავსების აგენტი წარმოადგენს „ობლიგაციების“ ნომინალურ მფლობელს, „ობლიგაციონერებს“ უფლება აქვთ შეწყვიტონ შესაბამისი ურთიერთობა განთავსების აგენტთან და „ობლიგაციებს“ ფლობდნენ სხვა ნომინალური მფლობელის ან პირდაპირ რეგისტრატორის მეშვეობით; და

(გ) როგორც „ემიტენტსა“ და „თიბისი კაპიტალს“ შორის არსებული ხელშეკრულებები, ასევე წინამდებარე ემისიის „პროსპექტი“ ითვალისწინებს გადახდისა და კალკულაციის აგენტის შეცვლის შესაძლებლობას.

გარდა ზემოაღნიშნულისა, არსებობს არსებითი ინტერესთა კონფლიქტი კომპანიასა და „თიბისი ბანკს“ შორის, ვინაიდან „თიბისი ბანკი“ წარმოადგენს კომპანიის მომსახურე ბანკს და მას შესაძლოა ობლიგაციებისაგან დამოუკიდებელი, თვითმყოფადი ინტერესი ჰქონდეს ემისიის მიმართ. ამან კი, ერთის მხრივ, შესაძლოა გამოიწვიოს ის, რომ ბანკმა რისკი მთლიანად კაპიტალის ბაზრის ტრანზაქციაზე გადაიტანოს, ხოლო მეორეს მხრივ, გავლენა იქონიოს ბანკის, როგორც ობლიგაციების ერთ-ერთი მფლობელის მიერ მისაღებ გადაწყვეტილებებზე. ეს უკანასკნელი გულისხმობს, რომ სს თიბისი ბანკს შესაძლოა ჰქონდეს საკრედიტო პროდუქტებთან დაკავშირებული პროცენტი. შესაბამისად, თუ ბანკის, როგორც ცალკეული საფინანსო ინსტიტუტის ინტერესები ეწინააღმდეგება ობლიგაციების მფლობელთა ინტერესებს, სს თიბისი ბანკს შეუძლია მიიღოს გადაწყვეტილება საბანკო საქმიანობის სასარგებლოდ და არ გაითვალისწინოს კონკრეტული ობლიგაციების მფლობელის ინტერესები. ეს შეიძლება, სხვა საკითხებთან ერთად, მოიცავდეს უსაფრთხოების სხვადასხვა ზომების განხორციელებას, რამაც საბოლოოდ შეიძლება უარყოფითი გავლენა მოახდინოს კომპანიის საქმიანობაზე.

### **3.12 არსებობს „ობლიგაციებში“ ინვესტიციის კანონიერების დადგენის რისკი.**

ინვესტორებმა კონსულტაცია უნდა გაიარონ მათ სამართლებრივ მრჩეველებთან იმის განსასაზღვრად, თუ რამდენად და რა ფარგლებში წარმოადგენენ „ობლიგაციები“ კანონიერ ინვესტიციას ამგვარი ინვესტორებისთვის და რამდენად და რა ფარგლებში არის შესაძლებელი „ობლიგაციები“ გამოყენებულ იქნას სხვადასხვა ტიპის სესხის უზრუნველყოფის საგნად. გარდა ამისა, ფინანსურმა ინსტიტუტებმა კონსულტაცია უნდა გაიარონ მათ სამართლებრივ მრჩეველებთან ან მარეგულირებლებთან, რათა განსაზღვრონ „ობლიგაციებთან“ სათანადო მოპყრობის რეჟიმი, რისკზე-დაფუძნებული კაპიტალის ან მსგავსი წესების საფუძველზე.

ინვესტორებს, რომელთა საინვესტიციო საქმიანობა არის საინვესტიციო კანონმდებლობის ან გარკვეული ორგანოების მიერ შემუშავებული რეგულაციების საგანი, შესაძლებელია შეზღუდული ჰქონდეთ ინვესტიციების განხორციელება ზოგიერთი ტიპის სავალ ფასიან ქაღალდებში, მათ შორის, „ობლიგაციებში“. ინვესტორებმა უნდა შეისწავლონ და გაანალიზონ მსგავსი შეზღუდვები „ობლიგაციებში“ ინვესტიციის განხორციელებამდე.

### **3.13 ინვესტორები უნდა დაეყრდნონ „რეგისტრატორის“ და შესაბამის შემთხვევებში - „ობლიგაციების ნომინალური მფლობელის“ პროცედურებს.**

„კომპანია“ „ობლიგაციების“ მფლობელებისთვის შესაბამისი თანხების გადახდის ვალდებულებას შეასრულებს „ნომინალური მფლობელის“ ან „გადახდის და კალკულაციის აგენტის“ მეშვეობით. „ობლიგაციების“ მფლობელი ვალდებულია დაეყრდნოს „რეგისტრატორის“, „ნომინალური მფლობელის“ ან „გადახდის და კალკულაციის აგენტის“ პროცედურებს და ამ გზით მიიღოს შესაბამისი თანხები. „კომპანიას“ არ ეკისრება პასუხისმგებლობა ამგვარი პირების ჩანაწერების სისწორესა თუ სისრულეზე.

**3.14 „ობლიგაციების“ პირობები შესაძლოა შეიცვალოს ან გაუქმდეს ან შესაძლოა „ობლიგაციების“ მფლობელთა უმრავლესობამ უარი თქვას ამა თუ იმ დარღვევის გამო დეფოლტის გამოცხადებაზე.**

„ობლიგაციების“ პირობები შეიცავს დათქმას „ობლიგაციების“ მფლობელთა კრების მოწვევის თაობაზე იმ საკითხების განხილვის მიზნით, რამაც შესაძლოა გავლენა იქონიოს მათ ინტერესებზე. აღნიშნული პირობები განსაზღვრულ უმრავლესობას უფლებას ანიჭებს ხმა მისცეს და მიიღოს გადაწყვეტილება „ობლიგაციების“ პირობების შეცვლის ან გაუქმების თაობაზე. ასეთ შემთხვევაში, „ობლიგაციების“ უმცირესობაში აღმოჩენილი მფლობელები ვალდებული იქნებიან დაეთანხმონ და იმოქმედონ უმრავლესობის მიერ მიღებული გადაწყვეტილების შესაბამისად.

**3.15 სოლიდარულ თავდებობასთან დაკავშირებულია სხვადასხვა რისკი, მათ შორის უზრუნველყოფის გაფორმებასა და ობლიგაციების გადაცემასთან დაკავშირებული რისკები**

ობლიგაციები უზრუნველყოფილია გარანტორების მიერ გაცემული სოლიდარული თავდებობით, რომლის საფუძველზეც გარანტორებს წარმოეშობათ ობლიგაციონერების ყველა ვადამოსული და გადაუხდელი ვალდებულების დაკმაყოფილების ვალდებულება სოლიდარულად, ამ პროსპექტით და შესაბამისი ხელშეკრულებებით გათვალისწინებული პირობების შესაბამისად. საქართველოს კანონმდებლობაში არ არსებობს სოლიდარული თავდებობით უზრუნველყოფილი ობლიგაციების შესაბამისი მარეგულირებელი ჩარჩო და აღნიშნულთან მიმართებით, მოთხოვნები მაქსიმალურად განსაზღვრულია ამ პროსპექტითა და შესაბამისი სახელშეკრულებო პირობებით. ამის მიუხედავად, უზრუნველყოფების გაფორმება და ობლიგაციების გადაცემა შესაძლოა შეფერხდეს დადგენილი პროცესების ნაკლებად მოქნილი ფორმატის, გარიგების მონაწილე თუ სხვა არსებული ინვესტორების მხრიდან სათანადო ქმედებების განხორციელების თუ სხვა ფაქტორების გათვალისწინებით.



## სარეგისტრაციო დოკუმენტი

### 1. პასუხისმგებელი პირები

1.1. ყველა პირი, რომელიც პასუხისმგებელია აღნიშნული დოკუმენტის ან მისი რომელიმე ნაწილის შინაარსზე.

ბატონი ვახტანგ კაჭარავა - აღმასრულებელი და ფინანსური დირექტორი

ბატონი თემურ კოხოძე - სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარე

1.2. დოკუმენტის შედგენაზე პასუხისმგებელი პირების მიერ გაკეთებული განაცხადი ინფორმაციის სისრულეზე.

ჩვენ, ვახტანგ კაჭარავა და თემურ კოხოძე ვმოქმედებთ-რა როგორც წინამდებარე ემისიის პროსპექტის შედგენაზე პასუხისმგებელი პირები, ჩვენი ხელმოწერით ვადასტურებთ, რომ პროსპექტში წარმოდგენილ ინფორმაციაში შესულია ჩვენთვის ცნობილი ყველა არსებითი ფაქტი და ადგილი არ ჰქონია ისეთი ინფორმაციის გამოტოვებას, რაც გავლენას მოახდენდა პროსპექტის შინაარსზე:

1.3. ემიტენტის აუდიტორის შესახებ ინფორმაცია.

„კომპანიის“ 2020-2021 წლების წლის ფასს სტანდარტების მიხედვით მომზადებული ფინანსური ანგარიშგებების შესახებ აუდიტი განახორციელა შპს „იუაი საქართველო“-მ. საუკეთესო პრაქტიკასთან შესაბამისად „კომპანია“ პერიოდულად ახორციელებს აუდიტის ტენდერს და აუდიტორების როტაციას.

| აუდიტის წელი | სარეგისტრაციო ნომერი | საიდენტი-ფიკაციო ნომერი | სახელწოდება         | იურიდიული მისამართი                                      | საკონტაქტო ნომერი  |
|--------------|----------------------|-------------------------|---------------------|--|--------------------|
| 2020-2021    | SARAS-F-855308       | 204441158               | შპს იუაი საქართველო | 0105, თბილისი, ძველი თბილისის რაიონი, კოტე აფხაზის ქ. 44 | +995 32 2 15 88 11 |

1.4. რეგისტრაციის დოკუმენტში გამოყენებული ნებისმიერი მესამე პირის ან ექსპერტის შესახებ ინფორმაცია.

მეორე მხარის მოსაზრების მომწოდებელი/ გარე დამადასტურებელი პირი: Sustainalytics. Morningstar Company, დადასტურებული ვერიფიკატორი Climate Bonds Initiative-ის ფარგლებში. (<https://www.climatebonds.net/certification/approved-verifiers> , ყველაზე დიდი გარე მიმოხილვის მომწოდებელი 2020 წლის მონაცემებით). ვებ-გვერდი: [www.sustainalytics.com](http://www.sustainalytics.com); ელ.ფოსტა: [contact@sustainalytics.com](mailto:contact@sustainalytics.com) .

1.5. მესამე მხარის მიერ მოწოდებული ინფორმაციის შესახებ ინფორმაცია.

ინდუსტრიის და რისკების მიმოხილვაში გამოყენებულია შპს „თიბისი კაპიტალი“ ([www.tbccapital.ge](http://www.tbccapital.ge) ), საქართველოს ეროვნული ბანკის ([www.nbg.gov.ge](http://www.nbg.gov.ge)), საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის ([www.geostat.ge](http://www.geostat.ge)), საქართველოს ფინანსთა სამინისტროს ([www.mof.ge](http://www.mof.ge)), საქართველოს

შინაგან საქმეთა სამინისტრო ([www.police.ge](http://www.police.ge)) , სს „გალტ ენდ თაგარტი“ ([www.gt.ge](http://www.gt.ge)) ვებ-გვერდებზე მოძიებული კვლევები და ინფორმაცია, [www.worldometers.info](http://www.worldometers.info) .

რამდენადაც ემიტენტისთვის ცნობილია, ამ ინფორმაციიდან არ არის გამოტოვებული მნიშვნელოვანი ფაქტები, რაც ინფორმაციას გახდიდა არაზუსტსა და შეცდომაში შემყვანს.

## 2. ინფორმაცია ემიტენტის შესახებ

### 2.1. ემიტენტის იურიდიული და კომერციული დასახელება

„კომპანიის“ იურიდიული და კომერციული დასახელება არის შპს „თეგეტა მოტორსი“

### 2.2. ემიტენტის სამართლებრივი ფორმა, საიდენტიფიკაციო კოდი, რეგისტრაციის ქვეყანა, კანონმდებლობა, საკონტაქტო ინფორმაცია

შპს „თეგეტა მოტორსი“ (საიდენტიფიკაციო კოდი: 202177205)

მისამართი: საქართველო, თბილისი, საბურთალოს რაიონი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, N 129

რეგისტრაციის ქვეყანა: საქართველო

კანონმდებლობა: საქართველო

ელ. ფოსტა: [ir@tegetamotors.ge](mailto:ir@tegetamotors.ge)

ტელ.: +995 32 224 44 44

### 2.3. დაარსების თარიღი და საქმიანობის ისტორია.

„თეგეტა მოტორსი“ დაარსდა 2001 წელს და შეიქმნა ორი კომპანიის, შპს „ავტოექსპორტისა“ და „თეგეტა მოტორსის“ ბაზაზე. შპს „ავტოექსპორტი“ დაარსდა 1996 წელს. მისი დამფუძნებლები იყვნენ თემურ კობოძე (60%) და ნანა რუსიშვილი (40%). „კომპანია“ შვიდი წელი ახდენდა სატვირთო და მსუბუქი მანქანების საბურავების იმპორტს. პროდუქციის მოწოდება ხორციელდებოდა რუსეთიდან, უკრაინიდან და იაპონიიდან. „კომპანია“ ყოველ წელს ზრდიდა საბურავების ასორტიმენტს დაპროდუქციამ მალევე მოიპოვა პოპულარობა, რის შედეგადაც დაიწყო მრავალწლიანი გაფართოვების პროცესი.

დღეს „კომპანიაში“ დასაქმებულია 2,300 ადამიანზე მეტი. იგი ემსახურება 35,000-ზე მეტ კორპორაციულ კლიენტს და 4,000-ზე მეტ საბითუმო ობიექტს, გამოირჩევა დახვეწილი სავაჭრო ინფრასტრუქტურით და აერთიანებს 29 ფილიალს, რომლებიც თბილისში და საქართველოს დიდ ქალაქებში მდებარეობს. დიდმის სერვის ცენტრი წარმოადგენს ერთ-ერთ ყველაზე დიდ კომპლექსს, საერთო ფართობით 26,607 კვ.მ, რომელიც თავის თავში აერთიანებს სასაწყობო, სავაჭრო, მომსახურების და საოფისე ფართებს.

უმაღლესი დონის სერვისმა და საერთაშორისო სტანდარტების სერვის-ცენტრებმა განაპირობა ის, რომ „თეგეტა მოტორსს“, პირველად საქართველოში, ავტომობილების გაყიდვისა და მომსახურების სფეროში აღებული აქვს ISO-ს სერტიფიკატი, კერძოდ, კომპანიამ პირველად 2007 წელს გაიარა ISO 9001:2000-ის გარე აუდიტი და მიიღო შესაბამისი სერტიფიცირება, 2016 წელს კომპანია გადავიდა სტანდარტის ახალ ვერსიაზე ISO 9001:2015-ზე და აიღო განახლებული სერტიფიკატი ხარისხის მენეჯმენტის სისტემის კუთხით. 2018 წელს კომპანიამ წარმატებით გაიარა ISO 14001:2015-ისა და OHSAS 18001:2007-ის აუდიტები და მიიღო გარემოს დაცვისა და შრომის უსაფრთხოებისა და ჯანმრთელობის დაცვის მიმართულებით სერტიფიცირება. 2020 წლის ბოლოს კომპანიამ გადაწყვიტა გადასულიყო სტანდარტის ახალ ვერსიაზე და შრომის უსაფრთხოებისა და ჯანმრთელობის დაცვის მიმართულებით მიიღო ხელახალი სერტიფიცირება - ISO 45001:2018.

შპს „თეგეტა თრაქ ენდ ბასმა“ ISO-ს სერტიფიცირება, პირველად, 2012 წელს მიიღო ხარისხის მართვის მიმართულებით (ISO 9001:2008) - შემდეგ გადავიდა ISO 9001:2015-ზე. 2019 წელს „თეგეტა თრაქ ენდ ბასმა“ წარმატებით გაიარა ISO 14001:2015-ის აუდიტი და მიიღო სერტიფიკატი გარემოს დაცვის მიმართულებით; მიმდინარე წელს „თეგეტა თრაქ ენდ ბასმა“ წარმატებით გაიარა C ტიპის ინსპექტირების ორგანოს მიერ ჩატარებული გარე საკონტროლო აუდიტი და მიიღო სერტიფიკატი, რომ კომპანია აკმაყოფილებს საქართველოს სტანდარტის სსტ ისო/იეკ 1702:2012/2013-ის მოთხოვნებს და შეუძლია განახორციელოს C ტიპის ინსპექტირება;

თითოეული კომპანია სერტიფიკატის მოპოვებიდან დღემდე, ყოველწლიურად გადის გარე საკონტროლო აუდიტს სერტიფიკატის შენარჩუნების მიზნით, ხოლო ყოველ მესამე წელს - ხელახალი სერტიფიცირების მიზნით.

საქმიანობის 27 წლის განმავლობაში „თეგეტა ჯგუფი“ (ტერმინი „ჯგუფი“ ან „თეგეტა ჯგუფი“ გულისხმობს „თეგეტა მოტორსს“ და მის შვილობილ კომპანიებს) გარდაიქმნა ქვეყნის ერთ-ერთ უმთავრეს მოთამაშედ ავტომობილებით, მძიმე ტექნიკით, სათადარიგო ნაწილებით ვაჭრობისა და ავტო მომსახურების ინდუსტრიაში. „კომპანიის“ გაყიდვები მოიცავს 150,000-მდე სახეობის უნიკალურ პროდუქციას და მომსახურებას. „თეგეტა მოტორსი“ 2023 წლის 31 მარტის მდგომარეობით ოპერირებდა შემდეგი შვილობილი კომპანიების მეშვეობით:

- **შპს თეგეტა თრაქ ენდ ბას** - სხვადასხვა სახის სატვირთო ავტომობილების და ავტობუსების იმპორტი, რეალიზაცია. MAN-ის და მრავალი სხვა მძიმე ტექნიკის მწარმოებელი კომპანიის ოფიციალური წარმომადგენელი და პარტნიორი საქართველოში;
- **შპს თეგეტა ქონსტრაქშენ ექვიფმენტ** - სამშენებლო, აგარარული, საგზაო და სხვადასხვა სპეც-ტექნიკის იმპორტი, რეალიზაცია. JCB-ის ოფიციალური დილერი საქართველოში;
- **შპს თეგეტა პრემიუმ ვიიქელს** - მსუბუქი ავტომობილების იმპორტი, რეალიზება და მომსახურება. „პორშეს“ და „მაზდას“ ოფიციალური იმპორტიორი საქართველოში;
- **შპს ტოიოტა ცენტრი თეგეტა** - იაპონური ბრენდის Toyota-ს ოფიციალური დილერი და ავტორიზებული სერვის ცენტრი საქართველოში;
- **შპს თი-ბი-ეი თეგეტა** - იაპონური ბრენდის Toyota-ს ოფიციალურ დილერი და ავტორიზებული სერვის ცენტრი ბათუმში;
- **შპს სკანდინავიან ავტო თეგეტა** - მსუბუქი ავტომობილების რეალიზება და მომსახურება, „ვოლვოს“ ოფიციალური დილერი საქართველოში;
- **შპს თეგეტა პრაიმ პროდაქტს** - ბრიჯსტოუნის საბურავებისა და მოტოლის ბრენდის საპოხი მასალების იმპორტიორი კომპანია;
- **შპს თეგეტა ავტომოტივ იმპორტი** - თეგეტა მოტორსის პორტუგელში არსებული მიმართულების იმპორტიორი, კერძოდ საპოხი მასალების, სათადარიგო ნაწილების, ბატარეების, ავტოფარეხების მოწყობილობების და ა.შ;
- **შპს თეგეტა ინდასტრი** - წარმოადგენს მზარდ კომპანიას ინდუსტრიულ სფეროში, მისი ძირითადი საქმიანობა მოიცავს როგორც მობილური, ასევე სტაციონალური ქვის სამტკრევი ხაზის და ბეტონის მწარმოებელი დანადგარების იმპორტსა და მონტაჟს;
- **შპს თეგეტა დისტრიბუცია** - უზრუნველყოფს იმპორტირებული პროდუქციის დისტრიბუციას ქვეყნის მასშტაბით;
- **შპს თეგეტა რითელი** - უზრუნველყოფს იმპორტირებული პროდუქციის რეალიზაციას ქვეყნის მასშტაბით სხვადასხვა არხების მეშვეობით. ასევე აწარმოებს მსუბუქი ავტომობილებისა და მძიმე ტექნიკის რემონტსა და სერვისს საქართველოს მასშტაბით;
- **შპს თეგეტა აკადემია** - სასწავლო დაწესებულება, რომელიც უზრუნველყოფს საავტომობილო სფეროსთან დაკავშირებულ თეორიულ და პრაქტიკულ ტრენინგებს. მიღებული აქვს ავტორიზებული პროფესიული კოლეჯის სტატუსი;

- შპს თეგეტა ქომერშელ ვიიქლს-რენოს ბრენდის ოფიციალური იმპორტიორი;
- შპს ქონსტრაქშენ მეშინერი ჯორჯია -პორტველი სრულად მოიცავს სამშენებლო, საკარიერო, საპორტო და საგზაო ინფრასტრუქტურის მოსაწყობად საჭირო ტექნიკას;
- შპს თეგეტა ლიზინგი - არააქტიური საქმიანობა;
- შპს თეგეტა კაპიტალი - უზრუნველყოფს საავტომობილო სფეროში ოპერირებადი ინოვაციური ბიზნესების საკონსულტაციო მომსახურებას;
- *Tegeta Motors Ukraine LLC*- კომპანიის წარმომადგენლობა უკრაინაში;
- *Tegeta Motors Baku LLC* - კომპანიის წარმომადგენლობა აზერბაიჯანში, კომპანია *Aztech and Tegeta Motors LLC* –ის 75%-იანი წილის მფლობელი, რომელიც ოპერირებს სათადარიგო ნაწილების საცალო გაყიდვების მიმართულებით;
- *Tegeta Motors Central Asia LLC*- კომპანიის წარმომადგენლობა უზბეკეთში;
- შპს ავტო გალერი - ახალი და მეორადი ავტომობილების იმპორტი და რეალიზაცია, მის მფლობელობაშია შპს თეგეტა ქარ რენთი - ავტომობილების გაქირავების კომპანია, რომელიც ოპერირებს როგორც საცალო, ისე კორპორატიულ სეგმენტზე დღიური და გრძელვადიანი იჯარის მიმართულებით;
- შპს ინტერავტო თრეიდინგი - არააქტიური კომპანია. მის მფლობელობაშია შპს თეგეტა რენტალსი - რომელიც მომხმარებელს სთავაზობს ნებისმიერი სახის სამშენებლო და სპეც ტექნიკის იჯარას გამოცდილი ოპერატორებით, როგორც დღიური ასევე გრძელვადიანი საჭიროებისთვის;
- შპს თეგეტა თაიარ იმპორტს - უზრუნველყოფს საბურავების იმპორტსა და რეალიზაციას;
- შპს თეგეტა ევრუვდ - თეგეტა ევრუვდი გთავაზობთ იმპორტირებული და ადგილობრივ ბაზარზე შექმნილი ავტომობილებით დაკომპლექტებულ ავტოპარკს.
- შპს კავკასუს ავტომოტივი - Volvo-ს ბრენდის ავტომობილების ავტორიზებული იმპორტიორი საქართველოში;
- შპს თეგეტა რეალ ისთეით - არააქტიური საქმიანობა;
- შპს თეგეტა ლოჯისტიკი - ტვირთის ტრანსპორტირების სერვისი
- *Tegeta Motors Kazakhstan LLC* - კომპანიის წარმომადგენლობა ყაზახეთში; არააქტიური კომპანია
- *Tegeta Motors Bishkek LLC* - კომპანიის წარმომადგენლობა ყირგიზეთში; არააქტიური კომპანია
- *Tegeta Motors Dushanbe LLC* - კომპანიის წარმომადგენლობა ტაჯიკეთი; არააქტიური კომპანია

„ნარჩენების მართვის კოდექსის“ მე-9 მუხლის მე-3 ნაწილის თანახმად, ისეთი პროდუქტის მწარმოებელი, რომელიც შემდგომ სპეციფიკური ნარჩენი ხდება და ამ პროდუქტის ბაზარზე განმათავსებელნი ვალდებული არიან უზრუნველყონ პროდუქტისგან წარმოქმნილი ნარჩენების სეპარირებული შეგროვება, ტრანსპორტირება, აღდგენა (მათ შორის, რეციკლირება) და გარემოსთვის უსაფრთხო განთავსება. კანონის ფარგლებში კომპანიის შვილობილი კომპანიების შპს თეგეტა ავტომოტივ იმპორტის, შპს თეგეტა პრაიმ პროდაქტსის და შპს თეგეტა თაიარ იმპორტსის დამფუძნებელთა საბჭოს მიერ შეიქმნა ა(ა)იპ თეგეტა გრინ პლანეტ - მწარმოებლის გაფართოებული ვალდებულების ორგანიზაცია. რომელიც იღებს ვალდებულებას, მართოს სპეციფიკური ნარჩენები საბურავების, საავტომობილო აკუმულატორებისა და ზეთების მიმართულებით. ამ პროდუქტების ნაწილი, პირველადი გამოყენების შემდეგ, ააიპ-ს ნარჩენების მართვის ვალდებულება 2023 წლიდან ერთვება.

„თეგეტა მოტორსი“ აქტიურადაა ჩართული სხვადასხვა კორპორაციული სოციალური პასუხისმგებლობის პროექტებში.

თეგეტა ჰოლდინგი საქმიანობის 28 წლიანი გამოცდილებით და მაღალი სოციალური პასუხისმგებლობით, მნიშვნელოვან როლს ასრულებს გარემოს დაცვის, საზოგადოებრივი ღირებულებების და სწორი საავტომობილო ტენდენციების დამკვიდრებაში.

მაგალითისთვის, ნარჩენების გადამუშავების პრაქტიკა, გარემოზე მავნე ზემოქმედების შესამცირებლად, ასევე ეკო-სატვირთოების გამოყენება საქმიანობის განხორციელებისას კომპანიის ტერიტორიაზე. ამასთან ერთად, მომხმარებლების სახელზე დარგულია 1,000 ძირი მუხა აჯამეთის დაცულ ტერიტორიაზე. გარემოზე ზრუნვის ფარგლებში კომპანიამ ქაღალდი sms-ით ჩაანაცვლა, მკვეთრად შეამცირა ფურცლის გამოყენება.

ქვეყის შეცვლასთან ერთად, კომპანიამ აიღო პასუხისმგებლობა ცნობიერების ამაღლების მიმართულებით. ჰოლდინგი აქტიურად ცდილობს ხელი შეუწყოს ქალთა გაძლიერებას. ამის შედეგია სატვირთო ავტომობილის პირველი მექანიკოსი ქალები ქართულ რეალობაში, რომელთა ისტორიებიც ფართოდ გავრცელდა მასობრივი კომუნიკაციის ყველა პლატფორმაზე, მათ შორის სოციალურ ქსელებში.

თეგეტა მოტორსი, რომელიც გაეროს გლობალური შეთანხმების (UN Global Compact) საქართველოს ქსელის წევრია, საგანმანათლებლო, შემეცნებით პროექტებსა და ჯანსაღი ცხოვრების წესის პოპულარიზაციას უჭერს მხარს. კომპანიამ წელს თავის თავზე აიღო სარაგბო კლუბი „სოხუმი“-ს სპონსორობა. კლუბი ოკუპირებული აფხაზეთიდან დევნილ მოზარდებს აერთიანებს.

გარდა ამისა უსაფრთხო და დაცული მგზავრობის კონცეფცია თეგეტას კამპანიების მთავარი ფოკუსია. კამპანიების მნახველთა ჯამური რაოდენობა, მხოლოდ სოციალურ ქსელში, რამდენიმე ასეულ ათას უნიკალურ მომხმარებელს აღწევს.

#### **მნიშვნელოვანი ისტორიული თარიღები**

1996 წელს - დაფუძნდა შპს „ავტოექსპორტი“.

1997 წელს - დაარსდა შვილობილი კომპანია შპს „თეგეტა ლიზინგი“

1998 წელს - „კომპანია“ გახდა საბურავების გლობალური ბრენდის ბრიჯსტონის ექსკლუზიური წარმომადგენელი.

2001 წელს - „კომპანია“ „თეგეტა მოტორსის“ სახელით იკავებს პოზიციებს ბაზარზე.

2003 წელს - „თეგეტა მოტორსმა“ გახსნა თანამედროვე დანადგარებით და ევროპული სტანდარტებით დაკომპლექტებული პირველი სერვისი. ასევე 2003 წელს „თეგეტა მოტორსი“ გახდა სათადარიგო ნაწილების მწარმოებელი გიგანტი ZF-ის წარმომადგენელი.

2001-2009 - გაიხსნა „თეგეტა მოტორსის“ შემდეგი 4 ფილიალი-ცენტრალური ფილიალი, წითელქუდას ფილიალი დიდმის მასივში, პეპელა 1 ფილიალი კახეთის გზატკეცილზე. გლდანის ფილიალი, გორის ფილიალი.

2005 წელს - დაარსდა „თეგეტა მოტორსის“ შვილობილი კომპანია შპს „თეგეტა თრაქ & ბას“, რომელიც წარმოადგენს უმსხვილესი გერმანული მანქანათმშენებელი კონცერნის „MAN Nutzfahrzeuge AG“-ის ოფიციალურ პარტნიორს საქართველოში. სპეციალიზირდება სატვირთო ავტომობილების, ავტობუსების რეალიზაციისა და რეალიზაციის შემდგომი საგარანტიო მომსახურების სფეროში.

2006 წელს - „თეგეტა მოტორსი“ Shell-ის საცხებ-საპოხი მასალების ექსკლუზიური წარმომადგენელი გახდა.

2007 წელს - EBRD-სთან თანამშრომლობით გახსნა ცენტრალური ფილიალი - კავკასიაში ყველაზე დიდი ავტოსერვისი.

2007 წელს - დაარსდა „თეგეტა მოტორსის“ შვილობილი კომპანია შპს „თეგეტა კონსტრაქსშენ ექვიფმენტ“, რომელიც წარმოადგენს ბრიტანული კომპანია „JCB“-ის ოფიციალურ პარტნიორს საქართველოში. სპეციალიზირდება საგზაო, სამშენებლო და სხვადასხვა სპეც-ტექნიკის რეალიზაციასა და რეალიზაციის შემდგომი საგარანტიო მომსახურების სფეროში.

2008 წელს - „თეგეტა მოტორსმა“ დაიწყო აუდიტორული კომპანიების დიდ ოთხეულთან თანამშრომლობა.

2009 წელს - „თეგეტაში“ დაინერგა SAP-ი, ასევე ამ წელს „თეგეტა“ გახდა Bosch-ის წარმომადგენელი.

2009 წელს - გაიხსნა ქუთაისის ფილიალი.

2010 წელს - გაიხსნა ბელიაშვილის ფილიალი.

2010 წელს - გაიხსნა ვაკის ფილიალი რომელიც წარმოადგენს Bosch-ის ავტორიზებულ სერვის ცენტრს ე.წ. "Bosch Car Service".

2010 წელს - გაიხსნა ახალციხის ფილიალი.

2010 წელს - დაარსდა „თეგეტა მოტორსის“ შვილობილი კომპანია შპს „თეგეტა პრემიუმ ვიიქელს“ – „პორშეს“ და „მაზდას“ ოფიციალური იმპორტიორი საქართველოში.

2011 წელს - გაიხსნა ახალი სერვის ცენტრები ფოთსა და ბათუმში. ფოთის სერვის ცენტრი წარმოადგენს ერთ-ერთ საუკეთესო სერვის ცენტრს არქიტექტურისა და ინფრასტრუქტურის თვალსაზრისით, რომელიც მდებარეობს საქართველოს მთავარ თავისუფალ ინდუსტრიულ ზონაში.

2011 წელს - „თეგეტა მოტორსმა“ გახსნა „პორშე ცენტრი თბილისი“

2012 წელს - „თეგეტა მოტორსმა“ ქართულ ბაზარზე შემოიყვანა იაპონური ბრენდი „მაზდა“.

2012 წელს - გაიხსნა ქუთაისის მეორე უფრო დიდი მასშტაბის ფილიალი

2012 წელს - „კომპანია“ Groupauto International-ის ოფიციალური წევრი გახდა, რაც საერთაშორისო საავტომობილო ბაზარზე სათადარიგო ნაწილების განაწილებისა და მომსახურების ქსელს წარმოადგენს. გაწევრიანებით „კომპანიამ“ ავტო-სათადარიგო ნაწილების მიმართულებით ოპტიმალური გარემოს შექმნისთვის მნიშვნელოვანი ნაბიჯი გადადგა და სამომავლო გამოწვევებისათვის საიმედოდ აღიჭურვა.

2013 წელს - „თეგეტა მოტორსის“ ახალი მულტიბრენდული დიზელის სერვის ცენტრის მშენებლობა, რომელსაც ანალოგი არ აქვს ამიერკავკასიის ბაზარზე. სერვის ცენტრი სპეციალურად დიზელზე მომუშავე ავტომობილებისთვისაა განკუთვნილი, როგორც მსუბუქი და სატვირთო ავტომობილებისთვის, ასევე სპეც-ტექნიკისთვის.

2013 წელს - „თეგეტა მოტორსის“ მეხუთე შვილობილი კომპანია შპს „ტოიოტა ცენტრი თეგეტა“ დაარსდა - ტოიოტას ახალი სერვისცენტრი საქართველოში. 2013 წელს „თეგეტა მოტორსსა“ და „ტოიოტა კავკასიას“ შორის ურთიერთთანამშრომლობის შეთანხმება შედგა, ხოლო 2014 წელს „კომპანიამ“ „ტოიოტა კავკასიისგან“ ტოიოტას დილერისა და ავტორიზებული სერვისცენტრის სტატუსი მიიღო.

2015 წელს - რუხის ფილიალი აფხაზეთის საზღვართან, რომელიც ემსახურება ადგილობრივ მომხმარებლებს და სთავაზობს მსუბუქი ავტომობილების სწრაფ სერვისს

2016 წელს - განახლებული ბათუმის ფილიალი

2016 წელს - ქუთაისის ნიკეას ფილიალის რენოვაცია და წარმადობის გაზრდა

2017 წელს - გაიხსნა ახალქალაქის ფილიალი.

2017 წელს - გაიხსნა მარნეულის ფილიალი.

2017 წელს - გაიხსნა თელავის ფილიალი.

2017 წელს - რუხის ფილიალის წარმადობის ზრდა, დამატებულია 15 სამუშაო წერტილი.

2017 წელს - გაიხსნა „თეგეტა აკადემიის“ თბილისის სასწავლო ცენტრი.

2017 წელს - აზერბაიჯანელ პარტნიორებთან ერთად დაარსდა ერთობლივი საწარმო ბაქოში-აზტეხ თეგეტა მოტორსი.

2017 წელს - „თეგეტამ“ ითანამშრომლა საერთაშორისო საფინანსო კორპორაციასთან (IFC) და მიიღო სიღრმისეული რეკომენდაციები კორპორაციული მართვის კუთხით.

2019 წელს - შპს თეგეტა აკადემიამ მიიღო ავტორიზაცია;

2019 წელს - შპს „თეგეტა მოტორსმა“ მიიღო Scope Ratings-ისგან BB- საკრედიტო რეიტინგი სტაბილური პერსპექტივით და განათავსა საჯარო ფასიანი ქაღალდები 30 მილიონი ლარის ოდენობით

2019 წელს - დაარსდა შპს სკანდინავიან ავტო თეგეტა - ვოლვოს ბრენდის ოფიციალური დილერი საქართველოში;

2020 წელს - შპს „თეგეტა მოტორსი“ გადავიდა კორპორატიული მართვის ახალ მოდელზე.

2020 წელს - დაფუძნდა ახალი შვილობილი კომპანიები

- შპს თეგეტა პრაიმ პროდაქტს
- შპს თეგეტა ავტომოტივ იმპორტი;
- შპს თეგეტა ინდასტრი;

- შპს თეგეტა დისტრიბუცია;
- შპს თი-ბი-ეი თეგეტა;
- შპს თეგეტა რითეილი.

2020 წელს - დაიწყო თეგეტა მოტორსის სასაქონლო ბრენდის საერთაშორისო გავრცელება მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყანაში.

2020 წელს - მიუხედავად პანდემიის გავრცელებით გამოწვეული საკანონმდებლო შეზღუდვებისა და მთელი რიგი დაბრკოლებებისა, კომპანიის ბიზნესის განვითარების პროცესი არ შეფერხებულა, რაზეც მეტყველებს ის ფაქტი რომ ევროპული სარეიტინგო კომპანია Scope-ის 2020 წლის 9 თვის შეფასებით, „თეგეტა მოტორსმა“ შეინარჩუნა რეიტინგი, რომელიც BB- კატეგორიითა და სტაბილური ხედვით (Outlook Stable) შეფასდა.

2021 წელს - გაიხსნა გეზის ფილიალი, დაარსდა შპს თეგეტა ქომერშალ ვიიქლს, შპს ქონსორაქშენ მეშინერი ჯორჯია, შპს თეგეტა კაპიტალი

2021 წელს - ნოემბერში განახლდა Scope-ის რეიტინგი , რომელიც უცვლელად BB- კატეგორიით და სტაბილური ხედვით (Outlook Stable) შეფასდა.

2022 წელს - სრულ მფლობელობაში არსებული შვილობილ საწარმოებს შეემატა შპს თეგეტა რეალ ისთით, შპს თეგეტა თაიარ იმპორტს, შპს ინტერავტო თრეიდიინგი, შპს თეგეტა კაპიტალი, შპს თეგეტა ევრუვდ, შპს კავკასუს ავტომოტივი

2022 წელს - „პორშე ცენტრი თბილისის“ განახლებული კონცეპტუალური შოურუმი ოფიციალურად გაიხსნა

2022 წელს - შპს თეგეტა ავტომოტივ იმპორტის, შპს თეგეტა პრაიმ პროდაქტის და შპს თეგეტა თაიარ იმპორტის დამფუძნებელთა საბჭოს ქვეშ დაფუძნდა არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი ააიპ თეგეტა გრინ პლანეტ

2022 წელს - ნაწილობრივ მფლობელობაში არსებულ შვილობილ საწარმოებს შეემატა შპს ავტო გალერი 90%-იანი საკუთრებით და მისი სრული საკუთრების შვილობილი შპს თეგეტა ქარ რენტ

2022 წელს - ნოემბერში განახლდა Scope-ის რეიტინგი , რომელიც უცვლელი BB- კატეგორიით და ნეგატიური ხედვით (Outlook Negative) შეფასდა.

2022 წელს - კომპანიამ გაასხვისა ტრანზაქციის თარიღისათვის 100%-იანი შვილობილი კომპანიის შპს „თეგეტა ევრუვდის“ 35% წილი პარტნიორ ორგანიზაციაზე, რომელიც ახორციელებს მის მენეჯმენტსა და მხარდაჭერას.

2022 წელს- 16 დეკემბერს საჯარო შეთავაზების გზით განათავსა 150 000 000 ლარის სოლიდარული თავდებობით უზრუნველყოფილი ობლიგაციები.

2023 წელს - სრულ მფლობელობაში არსებული შვილობილ საწარმოებს შეემატა შპს ავტო გალერი.

2023 წელს - დაფუძნდა ახალი შვილობილი კომპანიები

- *Tegeta Motors Kazakhstan LLC*
- *Tegeta Motors Bishkek LLC*
- *Tegeta Motors Dushanbe LLC*

2.4. მნიშვნელოვანი მოვლენის აღწერა, რამაც მატერიალური გავლენა შეიძლება მოახდინოს ემიტენტის გადახდისუნარიანობაზე.

„კომპანიის“ მენეჯმენტის შეფასებით მსგავს მოვლენებს ადგილი არ ჰქონია.

2.5. არსებობის შემთხვევაში, კომპანიის საკრედიტო რეიტინგი;

2019 წელს „თეგეტა მოტორსმა“ მიიღო Scope Ratings-ის საკრედიტო რეიტინგი <sup>10</sup> BB- სტაბილური პერსპექტივით. „კომპანიის“ მაღალი საკრედიტო რეიტინგი განისაზღვრა ჯგუფის ჯანსაღი ფინანსური რისკის პროფილით (BB), მაღალი ოპერაციული ეფექტიანობით და დაბალი ბიზნეს რისკის პროფილით

<sup>10</sup> <https://www.scooperatings.com/ratings-and-research/rating/EN/165603>



(BB-). მიუხედავად პანდემიის გავრცელებით გამოწვეული საკანონმდებლო შეზღუდვებისა და მთელი რიგი დაბრკოლებებისა, კომპანიის ბიზნესის განვითარების პროცესი არ შეფერხებულა, რაზეც მეტყველებს ის ფაქტი რომ Scope-მა 2020 წლის 17 ნოემბრის <sup>11</sup>და 2021 წლის 4 ნოემბრის შეფასებებით, „თეგეტა მოტორსს“ შეუნარჩუნა რეიტინგი, რომელიც BB- კატეგორიითა და სტაბილური პერსპექტივით შეფასდა. Scope-ის განახლებულ რეიტინგში ნახსენებია რომ ლევერიჯი შენარჩუნდება, რომელიც რჩება 4.0x-ზე ქვემოთ (2021პ: 3.0x, 2022პ: 3.9x, 2023პ: 3.9x). Outlook არის სტაბილური და ასახავს Scope-ის მოლოდინს დამატებითი 50-60 მილიონი ლარის არაუზრუნველყოფილი ობლიგაციების წარმატებით განთავსებასთან დაკავშირებით.

2021 წლის 4 ნოემბერს Scope Ratings-მა განაახლა „თეგეტა მოტორსის“ რეიტინგი, რომელიც უცვლელი დარჩა, BB- კატეგორიით და სტაბილური პერსპექტივით. Scope-მა დადებით მხარედ შეაფასა კომპანიის დომინანტური პოზიცია ადგილობრივ ბაზარზე სადაც კომპანიას აქვს ლიდერული პოზიცია სხვადასხვა ბიზნეს მიმართულებით რამაც შესაძლოა შემოსავლების მნიშვნელოვანი ზრდა გამოიწვიოს. უარყოფით მხარედ შეფასდა კომპანიის დივერსიფიკაცია რაც Scope-ის შეფასებით არის სუსტი იქიდან გამომდინარე, რომ კომპანიის ოპერაციები არის ძირითადად საქართველოში და მაკროეკონომიკურმა ცვლილებებმა შესაძლოა მნიშვნელოვანი ცვლილებები გამოიწვიოს კომპანიის ოპერაციებში.

Scope-ის შეფასების მიმოხილვის ნახვა შესაძლებელია სარეიტინგო კომპანიის ვებგვერდზე შემდეგი ბმულით:

<https://www.scooperatings.com/#search/research/detail/169100EN>

2022 წლის 5 ოქტომბერს Scope Ratings-მა განაახლა „თეგეტა მოტორსის“ რეიტინგი, რომელიც უცვლელი BB- კატეგორიით შეფასდა და ნეგატიური პერსპექტივით განისაზღვრა. რეიტინგის ცვლილება ასახავს შესუსტებულ საკრედიტო მაჩვენებლებს, გამოწვეული კაპიტალური პროექტების სასესხო ვალდებულებების დაფინანსებით და დაგროვილი მარაგების ნაკლებად ხელსაყრელი დაფარვის პირობებით, რამაც გადაწონა კომპანიის მნიშვნელოვანი ზრდის დადებით გავლენა ბიზნეს რისკის პროფილზე.

Scope Ratings-ის რეპორტში აღნიშნულია, რომ ობლიგაციების დაგვიანებული გამოშვება Bullet დაფარვის სტრუქტურით ასახავს კომპანიის უმეტესად ამორტიზირებული ფინანსური ვალის პორტფელის რეფინანსირების რისკს. ასევე, Scope მოელის, რომ ნეგატიური თავისუფალი საოპერაციო ფულადი ნაკადები და არასაკმარისი სახსრები მოკლევადიანი ვალის რეფინანსირებისთვის დარჩება მოკლე და საშუალოვადიან პერიოდში. რეპორტის მიხედვით, დივერსიფიკაცია რჩება ჯგუფის ბიზნეს რისკის პროფილის ერთ-ერთ სუსტ ელემენტად. დამატებით, არსებული ვალის სტრუქტურა, მოკლევადიანი ვალების დიდი მოცულობით, მნიშვნელოვნად ასუსტებს კომპანიის ლიკვიდურობის პროფილს.

შეფასებაში ითვალისწინებს კომპანიის წამყვანი პოზიციას, პოსტ-კოვიდ-პანდემიურ ბიზნეს გარემოში იგი კლიენტების მომსახურებას ყოველგვარი შეფერხების გარეშე ახორციელებს საკმარისი მარაგებისა და საჭიროების შემთხვევაში მომწოდებლების ჩანაცვლების კუთხით მოქნილობის ხარჯზე. საავტომობილო სექტორში კონკურენტებთან შედარებით კომპანიას აქვს მეტი ფინანსური მოქნილობა, რაც მას უფრო ხელსაყრელ პოზიციას ამყარებს.

Scope-ის შეფასების მიმოხილვის ნახვა შესაძლებელია სარეიტინგო კომპანიის ვებგვერდზე შემდეგი ბმულით:

<https://www.scooperatings.com/ratings-and-research/rating/EN/172360>

---

<sup>11</sup> <https://www.scooperatings.com/ratings-and-research/rating/EN/159175>



2.6. ინფორმაცია ემიტენტის სასესხო და დაფინანსების სტრუქტურაში ცვლილებების შესახებ ბოლო ფინანსური წლის მანძილზე; ამასთან, მისი საქმიანობის მომავალი პერიოდების სავარაუდო დაფინანსების წყაროების აღწერა.

2019-2022 წლების განმავლობაში ნასესხებ თანხებში ცვლილება მოცემულია შემდეგ ცხრილში:

| (ათას ლარში)                                  | ნასესხები თანხები |
|---|-------------------|
| <b>ბალანსი 31 დეკემბერი 2019 (აუდირებული)</b> | <b>111,797</b>    |
| სესხების აღება                                | 163,271           |
| საპროცენტო ხარჯი                              | 19,733            |
| პროცენტის გადახდა                             | (19,095)          |
| სესხების დაფარვა                              | (134,870)         |
| საკურსო სხვაობა                               | 7,165             |
| <b>ბალანსი 31 დეკემბერი 2020 (აუდირებული)</b> | <b>148,001</b>    |
| სესხების აღება                                | 334,068           |
| საპროცენტო ხარჯი                              | 21,640            |
| პროცენტის გადახდა                             | (21,802)          |
| სესხების დაფარვა                              | (306,177)         |
| საკურსო სხვაობა                               | (5,522)           |
| <b>ბალანსი 31 დეკემბერი 2021 (აუდირებული)</b> | <b>170,208</b>    |
| <b>1 იანვარი 2022 (არა-აუდირებული)</b>        | <b>187,179</b>    |
| სესხების აღება                                | 210,716           |
| საპროცენტო ხარჯი                              | 24,166            |
| პროცენტის გადახდა                             | (23,021)          |
| სესხების დაფარვა                              | (78,547)          |
| საკურსო სხვაობა                               | (1,780)           |
| <b>31 აგვისტო 2022 (არა-აუდირებული)</b>       | <b>318,713</b>    |
| სესხების აღება                                | 257,484           |
| საპროცენტო ხარჯი                              | 13,557            |
| პროცენტის გადახდა                             | (14,097)          |
| სესხების დაფარვა                              | (284,900)         |
| საკურსო სხვაობა                               | (3,905)           |
| გაქვითვა                                      | (314)             |
| <b>31 დეკემბერი 2022 (არა-აუდირებული)</b>     | <b>286,538</b>    |
| სესხების აღება                                | 42,840            |
| საპროცენტო ხარჯი                              | 3,607             |
| პროცენტის გადახდა                             | (1,794)           |
| სესხების დაფარვა                              | (24,171)          |
| საკურსო სხვაობა                               | (814)             |
| <b>31 იანვარი 2023 (არა-აუდირებული)</b>       | <b>306,206</b>    |

„კომპანია“ თავისი საოპერაციო საქმიანობის ფარგლებში აქტიურად იყენებს მოკლევადიან სესხებს საბრუნავი კაპიტალის და ლიკვიდობის სამართავად. მომავალ პერიოდებში „კომპანია“ გააგრძელებს

საკუთარი საოპერაციო საქმიანობის შედეგად მიღებული ფულადი სახსრების და საკრედიტო ინსტრუმენტების გამოყენებას თავისი საქმიანობის დასაფინანსებლად.

სასესხო ინსტრუმენტები უზრუნველყოფილია „კომპანიის“ მთლიანი არსებული და სამომავლო ძირითადი საშუალებებით და სასაქონლო მარაგებით.

### 3. საქმიანობის აღწერა

#### 3.1. ძირითადი საქმიანობა

3.1.1. ძირითად საქმიანობასთან დაკავშირებული ფაქტორების და ფინანსურ მონაცემებში მოყვანილი წარმოებული პროდუქტების და/ან გაწეული მომსახურების ძირითადი კატეგორიების მოკლე აღწერა.

შპს „თეგეტა მოტორსი“, მის შვილობილ კომპანიებთან ერთად, დღეს ლიდერია საავტომობილო პროდუქტებისა და მომსახურების დარგში. ის წარმოადგენს უნივერსალურ კომპანიას, რომელიც მოღვაწეობს სატვირთო და მსუბუქი ავტომობილების, სასოფლო, სამშენებლო და სამრეწველო დანიშნულების ტექნიკით, სათადარიგო ნაწილებით, საპოხი მასალებით, საბურავებით ვაჭრობისა და ტექნიკური მომსახურების სფეროში. თეგეტა მოტორსი სახელმწიფო, კორპორატიულ და საცალო კლიენტებს სთავაზობს მაღალი ხარისხის ავტო-პროდუქტებისა და სერვისის ფართო სპექტრს.

თეგეტა მოტორსი ჯგუფის სერვისის თანამშრომლები ყოველწლიურად გადიან კვალიფიკაციის ასამაღლებელ კურსებს უცხოელ პარტნიორებთან, როგორებიცაა: MAN, ZF, BOSCH, SCHAEFFLER, SHELL, DENSO, FEBI, MOTUL, VARTA და სხვა. აღნიშნული სერვისცენტრები დაკომპლექტებულია თანამედროვე მანქანა-დანადგარებით. „თეგეტა მოტორსი“ კორპორატიულ და საცალო მომხმარებელს ავტოტექნომომსახურების სრულ ასორტიმენტს სთავაზობს, რაც მოიცავს თითქმის ყველა მსუბუქი და სატვირთო სატრანსპორტო საშუალებების, მათ შორის: ავტობუსების, სამშენებლო და სპეცტექნიკის, სასოფლო-სამეურნეო და მიწისმთხრელი ტექნიკის დიაგნოსტიკას და შეკეთებას სპეციალური, ავტორიზებული პროგრამების მეშვეობით. მომსახურება მოიცავს სერვისის სრულ სპექტრს.

„კომპანიის“ მენეჯმენტის აზრით, ამჟამინდელი სტრუქტურა საოპერაციო და ეკონომიკური საჭიროებიდან შეიქმნა და მიზნად ისახავს კომპანიის სამიზნე მომხმარებელთა მაქსიმალურ მოცვას სრული სერვისის შეთავაზებით

3.1.2. ახალი პროდუქტის ან მომსახურების მითითება და განვითარების სტადიის აღწერა.

### არსებული უნიკალური პროდუქტები

1. „ბიზნეს პროცესების გაციფრულება კომპანიამ დანერგა სრულად ციფრული ბიზნეს პროცესები.

მომხმარებელი შოურუმში ვიზიტისას მიმართავს გაყიდვების კონსულტანტს, რომელიც ეხმარება პროდუქციის შერჩევაში, სისტემაში შექმნილი ინვოისი ფურცელზე ადარ იბეჭდება, ინვოისის შექმნისთანავე მომხმარებელი მობილურ ტელეფონზე მიიღებს შეტყობინებას, სადაც მითითებული იქნება საგადახდო კოდი, რომელსაც საფუძველზეც შეძლებს თანხის გადახდას.

2. „ჩემი ავტომობილის ისტორია“

ჩემი ავტომობილის ისტორია, არის ონლაინ მომსახურება „თეგეტა მოტორსის“ როგორც საცალო, ასევე კორპორაციული კლიენტებისათვის, რომელთაც საშუალება აქვთ, იხილონ საკუთარი დანახარჯები და დანაზოგები, განხორციელებული მომსახურებებისა თუ შენამენების ხარჯთაღრიცხვა და მათი

ანალიზი სხვადასხვა ქრილში, ონლაინ რეჟიმში აკონტროლონ საკუთარი ავტომობილის ისტორია, მიიღონ აუცილებელი შეხსენებები და რეკომენდაციები ავტომობილის მოვლასთან დაკავშირებით. [www.mycarhistory.ge](http://www.mycarhistory.ge)-ზე მომხმარებლების მიერ „თეგეტა მოტორსში“ განხორციელებული ყოველი ოპერაცია ავტომატურად ვებ-პლატფორმაზე ინახება. ეს ინფორმაცია კონფიდენციალურია და მომხმარებელს მასზე წვდომა აქვს მხოლოდ ავტორიზაციის გავლის შემდეგ, პირადი მონაცემების შეყვანის საფუძველზე. აღნიშნულ სერვისს არ აქვს ანალოგი ქვეყნის მასშტაბით.

### 3. ონლაინ რეზერვაცია

ონლაინ რეზერვაცია წარმოადგენს წინასწარი ჩაწერის სერვისს, რომელიც მომხმარებლებს საშუალებას აძლევს დაჯავშნოს ვიზიტი სწრაფი სერვისის, ან სერვისების, მისაღებად „თეგეტა მოტორსის“ ცენტრალურ ფილიალში. მომხმარებელს რამდენიმე წუთში შეუძლია სახლიდან გაუსვლელად ჩაეწეროს მისთვის სასურველ დროს და თავი აარიდოს შესაძლო ლოდინის პროცესს, დაზოგოს დრო და სწრაფად მიიღოს სასურველი სერვისი:

- ძრავის ზეთის შეცვლა;
- ძრავის ზეთის ფილტრის შეცვლა;
- ძრავის ჰაერის ფილტრის შეცვლა;
- საწვავის ფილტრის შეცვლა;
- სალონის ფილტრის შეცვლა;
- საბურავის დაშლა-აწყობა;
- თვლების შეყრა;
- აკუმულატორის შეცვლა;
- საბურავის ბალანსირება;
- ალუმინის დისკების გასწორება;
- ავტომატურ გადაცემათა კოლოფში ზეთის შეცვლა;
- სავალი ნაწილის შემოწმება.

### 4. თეგეტა ქარდი

“თეგეტა ქარდი” (Classic, Silver, Gold, VIP) არის ავტომფლობელთათვის განკუთვნილი ლოიალობის ბარათი. ბარათის მფლობელი სარგებლობს „ჩემი ავტომობილის ისტორიის“ ონლაინ მომსახურებით. ნებისმიერი პროდუქტის/მომსახურების შეძენისას „თეგეტა ქარდზე“ აკუმულირდება ქულები, მათი გამოყენება სპეციალურ აქციებში მონაწილეობისას არის შესაძლებელი.

“თეგეტა მოტორსის” ცენტრებში ნებისმიერი შენაძენი პროდუქტსა თუ სერვისზე მომხმარებლის მიერ ისახება “თეგეტა ქარდზე”. ბარათზე ქულების განსაზღვრული რაოდენობის დაგროვებისას, მფლობელები მონაწილეობას იღებენ “თეგეტა მოტორსის” სპეციალურ აქციებში, გამოცხადებულ გათამაშებებსა და სხვა ტიპის კომერციულ შეთავაზებებში.

### 5. თეგეტა კომფორტი

„თეგეტა მოტორსი“ მომხმარებელს ავტომობილის შეკეთებას სერვისცენტრში მისვლის გარეშე სთავაზობს. „თეგეტა კომფორტი“ არის მომსახურება საქმიანი ადამიანებისთვის, რომლებსაც არ აქვთ დრო თავად მიიყვანონ ავტომობილი სერვისცენტრში. „თეგეტა მოტორსის“ პერსონალური მენეჯერი მიაკითხავს ავტომობილს მომხმარებლისთვის სასურველ მისამართზე და თავად უზრუნველყოფს მის სერვის ცენტრში გადაყვანას და შეკეთებას. პერსონალური მენეჯერი მიდის მომხმარებლისთვის სასურველ მისამართზე, იბარებს ავტომობილს, რომელზეც მთლიანად იღებს პასუხისმგებლობას

„კომპანია“ და უზრუნველყოფს მის ტრანსპორტირებას „თეგეტა მოტორსის“ ცენტრალურ ფილიალში. აღსანიშნავია, რომ ავტომობილი ტრანსპორტირების დროს დაზღვეულია.

#### 6. ონლაინ რეზერვაცია

პანდემიასთან დაკავშირებული მომსახურების სპეციფიკიდან გამომდინარე კომპანიამ შეიმუშავა ონლაინ რეზერვაციის ფორმა, რომლის საშუალებით ხდება რიგის მართვა უსაფრთხოების ნორმების დაცვით კოვიდ რეგულაციების გათვალისწინებით. სერვისი ხელმისაწვდომია კორპორატიული და კერძო კლიენტებისათვის.

#### 7. ავტოსერვისის ტექნიკური პროექტები

„თეგეტა მოტორსი“ მეწარმეებს, რომელთა ბიზნეს გეგმა დაკავშირებულია საავტომობილო სფეროსთან და ავტოტექნომსახურებასთან, ტექნიკურ-საკონსულტაციო დახმარებას სთავაზობს. ავტოსერვისის ბიზნესის დაწყების ან გაფართოების მსურველებს კომპანია სთავაზობს შემდეგი სახის მომსახურებას:

- ტექნიკური პროექტის შექმნა;
- სამშენებლო პროექტის შექმნა;
- არქიტექტორული გადაწყვეტილებები;
- იურიდიული საკითხების მოგვარება;
- ობიექტის აშენება;
- მოწყობილობა-დანადგარების შერჩევა, მიწოდება, მონტაჟი;
- სარეალიზაციო პროდუქციით მომარაგება;
- დახმარება კადრების კვალიფიკაციის ამაღლებაში

#### 8. ონლაინ მაღაზია

„თეგეტამ“ მრავალფუნქციური პორტალი „shop.tegetamotors“ შეიმუშავა, რომლის მიზანია, მომხმარებელს მაქსიმალურად გაუმარტივოს საავტომობილო პროდუქტებისა თუ აქსესუარების მოძიება-შეძენის პროცესი და სწრაფადვე მიაწოდოს მისთვის სასურველ ლოკაციაზე.

თეგეტას ონლაინ მაღაზიაში განთავსებულია 20 ათასზე მეტი დასახელების პროდუქცია შემდეგი კატეგორიებიდან:

- საბურავები;
- ნაწილები;
- აკუმულატორები;
- ზეთები-სითხეები;
- დანადგარები;
- აქსესუარები.

მოქნილი და მრავალფუნქციური ვებგვერდი shop.tegetamotors.ge შემდეგ ბენეფიტებს სთავაზობს მომხმარებლებს:

- ადგილზე მიტანის სერვისი;
- მარტივი გადახდა, როგორც ნაღდი ანგარიშსწორებით, ასევე გადარიცხვით;
- 300-ზე მეტი საერთაშორისო ბრენდის პროდუქცია;
- დახმარება ონლაინ რეჟიმში;
- მორგებული და სპეციალური შეთავაზებები.

## გაყიდვის არხები

თეგეტა მოტორს ჯგუფი ბაზარს უკავშირდება გაყიდვების 4 რეალიზაციის არხით და სეგმენტირებულია შემდეგნაირად:

- საცალო ვაჭრობა;
- კორპორატიული კლიენტები;
- სახელმწიფო ორგანიზაციები;
- საბითუმო ვაჭრობა.

### *საცალო ვაჭრობა*

ჯგუფს ჰყავს 400,000-მდე აქტიური კლიენტი, აქედან 103,000 ერთგულების ბარათის მფლობელი, ყოველწლიურად აქტიური კლიენტი. მომხმარებელთა რაოდენობა გადანაწილებულია ამგვარად: კლასიკ ბარათი – 53,000, ვერცხლის ბარათი – 23,000, ხოლო ოქროს ბარათი – 27,000. ლოიალობის ბარათის მფლობელებს შეუძლიათ ისარგებლონ დაგროვებადი სისტემით. დაგროვებული ქულებით მომხმარებელს აქვს შესაძლებლობა შეიძინოს მისთვის სასურველი პროდუქტი ბარათის გამოყენებით.

### *კორპორატიული კლიენტები*

„თეგეტა მოტორსი“ ემსახურება 35,000-ზე მეტ კორპორატიულ კლიენტს საქართველოში არსებული ყველა ბიზნეს სექტორიდან. კორპორაციული გაყიდვების არხი „ჯგუფის“ გაყიდვების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი მიმართულებაა და მოიცავს შემდეგ სექტორში მომუშავე კომპანიებს: გზების და ჰესების მშენებლობა, სამთო-სამომპოვებლო სამუშაოები, სამშენებლო მასალების, რკინის და მეტალის წარმოება.

### *სახელმწიფო ორგანიზაციები*

„თეგეტა მოტორსი“ ემსახურება 1,300-მდე საჯარო ორგანიზაციას, რაც გარკვეულწილად უზრუნველყოფს მომავალში სახელმწიფო სატრანსპორტო და ინფრასტრუქტურული პროექტების ზრდის შესაბამისად გაიზარდოს ბიზნეს მიმართულების მოცულობა.

### *საბითუმო ვაჭრობა*

თეგეტა მოტორსი აქტიურად მოქმედებს საბითუმო გაყიდვების სფეროში. კომპანიას ჰყავს 4,000-ზე მეტი სავაჭრო პარტნიორი ქვეყნის მასშტაბით. 2018 წელს „თეგეტა მოტორსმა“ შექმნა საბითუმო პორტალი, რის საშუალებითაც სავაჭრო პარტნიორებს შეუძლიათ მიიღონ სასურველი პროდუქტი ოფისიდან გაუსვლელად, ონლაინ შეკვეთების საშუალებით.

### 3.1.3. ბიზნესის სეზონურობის აღწერა.

კომპანიის სეზონურობა ზოგად ბაზრის ტენდენციების შესაბამისია და ბიზნესისთვის გარკვეულწილად დამახასიათებელია. დატვირთულობა წლის მეორე ნახევარში იზრდება რაც დამოკიდებულია ინფრასტრუქტურულ პროექტებზე და სეზონურ პროდუქტებზე გაზრდილ მოთხოვნაზე. კერძოდ სეზონურია ავტომობილთა გაყიდვები, კომპანიის ფინანსური მონაცემების და ისტორიული მონაცემების თანახმად, ყველა ტიპის ახალი ავტომობილის გაყიდვების თვალსაზრისით მეოთხე კვარტალი ყველაზე აქტიური პერიოდია. სეზონურობა მკვეთრად გამოიხატება ზამთარში საბურავებზე გაზრდილ მოთხოვნაში, ხოლო ინფრასტრუქტურული პროექტები როგორც წესი იწყება გაზაფხულზე და სრულდება წლის ბოლოს. კომპანიის ინდუსტრიაში დივერსიფიკაციისა და მასშტაბის

გათვალისწინებით ქვეყანაში საავტომობილო ინდუსტრიის სეზონურობის განსაზღვრაში კომპანიის საქმიანობა იღებს განმსაზღვრელ როლს.

2019 წლის მეოთხე კვარტალიდან 2022 წლის მეოთხე კვარტლის ჩათვლით რეალიზებული პროდუქციის შესაბამის წელთან განაწილება შემდეგნაირია:

| (%, პროცენტი)             | IV კვ 2019 წელი | IV კვ 2020 წელი | IV კვ 2021 წელი | IV კვ 2022 წელი |
|---------------------------|-----------------|-----------------|-----------------|-----------------|
| ავტომობილები              | 29%             | 29%             | 29%             | 33%             |
| მ.შ. ახალი ავტომობილები   | 29%             | 28%             | 30%             | 32%             |
| მ.შ. მეორადი ავტომობილები | 32%             | 34%             | 23%             | 35%             |
| საცალო პროდუქცია          | 31%             | 28%             | 31%             | 33%             |
| მ.შ. საბურავები           | 32%             | 28%             | 35%             | 36%             |

### 3.2. გასაღების ბაზრები (ძირითადი ბაზრები)

#### 3.2.1. ძირითადი ბაზრების აღწერა, და ექსპორტის გეოგრაფიულად ჩაშლა შემოსავლების მიხედვით (თუ რელევანტურია).

კომპანიის ძირითადი საოპერაციო საქმიანობის ადგილი საქართველოა, გასული ათწლეულის მანძილზე საქართველომ მნიშვნელოვან ეკონომიკურ პროგრესს მიაღწია და მიზნად ისახავს შემდგომ ზრდასა და განვითარებას. ბიზნესის გადასახადის სხვადასხვა სახეების რაოდენობა 21-დან 6-მდე შემცირდა; კორუფციის დონე მკვეთრად შემცირდა და საქართველო ლიდერ პოზიციას იკავებს ამ კუთხით. საქართველოს განვითარება იყო და არის დამოკიდებული რეგიონალურ მოთხოვნაზე, გეოპოლიტიკურ მდგომარეობასა და მეზობელ ქვეყნებთან სავაჭრო ურთიერთობებზე. საქართველო დემოკრატიული, საპარლამენტო რესპუბლიკაა, სადაც საქართველოს პრეზიდენტს სიმბოლური კონსტიტუციური პოზიცია აქვს, ხოლო აღმასრულებელ ხელისუფლებას ხელმძღვანელობს საქართველოს პრემიერ-მინისტრი, რომელიც მთავრობის მეთაურია. ათწლეულის წინ საქართველომ განიცადა პოლიტიკური არასტაბილურობის მაღალი დონე. მას შემდეგ, ქვეყანაში მოხდა მნიშვნელოვანი დემოკრატიული, სოციალური და მმართველობითი მიღწევები.

საქართველოში 6 საგადასახადო განაკვეთია:

- მოგების საგადასახადო -15%
- დამატებული ღირებულების გადასახადი 18%
- აქციზური გადასახადი რამდენიმე შერჩეულ საქონელზე
- საშემოსავლო გადასახადი - 20%
- იმპორტის გადასახადი - მერყეობს 0%, 5%, 12% ან ფიქსირებული განაკვეთით
- ქონების გადასახადი-1%-მდე

კომპანიის ძირითად საოპერაციო ბაზარს საქართველო წარმოადგენს, თუმცა გეოგრაფიული დივერსიფიცირებისთვის კომპანია ყოველწლიურად ზრდის სამუშაო არეალს. 2017 წლიდან კომპანია წარმოდგენილია აზერბაიჯანში, სადაც მისი ძირითადი მიმართულება B2B გაყიდვებია. გარდა აზერბაიჯანისა კომპანიას ჰყავს სავაჭრო პარტნიორები ქვეყნის ფარგლებს გარეთ, არაბთა გაერთიანებული საემიროები, ბელგია, გერმანია, ჩინეთი, ნორვეგია, სინგაპური, თურქმენეთი, უზბეკეთი, იტალია, თურქეთი, ყაზახეთი, დანია, ყირგიზეთი და სხვა. 2021 წელს კომპანიის ჯამური შემოსავლის 27% მიღებულია ქვეყნის გარეთ.

### 3.3. ემიტენტის ბიზნეს საქმიანობის განვითარების მნიშვნელოვანი მოვლენების აღწერა.

ბოლო წლების განმავლობაში „კომპანია“ განახორციელა რამდენიმე მნიშვნელოვანი პროექტი:

1. **ფილიალები** - საქართველოს მასშტაბით გაიხსნა 6 ახალი ფილიალი: ბათუმში, რუხში, ქუთაისში, გეზში, თბილისსა და ახალქალაქში. ასევე ქალაქ ბათუმში აშენდა უპრეცედენტო მასშტაბის მულტიბრენდული მეხუთე კატეგორიის ფილიალი, რომელიც მოემსახურება როგორც მსუბუქ და სატვირთო, ისე სპეც. ტექნიკას. პროექტის ფარგლებში ბათუმში პირველად გაიხსნა ტექნიკური მომზადების ცენტრი - თეგეტა აკადემია რომელიც დაინტერესებულ პირებს აძლევს საშუალებას მიიღონ საავტომობილო სფეროში თეორიული და პრაქტიკული ცოდნა.
2. **Tax free პროექტი** - 2017 წელს თეგეტამ დაწერა უნიკალური პროექტი არარეზიდენტი /სატრანზიტო მომხმარებლებისთვის, რომლის ფარგლებშიც მომხმარებელს შეუძლია დაამონტაჟოს საბურავი და დაიბრუნოს დღგ-ს თანხა საზღვარზე. საბურავს ეკვრება სპეციალური სტიკერი TAX FREE, რომელსაც მებაჟე ასკანერებს და მომხმარებელი ქართული საბაჟოს გადაკვეთისას იბრუნებს დღგ-ს თანხას. პროექტის შედეგი იყო გაზრდილი გაყიდვები.
3. **საკრედიტო რეიტინგი** - თეგეტა გახლავთ პირველი კომპანია ავტონდუსტრიის სფეროდან კავკასიასა და აღმოსავლეთ ევროპაში, რომელმაც შეძლო Scope-ის რეიტინგის მოპოვება. სარეიტინგო ფორმის შეფასებით, „კომპანიის“ რეიტინგი BB- ნიშნულზე შეფასდა, პროგნოზით „ნეგატიური“. დამატებით ინფორმაცია შეგიძლიათ იხილოთ მე-3 დანართის 2.5 თავში.
4. **კორპორატიული მმართველობა** - „თეგეტამ“ ითანამშრომლა საერთაშორისო საფინანსო კორპორაციასთან (IFC) და მიიღო სიღრმისეული რეკომენდაციები კორპორატიული მართვის კუთხით. IFC-ს რეკომენდაციებისა და მოდელური დოკუმენტაციის შესაბამისად, დამუშავდა კომპანიის წესდება და სხვა კორპორატიული დოკუმენტები - სამეთვალყურეო საბჭოს დებულება, აუდიტის კომიტეტის სამუშაო ინსტრუქცია, გადაიხედა შვილობილი კომპანიების წესდებები, დამუშავდა დირექტორებთან გასაფორმებელი ხელშეკრულების დრაფტები, შეიქმნა კორპორატიული მდივნის პოზიცია, გაიწერა მისი კომპეტენციის სფერო, აგრეთვე, კორპორატიული მართვის მიმართულებით ნებისმიერი ინიციატივა ფასდება და მტკიცდება IFC-სგან მიღებული რეკომენდაციების გათვალისწინებით. ამ დროისთვის მენეჯმენტის განცხადებით, „თეგეტა მოტორსში“ განსაზღვრულია კორპორატიული მართვის სხვადასხვა პროცესები, რომლებიც არეგულირებს შვილობილი კომპანიების კონტროლსა და მონიტორინგს, მარაგების, სავაჭრო მოთხოვნების და ვალდებულებების მართვას, ხელშეკრულებების და ახალი პროექტების მენეჯმენტს.
5. **თეგეტა აკადემიის ავტორიზაცია** - „კომპანია“ განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობს კადრების განვითარებას და მათ შესაბამისი ცოდნით აღჭურვას. „კომპანია“ 2013 წელს ჩამოაყალიბა „თეგეტა აკადემია“, რომელიც ემსახურება კადრების პროფესიულ განვითარებას თეორიული და პრაქტიკული ტრენინგების მეშვეობით. „კომპანია“ წელიწადში 80-ზე მეტ ტრენინგს ატარებს თბილისში, ზუგდიდში, ქუთაისსა და ბათუმში, რაშიც მხარდაჭერას მისი გლობალური პარტნიორები უწევენ. კომპანიაში წელიწადში დაახლოებით 700 სამსახურის მაძიებლის განაცხადი შემოდის გაყიდვების კონსულტანტების, მექანიკოსების და ა.შ. პოზიციებზე. აკადემიის სასწავლო პროგრამა შედგენილია ევროპაში აპრობირებული დუალური განათლების მოდელის მიხედვით და გულისხმობს სამუშაოზე დაფუძნებულ სწავლებას. 2019 წლის დასაწყისში თეგეტა აკადემიას მიენიჭა სახელმწიფოს მიერ აღიარებული პროფესიული კოლეჯის სტატუსი.
6. **მენეჯმენტის სისტემები** - 2019 წელს შპს „თეგეტა თრაქ ენდ ბასმა“ დაწერა და წარმატებით გაიარა ISO 14001:2015-ის აუდიტი და მიიღო სერტიფიკატი გარემოს დაცვის მიმართულებით;

2020 წლის ბოლოს შპს „თეგეტა მოტორსმა“ გადაწყვიტა გადასულიყო სტანდარტის ახალ ვერსიაზე და შრომის უსაფრთხოებისა და ჯანმრთელობის დაცვის მიმართულებით მიიღო ხელახალი სერტიფიცირება - ISO 45001:2018.

2021 წელს შპს „თეგეტა თრაქ ენდ ბასმა“ წარმატებით გაიარა C ტიპის ინსპექტირების ორგანოს მიერ ჩატარებული გარე საკონტროლო აუდიტი და მიიღო სერთიფიკატი, რომ კომპანია აკმაყოფილებს საქართველოს სტანდარტის სსტ ისო/იეკ 1702:2012/2013-ის მოთხოვნებს და შეუძლია განახორციელოს c ტიპის ინსპექტირება; შპს „თეგეტა თრაქ ენდ ბასი“ ერთადერთი კომპანია საქართველოში, რომელსაც აქვს უფლება განახორციელოს ზემოაღნიშნული საქმიანობა საქართველოს მასშტაბით;

7. **მობილური აპლიკაცია** - მობილური აპლიკაცია გარკვეულწილად თანამედროვეობის მოთხოვნაა. თეგეტას აპლიკაცია შეიქმნა ყველა უახლესი სტანდარტის გათვალისწინებით. ის უზრუნველყოფს ცენტრალიზებული პლატფორმის შექმნას, სადაც თეგეტას ყველა ციფრული სერვისი და ინფორმაცია თავმოყრილი, მომხმარებელი მარტივი რეგისტრაციით იღებს წვდომას თეგეტას ყველა სერვისზე. თეგეტას მობილური აპლიკაციის დახმარებით მომხმარებელს შეუძლია თეგეტას სერვის ცენტრში წინასწარი რეზერვაციის გავლა, აქციების და ფასდაკლებების მონიტორინგი, სასურველი ფილიალის მოძებნა და მიმართულების მიღება, ავტომობილების დამატება და მიღებული სერვისების ისტორიის შენახვა. მნიშვნელოვანია აპლიკაციაში მომხმარებლის პირადი გვერდი, რომლის საშუალებითაც ნებისმიერი დარეგისტრირებული ვიზიტორი მის მიერ თეგეტაში განხორციელებული ყველა ტრანზაქციის, მიღებული ფასდაკლების და თეგეტა ქარდზე დაგროვილი ქულების შესახებ მიიღებს დეტალურ ინფორმაციას. სამომავლო გეგმები ითვალისწინებს აპლიკაციაში ინოვაციური პროდუქტების დამატებას, როგორცაა მაგალითად ონლაინ მაღაზიის და თეგეტა კომფორტის ინტეგრაცია.
8. **ეჯაილ ტრანსფორმაცია** - 2020 წელს ჯგუფმა დაიწყო გადაწყობა ეჯაილ საოპერაციო მოდელზე. ეს მოდელი გულისხმობს კომპანიის სტრუქტურის სრულ ცვლილებას. კომპანია ორიენტირებულია მომხმარებელსა და მასთან დაკავშირებულ მიზნებზე. დეპარტამენტების ფუნქციონალური დაყოფის ნაცვლად, ვიღებთ სურვილისამებრ კონკრეტული მიზნის გარშემო გაერთიანებულ გუნდებს, რომლებიც, შეძლებისდაგვარად, დაკომპლექტებულია განსხვავებული კომპეტენციის მქონე ადამიანებით. კომპანიის მოცემულ სტრუქტურაზე გადასვლა ბიზნესის პროცესების ოპტიმიზაციისა და საოპერაციო ეფექტურობის ამაღლების საწინდარია. ისტორიულად თეგეტას ბიზნეს მოდელი ეფუძნება იდეას მოემსახუროს ყველა ტიპის მომხმარებელს, განურჩევლად ავტომობილის ბრენდისა, მოდელის ან წლოვანებისა. შესაბამისად, აღნიშნული მოდელი მოითხოვს რამდენიმე მიმართულების ერთდროულ მართვას, ხოლო თავის მხრივ, მიმართულებები აერთიანებს სხვადასხვა ბრენდებსა და გაყიდვების არხებს, რაც ერთობლიობაში წარმოქმნის კომპლექსურ ორგანიზაციულ სტრუქტურას. ამასთანავე, წლების განმავლობაში ბაზარზე წარმატებულმა საქმიანობამ განაპირობა კომპანიის მასშტაბების ზრდა, რაც თავისთავად წარმოშობს რისკებს, რომ ცენტრალიზებული ორგანიზაციული მართვის პირობებში რიგი პროცესების ეფექტურობამ და ეფექტიანობის ხარისხმა შეიძლება დაიწიოს. სწორედ ასეთი შედეგების თავიდან ასაცილებლად მოახდინა კომპანიამ ეჯაილ ტრანსფორმაცია.

### 3.4. სამომავლო სტრატეგია და მიზნები

3.4.1. ბიზნესის სტრატეგიისა და მიზნების აღწერა (ფინანსური და არაფინანსური). ამასთან, კომპანიის სამომავლო გეგმების აღწერა.



„კომპანია“ მიზნად ისახავს გააგრძელოს ბოლო წლების წარმატებული საქმიანობა და შესაბამისად შეიმუშავა გარკვეული სტრატეგიული პრიორიტეტები, რომლებიც უზრუნველყოფენ მის შემდგომ ზრდას. "თეგეტა მოტორსის" ძირითადი სტრატეგიული მიზნები მომავალი წლებისთვის მოიცავს:

- კომპანიის პოზიციის გამყარება ბაზარზე და ბაზრის წილის ზრდა ყველა მიმართულებით;
- პროდუქციის დივერსიფიკაცია ბაზარზე მოსალოდნელი რყევების თავიდან ასაცილებლად;
- ფილიალების ქსელის გაფართოება საქართველოს მასშტაბით;
- ახალი ბაზრების ათვისება საქართველოს ფარგლებს გარეთ პარტნიორებთან ერთად

კომპანიის განვითარებისათვის მნიშვნელოვან მიმართულებას წარმოადგენს ინფრასტრუქტურული პროექტების განვითარება, კერძოდ სასაწყობო და საოპერაციო ობიექტების მშენებლობა. დადგენილი სტრატეგიის მიხედვით კომპანია დამატებით განიხილავს სასესხო და/ან სააქციო კაპიტალის ბაზარზე გასვლას და სამომავლო პროექტების დასაფინანსებლად კაპიტალის მოზიდვას. კომპანიის მიზანია მსხვილ საერთაშორისო საფინანსო ინსტიტუტებთან და საერთაშორისო ფონდებთან მუშაობა. მოზიდული კაპიტალი კომპანიას საშუალებას მისცემს შეამციროს სასესხო ვალდებულების ტვირთი და დააფინანსოს სამომავლო პროექტები, ხოლო გრძელ ვადაში კი გაისტუმროს ინვესტორი ორივე მხარისათვის მომგებიანი გარიგებით.

თეგეტა მოტორსის გრძელვადიანი სტრატეგიის ყველაზე მნიშვნელოვან ნაწილს წარმოადგენს საერთაშორისო საფონდო ბირჟაზე გასვლა და აქციების გამოშვება, რაც არამარტო კომპანიისთვის, არამედ ქვეყნისათვის მნიშვნელოვანი ნაბიჯი იქნება.

### 3.4.2. ბიზნესების შესყიდვებისა და შერწყმების შესახებ ინფორმაცია.

2022 წელს „კომპანიამ“ შეისყიდა 3 დაკავშირებული მხარის საწარმო

1. შპს ავტო გალერი (ს.ნ. 405232957) – 90% წილის საკუთრება;
2. შპს ინტერავტო თრეიდინგი (ს.ნ. 206211936) - 100% წილის საკუთრება;
3. შპს კავკასუს ავტომოტივი (ს.ნ.405302836) - 100% წილის საკუთრება;

თავის მხრივ შპს ავტო გალერის 100%-იან მფლობელობაშია შპს თეგეტა ქარ რენტ (ს.ნ. 406207322), ხოლო შპს ინტერავტო თრეიდინგის მფლობელობაშია შპს თეგეტა რენტალსი (ს.ნ. 454412305).

დამოუკიდებელი ექსპერტის შეფასების შემოსავლის მიდგომით განსაზღვრული და აქტივებზე დაფუძნებული მეთოდოლოგიების დასკვნის საფუძველზე კომპანიათა საბაზრო ღირებულება ჯამურად შეადგენს 104 მლნ ლარს. აღნიშნული კომპანიები წარმოადგენდნენ დაკავშირებულ მხარეებს და ოპერაციის შედეგად გაერთიანდნენ „კომპანიის“ საკუთრებაში. სამივე კომპანიის საკუთრების შესყიდვის ფასმა ჯამურად შეადგინა 92,6 მლნ ლარი. შესყიდვის და შეფასების ფასებს შორის სხვაობა გამოწვეულია საგადასახადო რისკებისაგან თავის დასაზღვევად.

შესყიდული საწარმოების ფინანსური მაჩვენებლები ხელმისაწვდომია მე-3 დანართის 6.3 თავში, კონსოლიდირებულ საბალანსო ანგარიშში ვალდებულებების სხვა მოკლევადიან და გრძელვადიან მუხლებში და აქტივების სხვა აქტივებისა მუხლში. ნასყიდობის ხელშეკრულების საფუძველზე ემისიის თარიღისათვის გადასახდელი ვალდებულება წარმოადგენს 42,2 მლნ ლარს, საიდანაც 30 მლნ ლარი გრაფიკით დასაფარია 2024 წლის 01 ივლისამდე.

2022 წლის 8 თვის პერიოდში ემიტენტის შვილობილმა კომპანიამ Tegeta Motors Baku LLC გამოისყიდა წილი პარტნიორი საწარმოსაგან, ტრანზაქციის შედეგად 20%-იდან ემისიის დროისათვის შვილობილი კომპანიის წილის ოდენობა Aztech and Tegeta Motors LLC-ში 75%-ია, რომლის სანაცვლოდ კომპანიამ პარტნიორს 2 მლნ აშშ დოლარი აუნაზღაურა.

2023 წლის 13 იანვარს ემიტენტმა შეიძინა შპს ავტო გალერის 10%-იანი წილი და ემისიის თარიღისათვის კომპანიის 100%-იანი საკუთრების უფლებას ფლობს.

3.4.3. არსებობის შემთხვევაში, კომპანიის ან მისი შვილობილების გადახდისუუნარობის ან ოპერაციების შეჩერების, ასევე გაკოტრების შემთხვევების აღწერა.

ადგილი არ ჰქონია შვილობილების გადახდისუუნარობის ან ოპერაციების შეჩერების, ასევე გაკოტრების შემთხვევას.

3.5. ინფორმაცია ძირითადი პატენტების, ლიცენზიების, კომერციული ან ფინანსური კონტრაქტების ან წარმოების ახალი პროცესების შესახებ;

3.5.1. ინფორმაცია ძირითადი პატენტების, ლიცენზიების, კომერციული ან ფინანსური კონტრაქტების ან წარმოების ახალი პროცესების შესახებ.

### **კომერციული კონტრაქტები**

კომპანიას კომერციული კონტრაქტები გაფორმებული აქვს დაახლოებით 300 მომწოდებელთან (რომელთა შორის არიან ისეთი მსხვილი მომწოდებლები, როგორცაა Bridgestone MEA, JCB SALES LTD). „კომპანიის“ კლიენტების პორტფელი დივერსიფიცირებულია და შესაბამისად არცერთი მომხმარებლის წილი არ აღემატება მთლიანი გაყიდვების 10%-ს. ხოლო, მომწოდებლებს შორის მხოლოდ Toyota-ს ბრენდის წილი აღემატება შესყიდვების 10%-ს. ხელშეკრულებები ეფუძნება მომწოდებლების სპეციალურ ფორმებს და მათი პირობები შესაბამისად განსხვავებულია.

Toyota-ს მიერ კონტრაქტის ერთპიროვნულად შეწყვეტა ძირითადად მოიცავს დათქმებს, რომელთა შედეგი მომწოდებლის რეპუტაციული რისკის დადგომა შეიძლება გახდეს. ასევე გაკოტრებისა და კომპანიის გადახდისუუნარობის შედეგად. თეგეტა, როგორც დილერი ვალდებულია უზრუნველყოს ტოიოტას სერვისის მიწოდება შეთანხმებული სტანდარტების მიხედვით, დაიცვას პროდუქციის უნიკალურობა, უზრუნველყოს პროდუქციის განთავსება სათანადო ტერიტორიაზე. მხარის მიერ სანქცირებას ექვემდებარება თაღლითობის შემთხვევები, რომელთა შედეგად შეიძლება მიჩნეულ იქნეს ფაქტორები სადაც ხდება 1. საოპერაციო საქმიანობისათვის ძირითადი აქტივობისათვის ხელისშეშლა; 2. მხარეთა ურთიერთობებისა და ნდობის დაზიანება; 3. რეპუტაციული ზიანის მიყენება.

მომწოდებლებთან „კომპანიის“ ხელშეკრულებების ძირითადი ნაწილი ეხება გასაყიდი პროდუქციის შესყიდვას. ხელშეკრულებები განსაზღვრავენ ისეთ საკითხებს, როგორცაა პროდუქციის ტიპი, მოწოდების ვადა, გადახდის პირობა, გარანტია, მოცულობა, დისტრიბუციის არეალი, მარკეტინგული მხარდაჭერა და სხვა. „კომპანიის“ მიერ შესყიდული პროდუქციის მიღებას ორი კვირიდან ოთხ თვემდე სჭირდება, გამომდინარე იქიდან თუ რომელი რეგიონიდან ხდება იმპორტი.

მიუხედავად იმისა რომ „კომპანია“ გარკვეულწილად დამოკიდებულია რამდენიმე მსხვილ მომწოდებელზე, „კომპანია“ მიიჩნევს, რომ მას ეფექტურად შეუძლია ამ რისკის მართვა, რადგან კომპანიის პორტფელი დივერსიფიცირებულია და ყველა სეგმენტში ათეულობით ბრენდს მოიცავს, ხოლო თავად სავაჭრომობილო ნაწილები და მასალები ფართოდაა ხელმისაწვდომი როგორც საერთაშორისო, ასევე რეგიონალურ ბაზრებზე, რის გამოც კომპანიას მარტივად შეუძლია მომწოდებლების ჩანაცვლება. „კომპანიას“ წარსულში შეუცვლია სხვადასხვა მომწოდებლები უკეთესი ფასისა და ხარისხის მისაღებად გაყიდვების პროცესის შეფერხებებისა და დარღვევების გარეშე.

მოწოდების პირობები ინდუსტრიისთვის სტანდარტულია და „კომპანიას“ საშუალებას აძლევს საბრუნავი კაპიტალის გარკვეული ნაწილი სავაჭრო ვალდებულებების მეშვეობით დააფინანსოს.

უცხოურ ვალუტაში დენომინირებული სავაჭრო ვალდებულებების რისკის სამართავად „კომპანია“ აქტიურად იყენებს სავალუტო ფორვარდულ გარიგებებს, რომელთა მეშვეობითაც იგი ლარში აფიქსირებს გადასახდელ მოცულობას.

2020 და 2021 წლებში კომპანიამ თბილისის მერიას მიაწოდა 226 ერთეული BMC-ის ბრენდის 12 მეტრიანი ავტობუსი.

2022 წელს „თბილისერვის ჯგუფის“ ტენდერის შესაბამისად კომპანიის შვილობილმა კომპანია შპს თეგეტა თრაქ ენდ ბასმა MAN-ის ბრენდის 12 ერთეული სპეციალური დანიშნულების ტექნიკა მიაწოდა.

კომპანიამ 2022 წელს გაიმარჯვა სომხეთის დედაქალაქ ერევნის მუნიციპალიტეტის მიერ გამოცხადებულ საერთაშორისო ორ-ეტაპიან ტენდერში. ერევნის მუნიციპალიტეტმა გამარჯვებული 2022 წლის აპრილში გამოავლინა და 6 მაისს ოფიციალურად გაფორმდა ხელშეკრულება, რომლის თანახმად კომპანია ერევანს MAN-ის ბრენდის 100-მდე ერთეულ ავტობუსს მიაწვდის. ავტობუსების გადაცემის პროცესი 2022 წლის ბოლოდან დაიწყება და 2022-23 წლების პერიოდში რამდენიმე ეტაპად განხორციელდება. სატრანსპორტო რეფორმა სომხეთის დედაქალაქში ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკის (EBRD) ხელშეწყობით ხორციელდება.

**საკრედიტო ხელშეკრულებები სს „თიბისი ბანკთან“**

31 იანვრის მდგომარეობით „ემიტენტსა“ და მის შვილობილ კომპანიებს გაფორმებული ჰქონდათ შემდეგი საკრედიტო ხელშეკრულებები სს „თიბისი ბანკთან“:

| მსესხებელი                   | კონტრაქტის ნომერი | კონტრაქტის თანხა (ათასი ლარი) | კონტრაქტის ვალუტა |
|------------------------------|-------------------|-------------------------------|-------------------|
| შპს თეგეტა მოტორსი           | 188646-10050961   | 2,841                         | ლარი              |
| შპს თეგეტა მოტორსი           | 188646-12005313   | 38,141                        | ლარი              |
| შპს თეგეტა მოტორსი           | 188646-12367588   | 4,742                         | ლარი              |
| შპს თეგეტა რითეილი           | 7262419-12382738  | 2,000                         | ლარი              |
| შპს თეგეტა რითეილი           | 7262419-12402150  | 15,000                        | ლარი              |
| შპს თეგეტა დისტრიბუცია       | 7199724-12098597  | 7,000                         | ლარი              |
| შპს თეგეტა ავტომოტივ იმპორტი | 7205844-12369273  | 2,956                         | ლარი              |
| შპს თეგეტა თაიარ იმპორტს     | 7704277-12218160  | 10,000                        | ლარი              |
| შპს თეგეტა პრაიმ პროდაქტს    | 7203780-12386958  | 4,100                         | ლარი              |
| შპს თეგეტა თრაქ ენდ ბას      | 1525691-11976714  | 1,355                         | ევრო              |
| შპს თეგეტა თრაქ ენდ ბას      | 1525691-12301564  | 7,679                         | ევრო              |
| შპს თეგეტა თრაქ ენდ ბას      | 1525691-12319673  | 1,700                         | ევრო              |
| შპს თეგეტა თრაქ ენდ ბას      | 1525691-12385744  | 3,169                         | ევრო              |
| შპს თეგეტა ქომერშელ ვიიქელს  | 7456587-12384809  | 2,881                         | ევრო              |
| შპს თეგეტა პრემიუმ ვიიქელს   | 2110765-12208276  | 638                           | იაპონური იენი     |
| შპს თეგეტა პრემიუმ ვიიქელს   | 2110765-12244637  | 2,782                         | იაპონური იენი     |
| შპს თეგეტა პრემიუმ ვიიქელს   | 2110765-12303001  | 775                           | იაპონური იენი     |
| შპს თეგეტა პრემიუმ ვიიქელს   | 2110765-12345591  | 435                           | იაპონური იენი     |

|                            |                  |                |               |
|----------------------------|------------------|----------------|---------------|
| შპს თეგეტა პრემიუმ ვიიქელს | 2110765-12223369 | 2,232          | იაპონური იენი |
| შპს ტოიოტა ცენტრი თეგეტა   | 2496868-10481976 | 10,459         | ლარი          |
| შპს კავკასუს ავტომოტივი    | 6799122-12388844 | 2,161          | ევრო          |
| შპს თეგეტა ქარ რენტ        | 4140388-11559329 | 2,213          | ლარი          |
| შპს თეგეტა ქარ რენტ        | 4140388-11559916 | 1,170          | ლარი          |
| შპს თეგეტა ქარ რენტ        | 4140388-12162469 | 222            | ლარი          |
| შპს თეგეტა რენტალს         | 6566855-10558107 | 169            | ლარი          |
| <b>სულ</b>                 |                  | <b>126,820</b> |               |

*\*კომპანიის სესხების შესახებ დამატებითი ინფორმაციისთვის იხილეთ ქვეთავი „კაპიტალიზაცია და დავალიანება“.*

„ემიტენტის“ და მისი შვილობილი კომპანიების შესაბამისი საკრედიტო ხელშეკრულებების მიზნობრიობა წარმოადგენს მარაგების შევსებას/შემენას, ოპერაციების ფინანსირებას, საბრუნავი საშუალებების ფინანსირებას, არსებული სესხის რეფინანსირებას. საკრედიტო ხელშეკრულებებით გათვალისწინებულია მთელი რიგი როგორც არაფინანსური, ასევე ფინანსური კოვენანტები. მათ შორის, ბანკის ნებართვის გარეშე „ემიტენტი“ არ არის უფლებამოსილი გააფორმოს ლიზინგი, ან რაიმე სახის ფინანსური ვალდებულება ნებისმიერი ფინანსური ინსტიტუტიდან (გარდა ხელშეკრულებებით გათვალისწინებული ლიმიტების და გამონაკლისი შემთხვევებისა). შესაბამისად, წინამდებარე „პროსპექტით“ გათვალისწინებული ემისიაზე „ემიტენტს“ მოპოვებული აქვს სს „თიბისი ბანკის“ თანხმობა.

ფინანსური კოეფიციენტების დათვლა მოხდება ჯგუფის კონსოლიდირებულ ფინანსური უწყისებზე დაყრდნობით და ჯგუფის ფინანსური კოვენანტები შემდეგია:

- ჯგუფმა ბოლო 12 თვის Free Cash-დან დათვლილი სესხის მომსახურების კოეფიციენტი (DSCR(CFADS) შეინარჩუნოს მინიმუმ DSCR Y 2022 -  $\geq 1.0$ , Y 2023 -  $\geq 1.15$  (შენარჩუნებული უნდა იქნეს მომდევნო წლებშიც).
- ჯგუფის წმინდა სასესხო დავალიანების შეფარდება ბოლო 12 თვის EBITDA-თან შეადგინოს არაუმეტეს 5.0 2022 წლის ბოლოს არაუმეტეს 4.5-სა 2023 წლის ბოლოს, არაუმეტეს 4.0 2024 წლის ბოლოს და შემდეგ პერიოდებში. (2022 -  $Net\ DEBT^*/EBITDA \leq 5.0$ ; 2023 -  $Net\ DEBT/Ebitda \leq 4.5$ ; 2023 და შემდგომ  $Net\ DEBT/Ebitda \leq 4.0$ );
- ჯგუფმა შეინარჩუნოს ბოლო 12 თვის ICR\* (Ebit/Interest) კოეფიციენტი 2022 წელს მინიმუმ 1.5; 2023 წელს მინიმუმ 2.0; 2024 წლიდან მინიმუმ 2.3.
- დივიდენდის გატანა, ან დამფუძნებელზე/დაკავშირებულ პირზე სესხის გაცემა (ბიზნესიდან თანხის გატანა) წინასწარ უნდა შეთანხმდეს ბანკთან. თანხების გაცემა უნდა მოხდეს შემდეგი კოვენანტების დაცვით: DSCR Y 2022 -  $\geq 1.0$ , Y 2023 -  $\geq 1.15$  (შენარჩუნებული უნდა იქნეს მომდევნო წლებშიც). DSCR- ის კალკულაცია მოხდება შემდეგნაირად:  $(EBITDA +/- Change\ in\ WC - Maintenance\ Capex - Dividend - Taxes) / PMT$ . ბანკის მიერ დადგენილი კოეფიციენტების და დივიდენდის გატანის შესაბამისობა უნდა გადამოწმდეს ა) ისტორიული სრული წლის ფინანსური მაჩვენებლებით ბ) ფაქტობრივი და სამომავლო ფინანსური მაჩვენებლებით. ფინანსური კოეფიციენტების შესრულების მიუხედავად, 2022 წელს დივიდენდის მოცულობა არ უნდა აღემატებოდეს 14 მილიონ ლარს.
- ჯგუფს არ წარმოეკმნება დანახარჯი ან ვალდებულებები ფიქსირებული და სხვა არა-მიმდინარე აქტივებისათვის (იმ დანახარჯების გარდა, რომელიც საჭიროა პროექტის განხორციელებისათვის, ან პროექტის ოპერაციებთან დაკავშირებული ტექნიკური

მომსახურების, შეცვლისა ან სარემონტო სამუშაოების დანახარჯების გარდა), რომლის საერთო თანხა შეადგენს 10 მილიონ ლარზე მეტს ნებისმიერ ფინანსურ წელიწადში.

2020 და 2021 წლის 31 დეკემბრის, 2022 წლის 31 მარტის მდგომარეობით არ შესრულდა სს „თიბისი ბანკის“ მიმართ არსებული სასესხო დავალიანების ფარგლებში გათვალისწინებული რამდენიმე დათქმა ფინანსური კოეფიციენტების ზღვრული ოდენობის მიმართ. აღნიშნული პერიოდების განმავლობაში სს „თიბისი ბანკთან“ „ემიტენტსა“ და მის შვილობილ კომპანიებს გააჩნდათ ინდივიდუალური კოვენანტები ინდივიდუალურ ფინანსურ ანგარიშგებაზე დაყრდნობით, რაც არსებული მოცემულობით ძალაში აღარ არის და არაარელევანტურია „ემიტენტის“ საქმიანობისათვის. 2022 წლის II კვარტალში კოვენანტები შეიცვალა და ზემოთ მოცემული პირობებით ამჟამად მიემართება მხოლოდ ჯგუფის კონსოლიდირებულ ფინანსურ შედეგებს. 2022 წლის 30 ივნისის მდგომარეობით ირღვეოდა შემდეგი ფინანსური კოვენანტები: DSCR, Net DEBT/EBITDA და ICR. 2020 წლის 31 დეკემბრისათვის, 2021 წლის 31 დეკემბრისათვის, 2022 წლის 31 მარტისათვის და 2022 წლის 30 ივნისისათვის, 2022 წლის 30 სექტემბრისათვის „კომპანიას“ მიღებული აქვს სს „თიბისი ბანკისგან“ წერილობითი დასტურები, რომ ფინანსური დათქმების დარღვევის მიუხედავად სს „თიბისი ბანკი“ არ მოითხოვს სესხების დაუყოვნებლივ დაფარვას.

შესრულების კოეფიციენტების დათვლა ეყრდნობა მენეჯერულ კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებას და კოვენანტები ვრცელდება სახელშეკრულებო ვალდებულებების სრულ მოცულობაზე. ბანკის მიერ კომპანიის მონიტორინგი ხორციელდება წელიწადში 4-ჯერ ყოველკვარტლურად კომპანიის მიერ წარდგენილი კონსოლიდირებული მენეჯერული ფინანსური ანგარიშგებისა და უწყისების საფუძველზე.

ჯგუფში შემავალი კომპანიების მიხედვით დათქმული კოვენანტების და მათი შესრულების მაჩვენებლები მოცემულია შემდეგ ცხრილში და დათვლილია 2022 წლის 31 დეკემბრის მონაცემებით სს „თიბისი ბანკის“ მიერ.

|                     |               | შესრულება  |            |            |
|---------------------|---------------|------------|------------|------------|
| კოეფიციენტის სახელი | დათქმა        | 31.08.2022 | 30.09.2022 | 31.12.2022 |
| DSCR CFAD Based     | არანაკლებ 1.0 | 1.12       | 1.00       | 1.23       |
| Net DEBT/EBITDA     | არაუმეტეს 5.0 | 5.52       | 5.25       | 3.90       |
| ICR                 | არანაკლებ 1.5 | 1.62       | 1.37       | 1.57       |

**გამოშვებული ფასიანი ქაღალდების კოეფიციენტის შესრულება**

ემიტენტმა 2022 წლის 16 დეკემბერს გამოსცა 150 000 000 ლარის ფასიანი ქაღალდები (ISIN: GE 2700604236), შესაბამისად ფინანსური ვალდებულებების მხრივ კომპანია ვალდებულია გამოსციდვის თარიღამდე დაიცვას კოეფიციენტი მისი და მისი „შვილობილ(ებ)ის“ წმინდა „ფინანსური ვალდებულებების“ ოდენობის „ემიტენტისა“ და მისი „შვილობილ(ებ)ის“ „IFRS“-ის მიხედვით დათვლილ კონსოლიდირებულ მონაცემებზე დაყრდნობით გაანგარიშებულ ბოლო კალენდარული წლის EBITDA-სთან მაქსიმუმ 6.0-ჯერ.

ემიტენტს 2023 წლის 28 აპრილს დაუმტკიცდა 30,000,000 დოლარის ექვივალენტი ობლიგაციების საჯარო შეთავაზების დოკუმენტი (პროსპექტი). ობლიგაციების გამოშვება ხორციელდება ერთი ან ერთზე მეტი ემისიით აშშ დოლარის ან ევროს ვალუტაში.

პროსპექტის მომზადების თარიღისათვის ემისიის ფარგლებში განთავსებულია 25,000,000 აშშ

დოლარის (ISIN: GE 2700604327) და 5,000,000 ევროს (ISIN: GE 2700604335) საერთო ძირის ოდენობით ობლიგაციები.

2022 წლის 31 დეკემბრის და 2023 წლის 28 აპრილის ემისიებისათვის დადგენილია და სრულდებოდა შემდგომი ფინანსური კოეფიციენტი და არ აღემატება 6.0-ს

|                            |               | შესრულება         |
|----------------------------|---------------|-------------------|
| <b>კოეფიციენტის სახელი</b> | <b>დათქმა</b> | <b>31.12.2022</b> |
| Debt/EBITDA                | არაუმეტეს 6.0 | 2.9               |

**წინამდებარე პროსპექტით აღწერილი ფასიანი ქაღალდების კოეფიციენტის შესრულება**

მწვანე ობლიგაციების პროსპექტით განხილული ფასიანი ქაღალდების ფინანსური კოვენანტები დგინდება ქვემოთ განხილული შესათავაზებელი ფასიანი ქაღალდების ქვეთავში (ვ) **ფინანსური ვალდებულებები** და ემისიის თარიღისათვის შესრულების კოეფიციენტი არ აღემატება ვალდებულებების კორექტირებული დავალიანებით EBITDA-სთან თანაფარდობის დადგენილ 5.0 ზღვარს. როგორც წარმოდგენილია ქვემოთ მოცემულ ცხრილში:

|                            |               | შესრულება         |
|----------------------------|---------------|-------------------|
| <b>კოეფიციენტის სახელი</b> | <b>დათქმა</b> | <b>31.12.2022</b> |
| Debt/EBITDA                | არაუმეტეს 5.0 | 3.3               |

ფასიანი ქაღალდების ემისიის შედეგად მოსალოდნელია, რომ კოეფიციენტის შესრულება მნიშვნელოვნად არ შეიცვლება და კვლავ დარჩება დათქმის ფარგლებში, კონკრეტულად 3.5 თანაფარდობითი მაჩვენებლით.

3.5.2. ემიტენტის საქმიანობაში გამოყენებული რესურსების შესახებ ინფორმაცია, მისი ტიპების, წყაროების, ფასების ცვალებადობის/სტაბილურობის მითითებით.

კომპანიის საქმიანობაში გამოყენებული რესურსები შესაძლებელია დაიყოს შემდეგ ტიპებად:

- **სასაქონლო მარაგების რესურსები**-სასაქონლო მარაგები წარმოადგენს სავაჭრო კომპანიის ერთ-ერთ უმთავრეს აქტივს, მარაგების სწორი და ეფექტური მენეჯმენტი არის კომპანიის წარმატების ერთ-ერთი მთავარი მამოძრავებელი, მარაგების ოპტიმიზაციასა და მართვაზე კომპანიაში ჩამოყალიბებულია სპეციალური ჯგუფი შესყიდვებსა და პროდუქტის მართვის დეპარტამენტში, რომელიც ყოველდღიურ რეჟიმში თვალს ადევნებს და ზრუნავს სასაქონლო მარაგების ჯანსაღ დონეზე შენარჩუნებაზე. სასაქონლო მარაგების მართვაში უმნიშვნელოვანესი როლი აქვს პროდუქციის ფასს და მის მოწოდების ვადას. ამ რისკის შესამცირებლად კომპანიას აქვს დივერსიფიცირებული პორტფელი რაც აძლევს საშუალებას ეფექტურად მართოს გლობალურ საავტომობილო ბაზარზე მიმდინარე ცვლილებები და მისთვის ხელსაყრელად გამოიყენოს ეს უკანასკნელი.
- **ადამიანური რესურსი**-კომპანიაში დასაქმებულია 2,400 თანამშრომელზე მეტი. გამომდინარე ბიზნეს სექტორიდან, კომპანიის ერთ-ერთ მთავარ გამოწვევად რჩება კვალიფიციური პერსონალი, ვინაიდან ბაზარზე არ არის შესაბამისი საგანმანათლებლო ინსტიტუტი, რომელიც კომპანიას მისცემს საშუალებას სწრაფად მოძებნოს შესაბამისი ტექნიკური განათლების თანამშრომელი, სწორედ ამიტომ „კომპანია“ 2013 წელს ჩამოაყალიბა „თეგეტა აკადემია“,

რომელიც ემსახურება კადრების პროფესიულ განვითარებას თეორიული და პრაქტიკული ტრენინგების მეშვეობით. „კომპანია“ წელიწადში 80-ზე მეტ ტრენინგს ატარებს თბილისში, ზუგდიდში, ქუთაისსა და ბათუმში, რაშიც მხარდაჭერას მისი გლობალური პარტნიორები უწევენ. „თეგეტასთან“ წელიწადში 700 სამსახურის მაძიებლის განაცხადი შემოდის გაყიდვების კონსულტანტების, მექანიკოსების და ა.შ. პოზიციებზე. აკადემიის სასწავლო პროგრამა შედგენილია ევროპაში აპრობირებული დუალური განათლების მოდელის მიხედვით და გულისხმობს სამუშაოზე დაფუძნებულ სწავლებას. 2019 წლის დასაწყისში თეგეტა აკადემიას მიენიჭა სახელმწიფოს მიერ აღიარებული პროფესიული კოლეჯის სტატუსი.

- **ტექნოლოგიური რესურსები**

- **მყარი რესურსები** - კომპანია კორპორატიულ და საცალო კლიენტებს სთავაზობს მაღალი ხარისხის ავტო-პროდუქტებისა და სერვისის ფართო სპექტრს, რაც მოითხოვს მაღალი სტანდარტის დანადგარების და აღჭურვილობის რესურსებს. სერვისების გასაწევად „კომპანია“ იყენებს თანამედროვე აღჭურვილობას და დანადგარებს ისეთი მომწოდებლებისგან, როგორებიცაა Bosch, Nusbaum, Teco, Hunter, Hofmann, Heshbon და სხვა. თანამედროვე დანადგარები პასუხობენ უახლესი ხარისხის ტექნოლოგიურ და უსაფრთხოების სტანდარტებს და შესაბამისად „კომპანია“ მომხმარებელს სთავაზობს საუკეთესო ხარისხის მომსახურებას.
- **ინტელექტუალური რესურსები** - კომპანია აქტიურად ვითარდება საინფორმაციო ტექნოლოგიების მიმართულებით და მომხმარებელს სთავაზობს სხვადასხვა ონლაინ მომსახურებასა და აპლიკაციას. აღნიშნული პროექტები ხორციელდება თეგეტა მოტორსის შიდა რესურსებით. კომპანიაში სრულ განაკვეთზე დასაქმებულია საინფორმაციო ტექნოლოგიების დეველოპერთა და ანალიტიკოსთა გუნდი, რაც საშუალებას აძლევს კომპანიას დაზოგოს მნიშვნელოვანი თანხები აღნიშნულ პროექტებზე და მაქსიმალურად მოკლე ვადაში შეასრულოს ბიზნესის მოთხოვნები.
- **ფინანსური რესურსი** - აღნიშნული რესურსი გამოიყენება კომპანიის მიერ არჩეული სტრატეგიის და ზემოთჩამოთვლილი სხვა რესურსების მხარდასაჭერად, შესაბამისად არის ყველაზე მნიშვნელოვანი რესურსი კომპანიის ბიზნეს რესურსებში. თეგეტა მოტორსი ფინანსური რესურსების კუთხით იყენებს როგორც გაუნაწილებელ მოგებას ასევე პარტნიორი ბანკის საკრედიტო რესურსს. უმეტეს შემთხვევაში კომპანიის სამუშაო კაპიტალის ფინანსირება ხდება კომპანიის სახსრებით, ხოლო მსხვილი კაპიტალური დანახარჯები ინფრასტრუქტურულ და საინფორმაციო ტექნოლოგიების პროექტებზე მოზიდული საბანკო კრედიტით.

### 3.5.3. ტექნოლოგიების აღწერა.

„კომპანია“ იყენებს ბიზნესის მართვისა და ბიზნეს პროცესების ადმინისტრირების ავტომატიზებული თანამედროვე პროგრამა „SAP“-ს, რომელსაც რამდენიმე მნიშვნელოვანი უპირატესობა გააჩნია, მათ შორის:

- **მაღალი დონის ურთიერთინტეგრაცია მოდულებს შორის** - ერთ-ერთი მთავარი ფაქტორი საპის პროგრამისთვის არის მაღალი დონის ურთიერთინტეგრირება მოდულებს შორის. ერთი კონკრეტული ტრანზაქციის გატარებისას შედეგები ავტომატურად აისახება ყველა გააქტიურებულ მოდულში და არ საჭიროებს რაიმე სახის დამატებით ოპერაციებს ან დამატებით ქვეპროგრამებს სხვადასხვა მიმართულებით მონაცემების სინქრონიზაციისთვის.
- **მონაცემების სიზუსტე და საიმედოობა** - მაღალი დონის ინტეგრაცია უზრუნველყოფს, რომ მონაცემები ნებისმიერ მოდულში არის იდენტური და ზუსტი. ამავდროულად ამ მოდულების ურთიერთდამოკიდებულება უზრუნველყოფს იმას, რომ მომხმარებელმა პროგრამაში

შეიყვანოს ის მინიმალური და სწორი მონაცემები, რის საფუძველზეც „კომპანია“ იღებს მაქსიმალურად ზუსტ ინფორმაციას.

- **ინფორმაციის ოპერატიულობა** - კომპანიის მასშტაბების მიუხედავად მნიშვნელოვანია, რომ ბიზნეს-პროცესის ყველა შესაბამის რგოლს ჰქონდეს ოპერატიული ინფორმაცია მიმდინარე პროცესებზე. ნებისმიერ თანამშრომელს მისი კომპეტენციის ფარგლებში აქვს ონლაინ ინფორმაცია კომპანიაში არსებულ სიტუაციაზე (დარჩენილი მარაგები, ფასების ავტომატური ცვლილება, დებიტორულ-კრედიტორული დავალიანებები, ბიუჯეტის კონტროლი და ა.შ.).
- **პროცესების კონტროლი და ავტორიზაციის დონეები** - პროგრამა იძლევა საშუალებას რომ პროცესების ავტორიზაციის მეშვეობით მოხდეს ეფექტური კონტროლის გატარება.
- **ინფორმაციის კონფიდენციალურობა და უფლებების გამიჯვნა** - კომპანიის ზრდასთან ერთად მატულობს კონფიდენციალური ინფორმაციის გაჟონვის ალბათობა და რისკები. მომხმარებლების უფლებების მართვის მოქნილი მეთოდები (ე.წ. „იუზერმენეჯმენტი“) საშუალებას იძლევა ზუსტად განისაზღვროს თითოეული მომხმარებლის კომპეტენციის ფარგლები.

#### 3.5.4. ბიზნეს პროცესისა და ხარისხის კონტროლის პროცედურების აღწერა.

შპს "თეგეტა მოტორსი" ბიზნესის განვითარების ძირითად პრიორიტეტად მიიჩნევს დამკვეთებისთვის მაღალი ხარისხის პროდუქტის და მომსახურების მიწოდებას, რაც თავისთავად განაპირობებს კომპანიის წარმატებას. ორგანიზაციის პერსონალმა შეიმუშავა და დანერგა ხარისხის მენეჯმენტის სისტემა, რომლის მიზანია:

- კომპანიის ხარისხის პოლიტიკის და მიზნების შემუშავება და დანერგვა;
- კლიენტისათვის მოთხოვნების შესაბამისი ხარისხის პროდუქტის/მომსახურების მიწოდება და პროექტების შემუშავება-განხორციელება;
- პროცესების უზრუნველყოფა კლიენტის და საკანონმდებლო მოთხოვნების შესაბამისად;
- კომპანიის კონკურენტუნარიანობის და მოგების გაზრდა;
- მუდმივი ბაზრის კვლევა და მომხმარებელთა კმაყოფილების დონის მონიტორინგი
- პროდუქტის/მომსახურების პროცესების, პროცედურების და სისტემის მუდმივი კონტროლი და გაუმჯობესება.

კომპანიის ხარისხის მენეჯმენტის სისტემა შემუშავებულია საერთაშორისო სტანდარტის ISO 9001 მოთხოვნების და ადგილობრივი კანონმდებლობის გათვალისწინებით. ბიზნეს-პროცესების ადმინისტრირების ოპტიმიზაციის, კომპანიის მუშაობის მართვის ეფექტურობის გაზრდის მიზნით, „თეგეტა მოტორსმა“ საქართველოში ბიზნეს-პროცესების მთლიანი ციკლის ავტომატიზაციის უზრუნველსაყოფად პირველმა დანერგა თანამედროვე ბიზნესის მართვის ინტეგრირებული სისტემა „SAP“.

უმაღლესი დონის სერვისმა და საერთაშორისო სტანდარტების სერვის-ცენტრებმა განაპირობა ის, რომ „თეგეტა მოტორსს“, პირველად საქართველოში, ავტომობილების გაყიდვისა და მომსახურების სფეროში ISO 9001 სტანდარტის საერთაშორისო ხარისხის სერტიფიკატი მიენიჭა.

ორგანიზაციამ განსაზღვრა ყველა შიდა და გარე საკითხი, რომელიც შეესაბამება მის მიზანს და სტრატეგიას და განაპირობებს ხარისხის მენეჯმენტის სისტემის დადგენილი შედეგის მიღების შესაძლებლობას. კომპანია მუდმივად განვითარებასა და სრულყოფაზეა ორიენტირებული. სამომავლოდ კომპანია გეგმავს ამიერკავკასიაში საკუთარი გამოცდილების გაზიარებას მეზობელ ქვეყნებში, რომელიც მრავალწლიანი წარმატებული განვითარების შედეგად შეიქმნა. ორგანიზაციამ



ჩაატარა შიდა და გარე საკითხების შესახებ ინფორმაციის მონიტორინგი და ანალიზი. საკითხებში იგულისხმება გასათვალისწინებელი დადებითი და უარყოფითი ფაქტორები და პირობები.

- გარე კონტექსტში იგულისხმება ისეთი საკითხები, რომლებიც გამომდინარეობს სამართლებრივი, ტექნოლოგიური, კონკურენტული, საბაზრო, კულტურული, სოციალური, ეკონომიკური გარემოს მიმართ საერთაშორისო, ეროვნული, რეგიონალური, თუ ადგილობრივი მოთხოვნებიდან.
- შიდა კონტექსტში იგულისხმება ისეთი საკითხები, რომლებიც გამომდინარეობს ღირებულებების, კულტურის, ცოდნის, ფუნქციონირების მიმართ ორგანიზაციის მოთხოვნებიდან.

ორგანიზაციამ შეიმუშავა, განახორციელა, შეინარჩუნა და მუდმივად აუმჯობესებს ხარისხის მართვის სისტემას საჭირო პროცესებით და მათი ურთიერთქმედებით წინამდებარე საერთაშორისო სტანდარტის მოთხოვნების შესაბამისად.

ორგანიზაციამ განსაზღვრა ხარისხის მართვის სისტემისათვის საჭირო პროცესები და მათი გამოყენება მთელ ორგანიზაციაში:

- ამ პროცესებისთვის საჭირო შემავალი მონაცემები და მოსალოდნელი შედეგები;
- ამ პროცესების თანმიმდევრობა და ურთიერთქმედება;
- პროცესების ეფექტური ფუნქციონირების და კონტროლის უზრუნველყოფისათვის საჭირო (მათ შორის, მონიტორინგის, გაზომვის და შესაბამისი შესრულების ინდიკატორების) კრიტერიუმები და მეთოდები;
- საჭირო რესურსები ამ პროცესებისათვის და უზრუნველყო მათი ხელმისაწვდომობა;

ორგანიზაციამ:

- დანიშნა ამ პროცესების პასუხისმგებელი და უფლებამოსილი პირები;
- გააანალიზა ეს პროცესები და განახორციელა ამ პროცესებისთვის დაგეგმილი შედეგების მისაღწევად საჭირო ცვლილებები;
- გააუმჯობესა პროცესები და ხარისხის მენეჯმენტის სისტემა;

საჭიროების შემთხვევაში, ორგანიზაცია:

- პროცესების განხორციელების ხელშეწყობისათვის აწარმოებს დოკუმენტირებულ ინფორმაციას;
- ინახავს დოკუმენტირებულ ინფორმაციას ნდობის მოსაპოვებლად, რომ პროცესები მიმდინარეობს გეგმის შესაბამისად.

### 3.5.5. მარკეტინგული პროგრამის აღწერა.

„თეგეტა მოტორსი“ - ავტონდუსტრიის ლიდერი კომპანია საქართველოსა და ამიერკავკასიაში, მომხმარებელს ავტოსატრანსპორტო საშუალებებთან დაკავშირებული პროდუქტებისა და მომსახურების სრულ სპექტრს სთავაზობს. შეთავაზებათა ფართო არჩევანი სამიზნე აუდიტორიის მრავალფეროვნებას განსაზღვრავს, რაც თავის მხრივ საკომუნიკაციო და მარკეტინგული არხების მაქსიმალურად ათვისებას მოითხოვს.

კომპანია, რომელსაც 400 000-მდე რეგისტრირებული საცალო მომხმარებელი და 35 000-მდე კორპორატიული კლიენტი ჰყავს, კომუნიკაციისათვის აქტიურად იყენებს როგორც ტრადიციულ არხებს (ტელევიზია, რადიო, ონლაინ და ბეჭდური მედია-გამოცემები, ბილბორდი, ბუკლეტები და ბროშურები), ასევე თანამედროვე ციფრულ მედიას: ციფრული მარკეტინგი, სოციალური ქსელი, E-Mail და SMS მარკეტინგი, რასაც უკვე ბოლო რამდენიმე წელია განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება.

ზუსტი და მიზნობრივი კომუნიკაცია კომპანიისთვის პრიორიტეტია. „თეგეტა მოტორსის“ E-Mail ბაზა 30,000-მდე, ხოლო SMS ბაზა 350,000-მდე ვერიფიცირებულ მომხმარებელს მოიცავს. გარდა ამისა, თანამედროვე ციფრული პლატფორმები მაქსიმალურად ზუსტად „თარგეთირების“ და კონკრეტული პროდუქტით/სერვისით დაინტერესებულ მომხმარებელზე მარკეტინგის წარმოების საშუალებას იძლევა.

თეგეტა ჰოლდინგი საქმიანობის 27 წლიანი გამოცდილებით და მაღალი სოციალური პასუხისმგებლობით, მნიშვნელოვან როლს ასრულებს გარემოს დაცვის, საზოგადოებრივი ღირებულებების და ამასთან სწორი საავტომობილო ტენდენციების დამკვიდრებაში.

მაგალითისთვის, ნარჩენების გადამუშავების პრაქტიკა, გარემოზე მავნე ზემოქმედების შესამცირებლად, ასევე ეკო-სატვირთოების გამოყენება საქმიანობის განხორციელებისას კომპანიის ტერიტორიაზე. ამასთან ერთად, მომხმარებლების სახელზე დარგულია 1,000 ძირი მუხა აჯამეთის დაცულ ტერიტორიაზე. გარემოზე ზრუნვის ფარგლებში კომპანიამ ქაღალდი sms-ით ჩაანაცვლა, მკვეთრად შეამცირა ფურცლის გამოყენება და უახლოეს პერიოდში მოხმარებიდან მის სრულად ამოღებას გეგმავს.

ქვევის შეცვლასთან ერთად, კომპანიამ აიღო პასუხისმგებლობა ცნობიერების ამაღლების მიმართულებით. ჰოლდინგი აქტიურად ცდილობს ხელი შეუწყოს ქალთა გაძლიერებას. ამის შედეგია სატვირთო ავტომობილის პირველი მექანიკოსი ქალები ქართულ რეალობაში, რომელთა ისტორიებიც ფართოდ გავრცელდა მასობრივი კომუნიკაციის ყველა პლატფორმაზე, მათ შორის სოციალურ ქსელებში.

თეგეტა მოტორსი, რომელიც გაეროს გლობალური შეთანხმების (UN Global Compact) საქართველოს ქსელის წევრია, საგანმანათლებლო, შემეცნებით პროექტებსა და ჯანსაღი ცხოვრების წესის პოპულარიზაციას უჭერს მხარს. კომპანიამ წელს თავის თავზე აიღო სარაგბო კლუბის „სოხუმი“ სპონსორობა. კლუბი ოკუპირებული აფხაზეთიდან დევნილ მოზარდებს აერთიანებს.

გარდა ამისა უსაფრთხო და დაცული მგზავრობის კონცეფცია თეგეტას სეზონური კამპანიების მთავარი ფოკუსია. კამპანიების მნახველთა ჯამური რაოდენობა, მხოლოდ სოციალურ ქსელში, რამდენიმე ასეულ ათას უნიკალურ მომხმარებელს აღწევს.

3.5.6. ძირითადი მომხმარებლებისა და მომწოდებლების აღწერა მათი წილების მითითებით (შემოსავლის/შესყიდვების 10%-ის ტოლი ან მეტი).

„კომპანიის“ კლიენტების პორტფელი დივერსიფიცირებულია და შესაბამისად არცერთი მომხმარებლის წილი არ აღემატება მთლიანი გაყიდვების 10%-ს.

მომწოდებლებს შორის მხოლოდ Toyota-ს ბრენდის წილი აღემატება შესყიდვების 10%-ს. ბოლო ოთხი წლის განმავლობაში Toyota-ს წილი შესყიდვებში მოცემულია შემდეგ ცხრილში:

|                          | 2019 წელი | 2020 წელი | 2021 წელი | 2022 წელი |
|--------------------------|-----------|-----------|-----------|-----------|
| წილი მთლიან შესყიდვებში: | 23.8%     | 22.4%     | 15.3%     | 16.5%     |

წყარო: „კომპანიის“ შიდა მონაცემები

3.6. ემიტენტის კონკურენტული გარემოსა და ბაზარზე მისი პოზიციის აღწერა, ასევე ამ პოზიციის საფუძველის აღწერა.

**კონკურენტული გარემოს მიმოხილვა**

საქართველოს საავტომობილო ბაზარზე არ არის „კომპანიის“ ანალოგიური პროფილის მქონე სხვა მოთამაშე რომელიც მომხმარებელს 1 ფანჯრის პრინციპით სთავაზობს ზემოთ აღნიშნულ სრულ საავტომობილო სპექტრს, თუმცა ცალკეული მიმართულების ჭრილში ბაზარზე არის წარმოდგენილი რამდენიმე მოთამაშე, რომლებიც მომხმარებელს აღნიშნული ბიზნეს მიმართულებების ნაწილს სთავაზობენ. ბაზარზე არსებული მოთამაშეები შესაძლებელია დაიყოს შემდეგ ჯგუფებად:

- **მსუბუქი ავტომობილების გაყიდვა და გაქირავება** - შპს ტოიოტა ცენტრი თბილისი, შპს ჯითი მოტორსი, სს ჰიუნდაი ავტო საქართველო, შპს ომეგა მოტორსი, შპს კია მოტორს ჯორჯია, შპს სენა ავტო, შპს იბერია ავტო ჰაუსი, შპს იბერია ავტო, შპს კავკასუს მოტორს ავტო და სხვა.
- **ავტობუსების, სატვირთო ავტომობილებისა და სპეც ტექნიკის გაყიდვა და გაქირავება** - შპს ელიტ მოტორსი, შპს ვაკო მოტორსი, შპს ჯითი ჯგუფი, შპს დუსან ჯორჯია, შპს ბორუსან მაქინა და სხვა.
- **ავტომობილების სერვისი, ნაწილების და აქსესუარების გაყიდვა** - შპს იბერია ტექ ავტომოტივი, შპს მოტორ სტარი, ამბოლი, შპს მათე მოტორსი, შპს კავკასიის ავტო იმპორტი, შპს ავტობანი, შპს ელგრო მოტორსი და სხვა.

**საავტომობილო პარკის მიმოხილვა საქართველოში**

შსს-ს მონაცემების მიხედვით, ავტოპარკი საქართველოში ყოველწლიურად იზრდება. ზრდის მაჩვენებელი 2022 წელს 4.9% იყო, ხოლო რეგისტრირებულ ავტომობილთა რაოდენობა 1.6 მილიონს შეადგენდა. 2022 წლის მონაცემებით, ავტომობილების 82.0% მსუბუქია, 6.8% სატვირთო, 3.3% სამგზავრო, ხოლო დანარჩენ 7.7%-ს შეადგენს სასოფლო, სპეციალიზებული და სხვა ტიპის ტრანსპორტი.

2022 წლის მონაცემებით, 5 წლამდე ასაკის ავტომობილები ავტოპარკის მხოლოდ 3.6%-ს შეადგენს, 6-დან 10 წლამდე ასაკის 9.8%-ს, ხოლო 10 წელზე მეტი ასაკის ავტომობილები ბაზრის 86.6%-ს შეადგენს.

გასული წლის მონაცემებით, ავტომობილების 89% ფიზიკური პირების, ხოლო 11% იურიდიული პირების მფლობელობის ქვეშ იმყოფებოდა. საერთაშორისო დონეზე შედარების შედეგად ვხედავთ, რომ სამომავლო პროგნოზები საქართველოს ავტოპარკის განვითარების კუთხით, პოზიტიურია. კერძოდ, საქართველო არის იმ ქვეყნებს შორის, რომელთაც 1,000 მოსახლეზე მსუბუქი ავტომობილების რაოდენობით ყველაზე დაბალი პოზიციები უკავიათ. აქედან გამომდინარე, ავტოპარკის განვითარებისთვის ჯერ კიდევ დიდი პოტენციალია დარჩენილი.

*(წყარო: Drewry, ACEA, OECD, TBC Capital)*

პოზიტიური მაჩვენებლები შეინიშნება საგარეო ვაჭრობის მიმართულებითაც, მაგალითად, 2022 წლის 9 თვის საქსტატის და შსს-ს მონაცემებით, ტრანსპორტის იმპორტი 2021 წელთან შედარებით გაზრდილია 41%-ით, ხოლო რე-ექსპორტი 74%-ით.

ტრანსპორტის სახეობების რაოდენობა საქართველოში ტიპის მიხედვით, 2017-2022 წლების მონაცემები მოცემულია შემდეგ ცხრილში:

| ტრანსპორტის ტიპი | 2017 წელი | 2018 წელი | 2019 წელი | 2020 წელი | 2021 წელი | 2022 წელი |
|------------------|-----------|-----------|-----------|-----------|-----------|-----------|
| მსუბუქი          | 1,025,091 | 1,085,790 | 1,130,768 | 1,190,095 | 1,265,908 | 1,333,012 |

|                      |                  |                  |                  |                  |                  |                  |
|----------------------|------------------|------------------|------------------|------------------|------------------|------------------|
| სატვირთო             | 99,963           | 101,241          | 101,951          | 104,379          | 108,743          | 111,171          |
| სამგზავრო            | 53,528           | 53,872           | 54,156           | 54,539           | 55,609           | 54,282           |
| სასოფლო + სპეც       | 32,566           | 35,734           | 39,020           | 41,286           | 44,386           | 47,891           |
| მისაბმელი            | 21,565           | 23,572           | 25,434           | 27,681           | 30,283           | 32,647           |
| მოტოტრანსპორტი       | 11,331           | 12,424           | 13,386           | 14,165           | 15,601           | 15,601           |
| სპეციალიზებ. და სხვა | 7,527            | 8,989            | 11,079           | 13,787           | 17,103           | 16,809           |
| <b>სულ:</b>          | <b>1,251,571</b> | <b>1,321,622</b> | <b>1,375,794</b> | <b>1,445,932</b> | <b>1,537,646</b> | <b>1,624,791</b> |

წყარო: შინაგან საქმეთა სამინისტრო

ტრანსპორტის სახეობების რაოდენობა საქართველოში ტიპის და მფლობელის მიხედვით 2022 წელს მოცემულია შემდეგ ცხრილში:

| ტრანსპორტის ტიპი (2022) | იურიდიული პირი | ფიზიკური პირი  | ჯამი             | წილი             |               |
|-------------------------|----------------|----------------|------------------|------------------|---------------|
| მსუბუქი                 |                | 88,173         | 1,244,839        | 82.0%            |               |
| სატვირთო                |                | 36,414         | 74,757           | 6.8%             |               |
| სამგზავრო               |                | 10,991         | 43,291           | 3.3%             |               |
| სასოფლო და სპეც.        |                | 18,071         | 29,820           | 2.9%             |               |
| მისაბმელი               |                | 13,846         | 18,801           | 2.0%             |               |
| მოტოტრანსპორტი          |                | 3,471          | 25,508           | 1.8%             |               |
| სპეციალიზებული          |                | 9,451          | 7,239            | 1.0%             |               |
| არ არის მითითებული      |                | 60             | 59               | 0.0%             |               |
| <b>სულ</b>              |                | <b>180,477</b> | <b>1,444,314</b> | <b>1,624,791</b> | <b>100.0%</b> |

წყარო: შინაგან საქმეთა სამინისტრო

საქართველოში რეგისტრირებული ტრანსპორტის 94% მეორადია. მეორადი ტრანსპორტის წილი მსუბუქ ავტომობილებში კი 95%-ს შეადგენს. რეგისტრირებულ ავტომობილთა 56.2% 20-ზე მეტი წლისაა, რაც იწვევს საავტომობილო მომსახურებასა და მანქანის ნაწილებზე მაღალ მოთხოვნას. თეგეტა პირველი კომპანია იყო საქართველოში რომელმაც მაღალი სტანდარტის სერვისის შეთავაზება დაიწყო.

ტრანსპორტის სახეობების რაოდენობა სახეობების და ასაკის მიხედვით საქართველოში 2022 წლის მონაცემებით მოცემულია შემდეგ ცხრილში:

| ტიპი      | 1-5    | 6-10    | 11-15   | 16-20   | 21-25   | 26-30   | 30+     |
|-----------|--------|---------|---------|---------|---------|---------|---------|
| მსუბუქი   | 33,295 | 142,612 | 189,510 | 240,023 | 276,483 | 175,683 | 275,406 |
| სატვირთო  | 1,794  | 3,770   | 9,943   | 13,499  | 20,014  | 13,451  | 48,700  |
| სამგზავრო | 2,421  | 640     | 4,417   | 5,231   | 9,998   | 9,201   | 22,374  |
| სასოფლო   | 8,261  | 5,081   | 4,537   | 4,452   | 2,596   | 1,936   | 21,028  |
| მისაბმელი | 1,343  | 2,248   | 4,541   | 7,046   | 4,138   | 2,172   | 11,159  |
| მოტო      | 10,788 | 3,230   | 2,732   | 2,422   | 1,321   | 814     | 7,672   |

|             |               |                |                |                |                |                |                |
|-------------|---------------|----------------|----------------|----------------|----------------|----------------|----------------|
| სპეციალიზ.  | 811           | 982            | 2,015          | 3,485          | 3,361          | 1,729          | 4,307          |
| არაა მითით. | 2             | 15             | 23             | 22             | 19             | 7              | 31             |
| <b>სულ</b>  | <b>58,715</b> | <b>158,578</b> | <b>217,718</b> | <b>276,180</b> | <b>317,930</b> | <b>204,993</b> | <b>390,677</b> |
| <b>წილი</b> | <b>3.6%</b>   | <b>9.8%</b>    | <b>13.4%</b>   | <b>17.0%</b>   | <b>19.6%</b>   | <b>12.6%</b>   | <b>24.0%</b>   |

წყარო: შინაგან საქმეთა სამინისტრო

ტრანსპორტის სახეობების და ძირითადი ბრენდების რაოდენობის ჩაშლა 2022 წლის მონაცემებით მოცემულია შემდეგ ცხრილში:

| ტრანსპორტის ტიპი | ბრენდი        | რაოდენობა |
|------------------|---------------|-----------|
| მსუბუქი          | OPEL          | 140,087   |
|                  | TOYOTA        | 159,534   |
|                  | MITSUBISHI    | 49,147    |
|                  | MERCEDES-BENZ | 168,731   |
|                  | VAZ           | 154,572   |
|                  | NISSAN        | 64,931    |
|                  | VOLKSWAGEN    | 64,309    |
|                  | HONDA         | 59,430    |
|                  | BMW           | 72,939    |
|                  | FORD          | 95,661    |
| სამგზავრო        | FORD          | 23,841    |
|                  | MERCEDES-BENZ | 12,060    |
|                  | RAF           | 2,369     |
|                  | PAZ           | 1,964     |
|                  | UAZ           | 1,901     |
|                  | VOLKSWAGEN    | 1,508     |
|                  | KAVZ          | 1,279     |
|                  | GAZ           | 1,033     |
|                  | LAZ           | 1,031     |
|                  | ISUZU         | 840       |
| სასოფლო და სპეც. | MTZ           | 8,501     |
|                  | VTZ           | 4,273     |
|                  | JCB           | 1,907     |
|                  | KHTZ          | 1,593     |
|                  | CATERPILLAR   | 1,586     |
|                  | LOVOL         | 1,479     |
|                  | JUMZ          | 1,128     |
|                  | CHTZ          | 1,000     |
|                  | NEW HOLLAND   | 980       |

|          |               |        |
|----------|---------------|--------|
|          | FOTON         | 904    |
| სატვირთო | FORD          | 22,227 |
|          | GAZ           | 12,164 |
|          | MERCEDES-BENZ | 11,767 |
|          | ZIL           | 8,021  |
|          | KAMAZ         | 6,899  |
|          | DAF           | 5,930  |
|          | MAN           | 5,845  |
|          | MAZ           | 4,373  |
|          | UAZ           | 3,488  |
|          | SCANIA        | 3,042  |

წყარო: შინაგან საქმეთა სამინისტრო

ავტონაწილების გაყიდვების ბაზარი და სერვისების ბიზნესი საქართველოში ძალიან ფრაგმენტულია და შედგება მცირე ზომის მეწარმეებისგან და იმპორტიორებისგან. ვინაიდან ბაზრის საიმედო მონაცემები არ არის ხელმისაწვდომი, საბაზრო წილის შეფასებები ეფუძნება კომპანიის შეფასებებს. ბაზრის საავტომობილო მომსახურებასა და პროდუქტის სეგმენტში, ყველაზე მსხვილი მოთამაშე "თეგეტა" რომელსაც ფორმალური ბაზრის 19% უკავია.

ავტომობილების შეკეთება ხორციელდება ოფიციალურ დილერებთან, როგორცაა Mercedes, BMW, VW, Audi, Hyundai, Toyota ან მცირე ზომის ავტოფარეხებში "ბოქსებში". ბოლო წლების განმავლობაში საქართველოში საავტომობილო პარკის განახლებამ გაზარდა მოთხოვნა თანამედროვე მომსახურებაზე და მოლოდინია რომ ზრდა მომავალშიც გაგრძელდება. თეგეტა მატორსი არის საავტომობილო პროდუქტის გაყიდვებში ბაზრის ლიდერი. კომპანიას უჭირავს ბაზრის მნიშვნელოვანი წილი სხვადასხვა პროდუქციის და მომსახურების მიხედვით.

დარეგისტრირებული სატრანსპორტო საშუალებები პირველადი რეგისტრაციის მიხედვით, 2017-2022 წლების მონაცემები მოცემული შემდეგ ცხრილებში:

| მსუბუქი       | 2017 წელი | 2018 წელი | 2019 წელი | 2020 წელი | 2021 წელი | 2022 წელი |
|---------------|-----------|-----------|-----------|-----------|-----------|-----------|
| TOYOTA        | 19,989    | 21,068    | 18,910    | 18,580    | 14,146    | 19,266    |
| FORD          | 3,827     | 4,353     | 7,232     | 8,825     | 10,339    | 12,596    |
| MERCEDES-BENZ | 7,371     | 3,819     | 5,261     | 5,667     | 6,081     | 9,081     |
| OPEL          | 2,679     | 1,331     | 2,402     | 2,710     | 3,764     | 7,445     |
| VOLKSWAGEN    | 2,705     | 2,423     | 2,141     | 2,528     | 3,530     | 5,456     |
| BMW           | 3,324     | 1,642     | 2,516     | 2,869     | 2,679     | 5,198     |
| HYUNDAI       | 1,921     | 4,344     | 4,841     | 5,268     | 4,586     | 5,053     |
| CHEVROLET     | 439       | 771       | 1,388     | 2,697     | 4,440     | 4,695     |
| HONDA         | 5,033     | 3,378     | 2,815     | 3,644     | 3,718     | 2,997     |
| KIA           | 568       | 1,444     | 1,463     | 1,378     | 1,368     | 2,003     |

წყარო: შინაგან საქმეთა სამინისტრო

| სატვირთო      | 2017 წელი | 2018 წელი | 2019 წელი | 2020 წელი | 2021 წელი | 2022 წელი |
|---------------|-----------|-----------|-----------|-----------|-----------|-----------|
| FORD          | 903       | 923       | 915       | 847       | 1,187     | 1,065     |
| MERCEDES-BENZ | 791       | 805       | 829       | 870       | 872       | 839       |
| MAN           | 426       | 420       | 403       | 504       | 1,054     | 831       |
| DAF           | 557       | 572       | 523       | 632       | 571       | 612       |
| RENAULT       | 84        | 94        | 120       | 206       | 415       | 337       |
| SCANIA        | 231       | 323       | 329       | 389       | 315       | 327       |
| MITSUBISHI    | 77        | 160       | 137       | 189       | 321       | 302       |
| VOLVO         | 143       | 226       | 208       | 301       | 236       | 233       |
| IVECO         | 119       | 93        | 88        | 89        | 186       | 108       |
| SUZUKI        | 113       | 246       | 185       | 259       | 230       | 107       |

წყარო: შინაგან საქმეთა სამინისტრო

### 3.7. ინვესტიციები

#### 3.7.1. განხორციელებული მატერიალური ინვესტიციების აღწერა (თანხების მითითებით).

2020-2022 წლების განმავლობაში „კომპანია“ განახორციელა შემდეგი მატერიალური ინვესტიციები:

- ახალი ფილიალების გახსნა და არსებულის მოდერნიზაცია - გაყიდვებისა და დაფარვის არეალის ზრდის მიზნით „კომპანია“ მუდმივად ხსნის ახალ ფილიალებს საქართველოს სხვადასხვა რეგიონსა და ქალაქში და მოდერნიზაციას უწყევს არსებულებს. ახალი ფილიალის გახსნისას „კომპანია“ ახორციელებს შესაბამის ინვესტიციებს უძრავ ქონებაში, დანადგარებსა და პროგრამულ უზრუნველყოფაში;
- 2020 წელს თეგეტა ჰოლდინგს ტოიოტას კიდევ ერთი ოფიციალური დილერი შეემატა. „ტოიოტა ცენტრი ბათუმში“ წარმოდგენილი უახლესი ავტომობილების შოურუმი და სერვისცენტრი ემსახურება ამ რეგიონში არსებულ ტოიოტას მარკის ავტომობილებს;
- 2022 წლის ოქტომბერში იფიციალურად გაიხსნა განახლებული პორშეს ცენტრი და შოურუმი ბრენდის უახლესი სამოდელიო რიგის სრული სპექტრის გაზრდილი რაოდენობის დემონსტრაციისათვის;
- ინვესტიცია IT სისტემებში - პროგრამული უზრუნველყოფის განახლების მიზნით „კომპანია“ რეგულარულად ახორციელებს ინვესტიციას IT სისტემებში (ონლაინ მაღაზია, რიგების მართვის სისტემა, mycarhistory აპლიკაცია, საბითუმო კლიენტების პლატფორმა და სხვა)

მატერიალურ ინვესტიციებზე განხორციელებული დანახარჯები მოცემულია შემდეგ ცხრილში:

| (ათასი ლარი)             | 2020 წელი | 2021 წელი | 2021 8 თვე | 2022 8 თვე |
|--------------------------|-----------|-----------|------------|------------|
| მატერიალური ინვესტიციები | 14,440    | 29,122    | 18,632     | 29,499     |

წყარო: „კომპანიის“ შიდა მონაცემები

#### 3.7.2. მიმდინარე მატერიალური ინვესტიციების აღწერა, მათი გეოგრაფიული მდებარეობისა და დაფინანსების სტრუქტურის მიხედვით.

„კომპანიას“ შემდეგი მიმდინარე მატერიალური პროექტი აქვს:

- **სამომავლო პროექტები** - Scope-ის შეფასებით, „თეგეტა მოტორსი“ გაფართოების მიზნით საჭიროებს მნიშვნელოვან საბრუნავ კაპიტალს და კაპიტალურ დანახარჯებს შემდეგი რამოდენიმე წლის განმავლობაში რამაც შესაძლოა შეანელოს თავისუფალი ფულადი ნაკადების გენერაციის პოტენციალი. აღსანიშნავია, რომ „კომპანიას“ თავისი შეხედულებისამებრ შეუძლია გადაწყვიტოს როდის და რა მასშტაბის ინვესტიციებს განახორციელებს გაფართოებაში და შესაბამისად შეუძლია აკონტროლოს ხარჯვის დონე.

კომპანია მიმდინარედ ახორციელებს კაპიტალური პროექტების მშენებლობებს, რომელთა ფარგლებში დაგეგმილია ავტოცენტრების გაფართოება და განახლება, ასევე ახალი სერვის ცენტრების მშენებლობა და არსებულის რეკონსტრუქცია. მშენებლობები მიმდინარე ფაზაში შევიდა 2021 წელს და მათი დასრულება და ექსპლუატაციაში შესვლა დაგეგმილია 2023 წლის მესამე კვარტალში. ჯამში კომპანია განახორციელებს დაახლოებით 32,5 მილიონი ლარის ინვესტიციას.

| (ათასი ლარი)          | 2022 წელი | 2023 წელი |
|-----------------------|-----------|-----------|
| დაგეგმილი დანახარჯები | 16,500    | 16,000    |

3.7.3. ინფორმაცია კომპანიების შესახებ, რომლებშიც ემიტენტი ფლობს წილს.

ასოცირებული კომპანიების ჩამონათვალი, რომლებიც არ წარმოადგენენ „კომპანიის“ შვილობილებს, მოცემულია შემდეგ ცხრილში:

| დასახელება            | ქვეყანა    | ს/ნ       | წილის<br>ოდენობა |
|-----------------------|------------|-----------|------------------|
| თეგეტა მოტორს მესხეთი | საქართველო | 224079333 | 34%              |
| შპს დი ეს დი თეგეტა   | საქართველო | 200254321 | 25%              |

„კომპანიის“ შეფასებით არცერთი ზემოაღნიშნული ასოცირებული კომპანია არ ახდენს მატერიალურ გავლენას „კომპანიის“ აქტივებისა და ვალდებულებების, ფინანსური მდგომარეობისა და/ან მოგება-ზარალის შეფასებაზე.

#### 4. ორგანიზაციული სტრუქტურა


4.1. ჯგუფის სტრუქტურისა და საქმიანობის მიმოხილვა

შპს „თეგეტა მოტორსი“ წარმოადგენს თეგეტა ჯგუფში შემავალი კომპანიების მშობელ (ჰოლდინგურ) კომპანიას.

4.2. შვილობილი კომპანიების ჩამონათვალი

ემისიის თარიღისათვის ემიტენტის სრული ორგანიზაციული სტრუქტურა წამოდგენილია შემდეგ დიაგრამაზე:





100%-იანი შვილობილი კომპანიები შემდეგია

| N  | დასახელება                       | საიდენტიფიკაციო ნომერი | რეგისტრაციის ქვეყანა | საქმიანობის ქვეყანა | ემიტენტის წილი | სტატუსი    |
|----|----------------------------------|------------------------|----------------------|---------------------|----------------|------------|
| 1  | შპს თეგეტა რითეილი               | 405408811              | საქართველო           | საქართველო          | 100%           | აქტიური    |
| 2  | შპს თეგეტა თრაქ ენდ ბას          | 206239729              | საქართველო           | საქართველო          | 100%           | აქტიური    |
| 3  | შპს თეგეტა ქონსტრაქშენ ექვიფმენტ | 206316645              | საქართველო           | საქართველო          | 100%           | აქტიური    |
| 4  | შპს ქონსტრაქშენ მეშინერი ჯორჯია  | 406338011              | საქართველო           | საქართველო          | 100%           | აქტიური    |
| 5  | შპს თეგეტა ქომერშელ ვიიქლს       | 405464929              | საქართველო           | საქართველო          | 100%           | აქტიური    |
| 6  | შპს თეგეტა ინდასტრი              | 405391446              | საქართველო           | საქართველო          | 100%           | აქტიური    |
| 7  | შპს თეგეტა ავტომოტივ იმპორტი     | 405390553              | საქართველო           | საქართველო          | 100%           | აქტიური    |
| 8  | შპს თეგეტა პრაიმ პროდაქტს        | 405391437              | საქართველო           | საქართველო          | 100%           | აქტიური    |
| 9  | შპს თეგეტა დისტრიბუცია           | 405391080              | საქართველო           | საქართველო          | 100%           | აქტიური    |
| 10 | შპს თეგეტა თაიარ იმპორტს         | 405505500              | საქართველო           | საქართველო          | 100%           | აქტიური    |
| 11 | შპს სკანდინავიან ავტო თეგეტა     | 405335766              | საქართველო           | საქართველო          | 100%           | აქტიური    |
| 12 | შპს თეგეტა პრემიუმ ვიიქლს        | 401950938              | საქართველო           | საქართველო          | 100%           | აქტიური    |
| 13 | შპს კავკასუს ავტომოტივი          | 405302836              | საქართველო           | საქართველო          | 100%           | აქტიური    |
| 14 | შპს ტოიოტა ცენტრი თეგეტა         | 405006461              | საქართველო           | საქართველო          | 100%           | აქტიური    |
| 15 | შპს თი-ბი-ეი თეგეტა              | 445580773              | საქართველო           | საქართველო          | 100%           | აქტიური    |
| 16 | შპს ინტერაგტო თრეიდინგი          | 206211936              | საქართველო           | საქართველო          | 100%           | არააქტიური |
| 17 | Tegeta Motors Bishkek LLC        | 02301202310123         | ყირგიზეთი            | ყირგიზეთი           | 100%           | აქტიური    |
| 18 | Tegeta Motors Baku LLC           | 1004124371             | აზერბაიჯანი          | აზერბაიჯანი         | 100%           | აქტიური    |

|    |                                |              |            |            |      |            |
|----|--------------------------------|--------------|------------|------------|------|------------|
| 19 | Tegeta Motors Central Asia LLC | 306562301    | უზბეკეთი   | უზბეკეთი   | 100% | აქტიური    |
| 20 | Tegeta Motors Ukraine LLC      | 44076042     | უკრაინა    | უკრაინა    | 100% | აქტიური    |
| 21 | შპს თეგეტა აკადემია            | 405237122    | საქართველო | საქართველო | 100% | აქტიური    |
| 22 | შპს თეგეტა ლიზინგი             | 201948544    | საქართველო | საქართველო | 100% | არააქტიური |
| 23 | შპს თეგეტა ლოჯისტიკი           | 202372182    | საქართველო | საქართველო | 100% | აქტიური    |
| 24 | შპს თეგეტა კაპიტალი            | 405498509    | საქართველო | საქართველო | 100% | აქტიური    |
| 25 | შპს თეგეტა რეალ ისთეით         | 405505467    | საქართველო | საქართველო | 100% | არააქტიური |
| 26 | შპს ავტო გალერი                | 405232957    | საქართველო | საქართველო | 100% | აქტიური    |
| 27 | Tegeta Motors Kazakhstan LLC   | 221240003603 | ყაზახეთი   | ყაზახეთი   | 100% | აქტიური    |
| 28 | Tegeta Motors Dushanbe LLC     | 010106275    | ტაჯიკეთი   | ტაჯიკეთი   | 100% | აქტიური    |

2021 ფინანსური წლის შემდეგ, 2022 წელს, ემიტენტმა დაარსა და შეიძინა შეზღუდული პასუხისმგებლობის რამდენიმე საწარმო - შპს თეგეტა რეალ ისთეით, შპს თეგეტა თაიარ იმპორტს, შპს ინტერავტო თრეიდინგი, შპს თეგეტა კაპიტალი, შპს თეგეტა ევრუვდ, შპს კავკასუს ავტომოტივი, შპს ავტო გალერი და მისი სრული საკუთრების შვილობილი შპს თეგეტა ქარ რენტ. საწარმოთა რეგისტრაციისა და საქმიანობის ქვეყანა არის საქართველო და ემიტენტი კომპანიათა 100%-იანი აქციონერია ემისიის დროისათვის.

2022 წლის ივნისსა და ივლისში შპს „თეგეტა მოტორს ბაქომ“ გამოისყიდა შპს „აზტექ და თეგეტა მოტორსის“ აქციები და კომპანიის აქციების მფლობელობა გაიზარდა 20%-დან 75%-ით. კომპანიის ნაწილობრივი მფლობელობის საკუთრებაში არსებული კომპანიის ინფორმაცია მოცემულია შემდეგ ცხრილში:

| N | დასახელება        | საიდენტიფიკაციო ნომერი | რეგისტრაციის ქვეყანა | საქმიანობის ქვეყანა | პარტნიორები                                     | სტატუსი |
|---|-------------------|------------------------|----------------------|---------------------|---|---------|
| 1 | შპს თეგეტა ევრუვდ | 405522411              | საქართველო           | საქართველო          | შპს თეგეტა მოტორსი - 65%<br>შპს ჰიპერნოვა - 35% | აქტიური |

კომპანიის დაკავშირებული კომპანიების ინფორმაცია მოცემულია შემდეგ ცხრილში:

| N | დასახელება                   | საიდენტიფიკაციო ნომერი | რეგისტრაციის ქვეყანა | საქმიანობის ქვეყანა | პარტნიორები  | სტატუსი |
|---|------------------------------|------------------------|----------------------|---------------------|--|---------|
| 1 | შპს თეგეტა ქარ რენტ          | 406207322              | საქართველო           | საქართველო          | შპს ავტო გალერი - 100%                             | აქტიური |
| 2 | შპს თეგეტა რენტალს           | 454412305              | საქართველო           | საქართველო          | შპს ინტერავტო თრეიდინგი - 100%                     | აქტიური |
| 3 | Aztech and Tegeta Motors LLC | 2003912341             | აზერბაიჯანი          | აზერბაიჯანი         | Tegeta Motors Baku LLC - 75 %<br>SR GROUP CO / 25% | აქტიური |

## 5. საოპერაციო და ფინანსური მიმოხილვა

### 5.1. ფინანსური მდგომარეობა

#### „თეგეტა ჯგუფის“ კონსოლიდირებული ფინანსური ინფორმაცია

შპს „თეგეტა მოტორსი“ მის შვილობილ კომპანიებთან ერთად წარმოადგენს ერთიან ბიზნეს-ჯგუფს. „კომპანია“ სრულად აკონსოლიდირებს შვილობილების ფინანსურ შედეგებს და წარადგენს ერთიანი ბიზნეს-ჯგუფის კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებას. „ჯგუფის“ არსებული სტრუქტურა ვერტიკალური ინტეგრაციიდან გამომდინარეობს და მნიშვნელოვან სარგებელს ნახულობს შვილობილებს შორის ვაჭრობის გზით. ამ ურთიერთობებიდან წარმოქმნილი არარეალიზებული ნამეტი ელიმინირდება კონსოლიდირებულ ანგარიშგებაში. „თეგეტა ჯგუფისა“ და „კომპანიის“ ფინანსური ანგარიშგება წარმოებს ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების (ფასს) მიხედვით. ამ დოკუმენტში წარმოდგენილი 2020 და 2021 ფისკალური წლების ფინანსური ანგარიშგებები აუდიტორულად შემოწმებულია შპს „იუაი საქართველო“-ს მიერ. 2022 წელი არის არა-აუდირებული და ეყრდნობა მენეჯმენტის გამოთვლებს.

#### მოგება-ზარალის ანგარიშგების ძირითადი ელემენტების მიმოხილვა

| (ათასი ლარი)                         | აუდირებული     |                | არა-აუდირებული |
|--------------------------------------|----------------|----------------|----------------|
|                                      | 2020 წელი      | 2021 წელი      | 2022 წელი      |
| სულ გაყიდვები                        | 659,446        | 797,152        | 973,002        |
| სულ გაყიდვების თვითღირებულება        | (526,320)      | (626,194)      | (773,015)      |
| <b>საერთო მოგება</b>                 | <b>133,126</b> | <b>170,958</b> | <b>199,987</b> |
| ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯები    | (50,928)       | (71,754)       | (109,567)      |
| რეალიზაციის და დისტრიბუციის ხარჯები  | (16,342)       | (17,753)       | (17,812)       |
| სხვა საოპერაციო შემოსავალი           | 7,572          | 3,961          | 5,775          |
| სხვა საოპერაციო ხარჯები              | (10,399)       | (11,576)       | (5,087)        |
| <b>საოპერაციო მოგება</b>             | <b>63,029</b>  | <b>73,836</b>  | <b>73,296</b>  |
| ფინანსური შემოსავალი                 | 815            | 2031           | 8,343          |
| ფინანსური ხარჯი                      | (32,264)       | (30,540)       | (44,585)       |
| შემოსავალი აფილირებული კომპანიებიდან | 182            | 306            | -              |
| <b>მოგება დაბეგვრამდე</b>            | <b>31,762</b>  | <b>45,633</b>  | <b>37,054</b>  |
| მოგების გადასახადის ხარჯი            | (24)           | (341)          | (2,940)        |
| <b>წმინდა მოგება</b>                 | <b>31,738</b>  | <b>45,292</b>  | <b>34,114</b>  |

#### ბრუნვა, გაყიდული საქონლის თვითღირებულება და საერთო მოგება

„თეგეტა ჯგუფის“ ბრუნვა მოიცავს კლიენტებზე განხორციელებულ გაყიდვებს „ჯგუფში“ შემავალი მშობელი კომპანიის და შვილობილების მიერ.

2021 წელს „თეგეტა ჯგუფის“ გაყიდვებმა 797,152 ათასი ლარი შეადგინა, რაც 20.9%-ით აღემატებოდა წინა წლის შედეგს, როდესაც გაყიდვებმა 659,446 ათასი ლარი შეადგინა. 2021 წლის იანვარ-აგვისტოს პერიოდში გაყიდვები წინა წლის ანალოგიურ მაჩვენებელთან შედარებით 4.4%-ით გაიზარდა.

2022 წელს „თეგეტა ჯგუფის“ გაყიდვებმა 973,002 ათასი ლარი შეადგინა, რაც 22.1%-ით აღემატებოდა წინა წლის შედეგს, 797,152 ათას ლარს. ცვლილება განპირობებული იყო როგორც გაყიდული საქონლიდან, ისე გაწეული მომსახურებიდან მიღებული შემოსავლების ზრდით.

ფინანსური ანგარიშგების მიზნებისთვის კომპანიის გაყიდვების მრავალფეროვანი ასორტიმენტი ჯგუფდება შემდეგი კატეგორიების მიხედვით: საქონლის გაყიდვა და მომსახურების გაწევა.

| (ათასი ლარი)         | აუდირებული     |                | არა-აუდირებული |
|----------------------|----------------|----------------|----------------|
|                      | 2020 წელი      | 2021 წელი      | 2022 წელი      |
| საქონლის გაყიდვა     | 634,885        | 765,035        | 858,982        |
| მომსახურების გაწევა  | 24,561         | 32,117         | 114,020        |
| <b>სულ გაყიდვები</b> | <b>659,446</b> | <b>797,152</b> | <b>973,002</b> |

2021 წელს საქონლის გაყიდვები 20.5%-ით გაიზარდა და 756,035 ლარი შეადგინა, რაც მთლიანი გაყიდვების 96% იყო. საქონლის გაყიდვები მოიცავს ისეთ პროდუქციას, როგორებიცაა მსუბუქი ავტომობილები, მძიმე ტექნიკა, სპეც-ტექნიკა, საბურავები, საპოხი მასალები, ავტონაწილები, ხელსაწყოები და სხვა. 2021 წელს მომსახურების გაწევიდან მიღებული შემოსავალი 31%-ით გაიზარდა და 32,117 ათასი ლარი შეადგინა, რაც მთლიანი გაყიდვების 4% იყო.

2022 წელს საქონლის გაყიდვები 12.3%-ით გაიზარდა და 858,982 ლარი შეადგინა, რაც მთლიანი გაყიდვების 88.3%-ს წარმოადგენდა. საქონლის გაყიდვები მოიცავს ისეთ პროდუქციას, როგორებიცაა მსუბუქი ავტომობილები, მძიმე ტექნიკა, სპეც-ტექნიკა, საბურავები, საპოხი მასალები, ავტონაწილები, ხელსაწყოები და სხვა. საქონლის გაყიდვების ზრდა ძირითადად განპირობებული იყო მსუბუქი ავტომობილების გაყიდვებით, რომელიც წინა წელთან შედარებით 91.2%-ით არის გაზრდილი. 2022 წელს მომსახურების გაწევიდან მიღებული შემოსავალი 255%-ით გაიზარდა და 114,020 ათასი ლარი შეადგინა, რაც მთლიანი გაყიდვების 11.7% იყო. გაყიდვების ზრდა განპირობებული პერიოდის განმავლობაში შემოერთებული კომპანიებით.

გაყიდვების თვითღირებულება შედგება გაყიდული საქონლის თვითღირებულებისა და გაწეული მომსახურებების თვითღირებულებისგან (თანამშრომელთა ხარჯი, ცვეთის ხარჯი, მომსახურების შეძენა, გამოყენებული სათადარიგო ნაწილები და სხვა ხარჯები).

ბოლო ორი წლის განმავლობაში საერთო მოგების მარჟა 20.5%-დან და 21.4%-მდე მერყეობს.

2021 წელს, მარჟის გაზრდის ძირითადი მიზეზი იყო მარაგში არსებული პროდუქციის გასაყიდი ფასის ზრდა, გამოწვეული მიწოდების ჯაჭვის გლობალური პრობლემით.

2022 წელს, საერთო მოგების მარჟის შემცირება გამოწვეულია კონკრეტული პროდუქტებზე შემცირებული მარჟებით, რაც აკომპენსირემპენსირებს სხვა პროდუქტებზე გაზრდილი მარჟების ზრდას.

| (ათასი ლარი)                       | აუდირებული |           | არა-აუდირებული |
|------------------------------------|------------|-----------|----------------|
|                                    | 2020 წელი  | 2021 წელი | 2022 წელი      |
| გაყიდული პროდუქციის თვითღირებულება | (505,347)  | (599,727) | (727,303)      |
| თანამშრომელთა ხარჯი                | (16,069)   | (19,095)  | (25,391)       |
| ცვეთის ხარჯი                       | (2,588)    | (2,705)   | (6,257)        |
| გამოყენებული სათადარიგო ნაწილები   | (1,017)    | (1,365)   | (1,657)        |

|                                      |                  |                  |                  |
|--------------------------------------|------------------|------------------|------------------|
| მომსახურების შექმნა                  | (443)            | (2,288)          | (8,667)          |
| სხვა ხარჯები                         | (856)            | (1,014)          | (3,740)          |
| <b>სულ გაყიდვების თვითღირებულება</b> | <b>(526,320)</b> | <b>(626,194)</b> | <b>(773,015)</b> |
| <b>საერთო მოგების მარჟა</b>          | <b>20.2%</b>     | <b>21.4%</b>     | <b>20.5%</b>     |

### საოპერაციო ხარჯები და მოგება საოპერაციო საქმიანობიდან

2021 წელს საოპერაციო მოგებამ 170,958 ათასი ლარი შეადგინა, ხოლო საოპერაციო მოგების მარჟა 9.3% იყო. 2021 წლის საოპერაციო მოგება 17%-ით მეტია წინა წელთან შედარებით, როდესაც საოპერაციო მოგებამ 63,029 ათასი ლარი შეადგინა, ხოლო საოპერაციო მოგების მარჟამ - 9.6%.

| 2022 წელს საოპერაციო მოგება 73,379 ათას ლარს, ხოლო საოპერაციო მოგების მარჟა 7.5%-ს შეადგენდა. საოპერაციო მოგება 2022 წელს 0.6%-ით ნაკლებია 2021 წელთან შედარებით, როდესაც საოპერაციო მოგება 73,836 ათას ლარს, ხოლო საოპერაციო მოგების მარჟა 9.3%-ს შეადგენდა. მარჟის შემცირება განპირობებული იყო როგორც რეალიზაციის თვითღირებულების, ისე ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯების ზრდით. (ათასი ლარი) | აუდირებული     |                | არა-აუდირებული |
|---|----------------|----------------|----------------|
|   | 2020 წელი      | 2021 წელი      | 2022 წელი      |
| გაყიდვები   | 659,446        | 797,152        | 973,002        |
| თვითღირებულება  | (526,320)      | (626,194)      | (773,015)      |
| <b>საერთო მოგება</b>  | <b>133,126</b> | <b>170,958</b> | <b>199,987</b> |
| ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯები   | (50,928)       | (71,754)       | (109,567)      |
| რეალიზაციის და დისტრიბუციის ხარჯები   | (16,342)       | (17,753)       | (17,812)       |
| სხვა საოპერაციო შემოსავალი  | 7,572          | 3,961          | 5,775          |
| სხვა საოპერაციო ხარჯები   | (10,399)       | (11,576)       | (5,087)        |
| <b>საოპერაციო მოგება</b>  | <b>63,029</b>  | <b>73,836</b>  | <b>73,296</b>  |
| <b>საოპერაციო მოგების მარჟა</b>   | <b>9.6%</b>    | <b>9.3%</b>    | <b>7.5%</b>    |

ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯები 2021 წელს 71,754 ათას ლარს შეადგენდა რაც 40.9%-ით აღემატება 2021 წელს დაფიქსირებულ 50,928 ათას ლარს. ხარჯების ზრდის მთავარი გამომწვევი ფაქტორი იყო კომპანიის მასშტაბის ზრდა, რამაც გამოიწვია თანამშრომელთა რაოდენობის ზრდაც და შესაბამისად პერსონალის ხარჯის გაზრდა.

ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯები 2022 წელს 109,567 ათას ლარს შეადგენდა რაც 52.1%-ით აღემატება 2021 წელს დაფიქსირებულ 71,754 ათას ლარს. ხარჯების ზრდის მთავარი გამომწვევი ფაქტორი იყო კომპანიის მასშტაბის ზრდა, რამაც გამოიწვია თანამშრომელთა რაოდენობის ზრდაც და შესაბამისად პერსონალის ხარჯის გაზრდა.

| (ათასი ლარი)                                   | აუდირებული |          | არა-აუდირებული |
|--|------------|----------|----------------|
|  | 2020       | 2021     | 2022           |
| თანამშრომელთა ანაზღაურება                      | (27,563)   | (38,673) | (68,470)       |
| ცვეთა და ამორტიზაცია                           | (5,395)    | (6,356)  | (7,299)        |
| ცვეთა გამოყენების უფლებით გადმოცემულ აქტივებზე | (4,003)    | (5,226)  | (3,603)        |

|  |                 |                 |                  |
|--|-----------------|-----------------|------------------|
| პროფესიონალური მომსახურებები                 | (2,871)         | (4,753)         | (6,060)          |
| საოფისე ხარჯები                              | (2,693)         | (3,915)         | (5,098)          |
| გადასახადები, მოგების გადასახადის გარდა      | (2,530)         | (3,260)         | (4,089)          |
| კომუნალური ხარჯები                           | (1,390)         | (2,472)         | (2,772)          |
| კავშირგაბმულობის ხარჯი                       | (883)           | (1,726)         | (1,169)          |
| უსაფრთხოების ხარჯი                           | (553)           | (661)           | (848)            |
| რემონტის ხარჯი                               | (486)           | (628)           | (630)            |
| საბანკო საკომისიო                            | (411)           | (562)           | (940)            |
| საიჯარო ხარჯი                                | (349)           | (966)           | (1,880)          |
| აუდიტის ხარჯი                                | (324)           | (376)           | (416)            |
| საწვავის ხარჯი                               | (231)           | (786)           | (1,518)          |
| მივლინების ხარჯი                             | (225)           | (402)           | (1,989)          |
| სხვა ხარჯები                                 | (1,021)         | (992)           | (2,786)          |
| <b>სულ ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯები</b> | <b>(50,928)</b> | <b>(71,754)</b> | <b>(109,567)</b> |

შენიშვნა: 1) 2022 წლის მონაცემებისათვის გამოყენებულია კომპანიის მენეჯერული ანგარიშგება რომელიც მომზადებული იყო IFRS-ის მიხედვით. კომპანიის მიერ ხარჯების კლასიფიკაცია შესაძლოა არამატერიალურად განსხვავდებოდეს მენეჯერულ და აუდირებულ ანგარიშგებებს შორის.

## EBITDA

2021 წელს EBITDA 88,123 ათასი ლარი იყო, რაც 17.5%-ით მეტია წინა წელთან შედარებით, როდესაც EBITDA შეადგენდა 75,015 ათას ლარს. EBITDA მარჟა 2021 წელს 11.05%-ს შეადგენდა, ხოლო 2020 წელს 11.4% იყო. EBITDA-ს ზრდა ძირითადად გამოწვეულია საერთო მოგების ზრდით.

საოპერაციო მოგების მარჟის კლებასთან ერთად შემცირდა EBITDA მარჟაც. 2022 წელს EBITDA 90,406 ათასი ლარი იყო, რაც 2.6%-ით მეტია წინა წელთან შედარებით, როდესაც EBITDA შეადგენდა 88,123 ათას ლარს. EBITDA მარჟა 2022 წელს 9.29%-ს, ხოლო 2021 წელს 11.05%-ს შეადგენდა. EBITDA-ს ცვლილებას თან ახლდა საერთო მოგების შემცირება და თანამშრომელთა ანაზღაურების ზრდით.

| (ათასი ლარი)                  | აუდირებული     |                | არა-აუდირებული |
|-------------------------------|----------------|----------------|----------------|
|                               | 2020 წელი      | 2021 წელი      | 2022 წელი      |
| <b>გაყიდვები</b>              | <b>659,446</b> | <b>797,152</b> | <b>973,002</b> |
| საოპერაციო მოგება             | 63,029         | 73,836         | 73,296         |
| ცვეთისა და ამორტიზაციის ხარჯი | (11,986)       | (14,287)       | (17,159)       |
| <b>EBITDA</b>                 | <b>75,015</b>  | <b>88,123</b>  | <b>90,455</b>  |
| <b>EBITDA მარჟა</b>           | <b>11.4%</b>   | <b>11.05%</b>  | <b>9.30%</b>   |

## ფინანსური ხარჯი, მოგების გადასახადი და წმინდა მოგება

კომპანიის ფინანსური ხარჯი უმეტესწილად წარმოადგენს საპროცენტო ხარჯს და გადაფასებიდან მიღებულ ზარალს კომპანიის საბანკო ვალებსა და სხვა ინსტრუმენტებზე.

2021 წელს ფინანსურმა ხარჯმა 30,540 ათასი ლარი შეადგინა, რაც 5.3%-ით ნაკლებია წინა წელთან შედარებით, როდესაც ფინანსური ხარჯი 32,264 ათასი ლარი იყო. 2021 წელს ფინანსური ხარჯის შემცირება უმეტესწილად გამოწვეული იყო ფინანსური იჯარის ვალდებულებების საპროცენტო ხარჯის შემცირებით და საკურსო სხვაობიდან მიღებული ზარალის შემცირებით.

2022 წელს ფინანსურმა ხარჯებმა შეადგინა 44,585 ათასი ლარი, რაც წინა წელთან შედარებით 45.8%-ით იყო გაზრდილი. 2022 წელს ფინანსური ხარჯების გაზრდა ძირითადად დაკავშირებული იყო საპროცენტო განაკვეთების ზრდასთან.

| (ათასი ლარი)                                    | აუდირებული    |               | არა-აუდირებული |
|---|---------------|---------------|----------------|
|   | 2020 წელი     | 2021 წელი     | 2022 წელი      |
| საპროცენტო შემოსავალი                           | 815           | 2,031         | 7,239          |
| საპროცენტო ხარჯი                                | (19,733)      | (21,640)      | (37,805)       |
| საპროცენტო ხარჯი ფინანსური იჯარის ვალდებულებაზე | (2,036)       | (2,567)       | (234)          |
| საპროცენტო ხარჯი საიჯარო ვალდებულებაზე          | -             | -             | (1,874)        |
| საპროცენტო ხარჯი სხვა ფინანსურ ვალდებულებაზე    | -             | -             | (4,060)        |
| (ზარალი)/ნამეტი საკურსო სხვაობიდან              | (9,709)       | (3,704)       | 1,104          |
| სხვა ფინანსური ხარჯი                            | (786)         | (2,071)       | (612)          |
| <b>შემოსავალი აფილირებული კომპანიებიდან</b>     | 182           | (558)         | -              |
| <b>მოგება დაბეგვრამდე</b>                       | <b>31,762</b> | <b>45,633</b> | <b>37,054</b>  |
| მოგების გადასახადის ხარჯი                       | (24)          | (341)         | (2,940)        |
| <b>წმინდა მოგება</b>                            | <b>31,738</b> | <b>45,292</b> | <b>34,114</b>  |
| <b>წმინდა მოგების მარჟა</b>                     | <b>4.8%</b>   | <b>5.7%</b>   | <b>3.5%</b>    |

2021 წელს ლარის გაცვლითი კურსი აშშ დოლარის მიმართ გაუფასურდა, რის გამოც „კომპანიამ“ განიცადა 3,704 ათასი ლარის ზომის ზარალი სავალუტო კურსის სხვაობიდან. საპირისპირო სურათი გვაქვს 2022 წლის შემთხვევაში, როდესაც ლარის გაცვლითი კურსი აშშ დოლარის მიმართ გამყარდა და შესაბამისად, კომპანიამ მიიღო 1,310 ათასი ლარის ოდენობის ნამეტი სავალუტო კურსის სხვაობიდან.

უცხოურ ვალუტაში დენომინირებული ფინანსური ვალდებულებების რისკის სამართავად „კომპანია“ იყენებს სავალუტო ფორვარდულ გარიგებებს: უცხოურ ვალუტაში დენომინირებული სავაჭრო ვალდებულებების რისკის დასაზღვევად იგი პერიოდულად ყიდულობს შესაბამისი ვადიანობის სავალუტო ფორვარდს და ახდენს გაცვლითი კურსის „დაფიქსირებას“, რის შემდეგაც კურსის ცვლილების მიუხედავად „კომპანიას“ ზუსტად ეცოდინება რა რაოდენობის ლარია საჭირო უცხოურ ვალუტაში დენომინირებული სავაჭრო ვალდებულებების მოსამსახურებლად. აღნიშნული ფორვარდული კონტრაქტების გაფორმება უმეტესად სს თიბისი ბანკთან ხდება. ფორვარდული კონტრაქტების ღირებულება სტანდარტული საბაზრო პირობების შესაბამისია და დამოკიდებულია კონტრაქტის ზომასა და ვადიანობაზე. ასევე აღსანიშნავია, რომ საკურსო რისკის შესამცირებლად, კომპანიამ სასესხო ვალდებულებების ნაწილი ეროვნულ ვალუტაში დააკონვერტირა.

ცხრილში მოცემულია ჯგუფის დაქვემდებარება უცხოური ვალუტის გაცვლითი კურსის რისკზე 2021 და 2020 წლების მდგომარეობით.

|            | 2021 წლის 31 დეკემბერი    |                                |              | 2020 წლის 31 დეკემბერი    |                                |              |
|------------|---------------------------|--------------------------------|--------------|---------------------------|--------------------------------|--------------|
|            | ფულადი ფინანსური აქტივები | ფულადი ფინანსური ვალდებულებები | ნეტო პოზიცია | ფულადი ფინანსური აქტივები | ფულადი ფინანსური ვალდებულებები | ნეტო პოზიცია |
| აშშ დოლარი | 63,295                    | (95,238)                       | (31,943)     | 48,654                    | (45,510)                       | 3,144        |
| ევრო       | 57,276                    | (14,379)                       | 42,897       | 61,278                    | (67,593)                       | (6,315)      |

ემისიის დროისათვის კომპანიას გააჩნია დერივატიული ინსტრუმენტის - ფორვარდის საშუალებით წარმოქმნილი ფინანსური აქტივი და ვალდებულება, რომლის საფუძველზეც სახელშეკრულებო ვალდებულებების შესასრულებლად მომავალ თარიღში კომპანია შეისყიდის 2 მლნ დოლარს ლარის სანაცვლოდ.



საბალანსო უწყისის ძირითადი ელემენტების მიმოხილვა

| (ათასი ლარი)                            | აუდირებული     |                | არა-აუდირებული |
|---|----------------|----------------|----------------|
|   | 2020 წელი      | 2021 წელი      | 2022 წელი      |
| <b>გრძელვადიანი აქტივები</b>            |                |                |                |
| ძირითადი საშუალებები                    | 105,089        | 114,845        | 175,691        |
| აქტივების გამოყენების უფლება            | 15,881         | 29,429         | 21,610         |
| არამატერიალური აქტივები                 | 5,442          | 6,276          | 8,519          |
| ძირითად საშუალებებზე გადახდილი ავანსები | 1,410          | 2,267          | 7,903          |
| გარანტიებთან დაკავშირებული აქტივები     | 1,053          | 765            | 765            |
| ინვესტიციები მეკავშირე საწარმოებში      | 227            | 490            | 472            |
| სხვა აქტივები                           | -              | -              | -              |
| <b>სულ გრძელვადიანი აქტივები</b>        | <b>129,102</b> | <b>154,072</b> | <b>214,960</b> |
| <b>მიმდინარე აქტივები</b>               |                |                |                |
| გარანტიებთან დაკავშირებული აქტივი       | 1,891          | 1,956          | 1,956          |
| სასაქონლო მარაგები                      | 117,130        | 127,663        | 277,028        |
| სავაჭრო და სხვა მოთხოვნები              | 93,774         | 87,746         | 71,510         |
| გადახდილი ავანსები                      | 21,503         | 14,755         | 27,539         |
| საგადასახადო აქტივები                   | 8,366          | 670            | 4,432          |
| წინასწარ გადახდილი მოგების გადასახადი   | 1,233          | 1,853          | 3,604          |
| გაცემული სესხები                        | 100            | 12,143         | 40,557         |
| ფული და ფულის ექვივალენტები             | 46,224         | 60,654         | 79,563         |
| <b>სულ მიმდინარე აქტივები</b>           | <b>290,221</b> | <b>307,440</b> | <b>506,189</b> |
| <b>სულ აქტივები</b>                     | <b>419,323</b> | <b>461,512</b> | <b>721,149</b> |
| <b>კაპიტალი</b>                         |                |                |                |
| საწესდებო კაპიტალი                      | 44,733         | 44,733         | 45,808         |
| სხვა რეზერვები                          | (22,936)       | (69,362)       | (121,597)      |
| გაუნაწილებელი მოგება                    | 90,788         | 125,969        | 143,156        |
| <b>სულ კაპიტალი</b>                     | <b>112,585</b> | <b>101,340</b> | <b>67,452</b>  |
| <b>ვალდებულებები</b>                    |                |                |                |
| <b>გრძელვადიანი ვალდებულებები</b>       |                |                |                |
| სესხები                                 | 72,873         | 80,084         | 41,505         |
| ბონდების გრძელვადიანი ნაწილი            |                |                | 148,564        |
| ვალდებულება ფინანსურ იჯარაზე            |                |                | 2,462          |
| საიჯარო ვალდებულებები                   | 12,968         | 25,779         | 17,544         |
| საგარანტიო ანარიცხები                   | 1,130          | 996            | 996            |
| სახელშეკრულებო ვალდებულებები            | 5,754          | 8,528          | 6,514          |
| სხვა ფინანსური ვალდებულება              | -              | 34,532         | 34,362         |
| სხვა გრძელვადიანი ვალდებულებები         | -              | -              | 32,046         |
| <b>სულ გრძელვადიანი ვალდებულებები</b>   | <b>92,725</b>  | <b>149,919</b> | <b>283,992</b> |
| <b>მიმდინარე ვალდებულებები</b>          |                |                |                |
| სესხები                                 | 75,128         | 90,124         | 94,146         |
| ბონდების მოკლევადიანი ნაწილი            | -              | -              | 915            |

|   |                |                |                |
|---|----------------|----------------|----------------|
| ვალდებულება ფინანსურ იჯარაზე                          | -              | -              | 395            |
| საიჯარო ვალდებულებები                                 | 5,018          | 5,418          | 3,833          |
| სავაჭრო და სხვა ვალდებულებები                         | 67,150         | 56,022         | 170,529        |
| სხვა მოკლევადიანი ვალდებულება                         | -              | -              | 0              |
| საგარანტიო ანარიცხები                                 | 2,001          | 2,246          | 2,246          |
| ფინანსური გარანტიის ანარიცხები                        | 0              | 46             | 0              |
| სხვა ფინანსური ვალდებულება                            | 24,286         | 36,071         | 1,409          |
| საგადასახადო ვალდებულებები, მოგების გადასახადის გარდა | 177            | 5,272          | 8,060          |
| სახელშეკრულებო ვალდებულებები                          | 40,253         | 15,054         | 88,257         |
| ფინანსური თავდებობის ხელშეკრულებები                   | -              | -              | 0              |
| <b>სულ მიმდინარე ვალდებულებები</b>                    | <b>214,013</b> | <b>210,253</b> | <b>369,790</b> |
| <b>სულ ვალდებულებები</b>                              | <b>306,738</b> | <b>360,172</b> | <b>653,782</b> |
| <b>სულ ვალდებულებები და კაპიტალი</b>                  | <b>419,323</b> | <b>461,512</b> | <b>721,149</b> |


## „ჯგუფის“ აქტივები<sup>12</sup>

<sup>12</sup> 2020 წლის 31 დეკემბრის აუდიტის მონაცემებით, ჯამურად 208,406 ათასი ლარის აქტივები დაგირავებული იყო ბანკებისგან ნასესხები სახსრების უზრუნველყოფის საგნის სახით, ხოლო 2021 წლის 31 დეკემბერს 223,689 ათასი ლარი.

2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით „ჯგუფის“ სრული აქტივები 10.1%-ით გაიზარდა და 461,512 ათასი ლარი შეადგინა. აქტივების ზრდა პირველ რიგში ძირითადი საშუალებებით, ფული და ფულის ექვივალენტის და სასაქონლო მარაგების ზრდით იყო გამოწვეული.

2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, 2021 წლის შესაბამის მაჩვენებელთან შედარებით, „ჯგუფის“ სრული აქტივები გაზარდილია 56.3%-ით და 721,149 ათასი ლარი შეადგინა. ზრდა, ძირითადად, სასაქონლო მარაგების, ძირითადი საშუალებების ზრდით იყო განპირობებული

### აქტივების ზრდა და განაწილება (მლნ ლარი) 2022 წელი




### ძირითადი საშუალებები

ძირითადი საშუალებები წარმოადგენენ აქტივების 24.9%-ს 2021 წლის 31 დეკემბრის მონაცემებით. 2021 წელს ძირითადმა საშუალებებმა 114,845 ათასი ლარი შეადგინა, რაც 9.3%-ით აღემატება წინა წელს არსებულ 105,089 ათას ლარს. ძირითადი საშუალებები აღირიცხება ისტორიული ღირებულების მეთოდით და მათი საბალანსო ღირებულება უდრის ისტორიულ ღირებულებას გამოკლებულ დაგროვილ ცვეთას. ძირითადი საშუალებების გადაფასება საბაზრო ღირებულების ცვლილებასთან ერთად არ ხდება.


2022 წლის განმავლობაში ძირითადი საშუალებები აქტივების 24.4%-ს წარმოადგენენ. 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, ძირითადმა საშუალებებმა 175,691 ათასი ლარი შეადგინა, რაც წინა წლის ანალოგიურ მაჩვენებელთან შედარებით 53.0%-იან ზრდას აღნიშნავდა.

ძირითადი საშუალებების ზრდა უკავშირდება შემოერთებული კომპანიების შედეგად კონსოლიდაციას. კერძოდ, სხვაობიდან 25 მლნ მხოლოდ ამ კომპანიების ძირითადი საშუალებებია, ასევე ბალანსზე აღიარებულია პორშეს ცენტრის ღირებულება 12 მლნ ლარით, რაც 2022 წლის ნამატია;

**ძირითადი საშუალებების შემადგენლობა (ათასი ლარი)**



31 დეკემბერი, 2021



31 დეკემბერი, 2022

*აქტივების გამოყენების უფლება და საიჯარო ვალდებულებები*

პერიოდის განმავლობაში აქტივების გამოყენების უფლების საბალანსო ღირებულება მოცემულია შემდეგ ცხრილში:

| საბალანსო ღირებულება ათასი ლარი | სულ    |
|---------------------------------|--------|
| 2020 წლის 31 დეკემბრისთვის      | 15,881 |
| 2021 წლის 31 დეკემბრისთვის      | 29,429 |
| 2022 წლის 31 დეკემბრისთვის      | 21,610 |

**სასაქონლო მარაგები**

2021 წლის 31 დეკემბრის მონაცემებით, სასაქონლო მარაგები აქტივების 29.5%-ს შეადგენს და მთლიან აქტივებს შორის მოცულობით პირველ ადგილზეა, ხოლო 2022 წლის 31 აგვისტოს მონაცემებით, სასაქონლო მარაგები მთლიანი აქტივების 29%-ს წარმოადგენს. 2021 წელს სასაქონლო მარაგების ბრუნვის დღეები 11.5%-ით შემცირდა 2020 წელთან შედარებით რამაც შეადგინა 71.3 დღე. 2022 წელს სასაქონლო მარაგების დღეებმა 95.5 დღე შეადგინა, რაც 33.9% აღმატება წინა წლის ანალოგიურ მაჩვენებელს.

გასაყიდი საქონელი წამოადგენს „თეგეტა ჯგუფის“ ფილიალებსა და სერვისცენტრებში განთავსებულ გასაყიდად მზად საქონელს, ხოლო საქონელი ტრანზიტში წარმოადგენს „თეგეტა ჯგუფის“ მიერ ნაყიდ საქონელს, რომელიც ფიზიკურად ჯერ არ არის მიღებული. მარაგების ზრდის მთავარი მიზეზია კომპანიების სტრატეგია, შეეცხო მარაგები, გაეძლიერებინა კონკრეტული პროდუქციის გაყიდვები რისთვისაც დაარსდა კომპანია შპს თეგეტა თაიარ იმპორტსი, რომელიც კონცენტრირებულად საბურავების რეალიზაციას ახორციელებს. წლის ბოლო მდგომარეობით გაზრდილია ასევე პროდუქციის მარაგიც, რომელიც ჯერ მიწოდებული არ არის, თუმცა ავანსად გაყიდულია.

| (ათასი ლარი)       | აუღირებული |           | არააუღირებული |
|--------------------|------------|-----------|---------------|
|                    | 2020 წელი  | 2021 წელი | 2022 წელი     |
| გასაყიდი საქონელი  | 78,023     | 91,570    | 209,733       |
| საქონელი ტრანზიტში | 34,248     | 30,851    | 60,000        |

|                               |                |                |                |
|-------------------------------|----------------|----------------|----------------|
| სხვა საქონელი                 | 4,859          | 5,242          | 6,695          |
| <b>სულ სასაქონლო მარაგები</b> | <b>117,130</b> | <b>127,663</b> | <b>277,028</b> |

### სავაჭრო და სხვა დებიტორული დავალიანება

სავაჭრო და სხვა დებიტორული დავალიანება მთლიანი აქტივების 19%-ს წარმოადგენს. 2021 წელს ის 87,746 ათას ლარს შეადგენდა, რაც 6.4%-ით ნაკლებია წინა წელს არსებულ 93,774 ათას ლარზე. დავალიანებების უდიდესი ნაწილი მოდის სავაჭრო დებიტორულ დავალიანებებზე, რომლებიც წარმოიქმნება, როდესაც კომპანია კლიენტზე საქონლის რეალიზაციას ახდენს შემდგომი გადახდის პირობით.

2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, სავაჭო და სხვა დებიტორულმა დავალიანებამ მთლიანი აქტივების 9.9% შეადგინა და 71,510-ს ათას ლარს გაუტოლდა, რაც 18.5%-ით ნაკლებია წინა წლის ანალოგიურ მაჩვენებელთან შედარებით. დავალიანების ცვლილება გამოწვეულია კლიენტების მიერ დავალიანების დაფარვით.

| (ათასი ლარი)  | აუდირებული    |               | აუდირებული    |
|---|---------------|---------------|---------------|
|   | 2020 წელი     | 2021 წელი     | 2022 წელი     |
| სავაჭრო დებიტორული დავალიანებები                    | 97,663        | 96,983        | 78,087        |
| მოთხოვნები მეკავშირე საწარმოების მიმართ             | 2,936         | 3,417         | 109           |
| გამოკლებული: მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის ანარიცხი | (7,710)       | (15,105)      | (8,815)       |
| <b>სულ სავაჭრო და დებიტორული მოთხოვნები</b>         | <b>92,889</b> | <b>85,295</b> | <b>69,381</b> |
| მისაღები დივიდენდები                                | 39            | 37            | -             |
| სხვა დებიტორული დავალიანებები                       | 846           | 2,414         | 2,129         |
| <b>სულ სავაჭრო და სხვა დებიტორული დავალიანება</b>   | <b>93,774</b> | <b>87,746</b> | <b>71,510</b> |

მოთხოვნების გადახდის პირობები 31-93 დღის დიაპაზონში მერყეობს და დამოკიდებულია კლიენტთან შეთანხმებაზე. სავაჭრო მოთხოვნები უპროცენტოა, ხოლო კლიენტის გადახდისუნარიანობის შეფასება მათი გადახდის და პროდუქციის გამოყენების/განკარგვის ისტორიის და მიმდინარე მდგომარეობის მიხედვით ხდება. ასევე საჭიროების შემთხვევაში ხდება საბანკო გარანტიების წარდგენის მოთხოვნა.

შესაძლო გაუფასურების შეფასებისას „კომპანია“ აკვირდება დებიტორების მიერ ისტორიული გადახდების მონაცემებს. „კომპანიის“ დებიტორებთან ურთიერთობის გამოცდილების შედეგად აფასებს არის თუ არა დებიტორული დავალიანება გაუფასურებული.

2021 წლის 31 დეკემბრის სავაჭრო მოთხოვნების ვადაგადაცილების შესახებ ინფორმაცია მოცემულია შემდეგ ცხრილში:

| ფინანსური აქტივები სავაჭრო და სხვა მოთხოვნებში (ათას ლარში) | დეფოლტის რისკის ქვეშ არსებული შეფასებული მთლიანი ღირებულება | მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი | მოსალოდნელი ზარალის განაკვეთი |
|---|---|------------------------------|-------------------------------|
| მიმდინარე   | 46,400  | 42                           | 0.09%                         |
| 31 დღეზე ნაკლები  | 14,872  | 163                          | 1.09%                         |

|                    |                |               |               |
|--------------------|----------------|---------------|---------------|
| 31-დან 93 დღემდე   | 18,387         | 1,794         | 9.76%         |
| 93-დან 186 დღემდე  | 7,153          | 1,946         | 27.20%        |
| 186-დან 341 დღემდე | 3,419          | 1,919         | 56.12%        |
| 341 დღეზე მეტი     | 12,619         | 9,241         | 73.23%        |
| <b>სულ</b>         | <b>102,851</b> | <b>15,105</b> | <b>14.69%</b> |

2020 წლის 31 დეკემბრის სავაჭრო მოთხოვნების ვადაგადაცილების შესახებ ინფორმაცია მოცემულია შემდეგ ცხრილში:

| ფინანსური აქტივები სავაჭრო და სხვა მოთხოვნებში (ათას ლარში) | დეფოლტის რისკის ქვეშ არსებული შეფასებული მთლიანი ღირებულება | მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი | მოსალოდნელი ზარალის განაკვეთი |
|---|---|------------------------------|-------------------------------|
| მიმდინარე   | 59 202  | 6                            | 0.01%                         |
| 31 დღეზე ნაკლები  | 16 950  | 17                           | 0.10%                         |
| 31-დან 93 დღემდე  | 76 77   | 112                          | 1.46%                         |
| 93-დან 186 დღემდე   | 3 526   | 228                          | 6.47%                         |
| 186-დან 341 დღემდე  | 3 844   | 743                          | 19.33%                        |
| 341 დღეზე მეტი  | 102 85  | 6 604                        | 64.21%                        |
| <b>სულ</b>  | <b>101 484</b>  | <b>7 710</b>                 | <b>7.60%</b>                  |

შესაძლო გაუფასურების შეფასებისას „კომპანია“ აკვირდება დებიტორების მიერ ისტორიული გადახდების მონაცემებს. „კომპანიის“ დებიტორებთან ურთიერთობის გამოცდილების შედეგად აფასებს არის თუ არა დებიტორული დავალიანება გაუფასურებული.

წარსულ გადახდებზე დაყრდნობით „კომპანიის“ შეფასებით, დეფოლტის რისკის ქვეშ არსებული სავაჭრო მოთხოვნების ამოღება წარმატებით მოხდება. სავაჭრო მოთხოვნების გაუფასურების რეზერვის ცვლილება შემდეგ ცხრილშია მოცემული:

| (ათასი ლარი)  | აუდირებული   |               |
|---|--------------|---------------|
|   | 2020 წელი    | 2021 წელი     |
| მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის ანარიცხი, 1 იანვარი           | 1,027        | 7,710         |
| წლის დანარიცხი  | 6,749        | 7,781         |
| მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის რეზერვის გამოყენება           | (66)         | (386)         |
| <b>მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის ანარიცხი, 31 დეკემბერი</b> | <b>7,710</b> | <b>15,105</b> |

ნაღდი ფული

ნაღდი ფულის ოდენობამ 60,654 ათასი ლარი შეადგინა 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით. 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, ნაღდი ფულის ოდენობამ შეადგინა 79,563 ათასი ლარი შეადგინა. ფულის უდიდესი ნაწილი საქართველოში რეგისტრირებულ კომერციულ ბანკებშია განთავსებული.

| (ათასი ლარი)                           | აუდიტირებული  |               | არა-აუდიტირებული |
|--|---------------|---------------|------------------|
|  | 2020 წელი     | 2021 წელი     | 2022 წელი        |
| ფული ბანკში                            | 16,396        | 22,978        | 12,336           |
| ფული ტრანზიტში                         | 163           | 229           | 265              |
| ნაღდი ფული                             | 5,434         | 1,811         | 1,742            |
| შეზღუდული ფული                         | 24,231        | 35,636        | 65,240           |
| <b>სულ ფული და ფულის ექვივალენტები</b> | <b>46,224</b> | <b>60,654</b> | <b>79,563</b>    |

2021 წელს, შეზღუდული გამოყენების უფლების მქონე ფულადი სახსრებიდან 35,636 ლარი შეზღუდული იყო კომპანიის საბოლოო მაკონტროლებელი მხარის სახელზე გაცემული გარანტიით. ემისიის დროისათვის შეზღუდული ფულადი სახსრები ემსახურება კომპანიის სასესხო ვალდებულების უზრუნველყოფას სს თიბისი ბანკის სასესხო ვალდებულებაზე.

2022 წელს შეზღუდული ფული შეადგენდა 65,240-ს და გაზრდილია 83%-ით წინა წელთან შედარებით. ამის მიზეზია ტენდერის ფარგლებში მიღებული საავანსო თანხა, რომელიც სახელშეკრულებო პირობების თანახმად ანგარიშზე გაიყინა მიღება-ჩაბარებამდე.

### გაცემული სესხები

საერთო კონტროლს დაქვემდებარებულ საწარმოებსა და საბოლოო მაკონტროლებელ მხარეზე გაცემულია სესხები საერთო კონტროლს დაქვემდებარებული კომპანიების უფრო ფართო ჯგუფის ფინანსური მართვის ფუნქციის ფარგლებში. ხელმძღვანელობას მიაჩნია, რომ არ არსებობს ზარალის მნიშვნელოვანი რისკი კონსოლიდირებულ და ინდივიდუალურ ფინანსურ ანგარიშგებაში უკვე აღრიცხული ანარიცხების მიღმა, რაც 2022 წლის ფინანსური ინფორმაციით წარმოდენილი კონსოლიდირებული მონაცემებისთვის შეადგენს 322 ათას ლარს.

### „თეგეტა ჯგუფის“ ვალდებულებები

#### სავაჭრო ვალდებულებები

სავაჭრო და სხვა კრედიტორული დავალიანება წარმოადგენს „თეგეტა ჯგუფის“ საბრუნავი კაპიტალის ძირითად კომპონენტს და მიმდინარე ვალდებულებების ერთ-ერთ უდიდეს ნაწილს. 2021 წელს სავაჭრო და სხვა კრედიტორულმა დავალიანებამ 56,022 ათასი ლარი შეადგინა, რაც 16.6%-ით ნაკლებია წინა წელთან შედარებით, როდესაც სავაჭრო და სხვა კრედიტორული დავალიანება 67,150 ათასი ლარი იყო. შემცირების მთავარი მამოძრავებელი სავაჭრო კრედიტორული დავალიანებების შემცირება იყო.

2022 წლის 31 დეკემბრის მონაცემებით სავაჭრო კრედიტორული დავალიანებები გაიზარდა 170,529 ათას ლარამდე გაიზარდა, რაც უკავშირდება გაზრდილ სასაქონლო მარაგებს.

| (ათასი ლარი) | აუდიტირებული |           | არა-აუდიტირებული |
|--------------|--------------|-----------|------------------|
|              | 2020 წელი    | 2021 წელი | 2022 წელი        |

|  |               |               |                |
|--|---------------|---------------|----------------|
| სავაჭრო კრედიტორული დავალიანებები                  | 57,321        | 45,681        | 147,432        |
| გრძელვადიან აქტივებში გადასახდელი თანხები          | 1,839         | 698           | 2,574          |
| ვალდებულება მეკავშირე საწარმოების მიმართ           | 631           | 617           | 26             |
| გადასახდელი დივიდენდები                            | 13            | 13            | 2,752          |
| დარიცხული სახელფასო ვალდებულება                    | 6,386         | 8397          | 13,112         |
| სხვა ვალდებულებები                                 | 960           | 616           | 4,630          |
| <b>სულ სავაჭრო და სხვა კრედიტორული დავალიანება</b> | <b>67,150</b> | <b>56,022</b> | <b>170,526</b> |

### სახელშეკრულებო ვალდებულებები

სახელშეკრულებო ვალდებულებები არის კლიენტებისგან მიღებული გადახდები და წარმოადგენს ჯგუფის ვალდებულებას, მიაწოდოს საქონელი ან მომსახურება კლიენტებისთვის.

2020 წელს ჯგუფმა შემოსავლის სახით აღიარა 21,136 ლარი, რომელიც საანგარიშგებო პერიოდის დასაწყისში აღრიცხული იყო სახელშეკრულებო ვალდებულებების ნაწილში. სახელშეკრულებო ვალდებულებების გრძელვადიანი ნაწილი მთლიანად უკავშირდება ჯგუფის მიერ გაყიდული ავტობუსების მომსახურების ტიპის გარანტიებს. 2021 წელს კომპანიამ შემოსავლის სახით აღიარა 40,253 ლარი და 35,146 ლარი, რომელიც საანგარიშგებო პერიოდის დასაწყისში აღრიცხული იყო სახელშეკრულებო ვალდებულებების მიმდინარე ნაწილში.

2022 წელს სახელშეკრულებო ვალდებულებების ზრდა დაკავშირებულია 55 მლნ ლარის ღირებულების ტენდერებთან, ხოლო დარჩენილი ღირებულება უკავშირდება მიწოდების ხელშეკრულებით დადგენილი პირობების შესრულებას შვილობილი კომპანიების საოპერაციო საქმიანობის ფარგლებში. აღნიშნული პროექტები სრულდება მიმდინარე წლის პირველ ნახევარში და კომპანიის სახელშეკრულებო ვალდებულებების შემოსავლად აღიარება მოსალოდნელია 2023 წელს. ეს ვალდებულებები უკავშირდება შესასრულებელ ვალდებულებებს, რომლებიც საანგარიშგებო თარიღში ჯერ არ იყო დაკმაყოფილებული.

| ათასი ლარი   | აუდიტირებული |           | არაუდიტირებული |
|--|--------------|-----------|----------------|
|  | 2020 წელი    | 2021 წელი | 2022 წელი      |
| სახელშეკრულებო ვალდებულებები - გრძელვადიანი ნაწილი | 5,754        | 8,528     | 6,514          |
| სახელშეკრულებო ვალდებულებები - მიმდინარე ნაწილი    | 40,253       | 15,054    | 88,257         |

### სხვა ფინანსური ვალდებულება

სხვა ფინანსური ვალდებულება წარმოადგენს დივიდენდის შინაარსით აუდიტის მიერ დაკლასიფიცირებული ქეშ ქავერ სესხს. 2020 წელს ჯგუფმა გააფორმა საგარანტიო ხელშეკრულება საბოლოო მაკონტროლებელი მხარის ქართული ბანკის წინაშე არსებული ვალდებულების უზრუნველყოფის მიზნით. ჯგუფის ხელმძღვანელობა მოელის, რომ ვალდებულება საბოლოოდ ჯგუფის მიერ დაიფარება საბოლოო მაკონტროლებელ მხარეზე დივიდენდების მომავალი განაწილების ან სხვა გზით. შესაბამისად, ჯგუფმა აღიარა სხვა ფინანსური ვალდებულება 24,286 ლარის ოდენობით 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, რაც გარანტირებული ვალდებულების სრულ ოდენობას წარმოადგენს. ხელმძღვანელობამ დაასკვნა, რომ ამგვარი ოპერაცია აკმაყოფილებს მესაკუთრის ფუნქციის შემსრულებლის სახით მოქმედ მესაკუთრესთან გარიგების განმარტებას და ის აღრიცხა სხვა რეზერვების ნაწილში კაპიტალის ცვლილების კონსოლიდირებულ ანგარიშგებაში.

### სესხები და ობლიგაციები



2022 წლის 16 დეკემბერს ჯგუფმა გამოუშვა ობლიგაციები 150,000,000 ლარის მოცულობით (ISIN: GE 2700604236). ობლიგაციები წარმოადგენს მთლიანი ვალდებულებების 22.9% 2022 წელს. ობლიგაციების მთავარია მახასიათებლებია:

(ISIN: GE 2700604236) – 150 000 000 ლარის ობლიგაცია:

- კუპონი: TIBR3M + 350 საბაზისო პუნქტი
- ვადამოსული ხდება 16.12.2025-ში
- დალისტულია საქართველოს საფონდო ბირჟაზე (GSE)
- განთავსების აგენტი: TBC Capital

ემიტენტს 2023 წლის 31 მარტს დაუმტკიცდა 30,000,000 დოლარის ან/და ევროს ექვივალენტი ობლიგაციების საჯარო შეთავაზების დოკუმენტი (პროსპექტი). ობლიგაციის გამოშვება ხორციელდება ერთი ან ერთზე მეტი ემისიით აშშ დოლარის ან/და ევროს ვალუტაში. წინამდებარე პროსპექტის მომზადების თარიღისათვის ემისიის ფარგლებში განთავსებულია 25,000,000 აშშ დოლარის (ISIN: GE 2700604327) და 5,000,000 ევროს (ISIN: GE 2700604335) საერთო ძირის ოდენობით ობლიგაციები.

(ISIN: GE 2700604327) – 25 000 000 აშშ დოლარის ობლიგაცია:

- კუპონი: ფიქსირებული 8.5%
- ვადამოსული ხდება 28.04.2025-ში
- დალისტულია საქართველოს საფონდო ბირჟაზე (GSE)
- განთავსების აგენტი: სს „გალტ ენდ თაგარტი“

(ISIN: GE 2700604335) – 5 000 000 ევროს ობლიგაცია:

- კუპონი: ფიქსირებული 7.0 %
- ვადამოსული ხდება 28.04.2025-ში
- დალისტულია საქართველოს საფონდო ბირჟაზე (GSE)
- განთავსების აგენტი: სს „გალტ ენდ თაგარტი“

„ჯგუფი“ იყენებს სესხებს გრძელვადიანი აქტივებისა და საბრუნავი კაპიტალის დასაფინანსებლად. 2021 წლის 31 დეკემბრისთვის სესხებმა 170,208 ათასი ლარი შეადგინა, რაც 15%-ით აღემატება წინა წელს არსებულ 148,001 ათას ლარს. სესხების უდიდესი ნაწილი კომერციული ბანკებიდან არის აღებული.

2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით სესხებმა 135,651 ათასი ლარი შეადგინა რაც წინა წლის ანალოგიურ მაჩვენებელთან 20.3%-იან შემცირებას აღნიშნავდა.

| (ათასი ლარი)                           | აუდირებული    |               | არა-აუდირებული |
|--|---------------|---------------|----------------|
|  | 2020 წელი     | 2021 წელი     | 2022 წელი      |
| მიღებული სესხები - გრძელვადიანი ნაწილი | 42,260        | 80,084        | 41,505         |
| ობლიგაციები                            | 30,613        | -             | 148,564        |
| <b>გრძელვადიანი ნაწილი</b>             | <b>72,873</b> | <b>80,084</b> | <b>190,069</b> |
|  |               |               |                |
| ობლიგაციები                            | -             | 30,632        | 915            |
| მიღებული სესხები - მიმდინარე ნაწილი    | 75,128        | 59,492        | 94,146         |

|                    |                |                |                |
|--------------------|----------------|----------------|----------------|
| <b>სულ სესხები</b> | <b>148,001</b> | <b>170,208</b> | <b>285,130</b> |
|--------------------|----------------|----------------|----------------|

**ბანკის სესხები** - „ჯგუფის“ საბანკო სესხების დიდი ნაწილი<sup>13</sup> გარდა აღებულია სს „თიბისი ბანკში“ ან სს „თიბისი ბანკის“ სინდიცირებით. „თეგეტა ჯგუფში“ შემავალი კომპანიები ინდივიდუალურად იღებენ მათთვის საჭირო რაოდენობის სესხებს, სესხები უზრუნველყოფილია არსებული და სამომავლო საბრუნავი მარაგებით და ძირითადი საშუალებებით მათ შორის უძრავი ქონებებით. ბოლო სამი წლის განმავლობაში სესხებისა და ობლიგაციების ბალანსების ცვლილება მოცემულია შემდეგ ცხრილში:

| <b>სესხები (ათასი ლარი)</b>                  | <b>სულ</b>     |
|--|----------------|
| <b>31 დეკემბერი 2019 (აუდირებული)</b>        | <b>111,797</b> |
| სესხების აღება                               | 163,271        |
| საპროცენტო ხარჯი                             | 19,733         |
| ძირითად საშუალებებზე კაპიტალიზებული პროცენტი | -              |
| პროცენტის გადახდა                            | (19,095)       |
| სესხების დაფარვა                             | (134,870)      |
| საკურსო სხვაობა                              | 7,165          |
| <b>31 დეკემბერი 2020 (აუდირებული)</b>        | <b>148,001</b> |
| სესხების აღება                               | 334,068        |
| საპროცენტო ხარჯი                             | 21,640         |
| პროცენტის გადახდა                            | (21,802)       |
| სესხების დაფარვა                             | (306,177)      |
| საკურსო სხვაობა                              | (5,522)        |
| <b>31 დეკემბერი 2021 (აუდირებული)</b>        | <b>170,208</b> |
| <b>1 იანვარი 2022 (არა-აუდირებული)</b>       | <b>187,179</b> |
| სესხების აღება                               | 210,716        |
| საპროცენტო ხარჯი                             | 24,166         |
| პროცენტის გადახდა                            | (23,021)       |
| სესხების დაფარვა                             | (78,547)       |
| საკურსო სხვაობა                              | (1,780)        |
| <b>31 დეკემბერი 2022 (არა-აუდირებული)</b>    | <b>285,130</b> |
| სესხების აღება                               | 115,069        |
| საპროცენტო ხარჯი                             | 10,707         |
| პროცენტის გადახდა                            | (11,104)       |
| სესხების დაფარვა                             | (52,863)       |
| საკურსო სხვაობა                              | (2,601)        |
| <b>31 მარტი 2023 (არა-აუდირებული)</b>        | <b>344,338</b> |

სესხის ძირის აღების და დაფარვის მაღალი მოცულობა გამოწვეულია საბრუნავი კაპიტალის დასაფინანსებლად გამოყენებული მოკლევადიანი სესხებით, რომელთა ათვისება და დაფარვა რეგულარულად ხდება საჭიროების მიხედვით.

<sup>13</sup> 2021 წლის 8 ოქტომბერს შპს თეგეტა მოტორსის შვილობილმა კომპანიამ სს ვითიბი ბანკი ჯორჯიადან აიღო მოკლევადიანი სესხი (2,500,000 აშშ დოლარის ექვივალენტი რუსულ რუბლში). მიზნობრიობა: საბრუნავი სახსრების ფინანსირება

2022 წელს მოხდა დაკავშირებული კომპანიების შესყიდვა, 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით მოცემულ აუდირებულ ბალანსსა და 2022 წლის 1 იანვრის არა-აუდირებულ საბალანსო საწყის ნაშთებს შორის სხვაობა გამოწვეულია 2022 წლის განმავლობაში ემიტენტის მიერ ჯგუფში გაერთიანებული შვილობილი კომპანიების ბალანსზე არსებული ფინანსური ვალდებულებების კონსოლიდაციიდან.

**ლიკვიდრობის პროფილი**

ქვემოთ ცხრილში მოცემულია ვალდებულებები მათი დარჩენილი სახელშეკრულებო ვადების მიხედვით. როდესაც კრედიტორული ვალდებულების თანხა არ არის ფიქსირებული, ქვემოთ ასახული თანხა განისაზღვრება საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს არსებული პირობების გათვალისწინებით. გადახდა უცხოურ ვალუტაში გამოითვლება საანგარიშგებო პერიოდის ბოლოსათვის არსებული სავალუტო სპოტ-კურსის მიხედვით.

ქვემოთ მოცემულია დაუფარავი ფინანსური ვალდებულებების სახელშეკრულებო ვადები 2021 წლის 31 დეკემბრისთვის.

|   | მოთხოვნამდე და 1 თვემდე ვადით | 1-დან 3 თვემდე | 3-დან 12 თვემდე | 1-დან 5 წლამდე | 5 წელზე მეტი  | სულ            |
|---|-------------------------------|----------------|-----------------|----------------|---------------|----------------|
| ნასესხები სახსრები                        | 6,063                         | 9,222          | 92,423          | 96,889         | –             | 204,597        |
| საიჯარო ვალდებულებები                     | 714                           | 1,363          | 5,853           | 24,826         | 7,839         | 40,595         |
| ფინანსური თავდებობის ხელშეკრულებები       | –                             | –              | 46              | –              | –             | 46             |
| სხვა ფინანსური ვალდებულებები              | 195                           | 375            | 36,657          | 6,195          | 73,580        | 117,002        |
| სავაჭრო და სხვა კრედიტორული დავალიანებები | 56,022                        | –              | –               | –              | –             | 56,022         |
| <b>სულ მომავალი გადახდები</b>             | <b>62,994</b>                 | <b>10,960</b>  | <b>134,979</b>  | <b>127,910</b> | <b>81,419</b> | <b>418,262</b> |

ქვემოთ მოცემული დაუფარავი ფინანსური ვალდებულებების სახელშეკრულებო ვადები 2020 წლის 31 დეკემბრისთვის.

|                              | მოთხოვნამდე და 1 თვემდე ვადით | 1-დან 3 თვემდე | 3-დან 12 თვემდე | 1-დან 5 წლამდე | 5 წელზე მეტი | სულ     |
|------------------------------|-------------------------------|----------------|-----------------|----------------|--------------|---------|
| ნასესხები სახსრები           | 34,247                        | 13,678         | 36,561          | 81,754         | –            | 166,240 |
| საიჯარო ვალდებულებები        | 622                           | 804            | 3,631           | 13,084         | 5,563        | 23,704  |
| სხვა ფინანსური ვალდებულებები | 149                           | 272            | 24,309          | –              | –            | 24,730  |
| სავაჭრო და სხვა კრედიტორული  | 67,150                        | –              | –               | –              | –            | 67,150  |

|                               |                |               |               |               |              |                |
|-------------------------------|----------------|---------------|---------------|---------------|--------------|----------------|
| დავალიანებები                 |                |               |               |               |              |                |
| <b>სულ მომავალი გადახდები</b> | <b>102,168</b> | <b>14,754</b> | <b>64,501</b> | <b>94,838</b> | <b>5,563</b> | <b>281,824</b> |

### კაპიტალი და დივიდენდები

2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, „კომპანიის“ კაპიტალმა 101,340 ათასი ლარი შეადგინა ხოლო 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით კაპიტალი შეადგენდა 112,585 ათას ლარს. 2019 წლის განმავლობაში „კომპანიის“ პარტნიორებმა „კომპანიის“ სწრაფი ზრდის სწორი კაპიტალის სტრუქტურით დასაფინანსებლად მისი საწესდებო კაპიტალი 26,600 ათასი ლარით გაზარდეს. ასევე, 2020 წელს გამოცხადდა 1,391 ათასი ლარის მოცულობის დივიდენდი. 2021 წელს, აგვისტოში კომპანიამ გასცა 10,111 ათასი ლარის მოცულობის დივიდენდი. ასევე, აღსანიშნავია რომ კომპანიას არ აქვს მკაცრად გაწერილი დივიდენდების პოლიტიკა.

2022 წლის 31 აგვისტოს მდგომარეობით, კომპანიის კაპიტალმა 141,109 ათასი ლარი შეადგინა.

| (ათასი ლარი)                            | საწესდებო კაპიტალი | სხვა რეზერვები  | გაუნაწილებელი მოგება | სულ კაპიტალი   |
|---|--------------------|-----------------|----------------------|----------------|
| <b>31 დეკემბერი 2020 (აუდირებული)</b>   | <b>44,733</b>      | <b>(22,936)</b> | <b>90,788</b>        | <b>112,585</b> |
| წლის მოგება                             | -                  | -               | 45,292               | 45,292         |
| დივიდენდების გამოცხადება                | -                  | -               | (10,111)             | (10,111)       |
| კაპიტალის სხვა განაწილება               | -                  | (46,426)        | -                    | (46,426)       |
| <b>31 დეკემბერი 2021 (აუდირებული)</b>   | <b>44,733</b>      | <b>(69,362)</b> | <b>125,969</b>       | <b>101,340</b> |
| წლის მოგება                             | -                  | -               | 20,510               | 20,510         |
| დივიდენდების გამოცხადება                | -                  | -               | (15,253)             | (15,253)       |
| კაპიტალის სხვა განაწილება               | -                  | 34,512          | -                    | 34,512         |
| <b>31 აგვისტო 2022 (არა-აუდირებული)</b> | <b>44,733</b>      | <b>(34,850)</b> | <b>131,226</b>       | <b>141,109</b> |

### 5.2. საოპერაციო შედეგები

5.2.1. მნიშვნელოვანი ფაქტორების და ტენდენციების აღწერა, რომლებიც გავლენას ახდენს ემიტენტის საოპერაციო შემოსავალზე

სასაქონლო მარაგები წარმოადგენს სავაჭრო კომპანიის ერთ-ერთ უმთავრეს აქტივს, მარაგების სწორი და ეფექტური მენეჯმენტი არის კომპანიის წარმატების ერთ-ერთი მთავარი მამომრავებელი, სასაქონლო მარაგების მართვაში უმნიშვნელოვანესი როლი აქვს პროდუქციის ფასს, რაც თავის მხრივ განისაზღვრება პროდუქციის წარმოებისთვის საჭირო მასალების ფასებით (მეტალი, ნავთობი, კაუჩუკი) და ვალუტის გაცვლის კურსით.

5.2.2. თუ წლიურ ფინანსურ ანგარიშგებებში წარმოდგენილია დიდი ცვლილებები წმინდა გაყიდვებში ან შემოსავლებში, ამ ცვლილებების მიზეზების აღწერა.

2021 წელს „კომპანიის“ შემოსავლების მნიშვნელოვნად ზრდა 2020 წელთან შედარებით უმეტესწილად განპირობებულია შემოსავლების ზრდით სატვირთო ავტომობილების რეალიზაციიდან, რომელიც თეგეტა ჰოლდინგისთვის ერთ-ერთი ძირითადი მიმართულებაა.

**6. კაპიტალიზაცია და დავალიანება**

**6.1. დაფინანსების სტრუქტურის აღწერა**

6.1.1. საკონტრაქტო და ნარჩენი ვადიანობა, ვალუტა, წლიური პროცენტი, ნარჩენი ძირი და დარიცხული პროცენტი, გრაფიკის ტიპი, უზრუნველყოფები და კოვენანტები; ინფორმაციის არსებითობიდან გამომდინარე, წლიური პროცენტი შესაძლოა გამჟღავნებული იყოს ჯამურად.

2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით საბანკო სესხების სტრუქტურა მოცემულია შემდეგ ცხრილში, კომერციული ბანკებისაგან ათვისებული სესხები უზრუნველყოფილია 100%-ით.

| მსესხებელი          | კრედიტორი         | ვალუტა | გაცემის თარიღი | დაფარვის თარიღი | ნარჩენი ძირი (ათასი ლარი) | ნარჩენი პროცენტი (ათასი ლარი) | გირავნობა |
|---------------------|-------------------|--------|----------------|-----------------|---------------------------|-------------------------------|-----------|
| შპს თეგეტა მოტორსი  | სს თიბისი ბანკი   | ლარი   | 13.01.2020     | 13.06.2021      | 5,000                     | 31                            | 100%      |
| შპს თეგეტა მოტორსი  | სს თიბისი ბანკი   | ლარი   | 04.02.2020     | 01.03.2021      | 10,000                    | 94                            | 100%      |
| შპს თეგეტა მოტორსი  | სს თიბისი ბანკი   | ლარი   | 15.07.2020     | 31.03.2021      | 10,833                    | 45                            | 100%      |
| შპს თეგეტა მოტორსი  | სს თიბისი ბანკი   | ლარი   | 21.10.2020     | 15.02.2021      | 6,865                     | 25                            | 100%      |
| შპს თეგეტა მოტორსი  | სს თიბისი ბანკი   | ლარი   | 28.10.2020     | 15.02.2021      | 8,000                     | 74                            | 100%      |
| შპს თი-ბი-ეი თეგეტა | სს თიბისი ბანკი   | ლარი   | 15.12.2020     | 12.11.2021      | 500                       | 3                             | 100%      |
| შპს თეგეტა მოტორსი  | TBC Capital/ზონდი | ლარი   | 30.04.2019     | 30.04.2022      | 30,000                    | 613                           | 0%        |

|  |  |               |            |            |        |     |      |
|--|--|---------------|------------|------------|--------|-----|------|
| შპს თეგეტა მოტორსი                                 | სს თიბისი ბანკი (სინდიცირებულ ი EBRD-სთან) | ევრო          | 19.04.2018 | 02.04.2024 | 9,911  | 50  | 100% |
| შპს თეგეტა მოტორსი                                 | სს თიბისი ბანკი (სინდიცირებულ ი EBRD-სთან) | ევრო          | 19.04.2018 | 02.04.2024 | 9,916  | 38  | 100% |
| შპს ტოიოტა ცენტრი თეგეტა                           | სს თიბისი ბანკი                            | ლარი          | 07.06.2019 | 02.09.2025 | 16,304 | 159 | 100% |
| შპს თეგეტა მოტორსი                                 | სს თიბისი ბანკი                            | ლარი          | 24.08.2018 | 28.06.2024 | 13,600 | 13  | 100% |
| შპს ტოიოტა ცენტრი თეგეტა / შპს თეგეტა თრაქ ენდ ბას | სს თიბისი ბანკი                            | ლარი          | 03.09.2019 | 03.09.2021 | 11,900 | 140 | 100% |
| შპს თეგეტა მოტორსი                                 | სს თიბისი ბანკი                            | ლარი          | 07.06.2019 | 02.04.2024 | 6,283  | 61  | 100% |
| შპს თეგეტა მოტორსი                                 | სს თიბისი ბანკი                            | ევრო          | 05.11.2020 | 15.02.2021 | 3,162  | 2   | 100% |
| შპს თეგეტა პრემიუმ ვიიქელს                         | სს თიბისი ბანკი                            | ევრო          | 07.10.2020 | 07.04.2021 | 1,489  | 7   | 100% |
| შპს თეგეტა პრემიუმ ვიიქელს                         | სს თიბისი ბანკი                            | იაპონური იენი | 27.07.2020 | 01.07.2021 | 924    | 8   | 100% |
| შპს თეგეტა მოტორსი                                 | სს თიბისი ბანკი                            | ევრო          | 18.08.2020 | 18.08.2021 | 913    | -   | 100% |

|                                |                 |      |            |            |                |              |      |
|--------------------------------|-----------------|------|------------|------------|----------------|--------------|------|
| შპს თეგეტა მოტორსი             | სს თიბისი ბანკი | ლარი | 24.07.2018 | 03.02.2021 | 753            | 3            | 100% |
| გარანტიებზე დაგროვილი პროცენტი |                 |      |            |            |                | 281          | 100% |
| <b>სულ</b>                     |                 |      |            |            | <b>146,353</b> | <b>1,648</b> |      |

საპროცენტო განაკვეთების დიაპაზონები სესხების ვალუტების მიხედვით მოცემულია შემდეგ ცხრილში 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით:

| სესხის ვალუტა           | საპროცენტო განაკვეთის დიაპაზონი |
|-------------------------|---------------------------------|
| მოკლევადიანი ლარი       | 12.25%-15.25%                   |
| გრძელვადიანი ლარი       | 14.00%-14.25%                   |
| მოკლევადიანი ევრო       | 7.25%                           |
| გრძელვადიანი ევრო       | 5.50%                           |
| მოკლევადიანი იენი       | 6.00%                           |
| მოკლევადიანი აშშ დოლარი | -                               |

2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით საბანკო გარანტიების სტრუქტურა (ჯამური მოცულობები კომპანიების და გარანტიის ტიპის მიხედვით) მოცემულია შემდეგ ცხრილში:

| კომპანია           | პროდუქტის ტიპი | ვალუტა     | ჯამური მოცულობა (ათასი ლარი) |
|--------------------|----------------|------------|------------------------------|
| შპს თეგეტა მოტორსი | გარანტია       | აშშ დოლარი | 9,174                        |
| შპს თეგეტა მოტორსი | გარანტია       | რუბლი      | 264                          |
| შპს თეგეტა მოტორსი | გარანტია       | ლარი       | 71                           |
| შპს თეგეტა მოტორსი | გარანტია       | ლარი       | 44                           |
| შპს თეგეტა მოტორსი | გარანტია       | ლარი       | 426                          |
| შპს თეგეტა მოტორსი | გარანტია       | ლარი       | 66                           |
| შპს თეგეტა მოტორსი | გარანტია       | რუბლი      | 176                          |
| შპს თეგეტა მოტორსი | გარანტია       | ევრო       | 15,242                       |
| შპს თეგეტა მოტორსი | გარანტია       | ევრო       | 23,119                       |
| შპს თეგეტა მოტორსი | გარანტია       | ლარი       | 6                            |
| შპს თეგეტა მოტორსი | გარანტია       | ევრო       | 362                          |
| შპს თეგეტა მოტორსი | გარანტია       | აშშ დოლარი | 625                          |
| შპს თეგეტა მოტორსი | გარანტია       | ევრო       | 11,966                       |
| შპს თეგეტა მოტორსი | გარანტია       | ევრო       | 20,281                       |
| შპს თეგეტა მოტორსი | აკრედიტივი     | ევრო       | 53,287                       |

|   |            |               |                |
|---|------------|---------------|----------------|
| შპს თეგეტა მოტორსი                                    | გარანტია   | ევრო          | 19             |
| შპს თეგეტა მოტორსი                                    | გარანტია   | ლარი          | 108            |
| შპს თეგეტა თრაქ ენდ ბას                               | გარანტია   | ევრო          | 386            |
| შპს თეგეტა თრაქ ენდ ბას                               | გარანტია   | აშშ დოლარი    | 44             |
| შპს თეგეტა თრაქ ენდ ბას                               | გარანტია   | ევრო          | 40             |
| შპს თეგეტა თრაქ ენდ ბას                               | გარანტია   | ლარი          | 78             |
| შპს თეგეტა თრაქ ენდ ბას                               | გარანტია   | ლარი          | 44             |
| შპს თეგეტა პრემიუმ ვიიქელს                            | აკრედიტივი | იაპონური იენი | 2,854          |
| შპს თეგეტა ქონსორაქშენ ექვიფმენტ                      | გარანტია   | ფუნტი         | 1,113          |
| შპს თეგეტა ქონსორაქშენ ექვიფმენტ                      | გარანტია   | ლარი          | 80             |
| შპს ტოიოტა ცენტრი თეგეტა                              | გარანტია   | აშშ დოლარი    | 328            |
| შპს ტოიოტა ცენტრი თეგეტა                              | გარანტია   | ლარი          | 5              |
| შპს ტოიოტა ცენტრი თეგეტა                              | გარანტია   | ევრო          | 372            |
| შპს თი-ბი-ეი თეგეტა                                   | გარანტია   | აშშ დოლარი    | 655            |
| შპს ტოიოტა ცენტრი თეგეტა-შპს თეგეტა პრაიმ პროდაქტსი   | გარანტია   | აშშ დოლარი    | 12,418         |
| შპს ტოიოტა ცენტრი თეგეტა-შპს თეგეტა ავტომოტივ იმპორტი | გარანტია   | რუბლი         | 440            |
| შპს ტოიოტა ცენტრი თეგეტა-შპს თეგეტა ავტომოტივ იმპორტი | გარანტია   | აშშ დოლარი    | 328            |
| <b>სულ:</b>   |            |               | <b>154,423</b> |

2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით საბანკო სესხების სტრუქტურა მოცემულია შემდეგ ცხრილში, კომერციული ბანკებისაგან ათვისებული სესხები უზრუნველყოფილია 100%-ით.

| მსესხებელი         | კრედიტორი         | ვალუტა | გაცემის თარიღი | დაფარვის თარიღი | ნარჩენი ძირი (ათასი ლარი) | ნარჩენი პროცენტი (ათასი ლარი) | გირავნობა |
|--------------------|-------------------|--------|----------------|-----------------|---------------------------|-------------------------------|-----------|
| შპს თეგეტა მოტორსი | TBC Capital/ბონდი | ლარი   | 4/30/2019      | 4/30/2022       | 29,889                    | 744                           | 0%        |
| შპს თეგეტა მოტორსი | სს თიბისი ბანკი   | ლარი   | 8/24/2018      | 6/28/2024       | 4,644                     | 3                             | 100%      |



|                    |  |      |            |            |       |    |      |
|--------------------|--|------|------------|------------|-------|----|------|
| შპს თეგეტა მოტორსი | სს თიბისი ბანკი<br>(სინდიცირებული<br>სს ბაზის ბანკთან) | ლარი | 8/24/2018  | 6/28/2024  | 5,687 | 4  | 100% |
| შპს თეგეტა მოტორსი | სს თიბისი ბანკი  | ლარი | 6/7/2019   | 4/2/2024   | 4,675 | 53 | 100% |
| შპს თეგეტა მოტორსი | სს თიბისი ბანკი<br>(სინდიცირებული<br>სს ტერა ბანკთან)  | ლარი | 1/13/2020  | 6/14/2022  | 5,000 | 37 | 100% |
| შპს თეგეტა მოტორსი | სს თიბისი ბანკი  | ლარი | 7/15/2020  | 12/30/2024 | 3,611 | 38 | 100% |
| შპს თეგეტა მოტორსი | სს თიბისი ბანკი  | ლარი | 1/21/2021  | 12/30/2024 | 9,600 | 37 | 100% |
| შპს თეგეტა მოტორსი | სს თიბისი ბანკი  | ევრო | 5/7/2021   | 2/7/2022   | 2,161 | 10 | 100% |
| შპს თეგეტა მოტორსი | სს თიბისი ბანკი  | ლარი | 4/15/2021  | 3/1/2022   | 1,903 | 5  | 100% |
| შპს თეგეტა მოტორსი | სს თიბისი ბანკი  | ლარი | 7/12/2021  | 12/30/2024 | 3,675 | 1  | 100% |
| შპს თეგეტა მოტორსი | სს თიბისი ბანკი  | ლარი | 9/16/2021  | 12/30/2024 | 2,500 | 30 | 100% |
| შპს თეგეტა მოტორსი | სს თიბისი ბანკი<br>(სინდიცირებული<br>სს ბაზის ბანკთან) | ლარი | 10/28/2021 | 10/28/2022 | 6,000 | 7  | 100% |

|                                    |  |      |            |            |        |    |      |
|------------------------------------|--|------|------------|------------|--------|----|------|
| შპს თეგეტა<br>მოტორსი              | სს თიბისი ბანკი<br>(სინდიცირებული<br>სს კაშა ბანკთან)        | ლარი | 12/17/2021 | 12/15/2022 | 10,000 | 56 | 100% |
| შპს თეგეტა<br>მოტორსი              | სს თიბისი ბანკი<br>(სინდიცირებული<br>სს ბაზის ბანკთან)       | ლარი | 12/21/2021 | 12/15/2022 | 2,000  | 8  | 100% |
| შპს თეგეტა<br>მოტორსი              | სს თიბისი ბანკი<br>(სინდიცირებული<br>სს ბაზის ბანკთან)       | ლარი | 12/21/2021 | 12/15/2023 | 3,000  | 12 | 100% |
| შპს თეგეტა<br>მოტორსი              | სს თიბისი ბანკი  | ლარი | 12/23/2021 | 3/2/2024   | 13,502 | 44 | 100% |
| შპს თეგეტა<br>მოტორსი              | სს თიბისი ბანკი<br>(სინდიცირებული<br>სს ტერა ბანკთან)        | ლარი | 12/28/2021 | 1/23/2023  | 5,000  | 6  | 100% |
| შპს თეგეტა<br>მოტორსი              | სს თიბისი ბანკი<br>(სინდიცირებული<br>სს სილქროუდ<br>ბანკთან) | ლარი | 12/30/2021 | 1/29/2023  | 4,000  | 2  | 100% |
| შპს თეგეტა<br>ავტომოტივ<br>იმპორტი | სს თიბისი ბანკი  | ლარი | 9/24/2021  | 12/30/2024 | 10,000 | 21 | 100% |

|                                |                                |               |            |            |        |     |      |
|--------------------------------|--------------------------------|---------------|------------|------------|--------|-----|------|
| შპს თეგეტა ავტომობილთა იმპორტი | სს თიბისი ბანკი                | ლარი          | 10/28/2021 | 12/30/2024 | 5,000  | 2   | 100% |
| თეგეტა პრაიმ პროდაქტს          | სს თიბისი ბანკი                | ლარი          | 10/28/2021 | 12/30/2024 | 5,440  | 11  | 100% |
| თეგეტა პრაიმ პროდაქტს          | სს ვითიბი ბანკი                | რუბლი         | 10/8/2021  | 4/8/2022   | 7,481  | 48  | 100% |
| შპს თეგეტა თრაქ ენდ ბას        | სს თიბისი ბანკი                | ლარი          | 9/3/2021   | 9/1/2022   | 6,500  | 37  | 100% |
| შპს თეგეტა პრემიუმ ვიიქელს     | სს თიბისი ბანკი                | იაპონური იენი | 8/24/2021  | 1/27/2022  | 261    | 3   | 100% |
| შპს თეგეტა პრემიუმ ვიიქელს     | სს თიბისი ბანკი                | იაპონური იენი | 8/26/2021  | 3/4/2022   | 892    | 4   | 100% |
| შპს თეგეტა პრემიუმ ვიიქელს     | სს თიბისი ბანკი                | იაპონური იენი | 10/15/2021 | 3/29/2022  | 553    | 4   | 100% |
| შპს თეგეტა პრემიუმ ვიიქელს     | სს თიბისი ბანკი                | იაპონური იენი | 10/15/2021 | 3/28/2022  | 500    | 4   | 100% |
| შპს თეგეტა პრემიუმ ვიიქელს     | სს თიბისი ბანკი                | იაპონური იენი | 12/17/2021 | 6/30/2022  | 401    | 3   | 100% |
| შპს ტოიოტა ცენტრი თეგეტა       | სს თიბისი ბანკი                | ლარი          | 6/7/2019   | 9/2/2025   | 13,655 | 155 | 100% |
| შპს თი-ბი-ეი თეგეტა            | სს თიბისი ბანკი                | ლარი          | 11/12/2021 | 11/11/2022 | 338    | 0   | 100% |
| შპს თეგეტა მოტორსი             | დაკავშირებული მხარე            | ევრო          | 01/14/2021 | 01/14/2022 | 299    | 0   | 0%   |
| შპს თეგეტა ავტომობილთა იმპორტი | დაკავშირებული მხარე            | აშშ დოლარი    | 09/13/2021 | 06/02/2022 | 620    | 12  | 0%   |
|                                | გარანტიებზე დარიცხული პროცენტი |               |            |            |        | 20  |      |

|     |  |  |  |  |         |       |
|-----|--|--|--|--|---------|-------|
| სულ |  |  |  |  | 168,786 | 1,422 |
|-----|--|--|--|--|---------|-------|

საპროცენტო განაკვეთების დიაპაზონები სესხების ვალუტების მიხედვით მოცემულია შემდეგ ცხრილში 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით:

| სესხის ვალუტა           | საპროცენტო განაკვეთის დიაპაზონი |
|-------------------------|---------------------------------|
| მოკლევადიანი ლარი       | 14.5%-14.75%                    |
| გრძელვადიანი ლარი       | 13.5%-15.25%                    |
| მოკლევადიანი ევრო       | 7.25%                           |
| გრძელვადიანი ევრო       | -                               |
| მოკლევადიანი იენი       | 6%                              |
| მოკლევადიანი აშშ დოლარი | 7%                              |

2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით საბანკო გარანტიების სტრუქტურა (ჯამური მოცულობები კომპანიების და გარანტიის ტიპის მიხედვით) მოცემულია შემდეგ ცხრილში:

| კომპანია                         | პროდუქტის ტიპი | ვალუტა             | ჯამური მოცულობა ('000 ლარი) |
|----------------------------------|----------------|--------------------|-----------------------------|
| შპს თეგეტა ავტომოტივ იმპორტი     | აკრედიტივი     | აშშ დოლარი         | 659                         |
| შპს თეგეტა ავტომოტივ იმპორტი     | გარანტია       | ევრო               | 561                         |
| შპს თეგეტა ავტომოტივ იმპორტი     | გარანტია       | რუბლი              | 622                         |
| შპს თეგეტა ავტომოტივ იმპორტი     | გარანტია       | აშშ დოლარი         | 310                         |
| შპს თეგეტა თრაქ ენდ ბას          | გარანტია       | ევრო               | 343                         |
| შპს თეგეტა თრაქ ენდ ბას          | გარანტია       | ლარი               | 646                         |
| შპს თეგეტა თრაქ ენდ ბას          | გარანტია       | აშშ დოლარი         | 46                          |
| შპს თეგეტა მოტორსი               | გარანტია       | ევრო               | 9,192                       |
| შპს თეგეტა მოტორსი               | გარანტია       | ლარი               | 749                         |
| შპს თეგეტა პრემიუმ ვიიქელს       | აკრედიტივი     | იაპონური იენი      | 9,056                       |
| შპს თეგეტა ქონსორაქშენ ექვიფმენტ | გარანტია       | გირვანქა სტერლინგი | 6,261                       |
| შპს თეგეტა ქონსორაქშენ ექვიფმენტ | გარანტია       | ლარი               | 12                          |
| შპს თეგეტა ქონსორაქშენ ექვიფმენტ | გარანტია       | აშშ დოლარი         | 10                          |
| შპს თი-ბი-ეი თეგეტა              | გარანტია       | აშშ დოლარი         | 620                         |
| შპს ტოიოტა ცენტრი თეგეტა         | გარანტია       | ლარი               | 16                          |
| შპს ტოიოტა ცენტრი თეგეტა         | გარანტია       | აშშ დოლარი         | 576                         |
| <b>სულ</b>                       |                |                    | <b>29,677</b>               |

2023 წლის 31 მარტის მდგომარეობით საბანკო სესხების სტრუქტურა მოცემულია შემდეგ ცხრილში:

| მსესხებელი                 | კრედიტორი         | ვალუტა        | გაცემის თარიღი | დაფარვის თარიღი | ნარჩენი ძირი (ათასი ლარი) | ნარჩენი პროცენტი (ათასი ლარი) | გირავნობა |
|----------------------------|-------------------|---------------|----------------|-----------------|---------------------------|-------------------------------|-----------|
| თეგეტა მოტორსი             | სს თიბისი ბანკი   | ლარი          | 6/7/2022       | 6/7/2023        | 38,141                    | 376                           | 100%      |
| თეგეტა მოტორსი             | სს თიბისი ბანკი   | ევრო          | 2/9/2023       | 4/1/2023        | 22,290                    | 51                            | 100%      |
| თეგეტა მოტორსი             | სს თიბისი ბანკი   | ლარი          | 8/24/2018      | 6/28/2024       | 2,535                     | 3                             | 100%      |
| თეგეტა მოტორსი             | სს თიბისი ბანკი   | ლარი          | 1/4/2023       | 1/4/2033        | 4,608                     | 54                            | 100%      |
| თეგეტა მოტორსი             | სს თიბისი ბანკი   | ლარი          | 2/9/2023       | 12/9/2023       | 4,963                     | 49                            | 100%      |
| თეგეტა მოტორსი             | სს თიბისი ბანკი   | ლარი          | 3/9/2023       | 12/9/2032       | 5,000                     | 42                            | 100%      |
| თეგეტა მოტორსი             | TBC Capital/ბონდი | ლარი          | 12/16/2022     | 12/16/2025      | 148,564                   | 603                           | 100%      |
| თეგეტა მოტორსი             | სს თიბისი ბანკი   | ლარი          | 31/03/2023     | 12/9/2032       | 50                        | 0                             | 100%      |
| თეგეტა რითეილი             | სს თიბისი ბანკი   | ლარი          | 1/16/2023      | 1/16/2024       | 6,000                     | 0                             | 100%      |
| თეგეტა რითეილი             | სს თიბისი ბანკი   | ლარი          | 1/31/2023      | 1/30/2033       | 14,939                    | 0                             | 100%      |
| თეგეტა დისტრიბუცია         | სს თიბისი ბანკი   | ლარი          | 7/18/2022      | 12/31/2024      | 7,000                     | 64                            | 100%      |
| შპს "თეგეტა თრაქ ენდ ბას"  | სს თიბისი ბანკი   | ევრო          | 12/6/2022      | 4/1/2025        | 1,897                     | 12                            | 100%      |
| შპს "თეგეტა თრაქ ენდ ბას"  | სს თიბისი ბანკი   | ევრო          | 1/20/2023      | 5/18/2023       | 3,065                     | 10                            | 100%      |
| შპს "თეგეტა თრაქ ენდ ბას"  | სს თიბისი ბანკი   | ევრო          | 11/25/2022     | 4/1/2024        | 3,885                     | 27                            | 100%      |
| შპს "თეგეტა თრაქ ენდ ბას"  | სს თიბისი ბანკი   | ევრო          | 3/15/2023      | 9/10/2023       | 697                       | 3                             | 100%      |
| შპს "თეგეტა თრაქ ენდ ბას"  | სს თიბისი ბანკი   | ევრო          | 31/03/2023     | 9/10/2023       | 1,950                     | 0                             | 100%      |
| შპს თეგეტა ქომერშელ ვიიქლს | სს თიბისი ბანკი   | ევრო          | 1/17/2023      | 4/17/2023       | 2,786                     | 8                             | 100%      |
| შპს თეგეტა პრემიუმ ვიიქლს  | სს თიბისი ბანკი   | ევრო          | 3/10/2023      | 9/29/2023       | 1,393                     | 3                             | 100%      |
| შპს თეგეტა პრემიუმ ვიიქლს  | სს თიბისი ბანკი   | იაპონური იენი | 11/25/2022     | 5/31/2023       | 736                       | 1                             | 100%      |

|                                    |                      |               |            |            |        |    |      |
|------------------------------------|----------------------|---------------|------------|------------|--------|----|------|
| შპს თეგეტა პრემიუმ ვიიქელს         | სს თიბისი ბანკი      | იაპონური იენი | 12/12/2022 | 7/3/2023   | 2,121  | 4  | 100% |
| შპს თეგეტა პრემიუმ ვიიქელს         | სს თიბისი ბანკი      | იაპონური იენი | 12/12/2022 | 8/30/2023  | 413    | 1  | 100% |
| შპს თეგეტა პრემიუმ ვიიქელს         | სს თიბისი ბანკი      | იაპონური იენი | 11/22/2022 | 8/29/2023  | 1,012  | 2  | 100% |
| შპს თეგეტა პრემიუმ ვიიქელს         | სს თიბისი ბანკი      | იაპონური იენი | 2/10/2023  | 8/30/2023  | 5,485  | 10 | 100% |
| შპს თეგეტა პრემიუმ ვიიქელს         | სს თიბისი ბანკი      | იაპონური იენი | 2/10/2023  | 10/30/2023 | 215    | 0  | 100% |
| შპს თეგეტა პრემიუმ ვიიქელს         | სს თიბისი ბანკი      | იაპონური იენი | 3/10/2023  | 9/29/2023  | 420    | 1  | 100% |
| შპს "თეგეტა კონსტრაქშენ ექვიფმენტ" | სს თიბისი ბანკი      | ევრო          | 3/16/2023  | 8/16/2023  | 1,950  | 7  | 100% |
| შპს თეგეტა ქარ რენტ                | სს თიბისი ბანკი      | ლარი          | 10/4/2021  | 10/4/2026  | 2,135  | 17 | 100% |
| შპს თეგეტა ქარ რენტ                | სს იშბანკი           | ლარი          | 11/19/2020 | 11/12/2025 | 1,234  | 9  | 100% |
| შპს თეგეტა ქარ რენტ                | სს საქართველოს ბანკი | ლარი          | 6/28/2021  | 6/28/2026  | 3,034  | 19 | 100% |
| შპს თეგეტა ქარ რენტ                | სს საქართველოს ბანკი | ლარი          | 3/29/2022  | 6/30/2026  | 65     | 0  | 100% |
| შპს თეგეტა ქარ რენტ                | სს თიბისი ბანკი      | ლარი          | 8/12/2022  | 8/18/2025  | 210    | 1  | 100% |
| შპს თეგეტა ქარ რენტ                | სს თიბისი ბანკი      | ლარი          | 12/8/2021  | 10/4/2026  | 1,170  | 9  | 100% |
| ტოიოტა ცენტრი თეგეტა               | სს თიბისი ბანკი      | ლარი          | 6/7/2019   | 9/2/2025   | 10,076 | 0  | 100% |
| შპს თეგეტა რენტალს                 | სს თიბისი ბანკი      | ლარი          | 7/9/2019   | 7/9/2024   | 152    | 0  | 100% |
| კავკასუს ავტომოტივი                | სს თიბისი ბანკი      | ევრო          | 1/24/2023  | 1/24/2024  | 2,090  | 0  | 100% |
| თეგეტა ავტომოტივ იმპორტი           | სს თიბისი ბანკი      | ლარი          | 1/4/2023   | 1/4/2024   | 1,400  | 0  | 100% |
| თეგეტა პრაიმ პროდაქტს              | სს თიბისი ბანკი      | ლარი          | 1/18/2023  | 1/18/2024  | 5,000  | 28 | 100% |

|                            |                     |        |            |            |                |              |      |
|----------------------------|---------------------|--------|------------|------------|----------------|--------------|------|
| თეგეტა პრაიმ პროდაქტს      | სს ვითიბი ბანკი     | რუბლი  | 10/8/2021  | 10/8/2022  | 5,978          | 35           | 100% |
| შპს თეგეტა თაიარ იმპორტს   | სს იშბანკი          | ლარი   | 5/25/2022  | 5/25/2023  | 8,000          | 16           | 100% |
| შპს თეგეტა თაიარ იმპორტს   | სს თიბისი ბანკი     | ლარი   | 3/15/2023  | 12/30/2024 | 10,000         | 0            | 100% |
| შპს თეგეტა მოტორსი         | დაკავშირებული მხარე | ლარი   | 4/28/2022  | 4/28/2023  | 3,181          | 177          | 0%   |
| შპს თეგეტა მოტორსი         | დაკავშირებული მხარე | ევრო   | 1/14/2021  | 4/14/2023  | 1,584          | 14           | 0%   |
| შპს თეგეტა მოტორსი         | დაკავშირებული მხარე | დოლარი | 24/03/2023 | 24/03/2024 | 768            | 1            | 0%   |
| შპს თეგეტა რითეილი         | დაკავშირებული მხარე | ლარი   | 12/16/2022 | 12/16/2023 | 400            | 0            | 0%   |
| შპს თეგეტა პრემიუმ ვიიქელს | დაკავშირებული მხარე | დოლარი | 28/03/2023 | 28/03/2024 | 845            | 1            | 0%   |
| შპს თეგეტა ქარ რენტ        | დაკავშირებული მხარე | დოლარი | 2/15/2022  | 4/15/2023  | 197            | 16           | 0%   |
| შპს ავტო გალერი            | დაკავშირებული მხარე | დოლარი | 6/23/2022  | 6/23/2023  | 2,432          | 32           | 0%   |
| შპს თეგეტა ეფრუვდ          | დაკავშირებული მხარე | დოლარი | 8/8/2022   | 8/8/2023   | 218            | 10           | 0%   |
| კავკასუს ავტომოტივი        | დაკავშირებული მხარე | ევრო   | 10/03/2023 | 10/03/2023 | 334            | 2            | 0%   |
| <b>სულ</b>                 |                     |        |            |            | <b>342,618</b> | <b>1,720</b> |      |

საპროცენტო განაკვეთების დიაპაზონები სესხების ვალუტების მიხედვით მოცემულია შემდეგ ცხრილში 2023 წლის **31 მარტის** მდგომარეობით:

| ვალუტა        | დიაპაზონი     |
|---------------|---------------|
| ლარი          | 14.00%-15.75% |
| ევრო          | 6.00%-10.00%  |
| იაპონური იენი | 6%            |
| რუბლი         | 11%           |

2023 წლის **31 მარტის** მდგომარეობით საბანკო გარანტიების სტრუქტურა (ჯამური მოცულობები კომპანიების და გარანტიის ტიპის მიხედვით) მოცემულია შემდეგ ცხრილში:

| კომპანია        | პროდუქტის ტიპი | ვალუტა | ჯამური მოცულობა (ათასი ლარი) |
|-----------------|----------------|--------|------------------------------|
| შპს ავტო გალერი | გარანტია       | ლარი   | 1,391                        |

|                                  |            |                                    |                |
|----------------------------------|------------|------------------------------------|----------------|
| შპს თეგეტა ავტომოტივ იმპორტი     | გარანტია   | აშშ დოლარი                         | 384            |
| შპს თეგეტა თაიარ იმპორტს         | გარანტია   | ევრო                               | 278            |
| შპს თეგეტა თაიარ იმპორტს         | გარანტია   | აშშ დოლარი                         | 256            |
| შპს თეგეტა თრაქ ენდ ბას          | გარანტია   | ლარი                               | 1,426          |
| შპს თეგეტა თრაქ ენდ ბას          | გარანტია   | ევრო                               | 2,112          |
| შპს თეგეტა თრაქ ენდ ბას          | გარანტია   | აშშ დოლარი                         | 110            |
| შპს თეგეტა მოტორსი               | გარანტია   | ლარი                               | 784            |
| შპს თეგეტა მოტორსი               | გარანტია   | ევრო                               | 63,135         |
| შპს თეგეტა პრაიმ პროდაქტს        | გარანტია   | აშშ დოლარი                         | 11,086         |
| შპს თეგეტა პრემიუმ ვიიქელს       | აკრედიტივი | იაპონური იენი                      | 10,539         |
| შპს თეგეტა რითეილი               | გარანტია   | ლარი                               | 533            |
| შპს თეგეტა ქარ რენტ              | გარანტია   | ევრო                               | 69             |
| შპს თეგეტა ქონსორაქშენ ექვიფმენტ | გარანტია   | ლარი                               | 45             |
| შპს თეგეტა ქონსორაქშენ ექვიფმენტ | გარანტია   | ევრო                               | 97             |
| შპს თეგეტა ქონსორაქშენ ექვიფმენტ | გარანტია   | აშშ დოლარი                         | 64             |
| შპს თეგეტა ქონსორაქშენ ექვიფმენტ | გარანტია   | დიდი ბრიტანეთის გირვანქა სტერლინგი | 11,700         |
| შპს თი-ბი-ეი თეგეტა              | გარანტია   | აშშ დოლარი                         | 640            |
| შპს კაკვასუს ავტომოტივი          | გარანტია   | ევრო                               | 7,522          |
| შპს ტოიოტა ცენტრი თეგეტა         | გარანტია   | ლარი                               | 18             |
| შპს ტოიოტა ცენტრი თეგეტა         | გარანტია   | აშშ დოლარი                         | 179            |
| შპს ქონსორაქშენ მეშინერი ჯორჯია  | გარანტია   | ევრო                               | 2,786          |
| <b>სულ</b>                       |            |                                    | <b>115,163</b> |

### თავდებობა

კომპანია წარმოადგენს ჰოლდინგში შემავალი ყველა კომპანიის საკრედიტო პროდუქტებით მომსახურების ხელშეკრულებისა და მის ფარგლებში გაფორმებული ან/და მომავალში გასაფორმებელი სს „თიბისი ბანკის“ მიმართ საბანკო კრედიტის ხელშეკრულებების საფუძველზე ნაკისრი სასესხო ვალდებულებების თავდებს.



ასევე, შპს „თეგეტა მოტორსის“ კუთვნილი უძრავი ქონების ნაწილი – იპოთეკის, ხოლო მოძრავი ქონება - გირავნობის უფლებით არის დატვირთული სს „თიბისი ბანკის“ სასარგებლოდ. მათ შორის, რამდენიმე უძრავი ქონება, დატვირთულია იპოთეკით „თეგეტა ჯგუფში“ შემავალი ყველა კომპანიის საკრედიტო პროდუქტებით მომსახურების ხელშეკრულებისა და მის საფუძველზე გაფორმებული ან/და მომავალში გასაფორმებელი საბანკო კრედიტის ხელშეკრულებით ნაკისრი სასესხო ვალდებულებების უზრუნველსაყოფად.

სხვაგვარად რომ ვთქვათ, იმ შემთხვევაში თუ რომელიმე „თეგეტა ჯგუფში“ შემავალი კომპანია დროულად და ჯეროვნად ვერ შეასრულებს სასესხო ხელშეკრულებებით ნაკისრ ვალდებულებებს, ბანკს უფლება ექნება, მოსთხოვოს შპს „თეგეტა მოტორსის“ (როგორც თავდებს) ჯგუფში შემავალი რომელიმე კომპანიის გადასახდელი თანხის გადახდა. ასევე, მოცემულ შემთხვევაში ბანკს უფლება ექნება, ხელშეკრულებით შეთანხმებული წესით მოახდინოს შპს „თეგეტა მოტორსის“ იპოთეკით დატვირთული უძრავი ქონების რეალიზაცია, რომელიმე კომპანიის მიერ გადასახდელი თანხის დასაფარად. ჯგუფში შემავალი ყველა კომპანია თავისმხრივ თავდება შპს „თეგეტა მოტორსის“.

სახელშეკრულებო პირობები შესაბამისად ზემოაღნიშნული გარანტიის მაქსიმალური შესაძლო მოცულობა უდრის 150 მილიონ დოლარს ან მის ექვივალენტს ნებისმიერ ვალუტაში. შპს „თეგეტა მოტორსის“ თავდება შესაბამისი ყველა კომპანიებისა მოცემული ლიმიტისა და შესაბამისი სასესხო ვალდებულებების დავალიანების ფარგლებში. ამასთან არაშვილობილი კომპანიების თავდება უდრის 120 მილიონ ლარს.

|    | კომპანია                         | კავშირი      | საიდენტიფიკაციო ნომერი |
|----|----------------------------------|--------------|------------------------|
| 1  | შპს თეგეტა მოტორსი               | კომპანია     | 202177205              |
| 2  | შპს თეგეტა რითეილი               | შვილობილი    | 405408811              |
| 3  | შპს თეგეტა დისტრიბუცია           | შვილობილი    | 405391080              |
| 4  | შპს თეგეტა თრაქ ენდ ბას          | შვილობილი    | 206239729              |
| 5  | შპს თეგეტა პრემიუმ ვიიქელს       | შვილობილი    | 401950938              |
| 6  | შპს თეგეტა ქონსტრაქშენ ექვიფმენტ | შვილობილი    | 206316645              |
| 7  | შპს თეგეტა ქარ რენტ              | შვილობილი    | 406207322              |
| 8  | შპს ავტო გალერი                  | შვილობილი    | 405232957              |
| 9  | შპს ტოიოტა ცენტრი თეგეტა         | შვილობილი    | 405006461              |
| 10 | შპს თი-ბი-ეი თეგეტა              | შვილობილი    | 445580773              |
| 11 | შპს ინტერავტო თრეიდინგი          | შვილობილი    | 206211936              |
| 12 | შპს თეგეტა რენტალს               | შვილობილი    | 454412305              |
| 13 | შპს სკანდინავიან ავტო თეგეტა     | შვილობილი    | 405335766              |
| 14 | შპს კავკასუს ავტომოტივი          | შვილობილი    | 405302836              |
| 15 | შპს თეგეტა ავტომოტივ იმპორტი     | შვილობილი    | 405390553              |
| 16 | შპს თეგეტა პრაიმ პროდაქტს        | შვილობილი    | 405391437              |
| 17 | შპს თეგეტა ინდასტრი              | შვილობილი    | 405391446              |
| 18 | შპს თეგეტა თაიარ იმპორტს         | შვილობილი    | 405505500              |
| 19 | შპს თეგეტა ქომერშელ ვიიქელს      | შვილობილი    | 405464929              |
| 20 | შპს ქონსტრაქშენ მეშინერი ჯორჯია  | შვილობილი    | 406338011              |
| 21 | შპს თეგეტა ლოჯისტიკი             | შვილობილი    | 202372182              |
| 22 | შპს თეგეტა რეალ ისთეით           | შვილობილი    | 405505467              |
| 23 | შპს ენტერფრაისი                  | არაშვილობილი | 405329112              |

|    |  |              |             |
|----|--|--------------|-------------|
| 24 | შპს კავკაზუს პრემიუმ ლუბრიკანტს            | არაშვილობილი | 400261328   |
| 25 | შპს თი ჯი ემ ჯგუფი                         | არაშვილობილი | 405347058   |
| 26 | შპს ტრანსკავკასიური სადისტრიბუციო კომპანია | არაშვილობილი | 401949674   |
| 27 | შპს ტრანსკავკასიური იმპექს კომპანია        | არაშვილობილი | 401964683   |
| 28 | შპს გრავიტა                                | არაშვილობილი | 404988554   |
| 29 | თემურ კოხოდე*                              | არაშვილობილი | 42001000456 |

წყარო: სს „თიბისი ბანკი“

\*“ემიტენტი“ იტოვებს უფლებას გააფართოვოს ან შეამციროს თავდევობის ბენეფიციართა სია იმ პირობით, რომ თავდების პასუხისმგებლობის მაქსიმალური ზღვრული მოცულობა დარჩება უცვლელი;

\*ყველა კომპანია იქნება თემურ კოხოდის თავდები, თემურ კოხოდე როგორც ფიზიკური პირი არ იქნება არცერთი კომპანიის თავდები;

\*ყველა კომპანია იქნება შპს „თეგეტა ქარ რენტის“ თავდები, შპს „თეგეტა ქარ რენტი“ არ იქნება არცერთი კომპანიის თავდები (საქმიანობის სპეციფიკიდან გამომდინარე).

6.1.2. წარმოდგენილი ინფორმაცია არ უნდა იყოს 90 დღეზე უფრო ადრინდელი. გარდა ამისა ეს მონაცემები წარმოდგენილი უნდა იყოს ბოლო 2 აუდიტებული წლისთვისაც.

წარმოდგენილი ინფორმაცია 90 დღეზე ნაკლები ხანდაზმულობისაა და ამ პერიოდის განმავლობაში ემიტენტის კაპიტალიზაციისა და დავალიანების პოზიციაში მხოლოდ შემდეგი მატერიალური ცვლილება მოხდა:

- 2022 წლის 16 დეკემბერს შპს თეგეტა მოტორსმა განათავსა 150 000 000 ლარის სოლიდარული თავდებობით უზრუნველყოფილი ფასიანი ქაღალდები ემისიის დროისათვის არსებული სასესხო ვალდებულებების რეფინანსირების მიზნით;
- 2023 წლის 4 იანვარს შპს თეგეტა მოტორსმა აიღო სესხი სს თიბისი ბანკისაგან 4,742,298 ლარის ოდენობით კაპიტალური დანახარჯების ფინანსირების მიზნით;
- შპს თეგეტა ავტომოტივ იმპორტმა აიღო სესხი სს თიბისი ბანკისგან 2,955,535 ლარის ოდენობით საბრუნავი საშუალებების ფინანსირების მიზნით
- 2023 წლის 16 იანვარს შპს თეგეტა რითეილმა აიღო სესხი სს თიბისი ბანკისგან 2,000,000 ლარის ოდენობით საბრუნავი საშუალებების ფინანსირების მიზნით
- 2023 წლის 17 იანვარს შპს თეგეტა ქომერშელ ვიიქლსმა აიღო სესხი სს თიბისი ბანკისგან 1,000,000 ევროს ოდენობით საბრუნავი საშუალებების ფინანსირების მიზნით
- 2023 წლის 18 იანვარს შპს თეგეტა პრემიუმ ვიიქლსმა აიღო სესხი სს თიბისი ბანკისგან 4,100,000 ლარის ოდენობით საბრუნავი საშუალებების ფინანსირების მიზნით
- 2023 წლის 20 იანვარს შპს თრაქ ენდ ბასმა აიღო სესხი სს თიბისი ბანკისგან 1,100,000 ევროს ოდენობით საბრუნავი საშუალებების ფინანსირების მიზნით
- 2023 წლის 31 იანვარს შპს თეგეტა რითეილმა აიღო სესხი სს თიბისი ბანკისგან 15,000,000 ლარის ოდენობით საბრუნავი საშუალებების ფინანსირების მიზნით
- 2023 წლის 31 მარტს შპს თეგეტა მოტორსს დაუმტკიცდა 30,000,000 დოლარის ექვივალენტი ობლიგაციების საჯარო შეთავაზების დოკუმენტი (პროსპექტი). ობლიგაციები გამოშვებული იქნება ერთი ან რამდენიმე აშშ დოლარში ან ევროში დენომინირებული ემისიით დამტკიცების თარიღიდან 12 თვის ვადაში.

6.1.3. სასესხო კონტრაქტის ან/და კოვენანტის დარღვევის აღწერა.

„კომპანიის“ კოვენანტები და მათი შესრულება აღწერილია 3.5.1 მუხლში.

6.1.4. პროცენტის ან/და ძირის გადაუხდელობის შესახებ ინფორმაცია.

მსგავს ფაქტებს ადგილი არ ჰქონია. წარმოდგენული პერიოდისთვის კომპანიის ან მისი შვილობილების მიერ აღებული სესხების ვადაგადაცილება არ ფიქსირდება.

6.2. ემიტენტის დამატებითი სასესხო საჭიროების აღწერა;

კომპანია საკუთარი საქმიანობის ფარგლებში რეგულარულად იყენებს სასესხო პროდუქტებს საბრუნავი კაპიტალის, ძირითადი საშუალებების და სხვა მიზნების დასაფინანსებლად. „კომპანიის“ მენეჯმენტის შეფასებით, „კომპანიის“ მიმდინარე საქმიანობის დასაფინანსებლად საჭირო სასესხო პროდუქტები სრულად არის ხელმისაწვდომი. დაფინანსების დამატებითი საჭიროებების გაჩენის შემთხვევაში „კომპანია“ ჩვეულებრივი საქმიანობის ფარგლებში მიმართავს ფინანსურ ინსტიტუტებს დაფინანსების მოსაძიებლად. „კომპანიას“ არ ჰქონია შემთხვევა, რომ საჭიროების შემთხვევაში ფინანსური ინსტიტუტებისგან ვერ მოეზიდა დამატებითი სახსრები.

6.3. ემიტენტის ფულადი ნაკადების ოდენობისა და წყაროების აღწერა საფინანსო, საოპერაციო და საინვესტიციო საქმიანობიდან გამომდინარე.

| საოპერაციო ფულადი ნაკადები (ათას ლარში)                          | აუდირებული      |                 | არა-აუდირებული |
|--|-----------------|-----------------|----------------|
|  | 2020 წელი       | 2021 წელი       | 2022 წელი      |
| <b>საოპერაციო ფულადი ნაკადები საბრუნავ კაპიტალში ცვლილებამდე</b> | <b>79,536</b>   | <b>96,991</b>   | <b>92,611</b>  |
| ცვლილება სავაჭრო და სხვა დებიტორულ დავალიანებაში                 | (58,335)        | (15,096)        | (383)          |
| ცვლილება გადახდილ ავანსებში                                      | (15,024)        | 6,748           | (11,971)       |
| ცვლილება სასაქონლო-მატერიალურ მარაგებში                          | (3,606)         | (12,467)        | (144,486)      |
| ცვლილება სავაჭრო და სხვა კრედიტორულ დავალიანებაში                | 10,857          | (2,830)         | 114,630        |
| ცვლილება საგადასახადო აქტივებში                                  | (8,366)         | 7,696           | (1,373)        |
| ცვლილება საგარანტიო ანარიცხებში                                  | (1,994)         | 111             | -              |
| ცვლილება სხვა ვალდებულებებში                                     | -               | -               | -              |
| ცვლილება გარანტიებთან დაკავშირებულ აქტივში                       | (404)           | 223             | -              |
| სახელშეკრულებო ვალდებულებების ცვლილება                           | 24,271          | (22,180)        | 69,948         |
| ცვლილება სხვა აქტივებში  | -               | -               | -              |
| ცვლილებები საგადასახადო ვალდებულებებში                           | (5,043)         | 5,253           | -              |
| <b>სულ ცვლილება საბრუნავ კაპიტალში</b>                           | <b>(57,644)</b> | <b>(32,542)</b> | <b>26,365</b>  |
| გადახდილი მოგების გადასახადი                                     | (6)             | (1,083)         | (4,458)        |
| <b>წმინდა საოპერაციო ფულადი ნაკადები</b>                         | <b>21,886</b>   | <b>63,366</b>   | <b>114,518</b> |

| საინვესტიციო ფულადი ნაკადები (ათას ლარში) | აუდირებული     |                 | არა-აუდირებული   |
|---|----------------|-----------------|------------------|
|   | 2020 წელი      | 2021 წელი       | 2022 წელი        |
| ძირითადი საშუალებების შეძენა              | (13,559)       | (27,345)        | (62,913)         |
| ძირითადი საშუალებების გაყიდვა             | 7,287          | 6,305           | 6,857            |
| არამატერიალური აქტივების შეძენა           | (881)          | (1,777)         | (1,986)          |
| წილის ყიდვა                               | -              | -               | (60,554)         |
| შვილობილების კაპიტალში შენატანი           | -              | -               | (42)             |
| გაცემული სესხები                          | (13,334)       | (50,284)        | (51,423)         |
| გაცემული სესხების დაფარვა                 | 15,648         | 37,890          | 26,932           |
| მიღებული პროცენტი                         | 839            | 1,655           | 2,652            |
| მიღებული დივიდენდები                      | 34             | -               | -                |
| <b>სულ საინვესტიციო ფულადი ნაკადები</b>   | <b>(3,966)</b> | <b>(33,556)</b> | <b>(140,477)</b> |

ძირითადი საშუალებების შეძენაზე გაწეული ხარჯები დაკავშირებული იყო საქართველოს მასშტაბით ქსელის გაფართოებასთან, ახალი ფილიალების და სერვის ცენტრების გახსნასთან. 2022 წელს კომპანიამ შეისყიდა მიწა თბილისში და განაახლა პორშეს ცენტრი. ცენტრი განახლების ფარგლებში მოხდა არსებული სერვის ცენტრის რენოვაცია და ახალი დანადგარებით აღჭურვა პორშეს ბრენდის სტანდარტების მიხედვით.

| საფინანსო ფულადი ნაკადები (ათას ლარში)                  | აუდირებული      |                 | არა-აუდირებული  |
|---|-----------------|-----------------|-----------------|
|   | 2020 წელი       | 2021 წელი       | 2022 წელი       |
| საიჯარო ვალდებულების ძირის დაფარვა                      | (2,011)         | (4,906)         | (3,731)         |
| საიჯარო ვალდებულებებზე დარიცხული პროცენტის დაფარვა      | (2,036)         | (2,567)         | (1,874)         |
| სესხის აღება  | 163,271         | 334,068         | 465,065         |
| ნასესხები სახსრების დაფარვა                             | (134,870)       | (306,177)       | (360,268)       |
| გადახდილი პროცენტი                                      | (19,095)        | (21,802)        | (39,113)        |
| ფინანსური იჯარის ვალდებულების აღება                     | -               | -               | 2,668           |
| ფინანსური იჯარის ვალდებულების დაფარვა                   | -               | -               | (484)           |
| ფინანსურ იჯარაზე გადახდილი პროცენტი                     | -               | -               | (197)           |
| ფულადი შენატანი საწესდებო კაპიტალში                     | -               | -               | 947             |
| გადახდილი დივიდენდები                                   | (1,391)         | (10,111)        | (10,694)        |
| შეზღუდული წვდომის ანგარიშზე ფულადი სახსრების განთავსება | (24,231)        | (11,405)        | (29,604)        |
| <b>წმინდა საფინანსო ფულადი ნაკადები</b>                 | <b>(20,363)</b> | <b>(22,900)</b> | <b>22,715</b>   |
| გაცვლითი კურსების ეფექტი ფულზე                          | 1,631           | (3,885)         | (8,494)         |
| <b>წმინდა ზრდა ფულსა და ფულის ექვივალენტებში</b>        | <b>(812)</b>    | <b>3,025</b>    | <b>(11,738)</b> |
| ფული და ფულის ექვივალენტები წლის დასაწყისში             | 22,805          | 21,993          | 26,061          |
| <b>ფული და ფულის ექვივალენტები წლის ბოლოს</b>           | <b>21,993</b>   | <b>25,018</b>   | <b>14,323</b>   |

2022 წელს ადგილი ჰქონდა ემიტენტის მიერ დაკავშირებული საწარმოების შექმნას, რაც ემიტენტის ფინანსურ შედეგებზე გავლენას ახდენს 2022 წლის ფინანსურ შედეგებზე და 2021 წლის ფინანსურ ანგარიშგებაში საწარმოთა შედეგები გათვალისწინებული არ არის.

აღნიშნულ შექმნილ კომპანიათა ინდივიდუალური არა-აუდირებული ფინანსური ანგარიშგება წარმოდგენილია შემდეგ ცხრილში 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით :

| (ათასი ლარი)              | შპს<br>თეგეტა<br>ქარ რენტ | შპს ავტო<br>გალერი | შპს<br>ინტერაგტო<br>თრეიდინგი | შპს<br>თეგეტა<br>რენტალს | შპს კავკასუს<br>ავტომოტივი | Aztech<br>and<br>Tegeta<br>Motors<br>LLC |
|---------------------------|---------------------------|--------------------|-------------------------------|--------------------------|----------------------------|--|
| შემოსავალი                | 5,445                     | 18,903             | 192                           | 5,970                    | 24,433                     | 11,117                                   |
| გაყიდვების თვითღირებულება | (2,706)                   | (17,565)           | (188)                         | (4,446)                  | (20,532)                   | 9,450                                    |
| <b>საერთო მოგება</b>      | <b>2,739</b>              | <b>1,338</b>       | <b>4</b>                      | <b>1,524</b>             | <b>3,901</b>               | <b>1,667</b>                             |
| <b>EBITDA</b>             | <b>2,793</b>              | <b>358</b>         | <b>1,252</b>                  | <b>1,414</b>             | <b>2,883</b>               | <b>205</b>                               |
| <b>EBITDA მარჟა</b>       | <b>50%</b>                | <b>7%</b>          | <b>2%</b>                     | <b>26%</b>               | <b>12%</b>                 | <b>1.85%</b>                             |
| <b>წმინდა მოგება</b>      | <b>1,324</b>              | <b>92</b>          | <b>1,164</b>                  | <b>1,458</b>             | <b>2,777</b>               | <b>(1,119)</b>                           |
| სულ აქტივები              | 14,837                    | 6,078              | 210                           | 7,120                    | 15,494                     | 18,570                                   |
| სულ ვალდებულებები         | 13,477                    | 6,290              | 32                            | 5,543                    | 12,387                     | 22,065                                   |
| სულ კაპიტალი              | 1,359                     | (211)              | 178                           | 1,580                    | 3,107                      | -3,495                                   |

6.4. ინფორმაცია ამ დანართის 3.7.2. პუნქტში განხილული სამომავლო ინვესტიციებისთვის საჭირო სავარაუდო რესურსების შესახებ.

კომპანია საინვესტიციო საჭიროებებს საკუთარი სახსრებით და საჭიროების შემთხვევაში ძირითადი კრედიტორებისგან მოზიდული რესურსით დააფინანსებს.

## 7. მარეგულირებელი გარემო

7.1. მარეგულირებელი კანონმდებლობის აღწერა.

### **ზოგადი მიმოხილვა**

„თეგეტა მოტორსის“, როგორც ჰოლდინგური კომპანიის საქმიანობას არ სჭირდება სპეციალური ლიცენზიის, ნებართვის ან რაიმე მსგავსის აღება; შესაბამისად წილების ფლობა სხვა კომერციულ საწარმოებში ითვლება არარეგულირებულ კომერციულ საქმიანობად. ნებისმიერ კომპანიას შეუძლია ფლობდეს წილებს სხვა საწარმოში ცენტრალიზებული მარეგულირებლის ზედამხედველობის გარეშე, და, შესაბამისად, ასეთი კომპანიები გათავისუფლებულნი არიან ანგარიშგების ვალდებულებებისგან და ა.შ.

ასევე გათვალისწინებულ უნდა იქნას საქართველოს მთავრობის მიერ მიღებული იმ ტექნიკური რეგულაციების აბსოლუტური უმეტესობა, რომლებიც რელევანტურია „ჯგუფში“ შემავალი კომპანიების ბიზნეს-საქმიანობისთვის.

### **მარეგულირებელი კანონმდებლობის განვითარება**

პირველი საკანონმდებლო აქტი, რომელიც არეგულირებდა საცალო გაყიდვებს (მათ შორის, ავტომობილების და მათი სათადარიგო ნაწილების, ასევე საპოხი მასალების საცალო გაყიდვებს) იყო 1996 წლის 20 მარტს მიღებული საქართველოს კანონი მომხმარებელთა უფლებების დაცვის შესახებ. კანონი არეგულირებდა მომხმარებელთა საბაზისო უფლებებს და აღიარებდა კეთილსინდისიერი ვაჭრობის ისეთ ძირითად პრინციპებს, როგორცაა გაყიდული პროდუქტის უსაფრთხოება, პროდუქტის ადეკვატური ხარისხი, სწორი და ზუსტი ინფორმაცია პროდუქტზე და სხვ. კანონი ეფუძნებოდა პოსტსაბჭოთა სტანდარტებს და აწესებდა პასუხისმგებლობას საცალო გამყიდველებისა და მომსახურების/საქონლის გამყიდველის მიერ კანონში განსაზღვრული მოთხოვნების დარღვევისათვის. შესაბამისი ურთიერთობებიდან წარმოშობილი ნებისმიერი დავა საბოლოოდ უნდა გადაწყვეტილიყო სასამართლო გზით. კანონი რამდენჯერმე შეიცვალა სექტორში არსებული გარემოს ცვლელადობის გამო.

კანონთან ერთად, ამ უკანასკნელის შეცვლის მიზნით, 1996 წლის 13 სექტემბერს საქართველოს პრეზიდენტის მიერ მიღებულ იქნა რამდენიმე ნორმატიული აქტი. აღნიშნული აქტები, მათ შორის, მოიცავდა საქონლის გაყიდვის წესებს და ა.შ. სხვა სფეროების რეგულირების მიზნით, საქართველოს მთავრობის მიერ მიღებულ მრავალ ტექნიკურ რეგულაციასთან ერთად, არსებობდა ცალკე კანონები სტანდარტიზაციის (1999 წლის 25 ივნისი), პროდუქციის და მომსახურების სერთიფიკაციის (1996 წლის 6 სექტემბერი) და გაზომვათა ერთიანობის უზრუნველყოფის შესახებ, რომლებიც დაკავშირებული იყო საქართველოში სხვადასხვა პროდუქციის/მომსახურების შეთავაზებასა და რეალიზაციასთან.

თუმცა, აღნიშნული რეგულაციები პრაქტიკაში საკმაოდ არაეფექტური აღმოჩნდა, რამდენადაც იგი ეფუძნებოდა მოძველებულ სტანდარტებს, არ იყო რელევანტური დასავლური ბაზრისა და თავისუფალი ეკონომიკისთვის, შეიცავდა ბევრ წინააღმდეგობრივ ნორმას და, შედეგად, იყო გამოუსადეგარი. დანაწევრებული კანონების ცენტრალიზებისა და საკანონმდებლო სიცხადის უზრუნველყოფის მიზნით, 2012 წლის 8 მაისს მიღებულ იქნა პროდუქტის უსაფრთხოებისა და თავისუფალი მიმოქცევის ახალი კოდექსი. პროდუქტის უსაფრთხოებისა და თავისუფალი მიმოქცევის ახალი კოდექსი მიზნად ისახავდა საქართველოს კანონმდებლობის ევროპულ სტანდარტებთან დაახლოებას და ასევე სხვადასხვა კანონებსა და ტექნიკურ რეგულაციებში არსებული არაეფექტური საკანონმდებლო ნორმის გაუქმებას.

აღნიშნული კოდექსი, მასში შეტანილი ცვლილებების გათვალისწინებით, დღეის მდგომარეობით არის ძალაში. იგი აღიარებს ევროკავშირის დირექტივებით გარანტირებულ უმნიშვნელოვანეს საერთაშორისო სტანდარტებს პროდუქტის მიმოქცევისა და უსაფრთხოებასთან დაკავშირებით და აწესებენ პასუხისმგებლობას უხარისხო პროდუქტისთვის და პროდუქტის უსაფრთხოების ზოგადი მოთხოვნების დარღვევისათვის.

### **ანგარიშვალდებული საწარმოსთან დაკავშირებული მოთხოვნები**

#### **ანგარიშების წარმოება და ინფორმაციის საჯაროობა**

„ფასიანი ქაღალდების ბაზრის შესახებ“ საქართველოს კანონით („ფასიანი ქაღალდების შესახებ კანონი“) განსაზღვრული მნიშვნელობით კომპანია, რომელმაც საჯარო შეთავაზების გზით განათავსა სასესხო ფასიანი ქაღალდები ან რომლის სასესხო ფასიანი ქაღალდები დაშვებულია საფონდო ბირჟაზე სავაჭროდ წარმოადგენს ანგარიშვალდებულ საწარმოს. საქართველოს ეროვნული ბანკი ანგარიშვალდებული საწარმოს უწესებს რიგ მოთხოვნებს, მათ შორის პერიოდული ანგარიშების და ანგარიშგების წარმოების და მისთვის მიწოდების ვადლებულებას.

აღნიშნულის გათვალისწინებით, ანგარიშვალდებული საწარმო ვალდებულია მოამზადოს, საქართველოს ეროვნულ ბანკს წარუდგინოს და გამოაქვეყნოს წლიური ანგარიში და ნახევარ-წლიური ანგარიში:

წლიური ანგარიში უნდა მოიცავდეს (i) აუდიტორის მიერ დადასტურებულ ფინანსურ ანგარიშგებას, (ii) მმართველობის ანგარიშგებას და (iii) ანგარიშვალდებული კომპანიის პასუხისმგებელი პირების (მათი ვინაობისა და მოვალეობების/უფლებამოსილებების სრულად და ნათლად მითითებით) განცხადებას „ფასიანი ქაღალდების შესახებ კანონის“ და საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის ბრძანება №181/04-ის მოთხოვნების შესაბამისად.

ნახევარ-წლიური ანგარიში უნდა მოიცავდეს (i) ნახევარი წლის ფინანსურ ანგარიშგებას, (ii) შუალედურ მმართველობის ანგარიშგებას და (iii) ანგარიშვალდებული საწარმოს პასუხისმგებელი პირების (მათი ვინაობისა და მოვალეობების/უფლებამოსილებების სრულად და ნათლად მითითებით) განცხადებას „ფასიანი ქაღალდების შესახებ კანონის“ და საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის ბრძანება №181/04-ის მოთხოვნების შესაბამისად.

ყოველგვარი გაურკვევლობის გამოსარიცხად, ხსენებული ანგარიშების გამოქვეყნება გულისხმობს „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებული ანგარიშგების ვებგვერდზე ([www.reportal.ge](http://www.reportal.ge)) განთავსებას. ასევე, ამგვარი ინფორმაცია შესაძლებელია ასევე განთავსდეს ემიტენტის, საფონდო ბირჟის ან საქართველოს ეროვნული ბანკის ვებ-გვერდის, სსიპ – საქართველოს საკანონმდებლო მაცნეს ან სხვა ისეთი საშუალებების გამოყენებით, რომელიც უზრუნველყოფს ინვესტორთათვის ინფორმაციის ხელმისაწვდომობას.

დამატებით, ანგარიშვალდებული საწარმო ვალდებულია გაასაჯაროს:

1. ნებისმიერი ცვლილება საჯარო ფასიანი ქაღალდის მფლობელის უფლებებთან დაკავშირებით, მათ შორის, ისეთი ცვლილებები ფასიანი ქაღალდის პირობებში, რომლებმაც შესაძლოა არაპირდაპირი გავლენა იქონიოს ფასიანი ქაღალდის მფლობელის უფლებებზე ან რომლებიც გამომდინარეობს სასესხო პირობებისა და საპროცენტო განაკვეთების ცვლილებიდან;
2. ინფორმაცია სასესხო ფასიანი ქაღალდის საპროცენტო განაკვეთის, პერიოდული გადახდების, კონვერტაციის/გადაცვლის, ყიდვის ან გაუქმების უფლების, ან დაფარვის შესახებ.

ამასთან, ანგარიშვალდებული საწარმო ვალდებულია უზრუნველყოს ყველა იმ პირობის შექმნა და იმ ინფორმაციის ხელმისაწვდომობა, რომელიც საჭიროა საჯარო ფასიანი ქაღალდების მფლობელთა უფლებების სათანადოდ განსახორციელებლად, აგრეთვე უზრუნველყოს მათთვის მიწოდებული მონაცემების მთლიანობა და ურთიერთშესაბამისობა.

ამასთან, საქართველოს ეროვნული ბანკი უფლებამოსილია ნებისმიერ დროს მოითხოვოს დამატებითი ინფორმაცია საჯარო ფასიანი ქაღალდების ანგარიშვალდებული საწარმოს შესახებ მისთვის წარსადგენი და გამოსაქვეყნებელი ანგარიშის თაობაზე.

ინსაიდერული ვაჭრობის, ინსაიდერული ინფორმაციის არამართლზომიერი გამჟღავნებისა და ბაზრის მანიპულაციასთან დაკავშირებული საკითხები

საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის ბრძანება №180/04-ის თანახმად, საჯარო ფასიანი ქაღალდების ანგარიშვალდებული საწარმო აკისრებს გარკვეულ ვალდებულებებს და შეზღუდვებს ინსაიდერული ვაჭრობის, ინსაიდერული ინფორმაციის არამართლზომიერი გამჟღავნებისა და ბაზრის მანიპულაციასთან დაკავშირებით. ამასთან, აღნიშნული ბრძანება აწესებს (i) ანგარიშვალდებული საწარმოსთვის ინსაიდერული ინფორმაციის გამოქვეყნებასთან დაკავშირებულ მოთხოვნებს და ინსაიდერული ინფორმაციის მფლობელი პირების შესახებ ჩანაწერის წარმოების ვალდებულებას და (ii) ანგარიშვალდებული საწარმოს მმართველობითი ფუნქციის მქონე პირების გარიგებებთან დაკავშირებით ანგარიშვალდებული საწარმოსთვის და საქართველოს ეროვნული ბანკისთვის ინფორმაციის წარდგენის ვალდებულებას.

აღნიშნული ბრძანება დამატებით აწესრიგებს საქართველოს ეროვნული ბანკისთვის ინსაიდერულ ვაჭრობასა და ბაზრის მანიპულაციასთან დაკავშირებული ინფორმაციის შეტყობინების ვადებს, ფორმებსა და პროცედურას და ადგენს იმ ქმედებათა ჩამონათვალს, რომლებიც არ ჩაითვლება ინსაიდერულ ვაჭრობად, ინსაიდერული ინფორმაციის არამართლზომიერ გამჟღავნებად ან/და ბაზრის მანიპულაციად.

ანგარიშვალდებულმა საწარმომ „ფასიანი ქაღალდების ბაზრის შესახებ“ საქართველოს კანონითა და ემიტენტის შესახებ ინფორმაციის გამჭვირვალობისა“ და „ემიტენტისათვის ფასიანი ქაღალდების

რეგისტრატორის დანიშვნის წესის დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის 2020 წლის 7 ოქტომბრის N181/04 ბრძანებით დამტკიცებული წესით გათვალისწინებული ნახევარი წლის ანგარიშის წარდგენისა და გამოქვეყნების მოთხოვნები. საქართველოს ეროვნული ბანკის ვიცე-პრეზიდენტის 2023 წლის 16 თებერვლის N309-1კ განკარგულებით კომპანიას დაეკისრა ფულადი ჯარიმა 1 000 ლარის ოდენობით და დაევალა დარღვევის აღმოფხვრის მიზნით მითითებულ 1 თვის ვადაში ინფორმაციის წარმოდგენა. კომპანია გეგმავს, რომ შუალედურ ანგარიშგებას წარადგენს 2022 წლის აუდიტებული ანგარიშგებასთან ერთად კანონით დადგენილ ვადაში 2023 წლის 15 მაისისათვის.

### **„ასოცირების ხელშეკრულების“ საფუძველზე არსებული ვალდებულებები**

2014 წლის 27 ივნისს საქართველომ ევროკავშირთან ხელი მოაწერა „ასოცირების ხელშეკრულებას“ და გახდა „ევროკავშირთან ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი სავაჭრო სივრცის შესახებ შეთანხმების“ („DCFTA“) მხარე.

„DCFTA“, თავისი არსით, მიზნად ისახავს გაზარდოს თავისუფლება საქონლითა და მომსახურებით ვაჭრობის სფეროში, მოიცავს მრავალ რელევანტურ საკითხს (მაგ. უსაფრთხოების, გარემოზე ზემოქმედების სტანდარტები) და გულისხმობს საქართველოს კანონმდებლობის ევროკავშირის კანონმდებლობასთან ეტაპობრივად დაახლოებას. იგი შესაძლებლობას აძლევს საქართველოს ისარგებლოს შემდეგი სამი ძირითადი თავისუფლებით ევროკავშირის ერთიან ბაზარზე: საქონლის თავისუფლება, მომსახურების თავისუფლება და კაპიტალის თავისუფლება.

„DCFTA“-ის რანდენიმე თავი ეხება საქონლითა და მომსახურებით ვაჭრობის ფუნდამენტური პრინციპების მოდიფიცირებას. შესაბამისად, არსებობს გონივრული ვარაუდი იმისა, რომ ვაჭრობასა და მომსახურების გაწევასთან დაკავშირებით ევროკავშირის სტანდარტების მიღებამ გაზარდოს შესაბამისი ბიზნეს ოპერატორების საოპერაციო ხარჯები.

### **სავალდებულო ტექ-დათვალიერება**

„ავტოსატრანსპორტო საშუალებებისა და მათი მისაბმელების პერიოდული ტექნიკური ინსპექტირების შესახებ“ ტექნიკური რეგლამენტით, რომელიც დამტკიცებულ იქნა 2017 წლის 1 დეკემბრის №510 საქართველოს მთავრობის დადგენილებით, 2018 წლის 1 იანვრიდან ეტაპობრივად გახდა სავალდებულო ავტომანქანების ტექნიკური ინსპექტირება (ტექდათვალიერება). ინსპექტირებას დაქვემდებარებული სატრანსპორტო საშუალებების კატეგორიები და მათი ინსპექტირების პერიოდულობა, ასევე ინსპექტირების საფასურები კატეგორიისა და დანიშნულების მიხედვით, განსაზღვრულია საქართველოს მთავრობის 2014 წლის 3 იანვრის №37 დადგენილებით დამტკიცებული ტექნიკური რეგლამენტით – „სხვადასხვა კატეგორიის ავტოსატრანსპორტო საშუალების ინსპექტირების პერიოდულობა და საფასურები“. ინსპექტირება ხორციელდება აკრედიტებული ინსპექტირების ცენტრის მიერ.

### **სავალდებულო მესამე პირის პასუხისმგებლობის დაზღვევა**

ცვლილებები შედის „საქართველოში რეგისტრირებული ავტოსატრანსპორტო საშუალების მფლობელის სამოქალაქო პასუხისმგებლობის სავალდებულო დაზღვევის შესახებ“ საქართველოს კანონში. კანონპროექტის ინიცირება პარლამენტში საქართველოს მთავრობის მიერ მოხდა. დიდი ალბათობით, მოსალოდნელია, რომ პარლამენტი მიიღებს აღნიშნულ კანონს. კანონპროექტის მიღების შემთხვევაში, საქართველოში რეგისტრირებული ავტოსატრანსპორტო საშუალების მფლობელი



ვალდებული იქნება, მის მფლობელობაში არსებულ ავტოსატრანსპორტო საშუალებაზე საკუთარი სამოქალაქო პასუხისმგებლობა დააზღვიოს.

### **ანტი-მონოპოლიური რეგულაციები**

საქართველოში მოქმედ ყველა კომპანიაზე ზედამხედველობას ახორციელებს 2014 წლის აპრილში დაფუძნებული კონკურენციის სააგენტო, რომელიც დაარსდა საქართველოს კონკურენციის შესახებ კანონის („კონკურენციის შესახებ კანონი“) საფუძველზე. „კონკურენციის შესახებ კანონი“ აღწერს და განსაზღვრავს იმ ქმედებებს, რომლებიც შეუთავსებელია სამართლიან კონკურენციასთან შესაბამის ბაზარზე. კანონის მიზანია უზრუნველყოს სამართლიანი კონკურენცია შესაბამის ბაზარზე, სპეციალურად რეგულირებული სექტორების გამოკლებით (კანონის მოქმედება არ ვრცელდება ისეთ სექტორებზე, რომელთაც ჰყავთ თავიანთი მარეგულირებელი ორგანო, მაგ.: კომერციული ბანკები). კონკურენციის ცნების განმარტება კონკურენციის შესახებ კანონის მიხედვით არის შემდეგი: „ბაზარზე არსებულ და პოტენციურ ეკონომიკურ აგენტებს შორის უკეთესი პოზიციის დასაკავებლად არსებული კონკურენცია“. ამასთან დაკავშირებით, „კონკურენციის შესახებ კანონი“ გამოყოფს რამდენიმე სახის ქმედებას, რაც შეუთავსებლად ითვლება თავისუფალ კონკურენციასთან, კერძოდ: ა) დომინანტური პოზიციის ბოროტად გამოყენება; ბ) კონკურენციის შემზღვეველი ხელშეკრულება, გადაწყვეტილება კონკურენციის შეზღუდვაზე, შეთანხმებული ქმედება; გ) შემზღვეველი კონცენტრაცია (შერწყმა ან სხვა კონსოლიდაცია რაც იწვევს კონკურენციის შეზღუდვას); დ) არაკეთილსინდისიერი კონკურენცია; და ე) სახელმწიფო დახმარება.

ზოგადად, „კონკურენციის შესახებ კანონი“ შედგენილია ევროკავშირის კანონმდებლობით განსაზღვრული სამართლიანი კონკურენციის პრინციპებზე დაყრდნობით. ამასთან, „ასოციაციის ხელშეკრულება“ შეიცავს სპეციალურ ნაწილს (თავი 10), რომელიც მთლიანად ეძღვნება კონკურენციის საკითხებს. შესაბამისად, ქართველი კანონმდებლის მიდგომა „კონკურენციის შესახებ კანონთან“ დაკავშირებით, შესაბამისობაშია ევროპულ მიდგომასთან.

კონკურენციის სააგენტო ახორციელებს კერძო პირების მიერ საქართველოს ანტი-მონოპოლიურ კანონმდებლობასთან შესაბამისობის კონტროლს და აქვს სხვადასხვა უფლებები მოახდინოს რეაგირება მისი დარღვევის შემთხვევაში, მათ შორის, მოახდინოს ჯარიმების დარიცხვა. დარიცხული ჯარიმის მაქსიმალური ოდენობა არ უნდა აღემატებოდეს შესაბამისი კომპანიის წლიური ბრუნვის 5%-ს, რაც შეიძლება გაიზარდოს 10%-მდე განმეორებითი დარღვევის შემთხვევაში. შესაბამისი ეკონომიკური აგენტი უფლებამოსილია კონკურენციის სააგენტოს გადაწყვეტილება გაასაჩივროს სასამართლოში.

### **დასაქმება**

დამსაქმებლის რანგში, „თეგეტა ჯგუფის“ კომპანიები ვალდებული არიან დაიცვან ადგილობრივი შრომის კანონმდებლობით გათვალისწინებული მინიმალური სტანდარტები თანამშრომლების აყვანის, მათთან ხელშეკრულების შეწყვეტის და მათი დასაქმების ფარგლებში. ძირითადი შრომითი საკითხები საქართველოს ტერიტორიაზე რეგულირებულია საქართველოს შრომის კოდექსით. მოქმედი შრომის კოდექსი მიღებულ იქნა 2010 წლის 17 დეკემბერს. თუმცა, 2012 წლის ივნისში მასში შეტანილ იქნა ცვლილებათა მთელი პაკეტი, რომელიც მიიღო პარლამენტმა და რომელმაც შეცვალა მისი შინაარსი. ზემოაღნიშნული ცვლილებების გათვალისწინებით, მოქმედი შრომის კოდექსი აღარ მოქმედებს დამსაქმებლის სასარგებლოდ, პირიქით, მასში შეტანილია დასაქმებულის დამცავი უამრავი უფლება. ძირითადად ასეთი დაცვითი მექანიზმები დასაქმებულების სასარგებლოდ მოქმედებს ხელშეკრულების შეწყვეტის წესთან დაკავშირებით - დამსაქმებელი არ არის უფლებამოსილი შეწყვიტოს შრომითი ხელშეკრულება უსაფუძვლოდ. ამასთან, ნებისმიერი ხელშეკრულება, რომელიც 30 თვეზე მეტი ხნის ვადით გრძელდება, ითვლება განუსაზღვრელი ვადით დადებულ ხელშეკრულებად და, შესაბამისად, მას არ შეიძლება გაუვიდეს მოქმედების ვადა (შესაძლებელია

მხოლოდ მათი შეწყვეტა). დამსაქმებლები ვალდებული არიან აანაზღაურონ ზეგანაკვეთური შრომის საათები. ზეგანაკვეთურად ითვლება ნებისმიერი დრო, რომელიც აღემატება კვირაში 40 საათს (ზოგიერთ კონკრეტულ შემთხვევაში დასაშვებია კვირაში 48 საათი). განსაკუთრებით აღსანიშნავია, რომ შრომის კოდექსი არ ახდენს დიფერენცირებას ე.წ. ადმინისტრაციაში მომუშავე თანამშრომლებსა და მუშა-ხელს შორის, ასევე სხვა თანამშრომლებისგან არ განასხვავებს მაღალი თანამდებობის პირებს, რომელთაც უკავიათ მენეჯერული პოზიციები, რაც შესაძლოა პრობლემატური იყოს გარკვეულ შემთხვევებში.

აღსანიშნავია, რომ შრომის კოდექსი არ ავალდებულებს დამსაქმებლებს უზრუნველყონ მათი თანამშრომლები ნებისმიერი სახის სადაზღვევო პაკეტით ან სხვა რაიმე სოციალური სარგებლით, ასევე არ ავალდებულებს მათ მისცენ თანამშრომლებს ანაზღაურება ორსულობის და მშობიარობის გამო შვებულების დროს, თუმცა ორივეს შეთავაზება დამსაქმებლის მხრიდან ითვლება საუკეთესო პრაქტიკად. სხვა შემთხვევაში, დასაქმებულები უნდა დაეყრდნონ სახელმწიფოსგან მისაღებ ერთჯერად კომპენსაციას ორსულობის და მშობიარობის გამო შვებულების შემთხვევაში და საყოველთაო სახელწიფო დაზღვევას, რომელიც ლიმიტირებულ პაკეტს სთავაზობს მომხმარებლებს.

2020 წლის სექტემბრის ცვლილების თანახმად შრომის კოდექსით ახლებურად რეგულირდება შრომითი დისკრიმინაციის აკრძალვასთან, ინდივიდუალურ შრომით ურთიერთობებთან დაკავშირებული საკითხები. კიდევ უფრო გაიზარდა დასაქმებულ პირთა სასარგებლოდ განსაზღვრული პირობები, მათ შორის და არამხოლოდ ქალისა და მამაკაცის მიერ შესრულებული თანაბარი სამუშაოსთვის თანაბარი ანაზღაურების გადახდის ვალდებულება, დისკრიმინაციის აკრძალვა, სტაჟირების ცნების განსაზღვრა და რეგულირება, ღამის საათებში დასაქმებული პირებისთვის წინასწარი და პერიოდული სამედიცინო შემოწმებების ჩატარების ვალდებულება და სხვა.

შრომის კოდექსის ცვლილებების პარალელურად მიღებულ იქნა ახალი კანონი შრომის ინსპექციის შესახებ, რომლის მიხედვითაც 2021 წლის 1 იანვრიდან შეიქმნა და ამოქმედდა სსიპ შრომის ინსპექცია. განსხვავებით მისი წინამორბედი საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობის და სოციალური დავის სამინისტროს შრომის ინსპექტირების დეპარტამენტისა, სსიპ შრომის ინსპექციის უფლებები პრაქტიკულად შეუზღუდავია და მოიცავს როგორც შრომის უსაფრთხოების, ისე შრომითი უფლებების სრული მონიტორინგის უფლებას თავისი აღსრულების მექანიზმებითა და სანქციების გამოყენების უფლების ჩათვლით.

### ***შრომის უსაფრთხოება***

2019 წლის თებერვალში მიღებული იქნა კანონი შრომის უსაფრთხოების შესახებ, რომელიც არეგულირებს სახელმწიფო ორგანოების, დამსაქმებელთა, დასაქმებულთა, დასაქმებულთა წარმომადგენლებისა და სამუშაო სივრცეში მყოფ სხვა პირთა უფლებებს, ვალდებულებებსა და პასუხისმგებლობას, რომლებიც დაკავშირებულია უსაფრთხო და ჯანსაღი სამუშაო გარემოს შექმნასთან. შრომის უსაფრთხოების შესახებ კანონის მიხედვით თითოეული საწარმო ვალდებულია ჰყავდეს შრომის უსაფრთხოების სპეციალისტი. დამსაქმებელს, რომელსაც 20 ან ნაკლები დასაქმებული ჰყავს, შეუძლია პირადად შეასრულოს შრომის უსაფრთხოების სპეციალისტის პროფესიული მოვალეობები იმ პირობით, რომ მას გავლილი აქვს შესაბამისი მუხლის მე-6-ე პუნქტით გათვალისწინებული აკრედიტებული პროგრამა. თუ დამსაქმებელს 20-დან 100-მდე დასაქმებული ჰყავს, იგი ვალდებულია ჰყავდეს არანაკლებ 1 შრომის უსაფრთხოების სპეციალისტი, ხოლო 100 ან მეტი დასაქმებულის ყოლის შემთხვევაში დამსაქმებელი ვალდებულია შექმნას შრომის უსაფრთხოების სამსახური არანაკლებ 2 შრომის უსაფრთხოების სპეციალისტით. „კომპანია“, ისევე როგორც მისი შვილობილები, ვალდებული არიან დაიცვან კანონმდებლობის აღნიშნული მოთხოვნები დასაქმებულთა რაოდენობიდან გამომდინარე.

## **ლიკვიდაციის წესები**

„მეწარმეთა შესახებ“ განახლებულ კანონში მოცემულია სამეწარმეო საზოგადოების არსებობის შეწყვეტის პროცესი, რომელიც სამი სტადიისგან შედგება:

### **საზოგადოების დაშლა**

საზოგადოების დაშლის საფუძველი შეიძლება იყოს პარტნიორთა გადაწყვეტილება; პარტნიორთა სავალდებულო რაოდენობასთან დაკავშირებით კანონის დადგენილი მოთხოვნების დარღვევა; იურიდიული პირის ლიკვიდაციის შესახებ სისხლის სამართლის საქმეზე სასამართლოს განაჩენის კანონიერ ძალაში შესვლა; პარტნიორის განცხადების/სარჩელის საფუძველზე სასამართლოს მიერ მიღებული გადაწყვეტილება; წესდებით გათვალისწინებული სხვა საფუძველები.

სიახლეს წარმოადგენს სამეწარმეო საზოგადოების დაშლა სასამართლოს გადაწყვეტილებით, პარტნიორის განცხადების/სარჩელის საფუძველზე. ამისთვის საჭიროა მნიშვნელოვანი საფუძვლის არსებობა, რომელიც ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში უნდა შეფასდეს. მნიშვნელოვან საფუძველად მიიჩნევა თუ ერთ-ერთმა პარტნიორმა განზრახ ან უხეში გაუფრთხილებლობით დაარღვია კანონით ან წესდებით მისთვის დაკისრებული არსებითი მოვალეობა, ან თუ პარტნიორი მოვალეობას ვეღარ ასრულებს და შეუძლებელი ხდება სამეწარმეო საზოგადოების მიზნის მიღწევა.

ამავე დროს, გასათვალისწინებელია სხვა პარტნიორების ინტერესიც საზოგადოების არსებობის გაგრძელების თაობაზე. პარტნიორთა გადაწყვეტილების საფუძველზე დაშლილმა სამეწარმეო საზოგადოებამ შეიძლება გააგრძელოს არსებობა, თუ ამას გადაწყვეტს საერთო კრება კენჭისყრაში მონაწილეთა ხმების 3/4-ის უმრავლესობით და სამეწარმეო საზოგადოების ქონების პარტნიორთა შორის განაწილება არ დაწყებულა.

### **საზოგადოების ლიკვიდაცია**

საზოგადოების დაშლის შემდგომ იწყება ლიკვიდაციის პროცესი და ინიშნება შესაბამისი ლიკვიდატორი, რომელიც უნდა აკმაყოფილებდეს სამეწარმეო საზოგადოების ხელმძღვანელი პირისთვის წაყენებულ მოთხოვნებს. ლიკვიდაციის პროცესში საზოგადოებას უნარჩუნდება იურიდიული პირის სტატუსი, მაგრამ თავის საფირმო სახელწოდებას აუცილებლად უნდა დაურთოს დამატება „ლიკვიდაციის პროცესში“.

კანონის მოთხოვნაა, რომ ლიკვიდატორებმა მარეგისტრირებელი ორგანოს ერთიან ელექტრონულ პორტალზე ან თავიანთ ვებგვერდზე გამოაქვეყნონ განცხადება და დაუყოვნებლივ შეატყობინონ კრედიტორებს სამეწარმეო საზოგადოების დაშლის შესახებ და მოიწვიონ ისინი თავიანთი მოთხოვნების დასაკმაყოფილებლად. ლიკვიდაციის პროცესში მყოფი საზოგადოება თავის ქონებას ანაწილებს პარტნიორებზე წილების პროპორციულად. ამისთვის დაწესებულია კონკრეტული ვადა იმისდა მიხედვით თუ რა საფუძველით ხდება საზოგადოების დაშლა.

### **რეგისტრაციის გაუქმება**

საზოგადოების ქონების სრულად განაწილების შემდეგ ლიკვიდაციის პროცესი სრულდება. ლიკვიდატორებმა მარეგისტრირებელ ორგანოს უნდა მიმართონ ლიკვიდაციის რეგისტრაციის

მოთხოვნით, რის საფუძველზეც მარეგისტრირებული ორგანო გააუქმებს სამეწარმეო საზოგადოების რეგისტრაციას.

ახალი კანონით გათვალისწინებულია შემთხვევა, როდესაც საზოგადოების რეგისტრაციის გაუქმების შემდეგ გაირკვევა, რომ საზოგადოებას დარჩა გარკვეული ქონება ან საჭიროა დამატებითი სალიკვიდაციო მოქმედებების განხორციელება, ასეთ დროს სასამართლო ნიშნავს იგივე ან ახალ ლიკვიდატორს, რომ ეს პროცესი საბოლოოდ დასრულდეს.

### **გადახდისუნარობა**

დერეგულირებულ იურიდიულ პირებზე, მათ შორის, „თეგეტა ჯგუფის“ კომპანიებზე, ვრცელდება რეაბილიტაციისა და კრედიტორთა კოლექტიური დაკმაყოფილების შესახებ საქართველოს კანონით გათვალისწინებული პროცედურები (გამონაკლისია კომერციულ ბანკები, არასაბანკო სადეპოზიტო დაწესებულებები, სადაზღვევო კომპანიები და საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული სხვა სუბიექტები, რომლებიც ექვემდებარებიან სპეციალური რეგულირების რეჟიმს და რომელთა გადახდისუნარობის პროცედურა რეგულირებულია შესაბამისი მარეგულირებელი ორგანოს მიერ).

კომპანიის გადახდისუნარობის შეფასება ხორციელდება იმის მიხედვით, თუ რამდენად შეუძლია იურიდიულ პირს ვადამოსული ვალდებულებების დაფარვა. გადახდისუნარობის პროცედურები შეიძლება დაიწყოს, თუ მოვალე გადახდისუნარო გახდება ან მოსალოდნელია მისი გადახდისუნარობა. გადახდისუნარობის საქმის წარმოება იწყება რეაბილიტაციის ან გაკოტრების რეჟიმის გახსნის მოთხოვნით გადახდისუნარობის შესახებ განცხადების სასამართლოში შეტანით. გადახდისუნარობის საქმისწარმოება შესაძლოა დაიწყოს მოვალემ (საწარმოს ხელმძღვანელობასა და წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის მეშვეობით), კრედიტორმა, რეგულირებული შეთანხმების ზედამხედველმა, რეაბილიტაციის მმართველმა (კონვერსიის მოთხოვნით, როდესაც მოვალის მიმართ გახსნილია რეაბილიტაციის რეჟიმი) ან გაკოტრების მმართველმა (კონვერსიის მოთხოვნით, როდესაც მოვალის მიმართ გახსნილია გაკოტრების რეჟიმი).

გადახდისუნარობის საქმისწარმოების დაწყების შემდეგ, ფაქტობრივი მდგომარეობის გათვალისწინებით, არსებობს შემდეგი სახის რამდენიმე სცენარი, რომლის მიხედვითაც შეიძლება წარმართოს გადახდისუნარობის პროცესი: ა) გაკოტრება, რასაც მოჰყვება ლიკვიდაცია (საჯარო რეესტრიდან კომპანიის დერეგისტრაცია); ბ) რეაბილიტაცია (რაც სხვა იურისდიქციებში გაიგივებულია რეორგანიზაცია/რესტრუქტურისაციასთან); ან გ) საქმის წარმოების შეწყვეტა.

გაკოტრების შემთხვევაში კომპანიის აქტივები გაიყიდება აღსრულების ეროვნული ბიუროს მიერ ორგანიზებულ აუქციონზე და კრედიტორები (რაც ასევე მოიცავს ობლიგაციების მფლობელებს) დაკმაყოფილდებიან კანონმდებლობით გათვალისწინებული რიგითობის მიხედვით:

1. პირველი რანგი - გაკოტრების რეჟიმის ხარჯები. აღნიშნული მოიცავს: ა) საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის V თავით გათვალისწინებული პროცესის ხარჯებს; ბ) გაკოტრების მმართველის ანაზღაურებას; გ) საქმის წარმოებასთან დაკავშირებული ხარჯი, მათ შორის, გაკოტრების საქმის წარმოების პროცესში წარმოშობილი შრომითი ურთიერთობიდან გამომდინარე ხარჯი, ქონების მართვის ხარჯი, აგრეთვე მმართველის გადაწყვეტილებით შესყიდული სხვადასხვა პროფესიული მომსახურების ხარჯს;
2. მეორე რანგი - სასამართლოს მიერ გადახდისუნარობის შესახებ განცხადების დასაშვებად ცნობისა და გაკოტრების რეჟიმის გახსნის თაობაზე განჩინების გამოტანის შემდეგ მოვალის მიმართ წარმოშობილი დავალიანება, მათ შორის, გაკოტრების საქმის წარმოების დაწყების შემდეგ წარმოშობილი საგადასახადო ვალდებულებები;
3. მესამე რანგი - კრედიტორთა ჯგუფები – შემდეგი თანამიმდევრობით:
  - 3.1. პრეფერენციული მოთხოვნები;
  - 3.2. პრეფერენციული საგადასახადო მოთხოვნები;

- 3.3. არაუზრუნველყოფილი მოთხოვნები, მათ შორის, გადახდისუუნარობის შესახებ განცხადების დასაშვებად ცნობამდე წარმოშობილი გადასახადების თანხა, რომლებსაც ამ პუნქტის სხვა ქვეპუნქტები არ მოიცავს;
- 3.4. მოთხოვნები, რომლებიც წარმოშობილია გადახდისუუნარობის შესახებ განცხადების დასაშვებად ცნობამდე არსებულ ვალდებულებებზე დარიცხული პროცენტებისა და ჯარიმების სახით, ადმინისტრაციული ჯარიმები და ადმინისტრაციული სამართალდარღვევებიდან გამომდინარე სხვა ფულადი ვალდებულებები, საქართველოს საგადასახადო კოდექსის შესაბამისად დარიცხული ჯარიმები და საურავები;
- 3.5. არაპრივილეგირებული მოთხოვნები;
- 3.6. კორპორაციული ურთიერთობიდან წარმოშობილი ვალდებულებები (დივიდენდის გადახდა, აქციათა გამოსყიდვა, შენატანის დაბრუნება).

გადახდისუუნარობის მასა პროპორციულობის პრინციპის დაცვით უნდა განაწილდეს. ყოველი მომდევნო რიგის კრედიტორთა მოთხოვნები დაკმაყოფილდება წინა რიგის კრედიტორთა მოთხოვნების სრულად დაკმაყოფილების შემდეგ, თუ სხვა ცვლილება არ არის გათვალისწინებული ყველა კრედიტორის შეთანხმებით, რომლებზედაც ეს ცვლილება გავლენას მოახდენს.

ზემოაღნიშნული რიგითობა არ შეეხება ფინანსურად უზრუნველყოფილ მოთხოვნებს, რომლებიც პრიორიტეტულად დაკმაყოფილდება სწორედ ამ უზრუნველყოფის საშუალებით, საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად. თუ უზრუნველყოფის საგნად გამოყენებული ნივთის რეალიზაციის შემთხვევაში მისი რეალიზაციით ამონაგები თანხა პირველი რიგის კრედიტორის მოთხოვნას აღემატება, ნამეტი თანხით დაკმაყოფილდება ამავე ნივთზე რეგისტრირებული ყოველი მომდევნო რიგის უზრუნველყოფილი კრედიტორის მოთხოვნა საქართველოს სამოქალაქო კოდექსით დადგენილი წესით, ხოლო დარჩენილი თანხა გადახდისუუნარობის მასაში მიიმართება. იმ უზრუნველყოფილი კრედიტორის მოთხოვნის საფუძველზე, რომლის მოთხოვნაც ვერ დაკმაყოფილდა უზრუნველყოფის საგნის შესაბამისად რეალიზაციით ამონაგები თანხის არასაკმარისი ოდენობის გამო, მოთხოვნის დაუკმაყოფილებელი ნაწილი აისახება არაუზრუნველყოფილი მოთხოვნების რიგში, შესაბამისად, მისი დაკმაყოფილება მოხდება არაუზრუნველყოფილ კრედიტორთა ჯგუფის რიგითობის შესაბამისად.

## 8. ინფორმაცია ტენდენციების შესახებ

- 8.1. პროდუქციის წარმოების, გაყიდვებისა და მარაგების, დანახარჯებისა და გასაყიდი ფასების ტენდენციები.

სასაქონლო მარაგები წარმოადგენს სავაჭრო კომპანიის ერთ-ერთ უმთავრეს აქტივს, მარაგების სწორი და ეფექტური მენეჯმენტი არის კომპანიის წარმატების ერთ-ერთი მთავარი მამომრავებელი, სასაქონლო მარაგების მართვაში უმნიშვნელოვანესი როლი აქვს პროდუქციის ფასს, რაც თავის მხრივ განისაზღვრება პროდუქციის წარმოებისთვის საჭირო მასალების ფასებით (მეტალი, ნავთობი, კაუჩუკი) და ვალუტის გაცვლის კურსით, 2020 და 2021 წლებში კომპანიას არ ჰქონია მნიშვნელოვანი და მატერიალური ცვლილება სასაქონლო მარაგების ფასებზე და გაყიდული პროდუქციის თვითღირებულებაზე.

- 8.2. არსებობის შემთხვევაში, ბოლო აუდიტრებული ანგარიშგებების თარიღიდან პროსპექტის წარდგენის თარიღამდე ემიტენტის/მისი ჯგუფის ფინანსურ მდგომარეობაში და პერსპექტივებში გამოვლენილი მატერიალური უარყოფითი ცვლილებების აღწერა;

მატერიალურ უარყოფით ცვლილებებს ადგილი არ ჰქონია.

8.3. ინფორმაცია უკვე ცნობილი ტენდენციების, გაურკვეველობების, მოთხოვნების ან მოვლენების შესახებ.

მიმდინარედ არ არის რაიმე უკვე ცნობილი ტენდენცია ან მოვლენა, რომელმაც შესაძლოა მნიშვნელოვანი გავლენა მოახდინონ კომპანიის საქმიანობაზე.

**9. მოგების პროგნოზი და ვარაუდები**

9.1. თუ ემიტენტი აქვეყნებს პროგნოზირებული მოგების მაჩვენებლებს, ეს მაჩვენებელი უნდა ჩართოს რეგისტრაციის დოკუმენტში. ის უნდა იყოს გარკვეული და არაორაზროვანი და უნდა მოიცავდეს იმ ძირითად დაშვებებს, რომელიც ემიტენტმა გამოიყენა მოგების პროგნოზირებისთვის.

ემიტენტი არ აქვეყნებს პროგნოზირებული მოგების და სხვა ფინანსურ მაჩვენებლებს.

9.2. მითითება გამოყენებული აღრიცხვის მეთოდის და შესადარისობის პრინციპის შესახებ.

ემიტენტი არ აქვეყნებს პროგნოზირებულ მოგების და სხვა ფინანსურ მაჩვენებლებს.

**10. მმართველი ორგანოს წევრები და პარტნიორები/აქციონერები.**

10.1. პირების ჩამონათვალი (მმართველი ორგანო, წილის მქონე პარტნიორები და აქციონერები) და მათ შორის ნათესაური კავშირის არსებობა,

ა) მმართველი ორგანო;

„კომპანიის“ მმართველობითი ორგანო არის პარტნიორთა კრება, სამეთვალყურეო საბჭო და ძირითადი მენეჯმენტი. აღნიშნული კრების და კომპანიის სხვა მმართველების ფუნქციები მოცემულია 11 მუხლში.

ბ) 5%-ზე მეტი პირდაპირი ან არაპირდაპირი წილის მქონე პარტნიორები/აქციონერები;

კომპანიის ბენეფიციარები შემდეგი პირები არიან:

| მესაკუთრე                               | წილი საწესდებო კაპიტალში | იურიდიული მისამართი   |
|---|--------------------------|---|
| შპს „თი ჯი ემ ჯგუფი“<br>(ს/ნ 405347058) | 98.78%                   | საქართველო, თბილისი, ვაკის რაიონი, ვაჟა-ფშაველას გამზირი, N 51, კორპუსი 12, ბინა N7 |
| თემურ კოხოძე<br>(პ/ნ 42001000456)       | 1.22%                    | საქართველო, ქ. თბილისი, ვაჟა-ფშაველას გამზირი, N 51, კორპუსი 12, ბინა 7             |

შპს „თი ჯი ემ ჯგუფის“ მფლობელები შემდეგი პირები არიან:

| მესაკუთრე                         | წილი საწესდებო კაპიტალში | იურიდიული მისამართი   |
|-----------------------------------|--------------------------|---|
| თემურ კოხოძე<br>(პ/ნ 42001000456) | 92.1%                    | საქართველო, ქ. თბილისი, ვაჟა-ფშაველას გამზირი, N 51, კორპუსი 12, ბინა 7 |

|                                       |       |  |
|---------------------------------------|-------|--|
| მარინე მუმლაძე<br>(პ/ნ 01006011335)   | 3.95% | საქართველო, ქ. თბილისი, დიდმის მასივი, V კვარტალი, კორპუსი 14, ბინა 15 |
| გიორგი მშვილდაძე<br>(პ/ნ 01006011532) | 3.95% | საქართველო, ქ. თბილისი, დიდმის მასივი, V კვარტალი, კორპუსი 14, ბინა 21 |

გ) ინფორმაცია ზემოთჩამოთვლილ პირებს შორის ნათესაურ კავშირთან დაკავშირებით;

ნათესაური კავშირი პარტნიორებს, მენეჯმენტს და სამეთვალყურეო საბჭოს წევრებს შორის არ არსებობს.

10.2. მმართველი ორგანოს წევრებისა და პარტნიორების/აქციონერების შესაბამისი გამოცდილებისა შესახებ ინფორმაცია:

ა) ყველა კომპანიის დასახელება (ემიტენტის შვილობილი კომპანიების გარდა), რომელთა მენეჯმენტის, დირექტორთა საბჭოს ან თუ სამეთვალყურეო საბჭოს წევრიც იყო ან არის აღნიშნული პირი ბოლო 5 წლის მანძილზე;

| პირი                         | თანამდებობა   | სუბიექტი  | ს/კ       | წილი<br>ემისიის<br>დროისათვის |
|------------------------------|---|---|-----------|-------------------------------|
| თემურ კობოძე                 | - გენერალური დირექტორი<br>07/05/2018-მდე<br>- სამეთვალყურეო საბჭოს<br>თავმჯდომარე<br>- მეწილე | შპს თეგეტა მოტორსი                                | 202177205 | 1.22%                         |
| თემურ კობოძე                 | - მეწილე  | შპს კურორტი საირმე                                | 225058576 | 100.00%                       |
| თემურ კობოძე                 | - დირექტორი 24/06/2022-მდე<br>- მეწილე  | შპს თი ჯი ემ ჯგუფი                                | 405347058 | 92.10%                        |
| თემურ კობოძე                 | - მეწილე  | შპს ტრანსკაუკაზუს რენტალ<br>სერვისის              | 401952268 | 100.00%                       |
| თემურ კობოძე                 | - მეწილე  | შპს მართიამ ოვერსის<br>პარტნერს ჯორჯია            | 401996685 | 100.00%                       |
| თემურ კობოძე                 | - მეწილე  | შპს გრუპ თენ                                      | 404864875 | 100.00%                       |
| თემურ კობოძე                 | - მეწილე  | შპს თეგეტა თრეველ                                 | 405249333 | 100.00%                       |
| თემურ კობოძე                 | - მეწილე  | შპს საირმის ტურიზმისა და<br>გასტრონომიის აკადემია | 405352602 | 51.00%                        |
| თემურ კობოძე                 | - მეწილე  | შპს აგრო იმერეთი                                  | 406060435 | 100.00%                       |
| თემურ კობოძე                 | - მეწილე  | შპს საირმის საცხოვრი                              | 425053041 | 100.00%                       |
| თემურ კობოძე                 | - მეწილე  | შპს საირმის სამონადირეო<br>მეურნეობა              | 425057573 | 100.00%                       |
| პერ გუსტავ რაგნარ<br>ნილსონი | - სამეთვალყურეო საბჭოს წევრი  | შპს თეგეტა მოტორსი                                | 202177205 | 0.00%                         |
| მალხაზ<br>ჯიმშიაშვილი        | - სამეთვალყურეო საბჭოს წევრი  | შპს თეგეტა მოტორსი                                | 202177205 | 0.00%                         |
| მალხაზ<br>ჯიმშიაშვილი        | - დირექტორი 09/08/2022-მდე<br>- მეწილე  | შპს ტრანსკავკასიური<br>სადისტრიბუციო კომპანია     | 401949674 | 10.00%                        |
| მალხაზ<br>ჯიმშიაშვილი        | - მეწილე  | შპს სმარტ ბილდინგ<br>კომპანია                     | 405408928 | 50.00%                        |

|                     |  |  |           |         |
|---------------------|--|--|-----------|---------|
| მალხაზ ჯიმშიაშვილი  | - დირექტორი 24/08/2022-მდე   | შპს ტრანსკავკასიური იმპექს კომპანია        | 401964683 | 0.00%   |
| პაატა ჟღენტი        | - სამეთვალყურეო საბჭოს წევრი   | შპს თეგეტა მოტორსი                         | 202177205 | 0.00%   |
| პაატა ჟღენტი        | - დირექტორი 21/05/2020-მდე<br>- მეწილე 100%-ის ოდენობით 21/05/2020-მდე                             | შპს გრავიტა                                | 404988554 | 0.00%   |
| მარინე მუმლაძე      | - მეწილე   | შპს თი ჯი ემ ჯგუფი                         | 405347058 | 3.95%   |
| მარინე მუმლაძე      | - მეწილე 3%-ის ოდენობით 06/09/2019-მდე   | შპს თეგეტა მოტორსი                         | 202177205 | 0.00%   |
| რევაზ ზირაქაძე      | - დირექტორი 01/04/2022-მდე   | თეგეტა პრაიმ პროდაქტს                      | 405391437 | 0.00%   |
| რევაზ ზირაქაძე      | - მეწილე 20%-ის ოდენობით 25/01/20229-მდე   | შპს გრავიტა                                | 404988554 | 0.00%   |
| ვახტანგ კაჭარავა    | - აღმასრულებელი და ფინანსური დირექტორი<br>- სატვირთო და სპეციალური დანიშნულების ტექნიკის დირექტორი | შპს თეგეტა მოტორსი                         | 202177205 | 0.00%   |
| ვახტანგ კაჭარავა    | - დირექტორი 27.03.2020-მდე   | შპს კავკასუს ავტომოტივი                    | 405302836 | 0.00%   |
| დიმიტრი გოზალიშვილი | - კომერციული იმპორტების და საერთაშორისო ვაჭრობის დირექტორი   | შპს თეგეტა მოტორსი                         | 202177205 | 0.00%   |
| დიმიტრი გოზალიშვილი | - დირექტორი 21.01.2022-მდე   | შპს ვენდუ                                  | 405291090 | 0.00%   |
| ირაკლი პაპიაშვილი   | -დირექტორი<br>- მეწილე   | შპს აიპი ფილმზ                             | 405033262 | 100.00% |
| ირაკლი პაპიაშვილი   | - მეწილე   | შპს ეი ბი ლოჯისტიქს                        | 405034181 | 33.00%  |
| გრიგოლ ბარბაქაძე    | - ადგილობრივი გაყიდვების ოპერაციების დირექტორი   | შპს თეგეტა მოტორსი                         | 202177205 | 0.00%   |
| გრიგოლ ბარბაქაძე    | -დირექტორი<br>- მეწილე   | შპს ავტოსტოპი                              | 400153301 | 34.00%  |
| პეტრე წაქაძე        | - მსუბუქი ავტომობილების გაყიდვების დირექტორი   | შპს თეგეტა მოტორსი                         | 202177205 | 0.00%   |
| პეტრე წაქაძე        | - დირექტორი  | შპს თეგეტა პრემიუმ ვიიქელს                 | 401950938 | 0.00%   |
|                     | -  |  |           |         |
| ალექსანდრე ბარნოვი  | -დირექტორი<br>- მეწილე   | შპს სოფთ მოუშენი                           | 405433357 | 20.00%  |
| შპს თი ჯი ემ ჯგუფი  | - მეწილე   | შპს თეგეტა მოტორსი                         | 202177205 | 98.78%  |
| შპს თი ჯი ემ ჯგუფი  | - მეწილე   | შპს ტრანსკავკასიური სადისტრიბუციო კომპანია | 401949674 | 90.00%  |
| შპს თი ჯი ემ ჯგუფი  | - მეწილე   | შპს თეგეტა ოფ-როუდ ვიიქელს                 | 404612825 | 90.00%  |
| შპს თი ჯი ემ ჯგუფი  | - მეწილე   | შპს სოფთ მოუშენი                           | 405433357 | 60.00%  |



|                      |   |  |           |         |
|----------------------|---|--|-----------|---------|
| შპს თი ჯი ემ ჯგუფი   | - მეწილე  | შპს გრავიტა                                | 404988554 | 100.00% |
| შპს თი ჯი ემ ჯგუფი   | -მეწილე 100%-ის ოდენობით 31/12/2021-მდე   | შპს თეგეტა ქომერშელ ვიიქლს                 | 405464929 | 0.00%   |
| გიორგი მშვილდაძე     | - სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე - მეწილე 3%-ის ოდენობით 06/09/2019-მდე | შპს თეგეტა მოტორსი                         | 202177205 | 0.00%   |
| გიორგი მშვილდაძე     | - მეწილე 10%-ის ოდენობით 23/05/2018-მდე   | შპს ტრანსკავკასიური სადისტრიბუციო კომპანია | 401949674 | 0.00%   |
| გიორგი მშვილდაძე     | - მეწილე  | შპს თი ჯი ემ ჯგუფი                         | 405347058 | 3.95%   |
| ზურაბ საყვარელიძე    | - სამეთვალყურეო საბჭოს წევრი  | შპს თეგეტა მოტორსი                         | 202177205 | 0.00%   |
| ზურაბ საყვარელიძე    | - მეწილე 100%-ის ოდენობით 25/03/2019-მდე  | შპს გრავიტა                                | 404988554 | 0.00%   |
| ზურაბ საყვარელიძე    | - დირექტორი 27/11/2019-მდე  | შპს ენტერფრაისი                            | 405329112 | 0.00%   |
| ზურაბ საყვარელიძე    | - მეწილე 23/08/2018-მდე - დირექტორი 27/11/2019-მდე                                  | შპს ინტერავტო                              | 406124395 | 0.00%   |
| ზურაბ საყვარელიძე    | - მეწილე 100%-ის ოდენობით 10/09/2018-მდე  | შპს ინტერავტო თრეიდინგი                    | 206211936 | 0.00%   |
| ვალერიან მეზვრიშვილი | - სამეთვალყურეო საბჭოს წევრი  | შპს თეგეტა მოტორსი                         | 202177205 | 0.00%   |
| ვალერიან მეზვრიშვილი | -მეწილე - დირექტორი   | შპს ოფის სფეისი                            | 205293298 | 100.00% |
| ვალერიან მეზვრიშვილი | - დირექტორი   | შპს რეიდ ენდ უილსონ მედია                  | 405070373 | 0.00%   |
| ვალერიან მეზვრიშვილი | -მეწილე - დირექტორი   | შპს მედია მენეჯმენტ გრუპი                  | 405076527 | 75.70%  |
| ვალერიან მეზვრიშვილი | -მეწილე - დირექტორი   | შპს მეღვინეობა საბა                        | 405380369 | 21.00%  |
| ლია ბერუაშვილი       | - დირექტორი   | შპს თეგეტა აკადემია                        | 405237122 | 0.00%   |
| ლია ბერუაშვილი       | -ადმასრულებელი დირექტორი  | შპს ტოიოტა ცენტრი თეგეტა                   | 405006461 | 0.00%   |

ბ) არსებობის შემთხვევაში, ბოლო 5 წლის მანძილზე გამოვლენილი თაღლითობის, ეკონომიკური დანაშაულის ან ფულის გათეთრების ფაქტების შესახებ ინფორმაცია

მსგავს ფაქტს ადგილი არ აქვს.

გ) არსებობის შემთხვევაში, ინფორმაცია ბოლო 5 წლის მანძილზე იმ კომპანიების გაკოტრების, ლიკვიდაციის შესახებ, რომელშიც ამ პირებს ეკავათ ზემოთ ჩამოთვლილი თანამდებობები;

მსგავს ფაქტს ადგილი არ აქვს.

### 10.3. ინტერესთა კონფლიქტი

10.3.1. ზემოთჩამოთვლილი პირების შესაძლო ინტერესთა კონფლიქტის აღწერა.

მსგავს კონფლიქტს ადგილი არ აქვს.

10.3.2. შესაძლო შეთანხმებების აღწერა, რომლის შედეგადაც ზემოთჩამოთვლილი რომელიმე პირი გახდა დირექტორთა საბჭოს, სამეთვალყურეო საბჭოს ან უმაღლესი რგოლის მენეჯმენტის წევრი.

ასეთ შეთანხმებას ადგილი არ ჰქონია.

10.3.3 დანართის 10.1. პუნქტში ჩამოთვლილი პირების მიმართ არსებული შეზღუდვის დეტალები ემიტენტის ფასიან ქაღალდებში მათი წილების გასხვისებასთან დაკავშირებით

არ არის რელევანტური

10.4.ამ პირებისთვის გადახდილი ანაზღაურების ჯამური ოდენობა და ე.წ. დამატებითი ბენეფიტები.

2020 და 2021 წლების აუდირებული ფინანსური ანგარიშგებების მიხედვით მოცემულია შემდეგ ცხრილში:

| მესაკუთრები<br>ლარში და დამრგვალებულია უახლოეს ათასამდე | აუდირებული |           |
|---|------------|-----------|
|   | 2020 წელი  | 2021 წელი |
| გადახდილი დივიდენდები                                   | (1,391)    | (10,111)  |

| მესაკუთრები<br>ლარში და დამრგვალებულია უახლოეს ათასამდე | აუდირებული |           |
|---|------------|-----------|
|   | 2020 წელი  | 2021 წელი |
| ხელფასები და პრემიები                                   | (4)        | (404)     |

| უმაღლესი რანგის ხელმძღვანელობა<br>ლარში და დამრგვალებულია უახლოეს ათასამდე | აუდირებული |           |
|--|------------|-----------|
|  | 2020 წელი  | 2021 წელი |
| ხელფასები და პრემიები  | (6,956)    | (6,812)   |

## 11. მმართველი ორგანოს და სამეთვალყურეო საბჭოს საქმიანობა

11.1. დირექტორთა და სამეთვალყურეო საბჭოს წევრების კონტრაქტის ვადების და საქმიანობის აღწერა.

ძირითადი მენეჯმენტი:

| სახელი           | თანამდებობა  | ხელშეკრულების დადების თარიღი | ხელშეკრულების მოქმედების ვადა |
|------------------|--|------------------------------|-------------------------------|
| კაჭარავა ვახტანგ | აღმასრულებელი და ფინანსური დირექტორი,სატვირთო და სპეციალური დანიშნულების | 22 მაისი 2021 წელი           | განუსაზღვრელი ვადით           |

|                     |  |                        |                     |
|---------------------|--|------------------------|---------------------|
|                     | ტექნიკის მიმართულების დირექტორი                          |                        |                     |
| გოზალიშვილი დიმიტრი | კომერციული იმპორტების და საერთაშორისო ვაჭრობის დირექტორი | 15 ივლისი 2022 წელი    | განუსაზღვრელი ვადით |
| პაპიაშვილი ირაკლი   | ბიზნესის განვითარების დირექტორი                          | 15 ივლისი 2022 წელი    | განუსაზღვრელი ვადით |
| ბარბაქაძე გრიგოლ    | ადგილობრივი გაყიდვების ოპერაციების დირექტორი             | 22 მაისი 2021 წელი     | განუსაზღვრელი ვადით |
| პეტრე წაქაძე        | მსუბუქი ავტომობილების გაყიდვების დირექტორი               | 18 იანვარი 2023 წელი   | განუსაზღვრელი ვადით |
| რევაზ ზირაქაძე      | კომერციული დირექტორი                                     | 16 მარტი 2020 წელი     | განუსაზღვრელი ვადით |
| ზონინაშვილი ანა     | ადმინისტრაციული და ფინანსური დირექტორის მოადგილე         | 16 მარტი 2020 წელი     | განუსაზღვრელი ვადით |
| წიკლაური თამარ      | იურიდიული დირექტორი                                      | 1 სექტემბერი 2022 წელი | განუსაზღვრელი ვადით |
| ბარნოვი ალექსანდრე  | პროგრამული განვითარების დირექტორი                        | 10 აგვისტო 2017 წელი   | განუსაზღვრელი ვადით |
| ლია ბერუაშვილი      | ორგანიზაციული განვითარების დირექტორი                     | 7 დეკემბერი 2022 წელი  | განუსაზღვრელი ვადით |

- **ბატონი ვახტანგ კაჭარავა - ადმინისტრაციული და ფინანსური დირექტორი, სატვირთო და სპეციალური დანიშნულების ტექნიკის მიმართულების დირექტორი**

ბატონი ვახტანგის მუშაობის გამოცდილება თეგეტა ჰოლდინგში 10 წელზე მეტს ითვლის. ის ჰოლდინგში შემავალ კომპანიაში სხვადასხვა დროს სხვადასხვა პოზიციებს იკავებდა. 2015-2017 წლებში და 2019-2020 წლებში ხელმძღვანელობდა მარკეტინგის დეპარტამენტს, 2018-2019 წლებში იკავებდა ინვესტორებთან ურთიერთობის დეპარტამენტის უფროსის თანამდებობას 2020 წლის მარტიდან 2021 წლის სექტემბრამდე ვახტანგ კაჭარავა შპს „თეგეტა მოტორსში“ იკავებდა ფინანსური დირექტორის პოზიციას, ხოლო 2021 წლის სექტემბრიდან იკავებს ადმინისტრაციული და ფინანსური დირექტორის პოზიციას, აქვს კომპანიის წარმომადგენლობითი უფლებამოსილება და ხელმძღვანელობს შემდეგ მიმართულებებს: ფინანსური, პროგრამული განვითარების, ადმინისტრაციული, კომერციული, იურიდიული, HR-სა და ხარისხის მართვის. ვახტანგ კაჭარავა ფლობს კავკასიის უნივერსიტეტის BBA ხარისხს, ბიზნეს ადმინისტრირებისა და მენეჯმენტის მიმართულებით.

- **ბატონი დიმიტრი გოზალიშვილი - კომერციული იმპორტების და საერთაშორისო ვაჭრობის დირექტორი**

ბატონი დიმიტრი სხვადასხვა დროს მუშაობდა ისეთ საერთაშორისო კომპანიაში როგორცაა EY, Deloitte. ასევე, შპს „თეგეტა მოტორსში“ დასაქმებამდე იგი იკავებდა მენეჯერულ პოზიციებს, როგორცაა, სილქნეტის კომერციული დირექტორის მოადგილე, ელიტ ელექტრონიქსის დირექტორის მოადგილე, ვენდუს დირექტორი და სხვა. პირველად თეგეტას გუნდს დიმიტრი შემოუერთდა 2011 წელს და 2011-2012 წლებში იყო პროდუქტების დეპარტამენტის უფროსი. 2016 წლიდან 2020 წლამდე შპს „თეგეტა მოტორსში“ იკავებდა კომერციული დირექტორის პოზიციას. ამჟამად დიმიტრი გოზალიშვილი არის შპს „თეგეტა მოტორსის“ კომერციული იმპორტებისა და

საერთაშორისო ვაჭრობის დირექტორი და ხელმძღვანელობს საერთაშორისო ვაჭრობისა და კომერციული შესყიდვების მიმართულებას.

• **ბატონი ირაკლი პაპიაშვილი - ბიზნესის განვითარების დირექტორი**

ბატონი ირაკლი 2013-2014 წლებში ხელმძღვანელობდა კომპანია შპს „პრემიუმ ვიიქელს“, 2015-2016 წლებში უძღვებოდა „ჯორჯიან ვოთერ ენდ ფაუნდის“ ლოჯისტიკის დეპარტამენტს, შემდგომ 2018-2019 წლებში იკავებდა გენერალური დირექტორის თანამდებობას შპს „ტოიოტა ცენტრ თეგეტაში“. •2019 წლიდან 2021 წლის დეკემბრამდე იკავებდა შპს „თეგეტა მოტორსის“ შვილობილი კომპანიის, შპს „თეგეტა თრაქ ენდ ბასის“ დირექტორის თანამდებობას. 2022 წლის იანვრიდან 2022 წლის 15 ივლისამდე შპს „თეგეტა მოტორსში“ იკავებდა კომერციული იმპორტების და საერთაშორისო ვაჭრობის დირექტორის თანამდებობას, ხოლო მიმდინარედ არის ბიზნესის განვითარების დირექტორი. ბატონი ირაკლი ფლობს თავისუფალი უნივერსიტეტის ბიზნესის ადმინისტრირების მაგისტრის ხარისხს

• **ბატონი გრიგოლ ბარბაქაძე - ადგილობრივი გაყიდვების ოპერაციების დირექტორი**

ბატონი გრიგოლი კომპანიის გუნდს შემოუერთდა 2007 წელს. 2016-2018 წლებში იკავებდა ფილიალების კოორდინაციის სამსახურის უფროსის პოზიციას. 2018-2020 წლებში კი შპს „თეგეტა მოტორსის“ საოპერაციო დირექციას ხელმძღვანელობდა. ამჟამად, 2020 წლიდან ის იკავებს ადგილობრივი გაყიდვების ოპერაციების დირექტორის თანამდებობას და ასევე არის შპს „თეგეტა მოტორსის“ შვილობილი კომპანიის, შპს „თეგეტა რითეილის“ დირექტორი. გრიგოლ ბარბაქაძე ფლობს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიულ ფაკულტეტის ბაკალავრის ხარისხს.

• **ბატონი პეტრე წაქაძე - მსუბუქი ავტომობილების გაყიდვების დირექტორი**

ბატონი პეტრე დასაქმებულია თეგეტა მოტორსში 2009 წლიდან. 2017-2020 წლებში იგი იყო შპს „თეგეტა პრემიუმ ვიიქელსის“ გაყიდვებისა და მარკეტინგის მიმართულების ხელმძღვანელი, ხოლო 2020 წლიდან 2023 წლამდე იკავებდა დირექტორის პოზიციას. ამჟამად, 2023 წლიდან, ბატონი პეტრე იკავებს დირექტორის პოზიციას მსუბუქი ავტომობილების გაყიდვების მიმართულებით. რომლის ფარგლებშიც ხელმძღვანელობს და კოორდინაციას უწევს თეგეტა მოტორსისა და შესაბამის სფეროში მოქმედი მისი შვილობილი კომპანიების საქმიანობას. ბატონ პეტრეს დამთავრებული აქვს ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი და ფლობს ბიზნეს ადმინისტრირების მაგისტრის ხარისხს.

• **ბატონი რევაზ ზირაქაძე - კომერციული დირექტორი**

ბატონი რევაზის კომპანიაში დასაქმებულია 2009 წლიდან და ხელმძღვანელობდა შესყიდვების ჯგუფს. 2012 წლიდან 2016 წლამდე იყო კომერციული შესყიდვების და ლოჯისტიკის დეპარტამენტის უფროსი. 2017-2019 წლებში რევაზ ზირაქაძე იკავებს ფინანსური დირექტორის პოზიციას. ამჟამად, 2020 წლიდან იკავებს კომერციული დირექტორის თანამდებობას. ბატონ რევაზს უმაღლესი განათლება მიღებული აქვს ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში მიკროეკონომიკისა და მენეჯმენტის ფაკულტეტის საგარეო ეკონომიკური საქმიანობის ორგანიზაციისა და მართვის მიმართულებით დაგავლილი აქვს სპეციალიზაცია Ludwig Maximilian University of Munich-ში (გერმანია), მაკრო ეკონომიკის მიმართულებით.

• **ქალბატონი ანა ზონინაშვილი - აღმასრულებელი და ფინანსური დირექტორის მოადგილე**

ქალბატონი ანას სამუშაო გამოცდილება შპს „თეგეტა მოტორს“-ში 13 წელზე მეტს ითვლის, ამასთანავე 2005-2009 წლებში ეწეოდა ლექტორის საქმიანობას ხარჯების აღრიცხვის მიმართულებით, თავისუფალი უნივერსიტეტის ბიზნეს სკოლა ESM-ში.

კომპანიაში თავდაპირველად, 2008 წლიდან ის მუშაობდა SAP ERP დეპარტამენტის ფინანსებისა და კონტროლინგის ჯგუფის ხელმძღვანელის პოზიციაზე, შემდეგ კი 2009 წლიდან ამავე დეპარტამენტის ხელმძღვანელობა გადაიბარა. 2017 წლიდან 2020 წლამდე ხელმძღვანელობდა ფინანსურ დეპარტამენტს. ქალბატონ ანას საბაკალავრო პროგრამა გავლილი აქვს ESM Tbilisi - European School of Management-ში და ასევე გაიარა სპეციალიზაცია Berufsakademie Mosbach-ში (გერმანია) ეკონომიკისა და საწარმოს მართვის საკითხებში.

• **ქალბატონი თამარ წიკლაური - იურიდიული დირექტორი**

ქალბატონი თამარი კომპანიას 2018 წლიდან შემოუერთდა იურისტის პოზიციაზე, ხოლო 2019 წლის ივნისიდან 2022 წლის სექტემბრამდე იკავებდა იურიდიული დეპარტამენტის უფროსის თანამდებობას. იგი სხვადასხვა დროს მუშაობდა ტრენერად ადვოკატთა საგანმანათლებლო ცენტრში, საქართველოს ადვოკატთა ასოციაციაში, საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოში, სსიპ იუსტიციის სასწავლო ცენტრში, მიწის მესაკუთრეთა უფლებების დაცვის ასოციაციასა და ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციაში. 2017-2018 წლებში მუშაობდა მთავარ იურისტად და იურიდიული დეპარტამენტის უფროსად საქართველოს აეროპორტების გაერთიანებაში. 2014-2017 წლებში მუშაობდა იურიდიული დეპარტამენტის სამართლებრივი უზრუნველყოფისა და რეგიონული განვითარების სამსახურის უფროსად საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოში. 2010-2014 წლებში მუშაობდა საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოში იურისტად. 2007-2008 წლებში მუშაობდა ადვოკატისა და კონსულტანტის თანაშემწედ საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციაში.

მიმდინარედ ქალბატონი თამარი იკავებს შპს „თეგეტა მოტორსის“ იურიდიული დირექტორის პოზიციას და მართავს თეგეტა ჰოლდინგის იურიდიულ, საოფისე და შიდა სტანდარტების მიმართულებებს. იგი არის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის მაგისტრი.

• **ბატონი ალექსანდრე ბარნოვი - პროგრამული განვითარების დირექტორი**

ბატონი ალექსანდრე 15 წელზე მეტია კომპანიის გუნდის წევრია. მან კომპანიაში კარიერა დაიწყო 2005 წელს საწყობის ოპერატორის პოზიციაზე, ხოლო 2008 წლიდან 2017 წლამდე ბატონმა ალექსანდრემ მუშაობა განაგრძო ლოგისტიკის მოდულის ანალიტიკოსად. იგი 2017-2020 წლებში ის ხელმძღვანელობდა SAP ERP დეპარტამენტს. 2020 წლის ბოლოს კი გადაინაცვლა პროგრამული განვითარების დირექტორის თანამდებობაზე.

ბატონ ალექსანდრეს დასრულებული აქვს დაამთავრა ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამოყენებითი მათემატიკის ფაკულტეტი, დიფერენციალური განტოლებების სპეციალობით.

• **ქალბატონი ლია ბერუაშვილი - ორგანიზაციული განვითარების დირექტორი**

ქალბატონი ლია 2007 წლიდან 2014 წლამდე იკავებდა სხვადასხვა პოზიციას კერძო და საჯარო სექტორში. იგი თეგეტა მოტორსის გუნდს შემოუერთდა 2014 წლიდან და იკავებდა ადამიანურ რესურსების მართვის დეპარტამენტის უფროსის პოზიციას. 2017 წელს ქალბატონი ლია გახდა შპს თეგეტა აკადემიის დირექტორი. 2021-2022 წლებში იგი იკავებდა შპს ტოიოტა ცენტრის თეგეტას ადასრულებელი დირექტორი.

ამჟამად, 2022 წლის 7 დეკემბრიდან ქალბატონი ლია იკავებს ორგანიზაციული განვითარების დირექტორის პოზიციას.

სამეთვალყურეო საბჭო:

| სახელი                    | თანამდებობა   | წევრად დანიშვნის თარიღი | ვადა                  |
|---------------------------|---|-------------------------|-----------------------|
| თემურ კოხოძე              | სამეთვალყურეო საბჭოს თავჯდომარე                           | 26 მარტი 2019 წელი      | 2023 წლის 19 მაისამდე |
| გიორგი მშვილდაძე          | სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე                | 26 მარტი 2019 წელი      | 2023 წლის 19 მაისამდე |
| ზურაბ საყვარელიძე         | სამეთვალყურეო საბჭოს წევრი                                | 26 მარტი 2019 წელი      | 2023 წლის 19 მაისამდე |
| ვალერიან მეზვრიშვილი      | სამეთვალყურეო საბჭოს წევრი/აუდიტის კომიტეტის ხელმძღვანელი | 26 მარტი 2019 წელი      | 2023 წლის 19 მაისამდე |
| პერ გუსტავ რაგნარ ნილსონი | სამეთვალყურეო საბჭოს წევრი                                | 26 მარტი 2019 წელი      | 2023 წლის 19 მაისამდე |
| პაატა ჟღენტაძე            | სამეთვალყურეო საბჭოს წევრი                                | 01 ოქტომბერი 2020 წელი  | 2023 წლის 19 მაისამდე |
| მალხაზ ჯიმშიაშვილი        | სამეთვალყურეო საბჭოს წევრი                                | 26 ოქტომბერი 2022 წელი  | 2023 წლის 19 მაისამდე |

• **ბატონი თემურ კოხოძე** - *სამეთვალყურეო საბჭოს თავჯდომარე*

ბატონი თემური არის შპს „თი ჯი ემ ჯგუფის“ და შპს „თეგეტა მოტორსის“ დამფუძნებელი და დაარსების დღიდან 12 წლის განმავლობაში ის იყო შპს „თეგეტა მოტორსის“ გენერალური დირექტორი. ბატონმა თემურმა დატოვა გენერალური დირექტორის თანამდებობა 2007 წლის დასაწყისში და ჩაერთო საპარლამენტო არჩევნების კამპანიაში. 2008-2012 წლებში იყო საქართველოს პარლამენტის წევრი. 2012 წლის ბოლოდან შეუწყდა საქართველოს პარლამენტის დეპუტატის უფლებამოსილება და ამ დროიდან კვლავ აქტიურად ჩაერთო კომპანიის მენეჯმენტში. 2012 წლიდან თემურ კოხოძე პოლიტიკურად არააქტიურია და აგრძელებს შპს „თეგეტა მოტორსისა“ და შპს „თი ჯი ემ ჯგუფში“ შემავალი კომპანიების განვითარებას.

ბატონი თემური გახლავთ საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის კურსდამთავრებული საგზაო-სატრანსპორტო ოპერაციების მიმართულებით.

• **ბატონი გიორგი მშვილდაძე** - *სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე*

ბატონი გიორგი არის შპს „თი ჯი ემ ჯგუფის“ და შპს „თეგეტა მოტორსის“ დამფუძნებელი. ის 1995 წლიდან აქტიურად არის ჩართული შპს „თეგეტა მოტორსისა“ და მისი შვილობილი კომპანიების საქმიანობაში და წლების განმავლობაში იკავებს სხვადასხვა წამყვან პოზიციებს. 2007 წლიდან 2019 წლამდე პერიოდში მას ეკავა შპს „თეგეტა მოტორსის“ აღმასრულებელი დირექტორის პოზიცია, ხოლო 2019 წლის მარტიდან ერთი წლის განმავლობაში ის იკავებდა შპს „ტოიოტა ცენტრი თეგეტას“ გენერალური დირექტორის თანამდებობას. 2019 წლიდან ბატონი გიორგი მშვილდაძე იკავებს შპს „თეგეტა მოტორსის“ სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარის მოადგილის პოზიციას. ბატონ გიორგის აქვს დიდი გამოცდილება საავტომობილო ინდუსტრიაში, ის აქტიურად არის ჩართული კომპანიის განვითარების ყველა სტრატეგიული გადაწყვეტილების მიღების პროცესში. მან დაამთავრა საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი ინჟინერიის სპეციალობით.

• **ბატონი ზურაბ საყვარელიძე** - *სამეთვალყურეო საბჭოს წევრი*

ბატონი ზურაბი 1987 წლიდან მუშაობდა საქართველოს უზენაეს სასამართლოში სხდომის მდივნის, მოსამართლის თანაშემწის, საერთო განყოფილების უფროსისა და მოქალაქეთა საჩივრებისა და მიღების განყოფილების უფროსის მოადგილედ. მოგვიანებით, 1999 წლიდან 2005 წლამდე, გახლდათ პარტნიორი ადვოკატი შპს „იურიდიული კომპანია ვერდიქტი“. ზურაბ საყვარელიძის მოღვაწეობა შპს „თეგეტა მოტორსში“ იწყება 2005 წლიდან; სხვადასხვა დროს მუშაობდა იურისტის, იურიდიული



დეპარტამენტის ხელმძღვანელის (2005-2018 წლები), იურიდიულ საკითხებში გენერალური დირექტორის მრჩეველის პოზიციებზე (2018-2019 წლები). ზურაბ საყვარელიძე 2019 წლიდან დღემდე გახლავთ სამეთვალყურეო საბჭოს წევრი და კონსულტანტი იურიდიულ საკითხებში შპს „თეგეტა მოტორსში“. ბატონ ზურაბს უმაღლესი განათლება მიღებული აქვს სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში სამართალმცოდნეობის მიმართულებით.

• **ბატონი ვალერიან მეზერიშვილი - სამეთვალყურეო საბჭოს წევრი/აუდიტის კომიტეტის ხელმძღვანელი**

ბატონი ვალერიანი 2010-2016 წლებში იყო შპს “Universal Capital Group”-ის ფინანსური დირექტორი. ასევე, 2016-2017 წლებში გახლდათ შპს „Punto Pay“-ის აღმასრულებელი დირექტორი. შპს „თეგეტა მოტორსში“ მან კარიერა დაიწყო 2006 წლიდან, რა დროსაც მუშაობდა მთავარი ბუღალტრის პოზიციაზე, მოგვიანებით გადაინაცვლა ფინანსური დირექტორის პოზიციაზე და ამავე პერიოდში, 2007 წლიდან 2009 წლამდე, შეითავსა SAP პროექტების მენეჯერის საქმიანობა. ამჟამად, ვალერიან მეზერიშვილი იკავებს ფინანსური დირექტორის პოზიციას კომპანია Axios Holding Limited-ში და სამეთვალყურეო საბჭოს წევრისა და აუდიტის კომიტეტის ხელმძღვანელის პოზიციას შპს „თეგეტა მოტორსში“. მან დაამთავრა სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი მათემატიკის მიმართულებით.

• **ბატონი პერ გუსტავ რაგნარ ნილსონი - სამეთვალყურეო საბჭოს წევრი**

ბატონი პერ გუსტავ რაგნარ ნილსონი არის საავტომობილო სფეროში დიდი გამოცდილების მქონე პროფესიონალი. მას სხვადასხვა მსხვილ კომპანიაში უმუშავია ისეთ წამყვან პოზიციებზე, როგორცაა, Ashok Leyland-ის აღმასრულებელი დირექტორი, Lohr industries-ს ვიცე პრეზიდენტი. უნივერსიტეტის დასრულების შემდეგ მუშაობდა პროფესორის ასისტენტად საბჭოთა და აღმოსავლეთ ევროპის კვლევით ინსტიტუტში, შვედეთში. მოგვიანებით, მუშაობა განაგრძო The Swedish Management Group-ში უფროსი კონსულტანტის პოზიციაზე. პერ გუსტავ რაგნარ ნილსონი 1987 – 1992 წლებში იყო რექტორი და პროფესორი School of Business National Louis University-ში. ამავე პერიოდში მმართველ დირექტორად მუშაობდა Resco Partner Consultancy-ში. ამავე პოზიციაზე უმუშავია ისეთ კომპანიებში როგორცაა Mancare Consultancy (შვედეთი), Scania Russia and CIS (რუსეთი) და Mammut Trailer (არაბთა გაერთიანებული საამიროები). ამჟამად, 2019 წლიდან პერ გუსტავ რაგნარ ნილსონი არის ჰოლდინგური კომპანია „თეგეტა მოტორსის“ სამეთვალყურეო საბჭოს წევრი და დამოუკიდებელი კონსულტანტი ევროპის სხვადასხვა ინდუსტრიებში. მას პერ გუსტავ რაგნარ ნილსონს უმაღლესი განათლება მიღებული აქვს სტოკჰოლმის უნივერსიტეტში; საბაკალავრო საფეხურზე სოციოლოგიის, ხოლო სამაგისტრო საფეხურზე ბიზნეს ადმინისტრირებისა და პოლიტიკის მიმართულებით.

• **ბატონი პაატა ჟღენტი - სამეთვალყურეო საბჭოს წევრი**

ბატონი პაატა კომპანიის დაფუძნების პერიოდიდან იკავებდა როგორც გენერალური დირექტორის (2001 წელი), ასევე შემდეგ პოზიციებს: ავტოსერვისის დანადგარების, მოწყობილობების და სამრეწველო საქონლის დეპარტამენტის უფროსი (2003 წელი), ლოჯისტიკისა და შესყიდვების დეპარტამენტის უფროსის მოადგილე (2008 წელი), გენერალური დირექტორის მოადგილე (2015 წელი). ხელმძღვანელობდა კომპანიაში განხორციელებულ არაერთ პროექტს, მათ შორის ფილიალებისა და შვილობილი კომპანიების სამშენებლო მასალებითა და დანადგარებით სრულად აღჭურვის პროექტებს. პაატა ჟღენტი 2020 წლიდან არის შპს „თეგეტა მოტორსის“ სამეთვალყურეო საბჭოს წევრი. მას დამთავრებული აქვს ს.პ.ი.-ის ავტომექანიკური ფაკულტეტი, ავტომობილებისა და საავტომობილო მეურნეობის მიმართულებით.

• **ბატონი მალხაზ ჯიმშიაშვილი - სამეთვალყურეო საბჭოს წევრი**

ბატონი მალხაზი შპს „თეგეტა მოტორსის“ გუნდს შემოუერთდა 2003 წელს ავტოსათადარიგო ნაწილების დეპარტამენტის უფროსის პოზიციაზე. 2008 წლიდან იგი იკავებდა შესყიდვებისა და ლოჯისტიკის დეპარტამენტის უფროსის პოზიციას. 2009 წელს გახდა აღმასრულებელი დირექტორი, ხოლო 2013 წლის აპრილიდან 2013 წლის ივნისამდე იკავებდა ქსელის განვითარების დირექტორის თანამდებობას. ბატონი მალხაზი 1983-1991 წლებში სწავლობდა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი ფიზიკის ფაკულტეტზე. ფლობს მაგისტრის ხარისხს. 2022 წლიდან არის კომპანიის იკავებს სამეთვალყურეო საბჭოს წევრი.

ძირითადი საქმიანობის აღწერა:

საზოგადოებას, გარდა აღმასრულებელი და ფინანსური დირექტორისა, ხელმძღვანელობენ სამეთვალყურეო საბჭოს მიერ დანიშნული სხვა დირექტორები.

- თითოეული დირექტორი ახორციელებს წესდებით, სამეთვალყურეო საბჭოს მიერ დამტკიცებული საზოგადოების კორპორატიული მართვის დოკუმენტებითა და მასთან გაფორმებული ხელშეკრულებით მინიჭებულ უფლებამოსილებებს.
- თითოეული დირექტორი ხელმძღვანელობს კომპანიის იმ სტრატეგიულ ბიზნეს მიმართულებას, რომლის ხელმძღვანელობითი უფლებამოსილება მიენიჭება სამეთვალყურეო საბჭოს მიერ და წარმოადგენს საზოგადოებას სამეთვალყურეო საბჭოს მიერ განსაზღვრულ შვილობილ კომპანიებში მათი წესდებითა და საქართველოს კანონმდებლობით პარტნიორისათვის მინიჭებული სრული უფლებამოსილებით, დამოუკიდებლად, მათ შორის, დირექტორი უფლებამოსილია მიიღოს გადაწყვეტილება მისი ხელმძღვანელობის სფეროში ახალი შვილობილი კომპანიის შექმნის და არსებული კომპანიების რეგისტრირებულ მონაცემებში (მათ შორის წესდებაში) ცვლილებების შესახებ.
- თითოეული დირექტორი, მისთვის მინიჭებული უფლებამოსილების ფარგლებში, ამტკიცებს მისი მართვის სფეროში არსებული სტრატეგიული ბიზნეს მიმართულების საშტატო განრიგს აღმასრულებელი და ფინანსური დირექტორის მიერ დამტკიცებული საზოგადოების მართვის სტრუქტურის შესაბამისად, იღებს და ათავისუფლებს კომპანიის თანამშრომლებს, წყვეტს მათი წახალისებისა და დისციპლინური პასუხისმგებლობის საკითხებს.

**სამეთვალყურეო საბჭოს გადაწყვეტილების შესაბამისად:**

1. **სატვირთო და სპეციალური დანიშნულების ტექნიკის დირექტორი** ხელმძღვანელობს კომპანიის საქმიანობას კომერციული და სპეციალური ტექნიკის ბიზნესის განვითარების მიმართულებით, რაც მოიცავს საზოგადოებისა და შესაბამის სფეროში მოქმედი მისი შვილობილი კომპანიების საქმიანობის კოორდინაციას კომერციული, მგზავრთა გადასაყვანად განკუთვნილი ავტოსატრანსპორტო საშუალებების, სატვირთო და სპეციალური დანიშნულების ტექნიკითა და მათი ნაწილებით ვაჭრობას და ტექნიკურ მომსახურებას.
2. **მსუბუქი ავტომობილების გაყიდვების დირექტორი** ხელმძღვანელობს კომპანიის საქმიანობას მსუბუქი ავტომობილების ბიზნესის მიმართულებით, რაც მოიცავს საზოგადოებისა და შესაბამის სფეროში მოქმედი მისი შვილობილი კომპანიების საქმიანობის კოორდინაციას მსუბუქი ავტომობილებისა და მათი ნაწილებით როგორც საცალო, ისე საბითუმო ვაჭრობას და ტექნიკურ მომსახურებას მსუბუქი ავტომობილის მწარმოებელი ბრენდის ავტორიზებული სერვის ცენტრების მეშვეობით.
3. **კომერციული იმპორტების და საერთაშორისო ვაჭრობის დირექტორი** ხელმძღვანელობს კომპანიის საქმიანობას იმპორტის მიმართულებით, რაც გულისხმობს საზოგადოებისა და შესაბამის სფეროში მოქმედი მისი შვილობილი კომპანიების საქმიანობის კოორდინაციას ავტომობილების ნაწილების, ზეთების, საბურავების, აკუმულატორებისა და დანადგარების იმპორტს, ამავე დირექტორის კომპეტენციის სფეროდ განისაზღვრება საზოგადოებისა და მისი შვილობილი კომპანიების საქმიანობის კოორდინაცია საერთაშორისო ბაზარზე, აგრეთვე, ადამიანური რესურსების მართვა და დასაქმებულთა განვითარებისა და კვალიფიკაციის ამაღლების მიმართულება.
4. **ადგილობრივი გაყიდვების ოპერაციების დირექტორი** ხელმძღვანელობს კომპანიის საცალო და საბითუმო გაყიდვების მიმართულებას და ამავე სფეროში შექმნილ შესაბამის შვილობილ კომპანიებს.



## 11.2. ინფორმაცია აუდიტისა და ანაზღაურების კომიტეტების შესახებ.

კომპანიის სამეთვალყურეო საბჭოში ჰყავს 3 (სამი) წევრის შემადგენლობით ქვეკომიტეტი - აუდიტის კომიტეტი, რომელმაც უნდა გააკონტროლოს საზოგადოების ფინანსური ანგარიშგების უტყუარობა, უზრუნველყოს შიდა კონტროლის სისტემის ეფექტიანობა და შიდა აუდიტის დამოუკიდებლობა, წარმართოს გარე აუდიტორთან ურთიერთობა. აუდიტის კომიტეტი დაკომპლექტებულია სამეთვალყურეო საბჭოს შემდეგი წევრებისაგან - ვალერიან მეზვრიშვილი, გიორგი მშვილდაძე და ზურაბ საყვარელიძე. აუდიტის კომიტეტს ხელმძღვანელობს საბჭოს დამოუკიდებელი წევრი - ვალერიან მეზვრიშვილი.

„კომპანიას“ გააჩნია შიდა აუდიტის სამსახური, რომელიც პირდაპირ ექვემდებარება აუდიტის კომიტეტს.

## 11.3. კომპანიაში არსებული კორპორატიული მართვის სტანდარტის მოკლე აღწერა და პროსპექტის რელევანტურ ნაწილებზე მითითება.

1. თეგეტა მოტორსში კორპორატიული მართვის კუთხით არსებობს შემდეგი პროცესები:
  - პროცედურა რომელიც არეგულირებს შვილობილი და ურთიერთდამოკიდებული კომპანიების კონტროლს ზედამხედველი სტრუქტურიდან;
  - ხელშეკრულებების მართვის პროცედურა;
  - მარაგების მართვის პროცედურა;
  - დებიტორების და კრედიტორების მართვის პროცედურა;
  - ახალი კომერციული პროექტების ინიცირება და მართვა;
  - შიდა აუდიტის პროცესები: ფულადი სახსრების მოძრაობის აუდიტი, გადასახადების დარიცხვის აუდიტი, რეალიზაციებისა და ხარჯების აუდიტი, ხელფასის დაანგარიშების სისტემის აუდიტი სასაქონლო-მატერიალური მარაგების აღრიცხვისა და ნაშთების აუდიტი, დებიტორ/კრედიტორების ნაშთების აუდიტი, კომპანიაში არსებული საოპერაციო ინსტრუქციების სისწორისა და დაცვის აუდიტი, მომწოდებლებთან და მომხმარებლებთან დადებული ხელშეკრულებების აუდიტი ძირითადი საშუალებების აღრიცხვის და ნაშთების აუდიტი;
  - დირექტორატი სადაც ყოველკვირეულ ჭრილში განიხილება მიმდინარე საკითხები და რომელიც დაკომპლექტებულია ტოპ მენეჯმენტის სხვადასხვა წევრებისგან;
2. აღმასრულებელი და ფინანსური დირექტორის ფუნქციები:
  - მესამე პირების წინაშე საზოგადოების სრული წარმომადგენლობითი უფლებამოსილება ენიჭება აღმასრულებელ და ფინანსურ დირექტორს.
  - განკარგავს საზოგადოების ქონებას (საზოგადოების წესდების შესაბამისად);
  - გასცემს მინდობილობებს (პროკურის გარდა);
  - საზოგადოების სახელით დებს ხელშეკრულებებს;
  - ხსნის ანგარიშს/ანგარიშებს ბანკში და ახორციელებს საბანკო ოპერაციებს;
  - ადგენს და ამტკიცებს საზოგადოების მართვის სტრუქტურას და საზოგადოების მართვის სტრუქტურაში განხორციელებულ ცვლილებებს სამეთვალყურეო საბჭოსთან წინასწარი შეთანხმებით;
  - წყვეტს საზოგადოების მიმდინარე საქმიანობის სხვა საკითხებს, გარდა იმ საკითხებისა, რომლებიც განეკუთვნება საზოგადოების პარტნიორთა კრების, სამეთვალყურეო საბჭოს ან სხვა დირექტორის კომპეტენციას.

საზოგადოებას, გარდა აღმასრულებელი და ფინანსური დირექტორისა, ხელმძღვანელობენ სამეთვალყურეო საბჭოს მიერ დანიშნული სხვა დირექტორები. თითოეული დირექტორი ახორციელებს წესდებით, სამეთვალყურეო საბჭოს მიერ დამტკიცებული საზოგადოების კორპორატიული მართვის დოკუმენტებითა და მასთან გაფორმებული ხელშეკრულებით მინიჭებულ უფლებამოსილებებს. თითოეული დირექტორი ხელმძღვანელობს კომპანიის იმ სტრატეგიულ ბიზნეს მიმართულებას, რომლის ხელმძღვანელობითი უფლებამოსილება მიენიჭება სამეთვალყურეო საბჭოს მიერ და წარმოადგენს საზოგადოებას სამეთვალყურეო საბჭოს მიერ განსაზღვრულ შვილობილ კომპანიებში მათი წესდებითა და საქართველოს კანონმდებლობით პარტნიორისათვის მინიჭებული სრული უფლებამოსილებით, დამოუკიდებლად. მათ შორის, დირექტორი უფლებამოსილია მიიღოს გადაწყვეტილება მისი ხელმძღვანელობის სფეროში ახალი შვილობილი კომპანიის შექმნის და არსებული კომპანიების რეგისტრირებულ მონაცემებში (მათ შორის წესდებაში) ცვლილებების შესახებ; თითოეული დირექტორი, მისთვის მინიჭებული უფლებამოსილების ფარგლებში, ამტკიცებს მისი მართვის სფეროში არსებული სტრატეგიული ბიზნეს მიმართულების სამტატო განრიგს აღმასრულებელი და ფინანსური დირექტორის მიერ დამტკიცებული საზოგადოების მართვის სტრუქტურის შესაბამისად და საბჭოსთან წინასწარი შეთანხმებით იღებს და ათავისუფლებს კომპანიის თანამშრომლებს, წყვეტს მათი წახალისებისა და დისციპლინური პასუხისმგებლობის საკითხებს.

აღსანიშნავია, რომ 2022 წლის 1 იანვრამდე კანონმდებლობით კორპორატიული მართვის კოდექსის არსებობა მხოლოდ კომერციული ბანკებისთვის იყო დადგენილი, „საჯარო ფასიანი ქაღალდების ემიტენტებისათვის კორპორატიული მართვის კოდექსის დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის 2021 წლის 7 დეკემბრის №172/04 ბრძანებით (რომელიც ამოქმედდა 2022 წლის პირველი იანვრიდან) დამტკიცდა საჯარო ფასიანი ქაღალდების ემიტენტებისათვის კორპორატიული მართვის კოდექსი, რომლითაც განისაზღვრა, რომ საწარმოებმა უნდა უზრუნველყონ ამ კოდექსის მოთხოვნებთან შესაბამისობა ან მოთხოვნებთან შესაბამისობის ალტერნატივის წარმოდგენა თავიანთი ორგანიზაციული სტრუქტურისა და ზომითი კატეგორიის გათვალისწინებით. ამავე ბრძანების თანახმად, საჯარო ფასიანი ქაღალდების ემიტენტებმა ამ კოდექსით გათვალისწინებული ანგარიშგების პირველადად წარდგენა უზრუნველყონ 2023 წლის წლიური ანგარიშის წარდგენის თარიღისთვის, ამავე კოდექსით დადგენილი წესით.

## 12. თანამშრომლები

12.1. თანამშრომელთა საშუალო რაოდენობების მონაცემები.

| პერიოდი              | სულ   | უმაღლესი მენეჯმენტი |
|----------------------|-------|---------------------|
| 2016 წელი            | 1,003 | 10                  |
| 2017 წელი            | 1,263 | 10                  |
| 2018 წელი            | 1,405 | 10                  |
| 2019 წელი            | 1,847 | 17                  |
| 2020 წელი            | 1,971 | 26                  |
| 2021 წელი            | 2,316 | 20                  |
| 2022 წლის 31 აგვისტო | 2,428 | 12                  |
| 2023 წლის 31 იანვარი | 2,594 | 14                  |

## 13. მნიშვნელოვანი წილის მქონე აქციონერები (პარტნიორები)

13.1. 5%-ზე მეტის მქონე პირების ჩამონათვალი.

„კომპანიის“ პირდაპირი წილის მფლობელები და ბენეფიციარი მესაკუთრეები საწესდებო კაპიტალში წილის მიხედვით არიან პირები:

| მესაკუთრე                            | წილი   | საკუთრების ტიპი |
|--------------------------------------|--------|-----------------|
| შპს „თი ჯი ემ ჯგუფი“ (ს/ნ 405347058) | 98.78% | თანამესაკუთრე   |
| თემურ კოხომე (პ/ნ 42001000456)       | 1.22%  | თანამესაკუთრე   |

შპს „თი ჯი ემ ჯგუფის“ მფლობელები შემდეგი პირები არიან:

| მესაკუთრე                          | წილი  | საკუთრების ტიპი |
|------------------------------------|-------|-----------------|
| თემურ კოხომე (პ/ნ 42001000456)     | 92.1% | თანამესაკუთრე   |
| მარინე მუმლაძე (პ/ნ 01006011335)   | 3.95% | თანამესაკუთრე   |
| გიორგი მშვილდაძე (პ/ნ 01006011532) | 3.95% | თანამესაკუთრე   |

13.2. იმ ფაქტის დაკონკრეტება, აქვთ თუ არა განსხვავებული ხმის უფლებები 5%-ზე მეტი პირდაპირი ან არაპირდაპირი წილის მქონე აქციონერებს (პარტნიორებს).

კომპანიის პარტნიორებს თანაბარი ხმის უფლება აქვთ.

13.3. ემიტენტის კაპიტალში 5%-ზე მეტი წილის პირდაპირი და არაპირდაპირი მკონტროლებლები და მფლობელები, ამ კონტროლის აღწერა;

ინფორმაცია შეგიძლიათ იხილოთ 13.1 ნაწილში

13.4. ემიტენტისთვის ცნობილი ნებისმიერი გარიგების აღწერა, რომელიც უკავშირდება ემიტენტის კონტროლის სტრუქტურაში სამომავლო ცვლილებებს.

„ემიტენტისთვის“ „პროსპექტის“ წარდგენის მომენტში მსგავსი გარიგება ცნობილი არ იყო.

#### 14. ტრანზაქციები დაკავშირებულ მხარეებთან

14.1. ემიტენტსა და დაკავშირებულ მხარეებს შორის განხორციელებულ ტრანზაქციებთან დაკავშირებული დეტალები.

მხარეები ითვლებიან დაკავშირებულ მხარეებად თუკი ისინი იმყოფებიან საერთო კონტროლის ქვეშ ან თუკი ერთ მხარეს აქვს სრული ან ერთობლივი კონტროლი მეორე მხარის ფინანსურ და საოპერაციო გადაწყვეტილებებზე. დაკავშირებული მხარის სტატუსის განსაზღვრისას ყურადღება ენიჭება ურთიერთობის შინაარსს და არა იურიდიულ ფორმას

**პერიოდისა და საბალანსო მუხლის მიხედვით არსებული ბალანსი დაკავშირებულ მხარეებთან წარმოდგება შემდენიარად:**

2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით დაკავშირებულ მხარეებთან ნაშთები იყო შემდეგი:

|  | მესაკუთრეები | უმალესი რანგის<br>ხელმძღვა-<br>ნელობა | მეკავშირე<br>საწარმოები | სხვა დაკავში-<br>რებული<br>მხარეები |
|--|--------------|---------------------------------------|-------------------------|-------------------------------------|
| სავაჭრო და სხვა დებიტორული<br>დავალიანებები            | 74           | 252                                   | 3,417                   | 16,819                              |
| გამოკლებული: მოსალოდნელი<br>საკრედიტო ზარალის ანარიცხი | (38)         | (201)                                 | (2,858)                 | (4,342)                             |
| გადახდილი ავანსები                                     | -            | 6                                     | -                       | 2,590                               |
| გაცემული სესხები                                       | 6,677        | -                                     | -                       | 5,820                               |
| გამოკლებული: მოსალოდნელი<br>საკრედიტო ზარალის ანარიცხი | -            | -                                     | -                       | (354)                               |
| წასესხები სახსრები                                     | -            | -                                     | -                       | (942)                               |
| საიჯარო ვალდებულებები                                  | (6,857)      | -                                     | (584)                   | (15,322)                            |
| სხვა ფინანსური ვალდებულებები                           | (70,540)     | -                                     | -                       | (63)                                |
| სავაჭრო და სხვა კრედიტორული<br>დავალიანებები           | (139)        | (3)                                   | (617)                   | (5,472)                             |
| სახელშეკრულებო ვალდებულებები                           | -            | -                                     | -                       | (61)                                |
| მისაღები დივიდენდები                                   | -            | -                                     | 37                      | -                                   |
| გადასახდელი დივიდენდები                                | (13)         | -                                     | -                       | -                                   |
| გასაცემი ხელფასები                                     | (13)         | (3,231)                               | -                       | -                                   |
| ფინანსური თავდებობის<br>ხელშეკრულებები                 | -            | -                                     | -                       | (46)                                |

2020 წლის 31 დეკემბერს, დაკავშირებულ მხარეებთან ნაშთები იყო შემდეგი:

|  | მესაკუთრეები | უმალესი რანგის<br>ხელმძღვა-<br>ნელობა | მეკავშირე<br>საწარმოები | სხვა დაკავში-<br>რებული<br>მხარეები |
|--|--------------|---------------------------------------|-------------------------|-------------------------------------|
| სავაჭრო და სხვა დებიტორული<br>დავალიანებები            | -            | 347                                   | 2,936                   | 16,602                              |
| გამოკლებული: მოსალოდნელი<br>საკრედიტო ზარალის ანარიცხი | -            | (16)                                  | (1,304)                 | (2,919)                             |
| გადახდილი ავანსები                                     | -            | -                                     | -                       | 2,112                               |
| გაცემული სესხები                                       | -            | -                                     | -                       | -                                   |
| წასესხები სახსრები                                     | -            | -                                     | -                       | (913)                               |
| საიჯარო ვალდებულებები                                  | -            | (134)                                 | (512)                   | (11,181)                            |
| სხვა ფინანსური ვალდებულებები                           | -            | (24,286)                              | -                       | -                                   |
| სავაჭრო და სხვა კრედიტორული<br>დავალიანებები           | (35)         | (3)                                   | (631)                   | (5,751)                             |
| სახელშეკრულებო ვალდებულებები                           | -            | -                                     | (41)                    | (135)                               |
| მისაღები დივიდენდები                                   | -            | -                                     | 39                      | -                                   |
| გადასახდელი დივიდენდები                                | (13)         | -                                     | -                       | -                                   |
| გასაცემი ხელფასები                                     | (2)          | (2,989)                               | -                       | -                                   |
| ფინანსური თავდებობის ანარიცხი                          | -            | -                                     | -                       | -                                   |

**დაკავშირებულ მხარეებთან განხორციელებული ტრანზაქციები პერიოდისა და ტიპის მიხედვით წარმოდგება შემდეგნაირად:**

2021 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის დაკავშირებულ მხარეებთან შემდეგი გარიგებები დაფიქსირდა:

|  | მესაკუთრეები | უმალესი რანგის ხელმძღვანელობა | მეკავშირე საწარმოები | სხვა დაკავშირებული მხარეები |
|--|--------------|-------------------------------|----------------------|-----------------------------|
| საქონლის რეალიზაცია  | 35           | 110                           | 762                  | 28,289                      |
| შემოსავალი გაწეული მომსახურებიდან                          | 50           | 41                            | -                    | 997                         |
| საიჯარო შემოსავალი   | -            | -                             | -                    | 267                         |
| საქონლის გადასაყიდად შეძენა                                | -            | -                             | (4)                  | (34,939)                    |
| ძირითადი საშუალებების და მომსახურებების შეძენა             | -            | -                             | (16)                 | (1,680)                     |
| საიჯარო გადასახდელები                                      | (1,467)      | (31)                          | (269)                | (3,775)                     |
| ხელფასები და პრემიები                                      | (404)        | (6,812)                       | -                    | (518)                       |
| საპროცენტო შემოსავალი                                      | 1,038        | -                             | -                    | 614                         |
| საპროცენტო ხარჯი   | -            | -                             | -                    | (184)                       |
| შედეგების წილი   | -            | -                             | 306                  | -                           |
| შემოსავალი დივიდენდებიდან                                  | -            | -                             | 43                   | -                           |
| გადახდილი დივიდენდები                                      | (10,111)     | -                             | -                    | -                           |
| ფინანსური გარანტიის ხელახალი შეფასებით მიღებული შემოსულობა | -            | -                             | -                    | -                           |

2020 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის დაკავშირებულ მხარეებთან შემდეგი გარიგებები დაფიქსირდა:

|  | მესაკუთრეები | უმალესი რანგის ხელმძღვანელობა | მეკავშირე საწარმოები | სხვა დაკავშირებული მხარეები |
|--|--------------|-------------------------------|----------------------|-----------------------------|
| საქონლის რეალიზაცია                            | -            | 314                           | 3,637                | 78,302                      |
| შემოსავალი გაწეული მომსახურებიდან              | 42           | 26                            | -                    | 315                         |
| საიჯარო შემოსავალი                             | -            | -                             | -                    | 321                         |
| საქონლის გადასაყიდად შეძენა                    | -            | -                             | (517)                | (18,195)                    |
| ძირითადი საშუალებების და მომსახურებების შეძენა | -            | (112)                         | -                    | (2,562)                     |
| საიჯარო გადასახდელები                          | -            | (102)                         | (214)                | (2,797)                     |
| ხელფასები და პრემიები                          | (4)          | (6,956)                       | -                    | (8)                         |
| საპროცენტო შემოსავალი                          | 87           | 332                           | -                    | 75                          |
| საპროცენტო ხარჯი                               | -            | (266)                         | -                    | (39)                        |
| შედეგების წილი                                 | -            | -                             | 182                  | -                           |
| შემოსავალი დივიდენდებიდან                      | -            | -                             | 37                   | -                           |
| გადახდილი დივიდენდები                          | (1,391)      | -                             | -                    | -                           |
| ფინანსური გარანტიის ხელახალი                   | -            | -                             | -                    | -                           |

|                               |  |  |  |  |
|-------------------------------|--|--|--|--|
| შეფასებით მიღებული შემოსულობა |  |  |  |  |
|-------------------------------|--|--|--|--|

**15. ემიტენტის აქტივებსა და ვალდებულებებთან, ფინანსურ მდგომარეობასთან, მოგებასა და ზარალთან დაკავშირებული ფინანსური ინფორმაცია**

15.1. წლიური ფინანსური ანგარიშგებები.

თანდართულია 2020 და 2021 წლების აუდირებული ფინანსური ანგარიშგება და 2022 წლის არა-აუდირებული კონსოლიდირებული მენეჯერული ანგარიშგება მომზადებული ფასს სტანდარტების შესაბამისად.

დამატებითი ინფორმაციისთვის იხილეთ ნაწილი „საოპერაციო და ფინანსური მიმოხილვა“.

15.2. თუკი ემიტენტი არსებული მიმართულებით საქმიანობას ახორციელებს ორ წელზე ნაკლები დროის განმავლობაში, აუდირებული ფინანსური ანგარიშგებები წარდგენილი უნდა იყოს კანონის მოთხოვნების შესაბამისად დაარსებიდან განაცხადის შედგენამდე პერიოდისთვის.

კომპანია საქმიანობას ახორციელებს ორ წელზე მეტ ხანს.

15.3. სააღრიცხვო სტანდარტი.

ფინანსური ანგარიშგებები მომზადებულია ფინანსური აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად.

15.4. კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება.

წარმოდგენილია კონსოლიდირებული მონაცემები.

15.5. წარდგენილი ფინანსური ინფორმაციით დაფარული პერიოდი.

წარმოდგენილია 2020, 2021 და 2022 სრული წლების მონაცემები.

15.5.1. სააღრიცხვო თარიღი.

„ემიტენტს“ არ შეუცვლია სააღრიცხვო თარიღი.

15.6. შუალედური და სხვა ფინანსური ინფორმაცია.

15.6.1. კვარტალური ან ნახევარ-წლიური ანგარიშგების თანდართვა (თუ რელევანტურია).

თანდართულია 2022 წლის არა-აუდირებული მონაცემები. ანგარიშგებები შეგიძლიათ იხილოთ მე-3 დანართის 5 თავში „საოპერაციო და ფინანსური მიმოხილვა“. ასევე მოცულია წინა წლის შესაბამისი პერიოდის შესადარისი მონაცემები და შედგენილია ფინანსური აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტის მიხედვით.

15.6.2. შუალედური ფინანსური ანგარიშგებების თანდართვა (თუ რელევანტურია).

თანდართულია 2021 წლის აუდირებული და 2022 წლის არა-აუდირებული მონაცემები. ანგარიშგებები შეგიძლიათ იხილოთ მე-3 დანართის 5 თავში „საოპერაციო და ფინანსური მიმოხილვა“. ასევე მოცულია

წინა წლის შესაბამისი პერიოდის შესადარისი მონაცემები და შედგენილია ფინანსური აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტის მიხედვით.

თანდართულია 2022 წლის არა-აუდირებული მონაცემები. ანგარიშგებები შეგიძლიათ იხილოთ მე-3 დანართის 5 თავში „საოპერაციო და ფინანსური მიმოხილვა“.

#### 15.7. წლიური ფინანსური ანგარიშგებების აუდიტი.

კომპანიის 2020 და 2021 წლების ფინანსური ანგარიშგებები აუდირებულია და აუდიტორმა უპირობო დასკვნა გამოთქვა.

პრო-ფორმა ფინანსური ინფორმაცია.

ემიტენტის ფინანსურ მდგომარეობაში მნიშვნელოვანი ცვლილების შემთხვევაში (მაგ.: შერწყმა, შესყიდვა), ტრანზაქციის ეფექტის აღწერა ემიტენტის აქტივებსა და ვალდებულებებზე, ასევე ფინანსურ შედეგზე იმ დაშვებით რომ ის მოხდა ანგარიშგების საწყისი ან საბოლოო თარიღისთვის.

ეს მოთხოვნა როგორც წესი, შესრულდება პროსპექტში დანართი 5-ით განსაზღვრული პრო-ფორმა ფინანსური ინფორმაციის ჩართვით. ის იმავე სტანდარტებით უნდა იყოს მომზადებული, როგორც წლიური ფინანსური ანგარიშგებები.

„კომპანიის“ მიერ 2022 წელს მოხდა დაკავშირებული კომპანიების შესყიდვა, რაც აღწერილია ბიზნესების შესყიდვებისა და შერწყმების შესახებ ინფორმაციის თავში.

#### 15.8. დივიდენდების პოლიტიკა

##### 15.8.1. ერთ აქციაზე გაცემული დივიდენდის ოდენობა.

ემიტენტის დივიდენდების გაცემის პოლიტიკისა და მასთან დაკავშირებული შეზღუდვების აღწერა.

წესდება განსაზღვრავს დივიდენდის განაწილებასთან დაკავშირებით გადაწყვეტილების მიღების წესს. დივიდენდის სახით მოგების განაწილების გადაწყვეტილებას იღებს პარტნიორთა კრება, თუ მას ესწრება ხმების უმრავლესობის მქონე პარტნიორი და პარტნიორთა კრებაზე გადაწყვეტილება მიიღება მონაწილეთა ხმების უმრავლესობით. რაიმე განსხვავებული წესი პარტნიორებს შორის შეთანხმებული არ არის.

წინამდებარე „პროსპექტი“ არ არის გათვალისწინებული დივიდენდების გაცემაზე შეზღუდვა და კანონმდებლობასთან შესაბამისი წინაპირობები დაფარულია დანართ 2-ში.

#### 15.9. სასამართლო პროცესები.

ინფორმაცია ნებისმიერი სასამართლო (მათ შორის სავარაუდო სასამართლო დავების შესახებ, რომელსაც ემიტენტი ელის) პროცესის შესახებ სულ მცირე უკანასკნელი 12 თვის მანძილზე, რომელმაც შესაძლოა გავლენა მოახდინოს ან უკვე მოახდინა ემიტენტის ან ჯგუფის ფინანსურ მდგომარეობასა თუ მომგებიანობაზე, ან ასეთის არარსებობის შემთხვევაში - შესაბამისი განაცხადი.

ადმინისტრაციული დავა სსიპ სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოსა და ყაზბეგის მუნიციპალიტეტის მერიის წინააღმდეგ

„კომპანიის“ მონაწილეობით ამჟამად მიმდინარეობს ადმინისტრაციული დავა სსიპ სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოსა და ყაზბეგის მუნიციპალიტეტის მერიის წინააღმდეგ. 2018 წლის 15 ივნისს ყაზბეგის მუნიციპალიტეტის მერიის მიერ გამოცხადებულ ტენდერში 4 (ოთხი) ერთეული მაღალი გავლენის სპეციალიზებული ავტომანქანის შეძენასთან დაკავშირებით 2018 წლის 10 ივლისის #3 სხდომის ოქმის თანახმად გამარჯვებულად გამოცხადდა „კომპანია“. „კომპანიის“ გამარჯვებულად გამოცხადების თაობაზე სატენდერო სხდომის ოქმი გასაჩივრებულ იქნა შპს „კავკასუს მოტორსის“ მიერ დავების საბჭოში, რომლის გადაწყვეტილებითაც, სატენდერო კომისიას დაევალა მიღებული გადაწყვეტილების გადასინჯვა. აღნიშნული გადასინჯვის შედეგად, ყაზბეგის მუნიციპალიტეტის მუდმივმოქმედმა სატენდერო კომისიამ 2018 წლის 3 აგვისტოს #4 სხდომის ოქმით მიიღო გადაწყვეტილება „კომპანიის“ დისკვალიფიკაციისა და შავ სიაში რეგისტრაციის თაობაზე. სსიპ სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს პოზიცია ეყრდნობა იმ დასაბუთებას, რომ „კომპანიის“ მიერ ტენდერის განმავლობაში წარდგენილი დოკუმენტები (კერძოდ, „კომპანიის“ მიერ შეთავაზებული ავტომანქანის მწარმოებლის ან/და ოფიციალური დილერის მიერ გაცემული სატრანსპორტო მონაცემების შესახებ დოკუმენტი) მოპოვებული იყო არაკეთილსინდისიერი გზით. აღნიშნულის საპირისპიროდ, „კომპანიის“ მიერ წარდგენილ იქნა მტკიცებულებები, რომლებიც მიუთითებს, რომ სადაო დოკუმენტი „კომპანიის“ მიერ მოპოვებულ იქნა საჯარო სივრციდან (დოკუმენტი გავრცელებული იყო ინტერნეტში, სხვადასხვა ვებ-გვერდებზე), შესაბამისად, აღნიშნული დასაბუთებით „კომპანიამ“ გაასაჩივრა სსიპ სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს დავების განხილვის საბჭოს მიერ მიღებული გადაწყვეტილება. იმავდროულად, „კომპანიამ“ სარჩელით მიმართა მცხეთის რაიონულ სასამართლოს ყაზბეგის მუნიციპალიტეტის მერიის წინააღმდეგ და მოითხოვა სატენდერო კომისიის მიერ 2018 წლის 03 აგვისტოს მიღებული გადაწყვეტილების (სხდომის #3 ოქმი „კომპანიის“ დისკვალიფიკაციის და შავ სიაში რეგისტრაციის თაობაზე) ბათილად ცნობა და ახალი ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემა. თბილისის საქალაქო სასამართლოს მიერ „კომპანიის“ სარჩელი არ დაკმაყოფილდა, და ამჟამად მიმდინარეობს საქმის განხილვა თბილისის სააპელაციო სასამართლოს მიერ. დამატებით, მცხეთის რაიონული სასამართლოს 2018 წლის 12 სექტემბრის განჩინებით, სასამართლოს მიერ გადაწყვეტილების გამოტანამდე, სსიპ სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს ეკრძალება „კომპანიის“ რეგისტრაცია შავ სიაში. აღსანიშნავია, რომ იმ შემთხვევაშიც, თუკი სასამართლოს კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილების საფუძველზე მოხდება „კომპანიის“ შავ სიაში რეგისტრაცია, ეს გარემოება არ შეზღუდავს „კომპანიის“ შვილობილ კომპანიებს, რათა მათ მონაწილეობა მიიღონ სახელმწიფო შესყიდვებში. დამატებით, დადგენილი საქმიანობის პრაქტიკიდან ჩანს, რომ „კომპანია“ სახელმწიფო შესყიდვებში ძირითადად, შვილობილი კომპანიების წარმომადგენლობით მონაწილეობს. შესაბამისად, მიმდინარე დავის წარუმატებლად დასრულების შემთხვევაშიც კი, „კომპანიის“ შვილობილი კომპანიები შეძლებენ მონაწილეობის მიღება გააგრძელონ სახელმწიფოს მიერ გამოცხადებულ ტენდერებში.

ასევე, აღსანიშნავია, რომ საქართველოს კანონმდებლობის თანახმად, შავ სიაში რეგისტრაცია კონკრეტული ვადით არის შემოსაზღვრული. კერძოდ, შავ სიაში რეგისტრირებულ მიმწოდებლებს/პრეტენდენტებს, შავ სიაში შეტანიდან 1 წლის განმავლობაში არა აქვთ უფლება, მონაწილეობა მიიღონ სახელმწიფო შესყიდვებში და დადონ სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულება. შესაბამისად, იმ შემთხვევაშიც კი, თუკი მოხდება „კომპანიის“ შავ სიაში რეგისტრაცია, ერთწლიანი ვადის გასვლის შემდეგ, „კომპანია“ შეზღუდვების გარეშე შეძლებს მონაწილეობა მიიღოს სახელმწიფო შესყიდვებში.

გარდა ამისა, მითითებულ საქმესთან პირდაპირი კავშირი აქვს იმ გარემოებას, რომ მიმდინარე 2022 წელს სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს გადაწყვეტილებით შპს „თეგეტა მოტორსი“ დარეგისტრირდა შესყიდვებში მონაწილე კვალიფიციურ მიმწოდებელთა რეესტრში (შემდგომ – თეთრი სია), რასაც საფუძველად დაედო არაერთ სახელმწიფო ტენდერში „კომპანიის“ კეთილსინდისიერი ქცევისა და შემსყიდველთა კმაყოფილების შესახებ სათანადო მტკიცებულებების



წარდგენა, რაც ამყარებს და კიდევ ერთხელ ადასტურებს იმ ფაქტს, რომ სახელმწიფო შემსყიდველებისათვის „კომპანია“ წარმოადგენს კვალიფიციურ და კეთილსინდისიერ მიმწოდებელს.

დამატებით, „კომპანია“ ამჟამად აწარმოებს სასამართლო დავებს, რომელთა უმეტესი ნაწილი შეეხება ფულადი ვალდებულების ამოღებას დებიტორებისაგან, ანდა ავანსის სახით გაცემული აქტივების დაბრუნებას, აგრეთვე, რამდენიმე დავა, რომელიც სადავო თანხის ოდენობის სიმცირის გათვალისწინებით მიუხედავად იმისა, თუ როგორი შედეგით დასრულდება ის, არ ახდენს გავლენას ემიტენტის ან ჯგუფის ფინანსურ მდგომარეობასა თუ მომგებიანობაზე.

15.6. ემიტენტის ფინანსურ ან კომერციულ მდგომარეობაში მნიშვნელოვანი ცვლილებების აღწერა ბოლო ფინანსური პერიოდის შემდეგ, რომლისთვისაც წარდგენილია აუდირებული ანგარიშგება ან შუალედური არა-აუდირებული ინფორმაცია, ემიტენტის ან მისი ჯგუფის ფინანსურ ან კომერციულ საქმიანობასთან დაკავშირებული მნიშვნელოვანი ცვლილებების აღწერა, ან ცვლილებების არარსებობის შემთხვევაში - ამგვარი განაცხადი.

2021 წლის 30 ივნისის დასრულებული პერიოდისთვის მომზადებული არა-აუდირებული ფინანსური ანგარიშგების შემდეგ ადგილი არ ჰქონია „ემიტენტის“ ფინანსურ ან კომერციულ მდგომარეობაში მნიშვნელოვანი ცვლილებებს.

15.10. ემიტენტის ფინანსურ ან კომერციულ მდგომარეობაში მნიშვნელოვანი ცვლილებების აღწერა.

მსგავსი ცვლილება დაფიქსირებული არ არის.

## 16. დამატებითი ინფორმაცია

### 16.1. კაპიტალი.

16.1.1. გამოშვებული სააქციო კაპიტალის ოდენობა, ანაზღაურებული აქციების რაოდენობა, აქციების ნომინალური ღირებულება, მათთან დაკავშირებული უფლებების აღწერა.

კომპანია წარმოადგენს შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოებას და შესაბამისად არ გააჩნია სააქციო კაპიტალი, აქციები ან აქციათა კლასები.

16.1.2. იმ წილების რაოდენობა, საბალანსო ღირებულება და ნომინალი, რომლებსაც თავად ემიტენტი ან მისი რომელიმე შვილობილი ფლობს..

თავად „კომპანია“ და მისი შვილობილები არ ფლობს წილს კომპანიაში.

16.1.3. სააქციო კაპიტალის ისტორიული მონაცემები

კომპანიას არ გააჩნია განცხადებული მაგრამ ჯერ არ გამოშვებული კაპიტალი ან კაპიტალის სამომავლო გაზრდასთან დაკავშირებული ვალდებულებები.

კომპანიის პარტნიორები სარგებლობენ თანაბარი უფლებებით. მათ უფლება აქვთ მიიღონ მონაწილეობა კომპანიის მართვაში წესდებით დადგენილი წესით, მიიღონ დივიდენდი მათი წილობრივი მონაწილეობის პროპორციულად, ინიცირება გაუკეთონ პარტნიორთა კრებაზე განსახილველ საკითხს, გაასხვისონ წილი მხოლოდ პარტნიორთა კრების თანხმობის შემთხვევაში და ა.შ. ამასთან, თითოეული პარტნიორი ვალდებულია დაიცვას საზოგადოების წესდება, შეასრულოს პარტნიორთა კრების გადაწყვეტილება, დროულად შეიტანოს შენატანი საზოგადოების კაპიტალში, არ განახორციელოს ქმედება, რომელიც ზიანს მიაყენებს ან საფრთხეს შეუქმნის საზოგადოების ან პარტნიორების ინტერესებს და დაიცვან კომპანიის კომერციული საიდუმლო.

#### 16.1.4. ინფორმაცია აქციონერების უფლებებთან დაკავშირებით

მსგავსი ინფორმაცია არ არის.

### 17. მატერიალური ხელშეკრულებები

#### 17.1. კონტრაქტების პირობების მიმოხილვა

ასეთ ხელშეკრულებებს ადგილი არ ჰქონია.

### 18. გაკეთებული მითითებების ჩამონათვალი

#### 18.1. იმ დოკუმენტების ჩამონათვალი, რომლებიც ნახსენებია რეგისტრაციის დოკუმენტში

გამოყენებული ანგარიშები:

- 2020 და 2021 წლებში აუდირებული ფინანსური ანგარიშგება და აუდიტორის დასკვნა (ხელმისაწვდომია [www.reportal.ge](http://www.reportal.ge)-ზე)
- Scope Ratings-ის საკრედიტო ანგარიში შპს „თეგეტა მოტორსისთვის“ BB- რეიტინგის მინიჭების შესახებ. წყარო- <https://www.scooperatings.com/#!search/rating/detail/CR0000562214> და <https://www.scooperatings.com/ratings-and-research/rating/EN/172360>
- კომპანიის წესდება (NAPR-სისტემაში განცხადების ნომერი: [B22136776])
- ხელშეკრულება განთავსების აგენტსა და ემიტენტს შორის
- ხელშეკრულება კალკულაციისა და გადახდის აგენტსა და ემიტენტს შორის ხელმისაწვდომია განთავსების აგენტთან
- თავდებობის ხელშეკრულება
- მეორე მხარის მოსაზრების მომწოდებელი/ გარე დამადასტურებელი პირი: Sustainalytics, Morningstar Company, დადასტურებული ვერიფიკატორი Climate Bonds Initiative-ის ფარგლებში. (<https://www.climatebonds.net/certification/approved-verifiers> , ყველაზე დიდი გარე მიმოხილვის მომწოდებელი 2020 წლის მონაცემებით). ვებ-გვერდი: [www.sustainalytics.com](http://www.sustainalytics.com); ელ.ფოსტა: [contact@sustainalytics.com](mailto:contact@sustainalytics.com) .

ზემოთ ჩამოთვლილი დოკუმენტები, კერძოდ ხელშეკრულება განთავსების აგენტსა და ემიტენტს შორის და ხელშეკრულება კალკულაციისა და გადახდის აგენტსა და ემიტენტს შორის წარმოადგენს კონფიდენციალურ დოკუმენტებს, რომელთა გამოქვეყნებასაც ემიტენტი არ გეგმავს, თუმცა აღნიშნული დოკუმენტების გაცნობა არსებული და პოტენციურ ინვესტორებისთვის ფიზიკური ფორმით შესაძლებელია ემიტენტის პროსპექტში მითითებულ მისამართზე, ისევე როგორც ელექტრონული ფორმით, პროსპექტში მითითებული ელექტრონული ფოსტიდან გამოთხოვის შემთხვევაში. დამატებით ემიტენტი არ გეგმავს თავდებობის ხელშეკრულების გასაჯაროვებას. თუმცა აღნიშნული დოკუმენტის გაცნობა არსებული და პოტენციურ ინვესტორებისთვის

ფიზიკური ფორმით შესაძლებელია ემიტენტის პროსპექტში მითითებულ მისამართზე, ისევე როგორც ელექტრონული ფორმით, პროსპექტში მითითებული ელექტრონული ფოსტიდან გამოთხოვის შემთხვევაში. არსებული ინვესტორებისთვის ზემოაღნიშნული დოკუმენტების ბოლო ხელმისაწვდომი ვერსიის გაზიარება ელექტრონული ფორმით უნდა განხორციელდეს მოთხოვნის დაფიქსირებიდან არაუგვიანეს 5 სამუშაო დღის ვადაში.

## **ფასიანი ქაღალდების მიმოხილვა**

### **1. მნიშვნელოვანი ინფორმაცია.**

#### **1.1. განაცხადი საბრუნავი კაპიტალის შესახებ.**

„კომპანიის“ საბრუნავი კაპიტალი (მოკლევადიან აქტივებს მინუს მოკლევადიანი ვალდებულებები) 2021 წლის 31 დეკემბერს იყო 97,187 ათასი ლარი, ხოლო 2022 წლის 31 დეკემბერს 136,399 ლარს შეადგენდა შესაბამისად, „კომპანიის“ მენეჯმენტის შეფასებით, „კომპანიის“ საბრუნავი კაპიტალი საკმარისი არის მისი მიმდინარე ვალდებულებების დასაკმაყოფილებლად.

#### **1.2. შეთავაზების განხორციელებაში ჩართული პირების ინტერესის და შესაძლო ინტერესთა კონფლიქტის აღწერა.**

„კომპანიასა“ და „განთავსების აგენტს“ შორის არ არის ინტერესთა კონფლიქტი, მხარეები არ არიან დაკავშირებული და/ან „აფილირებული პირები“, არ იკვეთება ინტერესთა კონფლიქტი

ინფორმაცია „ემიტენტის“ რეგისტრატორის შესახებ წარმოდგენილია „ობლიგაციის“ შეთავაზების „პირობების“ დოკუმენტში. ინფორმაცია ფასიანი ქაღალდების რიგითობა კაპიტალის სტრუქტურაში გადახდისუუნარობის/გაკოტრების შემთხვევაში წარმოდგენილია „ობლიგაციის“ შეთავაზების „პირობების“ დოკუმენტში.

„ემიტენტს“ არ გააჩნია სხვა ინფორმაცია და ვარაუდი გარიგებასთან დაკავშირებული სხვა არსებული და პოტენციური ინტერესის კონფლიქტების შესახებ.

**მესამე პირებთან დაკავშირებული ინფორმაცია და ობლიგაციის პირობებში შეგიძლიათ იხილოთ ობლიგაციის პირობების ინფორმაცია, რომელიც ეხება შესათავაზებელ ფასიან ქაღალდებს**

#### **1.3. შესათავაზებელი/სავაჭროდ დასაშვები ფასიანი ქაღალდის სახეობა (ტიპი) და კლასი.**

„მწვანე ობლიგაციები“ წარმოადგენს „კომპანიის“ პირდაპირ, სოლიდარული თავდებობით უზრუნველყოფილ ვალდებულებებს, რომლებიც რიგითობით უთანაბრდება ერთმანეთს და „კომპანიის“ ყველა სხვა სოლიდარული თავდებობით უზრუნველყოფილ და არასუბორდინირებულ ვალდებულებას. „ობლიგაციები“ არ იქნება არც ერთი მთავრობის ვალდებულება. ობლიგაციები შეესაბამება მწვანე ობლიგაციების პრინციპებს.

ობლიგაციების დაფარვის თარიღია 2025 წლის 16 დეკემბერი და ამ თარიღამდე ობლიგაციების გამოსყიდვა დაუშვებელია ობლიგაციონერის წინასწარი წერილობითი თანხმობის გარეშე.

#### **1.4. კანონმდებლობა, რომლის შესაბამისადაც ხდება ამ ფასიანი ქაღალდების გამოშვება.**

ობლიგაციების გამოშვება ხდება საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად

#### **1.5. ინფორმაცია რეგისტრატორის შესახებ.**

სს „კავკასრეესტრი“ მისამართი: ვაჟა-ფშაველას 71, თბილისი 0186, საქართველო

1.6. ინფორმაცია იმის შესახებ, თუ რა ვალუტაშია ნომინირებული გამოსაშვები ფასიანი ქაღალდი.

ობლიგაციები გამოეშვა არამატერიალური, რეგისტრირებული ფორმით. ობლიგაციების დენომინაცია შეადგენს 100,000 (ასი ათას) ლარს. გამოშვების თარიღია [●] (გამოშვების თარიღი).

1.7. გადახდისუუნარობის შემთხვევაში, შესათავაზებელი ფასიანი ქაღალდის რიგითობა ემიტენტის კაპიტალის სტრუქტურაში.

მწვანე „ობლიგაციები“ წარმოადგენს „კომპანიის“ სოლიდარული თავდებობით უზრუნველყოფილ ვალდებულებებს, კომპანიას, ობლიგაციების მფლობელ(ებ)სა და გარანტორებს (როგორც ქვემოთ არის განსაზღვრული) შორის სოლიდარული თავდებობის ხელშეკრულების შესაბამისად („თავდებობის ხელშეკრულება“), რომლებიც რიგითობით უთანაბრდება ერთმანეთს (pari passu) და „კომპანიის“ ყველა სხვა თავდებობით უზრუნველყოფილ და არასუბორდინირებულ ვალდებულებას. აქედან გამომდინარე, „კომპანიის“ წინააღმდეგ „ობლიგაციებთან“ დაკავშირებული ნებისმიერი სახის მოთხოვნა არ იქნება უზრუნველყოფილი „კომპანიის“ კონკრეტული უძრავი ან მოძრავი აქტივებით. მიუხედავად იმისა, რომ ობლიგაციები უზრუნველყოფილია გარანტორების მიერ გაცემული სოლიდარული თავდებობით და აღნიშნული უფლებას აძლევს ობლიგაციონერებს მოითხოვონ დაკმაყოფილება „ემიტენტისგან“ ან/და ერთი, რამდენიმე ან ყველა გარანტორებისგან პროსპექტით და შესაბამისი თავდებობის ხელშეკრულებით გათვალისწინებული წესის შესაბამისად მოქმედი კანონმდებლობით, კერძოდ, „რეაბილიტაციის და კრედიტორთა კოლექტიური დაკმაყოფილების შესახებ“ საქართველოს კანონის მიხედვით, უზრუნველყოფილ კრედიტორად ითვლებიან, კრედიტორები, რომელთა მოთხოვნაც საქართველოს სამოქალაქო კოდექსით დადგენილი წესით უზრუნველყოფილია იპოთეკით ან გირავნობით. შესაბამისად, თავდებობის ხელშეკრულების არსებობა არ ანიჭებს „ობლიგაციონერებს“ უზრუნველყოფილი კრედიტორის სტატუსს და „კომპანიის“ ან შესაბამისი გარანტორების გადახდისუუნარობის შემთხვევაში, ობლიგაციონერები დაკმაყოფილდებიან გადახდისუუნარობის მასიდან, როგორც არაუზრუნველყოფილი კრედიტორები. რაც ნიშნავს იმას, რომ უზრუნველყოფილ კრედიტორებს (კრედიტორებს, ვისი მოთხოვნაც „კომპანიის“ აქტივების იპოთეკით ან გირავნობით არის უზრუნველყოფილი) ენიჭება უპირატესობა არაუზრუნველყოფილი კრედიტორების მიმართ - უზრუნველყოფილი კრედიტორების სასარგებლოდ დადებული უზრუნველყოფის საშუალებასთან მიმართებით. „რეაბილიტაციისა და კრედიტორთა კოლექტიური დაკმაყოფილების შესახებ“ კანონის 104-ე მუხლი არეგულირებს გადახდისუუნარობის მასის განაწილების წესს კრედიტორებს შორის და მის თანმიმდევრობას/რანგირებას. ზემოაღნიშნული კანონის 104.1.ე მუხლის თანახმად „ობლიგაციების მფლობელების“ მოთხოვნები, რომლებიც უზრუნველყოფილია თავდებობის ხელშეკრულებით, მოექცევა არაუზრუნველყოფილი მოთხოვნების კატეგორიაში.

**1.8. იმ უფლებების და შეზღუდვების აღწერა, რომლებიც თან ერთვის ფასიან ქაღალდებს და აღნიშნული უფლებების განხორციელების პროცედურა.**

„ობლიგაციების“ პირობები და „ობლიგაციონერთა“ უფლებები განისაზღვრება: წინამდებარე „პროსპექტით“, მათ შორის, წინამდებარე ობლიგაციების გამოშვების პირობებით და ემიტენტს, გარანტორებსა და ობლიგაციონერებს შორის გაფორმებული თავდებობის ხელშეკრულებით. ასევე, „პროსპექტისა“ და „თავდებობის ხელშეკრულების“ დებულებებს შორის რაიმე კონფლიქტის შემთხვევაში, უპირატესობა ენიჭება „პროსპექტის“ დებულებებს.

ფინანსური კოეფიციენტების გადათვლა ფაქტობრივი მონაცემებით მოცემულია პროსპექტის მე-2 დანართის 2.2.8 თავში.

## 2.6.1. თავდებობა

### (ა) თავდებობის ხელშეკრულება

„თავდებობის ხელშეკრულება“ უზრუნველყოფს „ემიტენტის“ ამ „პროსპექტიდან“ გამომდინარე ვალდებულებებს. აღნიშნული ხელშეკრულებით, „გარანტორები“ „ობლიგაციონერების“ წინაშე პასუხს აგებენ „ემიტენტის“ ვალდებულებებისათვის სოლიდარულად, მთელი თავიანთი ქონებით. გარდა ამისა, თავდებობის ხელშეკრულება თავის თავში მოიაზრებს „ობლიგაციონერების“ უფლებას იმოქმედონ ერთი, რამდენიმე ან ყველა „გარანტორის“ წინააღმდეგ იმგვარად, რომ ჯერ არ სცადონ ობლიგაციების გამოშვების პირობების იძულებითი აღსრულება ემიტენტის წინააღმდეგ. ნებისმიერ შემთხვევაში, ობლიგაციების პირობები უნდა აღსრულდეს „ემიტენტის“ ან/და ერთი, რამდენიმე ანდა ყველა გარანტორის წინააღმდეგ და მოთხოვნის წაყენება უნდა მოხდეს ამ „პროსპექტისა“ და თავდებობის ხელშეკრულების პირობების დაცვით.

### (ბ) თავდებობის ხელშეკრულების დადება

„თავდებობის ხელშეკრულება“ და გარანტორების განცხადებები უნდა გაფორმდეს ობლიგაციების გამოშვებიდან 30 (ოცდაათი) „სამუშაო დღის“ განმავლობაში. თავდებობის ხელშეკრულებას და გარანტორების განცხადებებს ხელი მოეწერება მარტივი წერილობითი ფორმით, რაც ნიშნავს რომ მასზე ხელმოწერები არ იქნება დამოწმებული ან დადასტურებული ნოტარიუსის მიერ.

## 2.6.2. ვალდებულებები

### (ა) უზრუნველყოფის საშუალების გამოყენების შეზღუდვა:

მანამ სანამ რომელიმე „ობლიგაცია“ რჩება გადაუხდელო, „ემიტენტმა“ არ უნდა დაუშვას და მოახდინოს და არ უნდა დაუშვას, რომ მისმა რომელიმე „შვილობილმა კომპანიამ“ დაუშვას ან მოახდინოს, მის ან მათ რომელიმე არსებულ ან სამომავლო აქტივზე (მათ შორის „მწვანე ინვესტარის“ ნებისმიერ ან ყველა ნაწილზე) პირდაპირ ან არაპირდაპირ რაიმე უზრუნველყოფის საშუალების (ან სხვა სამართლებრივი შეზღუდვის) წარმოშობა, დადება ან არსებობა გარდა „ნებადართული უზრუნველყოფისა“, რაიმე ფინანსური ვალდებულების უზრუნველსაყოფად მესამე პირების სასარგებლოდ.

### (ბ) საქმიანობის გაგრძელება, ავტორიზაციების შენარჩუნება და იურიდიული ნამდვილობა:

„ემიტენტმა“ და მისმა თითოეულმა „შვილობილმა კომპანიამ“ უნდა განახორციელოს ნებისმიერი აუცილებელი ქმედება, რაც აუცილებელია მისი კორპორაციული არსებობისა და საქმიანობის გასაგრძელებლად და მის საქმიანობასთან დაკავშირებული ყველა მნიშვნელოვანი ინტელექტუალური საკუთრების გამოსაყენებლად, მათ შორის, მოიპოვოს ამისათვის საჭირო ყველა თანხმობა, ლიცენზია, დადასტურება და ავტორიზაცია.

„ემიტენტმა“ უნდა განახორციელოს ნებისმიერი ქმედება, რომელიც აუცილებელია ყველა ავტორიზაციის, დადასტურების, ლიცენზიისა და თანხმობის იურიდიული ძალის შესანარჩუნებლად და მიიღოს ყველა ზომა, რომელიც მოთხოვნილია საქართველოს კანონმდებლობით და რეგულაციებით, რათა კანონიერად შეასრულოს „ობლიგაციებიდან“ გამომდინარე მისი ვალდებულებები და უზრუნველყოს „ობლიგაციების“, აღნიშნული პროსპექტისა და თავდებობის ხელშეკრულებების კანონიერება, ნამდვილობა, აღსრულებადობა და მტკიცებულებად დასაშვებობა საქართველოში.

(გ) **შერწყმა:**

i. „ობლიგაციების მფლობელების“ წინასწარი წერილობითი თანხმობის გარეშე, „ემიტენტმა“ არ უნდა განახორციელოს და არ უნდა მისცეს უფლება შვილობილ კომპანიებს:

(i) განახორციელოს რაიმე სახის რეორგანიზაცია (შერწყმის, გაყოფის ან სხვა ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმის იურიდიულ პირად გარდაქმნის გზით) ან (ii) ერთი ან რამდენიმე დაკავშირებული ტრანზაქციის ფარგლებში, პირდაპირ ან არაპირდაპირ, გააერთიანოს ან შეერწყას ნებისმიერ სხვა კომპანიას ან (iii) გაყიდოს, გაასხვისოს, გადასცეს, იჯარით გასცეს ან სხვაგვარად განკარგოს „ემიტენტის“ მთლიანი ქონება ან აქტივები ან მათი მნიშვნელოვანი ნაწილი (კონსოლიდირებულ საფუძველზე განსაზღვრული), გარდა იმ შემთხვევისა, როცა:

(A) ზემოაღნიშნული ტრანზაქციის შემდეგ დაუყოვნებლივ:

(i) უფლებამონაცვლე სუბიექტი არის ემიტენტი, გარანტორი ან შვილობილი კომპანია (გარემოებების გათვალისწინებით) ან თუ არ არის ემიტენტი, გარანტორი ან შვილობილი კომპანია, უფლებამონაცვლე სუბიექტმა უნდა იკიროს ემიტენტის, გარანტორის ან შვილობილის (გარემოებების გათვალისწინებით) ყველა უფლება და ვალდებულება, რომელიც გამომდინარეობს ობლიგაციებიდან ან/და თავდებობის ხელშეკრულებიდან;

(ii) უფლებამონაცვლე სუბიექტმა (თუ არ არის ემიტენტი, გარანტორი ან შვილობილი კომპანია (გარემოებების გათვალისწინებით) უნდა შეინარჩუნოს და/ან მიიღოს ემიტენტის, გარანტორის ან შვილობილი კომპანიის ყველა უფლება და ვალდებულება, რომელიც გამომდინარეობს ყველა მნიშვნელოვანი სამთავრობო ნებართვიდან, ლიცენზიიდან, თანხმობიდან და ავტორიზაციიდან, და დაიცვას ყველა მნიშვნელოვანი მარეგულირებელი მოთხოვნა თითოეულ იმ სახელმწიფოში, სადაც ის ოპერირებს;

(B) აღნიშნულიდან გამომდინარე არ დადგება და არ გაგრძელდება ნებისმიერი დეფოლტის შემთხვევა; ან/და

(C) შესაბამის ტრანზაქციას არ ექნება არსებითი უარყოფითი გავლენა ემიტენტის, გარანტორის ან შვილობილი კომპანიის (გარემოებების გათვალისწინებით) ან შესაბამისი უფლებამონაცვლე პირის უნარზე დროულად შეასრულოს ობლიგაციებიდან და/ან თავდებობის ხელშეკრულებიდან ან სხვა „ფინანსური ვალდებულებიდან“ გამომდინარე ვალდებულებები, ან ემიტენტის, გარანტორის ან შვილობილი კომპანიის (გარემოებების გათვალისწინებით) პერსპექტივასა და ფინანსურ მდგომარეობაზე

(დ) **განკარგვები:** თუ სხვაგვარად არ არის განსაზღვრული წინამდებარე „პირობებით“, „პირობების“ 2.6.2(გ) პუნქტის (შერწყმა) დებულებების შეუზღუდავად, „ემიტენტი“ და მისი „შვილობილი კომპანიები“, ერთი ან რამდენიმე ტრანზაქციის (მიუხედავად იმისა, დაკავშირებულია თუ არა აღნიშნული ტრანზაქციები ერთმანეთთან) ფარგლებში, თავიანთ შემოსავლებს ან/და აქტივებს მთლიანად ან ნაწილობრივ არ გაყიდიან, გადასცემენ, გასცემენ იჯარით ან სხვაგვარად არ განკარგავენ ნებისმიერ „პირზე“, გარდა „ემიტენტისა“ ან „ემიტენტის“ „შვილობილი კომპანიისა“, თუ ამგვარი შემოსავლისა ან/და აქტივების ღირებულება აღემატება ჯგუფის კონსოლიდირებული აქტივების 25%-ს, რომელიც განისაზღვრება უახლეს „IFRS ფინანსურ პერიოდში“ „IFRS“-ის შესაბამისად შედგენილ „ემიტენტის“ კონსოლიდირებულ საბალანსო ფურცელზე მითითებით. ყოველგვარი გაუგებრობის გამოსარიცხად ზუსტება, რომ ამ პუნქტში მოხსენიებული ტერმინი „განკარგვა“ თავის თავში არ მოიცავს ქონების უზრუნველყოფის საშუალებად გამოყენების შემთხვევას, რაც რეგულირდება პროსპექტში განხილული შესაბამისი სპეციალური დათქმით.

წინამდებარე პუნქტი („პირობების“ 2.6.2.(დ) პუნქტი) არ გამოიყენება შემდეგ შემთხვევებში:

- (i) ნებისმიერ იმ ტრანზაქციასთან მიმართებით, რომელიც ხორციელდება „ემიტენტსა“ და მის ნებისმიერ „შვილობილ კომპანიას“ ან „ემიტენტის შვილობილ“ კომპანიებს შორის, თუ „ემიტენტი“ წარმოადგენს ამგვარი შვილობილი კომპანიის „მაჟორიტარ პარტნიორს“;
- (ii) აქტივების ან ქონების (ნაღდი ფულისა და ფასიანი ქაღალდების ჩათვლით) ნებისმიერ გაყიდვასთან, იჯარით გაცემასთან, გადაცემასთან ან სხვაგვარ განკარგვასთან მიმართებით, თუ აღნიშნული წარმოადგენს „ნებადართულ უზრუნველყოფას“;
- (iii) აქტივების იჯარით გაცემასთან, გაყიდვასთან, შექმნასთან, ყიდვასთან ან განკარგვასთან მიმართებით, თუ აღნიშნული ხორციელდება ჩვეულებრივი საქმიანობის და ოპერირების ფარგლებში, ან
- (iv) ნებისმიერ ისეთი არსებულ ან სამომავლო აქტივებთან ან შემოსავლებთან ან მათ ნაწილთან მიმართებით, რომელიც წარმოადგენს ნებისმიერი სავალო ფასიანი ქაღალდების გამოშვების ან ფულადი დავალიანების, აქტივებით უზრუნველყოფილი ფინანსირების ან მსგავსი ფინანსირების საგანს, და როცა ყველა გადახდის ვალდებულება უნდა შესრულდეს მხოლოდ ამგვარი აქტივებიდან ან შემოსავლებიდან, იმ პირობით, რომ ამგვარი აქტივების ან შემოსავლების ღირებულება, რომლებიც წარმოადგენენ შესაბამისი ფინანსირების საგანს, ყველა იმ აქტივების ან შემოსავლების ღირებულებასთან ერთად, რომელიც „ნებადართული უზრუნველყოფის საშუალებების“ განმარტების შესაბამისად წარმოადგენს ნებადართულ უზრუნველყოფის საშუალებას, დროის არც ერთ მონაკვეთში არ აღემატება „ემიტენტის“ აქტივების 25%-ს, რომელიც განისაზღვრება უახლეს „IFRS ფინანსურ პერიოდში“ „IFRS“-ის შესაბამისად შედგენილ „ჯგუფის“ კონსოლიდირებულ საბალანსო ფურცელზე მითითებით.
- (v) „ემიტენტის“ ან მისი რომელიმე „შვილობილი კომპანიის“ დივიდენდის გაცემას.

(ე) **გადასახადების დაფარვა:** „ემიტენტი“ და მისი „შვილობილი კომპანიები“ დადგენილ ვადაში გადაიხდიან ნებისმიერ „გადასახადს“, რომელიც დარიცხულია „ემიტენტის“ ან მისი „შვილობილი კომპანიის“ შემოსავალთან, მოგებასთან ან ქონებასთან დაკავშირებით. „ემიტენტს“ ან მის „შვილობილ კომპანიებს“ წინამდებარე „ემისიის პროსპექტის“ მიზნებისათვის არ დაეკისრება პასუხისმგებლობა „გადასახადების“ გადაუხდელობაზე, თუ:

- (i) მათი ოდენობა, გამოყენებადობა ან ნამდვილობა კეთილსინდისიერად გასაჩივრებულია შესაბამისი სამართალწარმოების ფარგლებში და რომლის დასაფარად შექმნილია/გაკეთებულია შესაბამისი რეზერვები ან სხვა სათანადო პირობები „IFRS“-ის შესაბამისად, ან
- (ii) რომლის ოდენობა, ყველა სხვა ამგვარ „გადასახადთან“ ან მსგავს მოთხოვნასთან ერთად, საერთო ჯამში არ აღემატება ჯგუფის მთლიანი აქტივების 2%-ს (ორი პროცენტი) (დაანგარიშებული „IFRS“-ის შესაბამისად).

**(ვ) ფინანსური ვალდებულებები:**

- (i) „ემიტენტს“ ეკრძალება, რომ მან („ემიტენტმა“) ან/და „ემიტენტის“ „შვილობილმა კომპანიებმა“ პასუხისმგებლობა აიღონ ან სხვა სახით გახდნენ ვალდებულნი ნებისმიერი სახის „ფინანსურ ვალდებულებაზე“, თუ:
  - a. ამგვარი „ფინანსური ვალდებულება“ გამოიწვევს „დეფოლტის შემთხვევის“ დადგომას; ან/და
  - b. ემიტენტის და მისი შვილობილი კომპანიების კორექტირებული დავალიანება\* (მას შემდეგ რაც მოხდება ამგვარი ახალი „ფინანსური ვალდებულების“ გათვალისწინება) აღემატება წინა კალენდარული წლის EBITDA\*\* -ს (დათვლილი IFRS-ის შესაბამისად მომზადებულ კონსოლიდირებულ მონაცემებზე დაყრდნობით) (A) 5.0-ჯერ 2023 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით, და (B) 4.5-ჯერ 2024 და 2025 კალენდარული წლების განმავლობაში ნებისმიერ თარიღში.

\***კორექტირებული დავალიანება** - განსაზღვრის თარიღზე ნიშნავს თანხას, რომელიც ტოლია (დუბლირების გარეშე): (i) ემიტენტისა და მისი შვილობილი კომპანიების „ფინანსური ვალდებულებების“ ჯამს (რომელიც გამოითვლება IFRS-ის შესაბამისად კონსოლიდირებულ

მონაცემებზე დაყრდნობით) დამატებული (ii) შპს „თი ჯი ემ ჯგუფის“ სასარგებლოდ გაცემული ნებისმიერი გადახდის გარანტიისა და შპს „თი ჯი ემ ჯგუფის“ წინაშე არსებული პირობითი ვალდებულებების ოდენობა და დამატებული (iii) ემიტენტის ნებისმიერი ვალდებულება ემიტენტის შვილობილი კომპანიების მიმართ, რომელიც არ არის დაკავშირებული კომპანიის ჩვეულებრივ საქმიანობასთან.

**\*\*EBITDA** (Earnings Before Interest, Taxes, Depreciation and Amortization)- კომპანიის საოპერაციო საქმიანობიდან მიღებულ მოგებას (Operating Profit) დამატებული ცვეთისა და ამორტიზაციის ხარჯი.

საოპერაციო მოგების განსაზღვრება იხილეთ: „ძირითადი კოეფიციენტები“ – „ლიკვიდურობის კოეფიციენტების განმარტება“

(ii) წინამდებარე (ვ) პუნქტით გათვალისწინებული აკრძალვა არ ეხება „ემიტენტს“ და მის „შვილობილ(ებ)ს“ შორის და „ემიტენტის“ „შვილობილებს“ შორის „ფინანსურ ვალდებულებებს“.

(iii) „ფინანსური ვალდებულებები“ ნიშნავს, ნებისმიერ „პირთან“ მიმართებით ნებისმიერ განსაზღვრულ დროს (გამეორების გარეშე):

1. ამგვარი „პირის“ მიერ სესხად აღებული ფულადი თანხის შედეგად ყველა დავალიანებას, გარდა ფულით უზრუნველყოფილი დავალიანებებისა;
2. ამგვარი „პირის“ ყველა ვალდებულება, რომელიც დასტურდება „ობლიგაციებით“, სავალო ხელწერილებით და სხვა მსგავსი დოკუმენტებით.
3. „IFRS“-ის შესაბამისად აღიარებულ ფინანსური იჯარის ვალდებულებას.
4. „IFRS“-ის შესაბამისად აღიარებულ სხვა ფინანსური ვალდებულება.
5. „ფინანსური ვალდებულება“ არ მოიცავს სხვა თავდებობას, გარანტიას და გარე-საბალანსო ვალდებულებას.

**(ზ) ფინანსური ინფორმაცია:**

(i) „ემიტენტი“ იღებს ვალდებულებას, რომ თითოეული ფინანსური წლის დასრულების შემდეგ, მაგრამ არაუგვიანეს 15 მაისისა, ფასიანი ქაღალდების ბაზრის შესახებ კანონის შესაბამისად გაამჟღავნებს „IFRS“-ის შესაბამისად მომზადებულ „ემიტენტის“ კონსოლიდირებულ და შემოწმებულ ფინანსურ უწყისებს.

(ii) „ემიტენტი“ იღებს ვალდებულებას, რომ, თითოეული ფინანსური წლის მეორე კვარტლის დასრულებიდან არაუგვიანეს 15 აგვისტოსი, ფასიანი ქაღალდების ბაზრის შესახებ კანონის შესაბამისად გაამჟღავნებს არააუდირებულ ფინანსურ უწყისებს (საბალანსო უწყისი, მოგება-ზარალის უწყისი, ფულადი ნაკადების მოძრაობის უწყისი) ექვსი თვისათვის, რომელიც მომზადებულია „IFRS“-ის შესაბამისად.

(iii) თუ „ობლიგაციების მფლობელები“, რომლებიც ფლობენ (პირდაპირ ან „ნომინალური მფლობელების“ საშუალებით) გადაუხდელი „ობლიგაციების“ არანაკლებ 25%-ზე მეტს, გონივრულობის ფარგლებში ჩათვლიან, რომ დადგა „დეფოლტის შემთხვევა“, „ობლიგაციების მფლობელებს“ უფლება აქვთ მოითხოვონ და „ემიტენტი“ ვალდებულია მიაწოდოს მათ ინფორმაცია, რომელიც პირდაპირ დაკავშირებულია ნავარაუდევ „დეფოლტის შემთხვევასთან“. ამ შემთხვევაში, „ემიტენტი“ ვალდებულია მოთხოვნილი ინფორმაცია დროულად მიაწოდოს იმ „ობლიგაციების მფლობელებსა“ და/ან „ნომინალურ მფლობელებს“, რომლებმაც წარადგინეს შესაბამისი წერილობით მოთხოვნა. ამგვარი წერილობითი მოთხოვნა შეიძლება მოცემული იყოს ერთი და იმავე ფორმის ერთ ან რამდენიმე დოკუმენტში, რომელთაგან თითოეული ხელმოწერილია ერთი ან მეტი „ობლიგაციების მფლობელის“ და/ან „ნომინალური მფლობელის“ მიერ ან მისი სახელით. ამგვარი მოთხოვნა ასევე შესაძლებელია განხორციელდეს „ობლიგაციების მფლობელთა კრების“ გადაწყვეტილების ფორმით.



(თ) **დაზღვევის შენარჩუნება:** „ემიტენტმა“ და მისმა „არსებითმა შვილობილმა კომპანიებმა“ თავიანთი ქონება, რომელიც ექვემდებარება დაზღვევას, უნდა დააზღვიონ იმ მზღვეველებთან, რომლებსაც, „ემიტენტის“ ან მისი „შვილობილი კომპანიების“ შეფასებით, აქვთ კარგი ფინანსური მდგომარეობა. დაზღვევა უნდა განხორციელდეს დაკარგვის ან დაზიანების რისკისგან იმ ფარგლებში, რომელშიც მსგავსი ტიპის ქონების დაზღვევა ხორციელდება საქართველოში იმ კომპანიების მიერ, რომლებსაც აქვთ მსგავსი მდგომარეობა და ფლობენ მსგავს ქონებას.

(ი) **გამოსაყენებელი კანონმდებლობის დაცვა:** „ემიტენტი“ და მისი „შვილობილი კომპანიები“ ნებისმიერ დროს ყველა ღონეს მიმართავენ, რათა სრულად დაიცვან გამოსაყენებელი კანონმდებლობის ყველა დებულება, მათ შორის, სახელმწიფო ორგანოების სამართლებრივი აქტები და რეგულაციები, რომლის დარღვევამაც შესაძლოა არსებითად უარყოფითად იმოქმედოს „კომპანიის“ საქმიანობაზე ან რომელმაც შესაძლოა მნიშვნელოვანი ზიანი მიაყენოს „ობლიგაციების მფლობელების“ ინტერესებს.

(კ) **საქმიანობის ცვლილება:** „ემიტენტმა“ უნდა უზრუნველყოს, რომ არსებითად არ შეიცვლება „ჯგუფის“ (ერთობლივად აღებული) იმ საქმიანობის ძირითადი ხასიათი, რომელსაც იგი ახორციელებს „გამომწეების თარიღისათვის“.

(ლ) **რეიტინგის შენარჩუნება:** აღნიშნული „ობლიგაციების“ არსებობის განმავლობაში „ემიტენტი“ შეინარჩუნებს საკრედიტო რეიტინგს და განაახლებს მას შესაბამისი სიხშირით სეზ-ის მიერ აღიარებული მინიმუმ ერთი საკრედიტო რეიტინგის სააგენტოს მეშვეობით.

### 2.6.3. დამატებითი უზრუნველყოფა

იმ შემთხვევებში თუ:

(ა) ემიტენტისთვის Scope Ratings GmbH-ის მიერ მინიჭებული საკრედიტო რეიტინგი შემცირდება „B+“-მდე ან უფრო დაბლა, ან

(ბ) „ფინანსური ვალდებულებების“ აღებასთან დაკავშირებული ნებისმიერი შესაბამისი ლევერიჯ თანაფარდობის კოეფიციენტი ირღვევა ზედიზედ ორი ფისკალური ნახევარწლიური პერიოდისთვის, რომლისთვისაც საჯაროდ ხელმისაწვდომია IFRS-ის შესაბამისად მომზადებული ფინანსური ანგარიშგება,

90 დღის განმავლობაში ზემოაღნიშნული (ა) ან (ბ) ქვეპუნქტებით გათვალისწინებული ნებისმიერი მოვლენის დადგომიდან, ემიტენტი უზრუნველყოფს „მწვანე ინვენტარზე“ გირავნობის გაფორმებას/რეგისტრაციას ამგვარი გაფორმების/რეგისტრაციის მომენტისათვის არსებული „ობლიგაციონერ(ებ)ის“ სასარგებლოდ, საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად (შემდგომში „**დამატებითი უზრუნველყოფა**“).

### 2.6.4. ობლიგაციების ვადაზე ადრე გამოსყიდვის და სავალდებულო გამოსყიდვის ოფციები:

(ა) **ვადაზე ადრე გამოსყიდვა:** ობლიგაციები არ უნდა იყოს ვადაზე ადრე გამოსყიდული დაუფარავი „ობლიგაციების“ სულ მცირე 95%-ის მფლობელი „ობლიგაციონერ(ებ)ის“ წერილობითი თანხმობის გარეშე. აღნიშნული მოთხოვნა არ ვრცელდება ამ მუხლის (ბ) ქვეპუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევებზე.

(ბ) **სავალდებულო გამოსყიდვა:** იმ შემთხვევაში, თუ ემიტენტი ვერ გააფორმებს/დაარეგისტრირებს „დამატებით უზრუნველყოფას“ ზემოთ მოცემული 2.6.3 პუნქტის („**დამატებითი უზრუნველყოფა**“) შესაბამისად, თითოეული „ობლიგაციონერი“ საკუთარი შეხედულებისამებრ უფლებამოსილია, ემიტენტისათვის შეტყობინების გაგზავნით მოსთხოვოს ემიტენტს მის საკუთრებაში არსებული

ობლიგაციების სრულად ან ნაწილობრივ გამოსყიდვა, ასეთი ობლიგაციების ძირითადი თანხის ტოლი ფასით, დარიცხულ პროცენტებთან და მის საკუთრებაში არსებულ „ობლიგაციებთან“ დაკავშირებულ ყველა სხვა კუთვნილ და გადასახდელ თანხასთან (ასეთის არსებობის შემთხვევაში) ერთად (შემდგომში „**გამოსყიდვის ფასი**“). გამოსყიდვის ფასი უნდა იქნეს გადახდილი ემიტენტის მიერ ასეთი შეტყობინების მიღებიდან 30 (ოცდაათი) კალენდარული დღის განმავლობაში.

### 2.6.5 პროცენტი:

(ა) **პროცენტი:** თუ ემიტენტი არ გამოისყიდის ობლიგაციებს დაფარვის თარიღამდე 2.6.4 პუნქტის შესაბამისად (ობლიგაციების ვადამდელი გამოსყიდვისა და სავალდებულო გამოსყიდვის ოფციები), თითოეულ ობლიგაციას ყოველწლიურად დაერიცხება პროცენტი გამოშვების თარიღიდან დაფარვის თარიღამდე შემდეგი განაკვეთით: [350] საბაზისო პუნქტს (სპრედი) დამატებული „საანგარიშო განაკვეთი“ (როგორც განსაზღვრულია ქვემოთ). ობლიგაციების საპროცენტო განაკვეთის განსაზღვრად „საანგარიშო განაკვეთია“ TIBR6M ან კალკულაციისა და გადახდის აგენტის მიერ განსაზღვრული განაკვეთი „ალტერნატიული ბენჩმარკის განსაზღვრის პირობების“ შესაბამისად (შემდგომში „**საანგარიშო განაკვეთი**“).

პროცენტი გადაიხდება ნახევარწლიურად (შესაძლოა ობლიგაციების გამოშვების თარიღიდან პირველი პროცენტის გადახდის თარიღამდე პერიოდი იყოს უფრო მოკლე ვიდრე ნახევარწლიური პერიოდი, შესაბამისად კონკრეტული პროცენტის გადახდის თარიღების განსაზღვრისათვის, გთხოვთ იხილოთ საბოლოო შეთავაზების პირობების დოკუმენტი) შესაბამისი პროცენტის გადახდის თარიღების მიხედვით. თითოეულ ობლიგაციას ეკისრება პროცენტი დაფარვის თარიღამდე, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც ძირითადი თანხის გადახდა არასწორად არის დაკავებული ან უარყოფილი. ასეთ შემთხვევაში, თითოეული ობლიგაციაზე გაგრძელდება პროცენტის დარიცხვა შესაბამისი მოქმედი განაკვეთით იმ დღემდე, სანამ ამ ობლიგაციებთან დაკავშირებული ჯამური თანხა მიღებული იქნება შესაბამისი ობლიგაციების მფლობელის მიერ ან მისი სახელით.

(ბ) **საკრედიტო რეიტინგის ცვლილება:** ობლიგაციების ვადის დადგომამდე თუ კომპანიის საკრედიტო რეიტინგის ცვლილების შედეგად ობლიგაციები აღარ მიიღება ეროვნული ბანკის სესხის უზრუნველყოფის საშუალებად, ობლიგაციების საბაზისო სპრედი 50 საბაზისო პუნქტით გაიზრდება.

ყოველგვარი ექვის თავიდან აცილების მიზნით, იმ შემთხვევაში, თუ ემიტენტს მინიჭებული აქვს საკრედიტო რეიტინგი ერთზე მეტი სააგენტოდან, უპირატესობა ენიჭება უმაღლეს რეიტინგს კუპონის განსაზღვრის მიზნით ამ პუნქტის შესაბამისად.

(გ) **პროცენტის დაანგარიშება:** პროცენტის დაანგარიშება მოხდება კალკულაციისა და გადახდის აგენტის მიერ არსებული ფაქტობრივი კალენდარული დღეების მიხედვით შესაბამის „საპროცენტო პერიოდში“ 360 დღეზე დაყრდნობით, შემდეგი ფორმულის გამოყენებით:

OD\*(RR\*N/360), სადაც:

OD ნიშნავს ობლიგაციის ძირ თანხას;

RR ნიშნავს “TIBR6M”-ისა და „სპრედის“ ჯამს;

N ნიშნავს შესაბამის „საპროცენტო პერიოდში“ არსებულ ფაქტობრივი დღეების რაოდენობას.

## 2.6.6 საკუთრების უფლება და დაბეგვრა

(ა) *საკუთრების უფლება*

საკუთრების უფლება ობლიგაციებზე დასტურდება რეგისტრაციით (i) ფასიანი ქაღალდების რეესტრში (შემდგომში „**ფასიანი ქაღალდების რეესტრი**“), რომლის წარმოებასაც უზრუნველყოფს ემიტენტი „პირობების დოკუმენტში“ მითითებული რეგისტრატორის მეშვეობით, გაფორმებული ხელშეკრულების დებულებების შესაბამისად, ან/და (ii) სხვა რეესტრებში/ჩანაწერებში, რომლებსაც აწარმოებს „ობლიგაციების“ ნებისმიერი „ნომინალური მფლობელი“. „ფასიანი ქაღალდების რეესტრი“ და ზემო (ii) ქვეპუნქტში მითითებული სხვა რეესტრები/ჩანაწერები შემდგომში ერთობლივად მოიხსენიება, როგორც „**რეესტრი**“).

„კომპანია“ და „გადახდისა და კალკულაციის აგენტმა“ მხოლოდ „რეგისტრირებული მფლობელები“ უნდა ჩათვალონ ნამდვილ მესაკუთრებად გადახდისა და სხვა მიზნებისათვის (საკუთრების უფლების შესახებ ნებისმიერი შეტყობინების მიუხედავად), მიუხედავად იმისა, „ობლიგაციის“ ან, პროცენტის გადახდის შემთხვევაში, ამგვარი გადახდა იქნება თუ არა ვადაგადაცილებული, და ამგვარი „რეგისტრირებული მფლობელისათვის“ განხორციელებული ყველა გადახდა ჩაითვლება ნამდვილად და საკმარისად და შესაბამისობაში წესებში განსაზღვრულ ვალდებულებებთან გადახდილი თანხ(ებ)ის ფარგლებში.

თითოეული „ობლიგაციების მფლობელები“ უფლებამოსილი არიან განახორციელონ „ობლიგაციების“ გადაცემა, თუ სათანადო წესით შეატყობინებენ „რეგისტრატორს“ ან „ნომინალურ მფლობელს“ (სააღრიცხვო ადმინისტრატორი) მსგავსი ტრანზაქციის შესახებ. ამ ვალდებულების დარღვევის შემთხვევაში, პასუხისმგებლობა დაეკისრება გადამცემს, „ემიტენტისა“ ან „ობლიგაციების“ „ნომინალური მფლობელისათვის“ რეგრესის წესით მიმართვის გარეშე.

#### *(ბ) დაბეგვრა*

„ობლიგაციებთან“ დაკავშირებით ძირითადი თანხისა და პროცენტის გადახდა „ემიტენტის“ მიერ ან მისი სახელით უნდა განხორციელდეს წყაროსთან დასაკავებელი ყველა შესაბამისი გადასახადით, ასეთის არსებობის შემთხვევაში, დაბეგვრის შემდეგ. თუ მოქმედი კანონმდებლობის საფუძველზე „ემიტენტი“ განსაზღვრავს, რომ პროცენტის გადახდა გათავისუფლებულია წყაროსთან დასაკავებელი გადასახადისგან, „ემიტენტმა“ არ უნდა დააკავოს შესაბამისი გადასახადი და „ობლიგაციის მფლობელი“ უფლებამოსილია ისარგებლოს ამგვარი შეღავათით და მიიღოს თანხა სრულად, გადასახადის დაკავების გარეშე.

#### **2.6.7. დეფოლტის შემთხვევა**

თუ ჩამოთვლილთაგან რომელიმე მოვლენამ იჩინა თავი (თითოეული წარმოადგენს „**დეფოლტის შემთხვევას**“) და მიმდინარეობს, თავისი შეხედულებისამებრ „ობლიგაციის მფლობელს“ შეუძლია, წერილობითი შეტყობინება გაუგზავნოს ემიტენტს, რომ ობლიგაციები დაუყოვნებლივ არის გადასახდელი. გადასახდელი ღირებულება მოიცავს ძირითად თანხის 100%-ს, ასევე დარიცხულ და გადაუხდელ პროცენტებს.

**(ა) გადახდის ვალდებულების დარღვევა:** „ემიტენტი“ არ განახორციელებს ძირითადი თანხისა და პროცენტის ნებისმიერი ოდენობის გადახდას ნებისმიერ „ობლიგაციასთან“ მიმართებით, გადახდის დღეს და ამგვარი თარიღიდან 5 (ხუთი) სამუშაო დღის განმავლობაში; ან

**(ბ) სხვა ვალდებულების დარღვევა:** „ემიტენტი“ არ ასრულებს/არღვევს ნებისმიერ სხვა ერთ ან რამდენიმე ვალდებულებას „ობლიგაციებთან“ დაკავშირებით, (გარდა გადახდის ვალდებულებებისა, რაც ზემოთ არის მოცემული) რაც „ობლიგაციების მფლობელებს“ დასაბუთებული და გონივრული მოსაზრებით:

- (i) არ ექვემდებარება გამოსწორებას და ამასთანავე არის არსებითი ან განმეორებადი ხასიათის, ან
- (j) ექვემდებარება გამოსწორებას, მაგრამ აღნიშნული დარღვევის თაობაზე „ობლიგაციების მფლობელების“ მიერ „ემიტენტისთვის“ გაგზავნილი შეტყობინების მიღებიდან 30 (ოცდაათი) კალენდარული დღის განმავლობაში არ იქნა აღმოფხვრილი; ან

**(გ) ჯვარედინი დეფოლტი (Cross-Default):**

- a) ემიტენტის ან ნებისმიერი შვილობილი კომპანიის ნებისმიერი სხვა არსებული ან მომავალი ფინანსური ვალდებულება ნასესხებ ან მოზიდულ თანხებთან დაკავშირებით ხდება (ან გამჟღავნდება) როგორც ვადაგადაცილებული და გადასახდელი ვადის გასვლამდე დეფოლტის შემთხვევის მიზეზით (როგორც არ უნდა იყოს აღწერილი). ან
  - b) ნებისმიერი ფინანსური ვალდებულება არ იქნება გადახდილი დროულად ან, კონკრეტულ შემთხვევაში, ნებისმიერი თავდაპირველი შესაბამისი დამატებითი პერიოდის განმავლობაში;
- აღნიშნული ქვეპუნქტით გათვალისწინებული რომელიმე საფუძვლით „დეფოლტის შემთხვევა“ არ ჩაითვლება დამდგარად, თუ სახეზეა რომელიმე (ერთ-ერთი მაინც) ქვემოთ ჩამოთვლილი წინაპირობა:

- i) შესაბამისი „ფინანსური ვალდებულების“ ჯამური ოდენობა, რომელსაც შეესაბამება წინამდებარე 2.6.7(გ) პირობით გათვალისწინებული ერთი ან რამდენიმე შემთხვევა არ უტოლდება ან არ აღემატება 2,000,000 აშშ დოლარს ან მის ექვივალენტს სხვა ვალუტაში; ან
- ii) შესაბამისი ვალდებულება ან დეფოლტის შემთხვევის დადგომა „ემიტენტის“ და/ან „შვილობილი კომპანიის“ მიერ კეთილსინდისიერად და საამისოდ გონივრული საფუძვლით არის გასაჩივრებული სათანადო წარმოებით;

**(დ) გადახდისუუნარობა:**

- (i) ნებისმიერი შემდეგი ვითარების დადგომა:

- a. „ემიტენტი“ ან ნებისმიერი „შვილობილი კომპანია“ დაიწყებს ლიკვიდაციის ან გადახდისუუნარობის პროცედურას, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც „შვილობილი კომპანიის“ ლიკვიდაცია მოხდება „ემიტენტთან“ ან სხვა „შვილობილ კომპანიასთან“ შერწყმის შედეგად; ან
- b. ნებისმიერი „პირის“ მიერ „ემიტენტის“ ან ნებისმიერი „შვილობილი კომპანიის“ საწინააღმდეგოდ სარჩელის აღძვრა გადახდისუუნარობის პროცედურის დაწყებისთვის, თუკი ასეთ „პირს“ არ ეთქვა უარი მოთხოვნის წარდგენიდან 90 (ოთხმოდცდაათი) კალენდარული დღის განმავლობაში; ან
- c. „ემიტენტსა“, შვილობილ კომპანიებს და მის კრედიტორებს შორის მოლაპარაკების წარმოება „ემიტენტის“ ან შვილობილი კომპანიის ყველა ან არსებითად ყველა ვალის თაობაზე სასამართლოს გარეშე მორიგების მიზნით; ან
- d. ლიკვიდაციის პროცედურის დაწყება „ემიტენტის“ ან ნებისმიერი „შვილობილი კომპანიის“ მიმართ, რომელიც ეფუძნება სისხლის სამართლის საქმეზე გამოტანილ სასამართლო გადაწყვეტილებას; ან

(ii) „ემიტენტი“ ან ნებისმიერი „შვილობილი კომპანია“ ვერ უზრუნველყოფს ან შეუძლებელია მისთვის დროულად გადაიხადოს ვალები/ვადამოსული ვალდებულებები; ან

(iii) „ემიტენტის“ პარტნიორები დაამტკიცებენ „ემიტენტის“ ლიკვიდაციის ან გაუქმების ნებისმიერ გეგმას; ან

**(ე) დაუკმაყოფილებელი გადაწყვეტილებები, სახელმწიფო ან სასამართლო წარმოებები:** ფულადი თანხის გადახდის დაკისრების თაობაზე „ემიტენტის“ ან ნებისმიერი „შვილობილი კომპანიის“ წინააღმდეგ სასამართლოების ან სხვა შესაბამისი სახელმწიფო ორგანოების მიერ მიღებული და აღსრულებელი საბოლოო გადაწყვეტილება, განჩინება, განაჩენი და ბრძანება,

(i) თანხის დაკისრების ან გადახდის შემთხვევაში, საერთო ოდენობა აღემატება „ჯგუფის“ საერთო აქტივების 2%-ს (ორი პროცენტი) (IFRS-ის შესაბამისად გამოთვლის შედეგად) ან მის ექვივალენტ თანხას ნებისმიერ სხვა ვალუტაში ან ვალუტებში, ან

(ii) შედეგად გამოიწვევს შემდეგს:

a. „ემიტენტის“ ან მისი „შვილობილი კომპანიის“ ხელმძღვანელი (მენეჯმენტი) პირ(ებ)ის სრული ან ნაწილობრივი გადაყენება, ან „ემიტენტის“ ან მისი „შვილობილი კომპანიის“ მიერ საქმიანობის განხორციელების უფლებამოსილების სრული ან ნაწილობრივი შეზღუდვა“, ან

b. „ემიტენტის“ ან ნებისმიერი „შვილობილი კომპანიის“ შემოსავლების და აქტივების, სრული ან ნაწილობრივი ოდენობა, რომლის საბალანსო ღირებულება უტოლდება ან აღემატება მთლიანი შემოსავლების ან ჯგუფის მთლიანი აქტივების ღირებულების 20 პროცენტსაკონფისკაცია ან დაყადაღება, ნაციონალიზაცია, ექსპროპრიაცია ან სავალდებულო გასხვისება; ან

**(ვ) აღსრულება:** „ემიტენტის“ ან ნებისმიერი „შვილობილი კომპანიის“ მთლიანი ან არსებითი ნაწილი ქონების, შემოსავლების ან აქტივების წინააღმდეგ განხორციელდება ნებისმიერი სახის სააღსრულებო პროცესის დაწყება, ან უზრუნველყოფების მფლობელი პირის (კრედიტორის) მიერ მათი საკუთრებაში მიღება ან გასხვისება; ან

**(ზ) ნებართვები და თანხმობები:** „ემიტენტმა“ არ განახორციელა რაიმე ქმედება ან დაარღვია რაიმე პირობა (ყველა აუცილებელი თანხმობის, განკარგულების, დასტურის, უფლებამოსილების, განაცხადის წარდგენის, ლიცენზიის, ბრძანების, ჩანაწერის, რეგისტრაციის ან სხვა უფლებამოსილების მოპოვების ან განხორციელების ჩათვლით), რომელიც ნებისმიერ დროს საჭიროა მიღებულ იქნას, განხორციელდეს ან შესრულდეს, რათა „ემიტენტს“:

(i) შეეძლოს კანონიერად დადოს შეთანხმებები, განახორციელოს მისი არსებითი უფლებები და შეასრულოს გადახდის ვალდებულებებს „ობლიგაციების“ შესაბამისად, აგრეთვე შეასრულოს საკუთარი ვალდებულებები 2.6.2 პირობის ( „ ვალდებულებები“) შესაბამისად და „ობლიგაციებიდან“ ან „თავდებობის ხელშეკრულებიდან“ გამომდინარე სხვა არსებითი ვალდებულებები,

(ii) უზრუნველყოს, რომ აღნიშნული ვალდებულებები მისთვის იყოს სამართლებრივად მზოჭავი და აღსრულებადი, და

(iii) უზრუნველყოს, რომ „ემისიის პროსპექტი“, ობლიგაციები და/ან თავდებობის ხელშეკრულებები დასაშვებია, რომ საქართველოს სასამართლოში წარდგენადი იყოს როგორც მტკიცებულება; ან

(თ) **ნამდვილობა და უკანონობა:** „ემიტენტი“ სადაოდ ხდის „ობლიგაციების“ ან „პროსპექტის“ ან „თავდებობის ხელშეკრულების“ ნამდვილობას ან „ემიტენტი“ უარყოფს „ობლიგაციებით“ ან „პროსპექტით“ ან „თავდებობის ხელშეკრულებით“ გათვალისწინებულ ნებისმიერი ვალდებულების არსებობას და მის შესრულებას ან „ემიტენტის“ მიერ „ობლიგაციებით“ ან „ემისიის პროსპექტით“ ან „თავდებობის ხელშეკრულებით“ გათვალისწინებულ ნებისმიერ ერთი ან რამდენიმე ვალდებულების შესრულება არის ან გახდება კანონსაწინააღმდეგო ან აღუსრულებადი, ან აღარ იქნება ნამდვილი და სამართლებრივად მზოჭავი.

„ემიტენტი“ ვალდებულია იღებდეს, რომ შეტყობინებისთანავე, დაუყოვნებლივ აცნობოს „ობლიგაციის მფლობელებს“ ნებისმიერი „დეფოლტის შემთხვევის“, მოვლენის წარმოშობის შესახებ, რომელიც ხდება შეტყობინების მიწოდების, ვადის ამოწურვის ან/და სერთიფიკატის გამოცემის შემთხვევაში („პოტენციური დეფოლტის შემთხვევა“). თუ არსებობს ვარაუდი იმის თაობაზე, რომ დადგება და განგრძობადია ნებისმიერი „დეფოლტის შემთხვევა“ ან „პოტენციური დეფოლტის შემთხვევა“, გამოშვებული „ობლიგაციების“ ერთ ან რამდენიმე „ობლიგაციების მფლობელს“, რომელთა მფლობელობა ინდივიდუალურად ან ჯამურად წარმოადგენს „ობლიგაციების“ სრული ძირი თანხის სულ მცირე 25%-ს, უფლება აქვთ „ემიტენტისათვის“ წერილობითი შეტყობინების გაგზავნით გამოითხოვონ ნებისმიერი დამატებითი ინფორმაცია.

#### 2.6.8 შეტყობინებები

„ემიტენტის“ შეტყობინება „ობლიგაციების მფლობელების“ ან ნომინალური მფლობელების მიმართ უნდა გამოქვეყნდეს (მათ შორის ემიტენტის ვებ-გვერდზე შეზღუდვების გარეშე) ან გაეგზავნოს „ფასიანი ქაღალდების რეესტრში“ დარეგისტრირებულ „ობლიგაციების მფლობელს“ ან/და „ნომინალურ მფლობელს“ წინამდებარე „ემისიის პროსპექტში“ მითითებულ მის ელ-ფოსტაზე ან მისამართზე.

ყოველგვარი ეჭვის გამორიცხვის მიზნით, ამ პუნქტით გათვალისწინებული შეტყობინების მატერიალური სახით შესაბამის მისამართზე გაგზავნის შემთხვევაში, შეტყობინება ითვლება სათანადო წესით გაგზავნილად და იგი არ საჭიროებს დამატებით ელ-ფოსტით მეშვეობით გაგზავნას. „ემიტენტი“ მიაწოდებს „ობლიგაციის მფლობელს“ ან/და ფასიანი ქაღალდების რეესტრში დარეგისტრირებულ „ნომინალურ მფლობელს“ ინფორმაციას „ობლიგაციების მფლობელების“ კრების მოწვევის შესახებ და შეტყობინებას გამოაქვეყნებს ემიტენტის ვებ-გვერდზე ან ნებისმიერი სხვა საშუალებით, რაც ნებადართულია მოქმედი კანონმდებლობით.

რეგულირებადი ინფორმაციის, მათ შორის გამჭვირვალობის წესის მე-9 მუხლით გათვალისწინებული ვალდებულებების შესრულების შესახებ ინფორმაციის გამჟღავნების მიზნით, გამოყენებული იქნება კანონით განსაზღვრული ნებისმიერი საჯარო წყარო (<https://reportal.ge/>; <https://gse.ge/>; საქართველოს საკანონმდებლო მაცნე, ემიტენტის ვებგვერდი), მათ შორის:

(ა) ნებისმიერი ცვლილება საჯარო ფასიანი ქაღალდების მფლობელის უფლებებში, მათ შორის ფასიანი ქაღალდების პირობების ცვლილება, რომელსაც შეიძლება ჰქონდეს არაპირდაპირი ზეგავლენა საჯარო ფასიანი ქაღალდების მფლობელის უფლებებზე ან რაც გამოწვეულია სესხის პირობებისა და საპროცენტო განაკვეთების ცვლილებით;

(ბ) ინფორმაცია სესხის ფასიანი ქაღალდებზე საპროცენტო განაკვეთების, პერიოდული გადახდების, კონვერტაციის/გაცვლის, შესყიდვის ან გაუქმების უფლების ან დაფარვის შესახებ;

გ) საჯარო ფასიანი ქაღალდების მფლობელთა უფლებების სათანადოდ განსახორციელებლად საჭირო ინფორმაცია;

დ) ინფორმაცია ემიტენტის ობლიგაციონერთა კრებაში მონაწილეობის ადგილის, დროის, დღის წესრიგისა და უფლების შესახებ;

ემიტენტი გეგმავს გამოიყენოს შემდეგი წყაროები სხვადასხვა ტიპის რეგულირებად ინფორმაციაში ცვლილებებთან დაკავშირებით, რომლის შესახებაც ეცნობება „ობლიგაციის მფლობელს“:

(ა) პერიოდული ფინანსური ანგარიშგება: [reportal.ge](http://reportal.ge);

(ბ) ინფორმაცია შეხვედრების/გადაწყვეტილების და სხვა მსგავსი საკითხების შესახებ: ემიტენტის ვებგვერდი ან მოქმედი კანონმდებლობით ნებადართული სხვა საშუალებები.

(გ) ზემოთ ჩამოთვლილი სხვა ინფორმაცია ან მიმდინარე ანგარიშები, რომლებიც საჭიროა GSE-ს წესებით, კანონით გამჭვირვალობის შესახებ ან მოქმედი სათანადო კანონმდებლობით: ემიტენტის ან GSE-ს ვებგვერდები.

## 2.6.9 ობლიგაციების მფლობელების კრება

### \* (ა) ობლიგაციების მფლობელების კრება:

- (i) იმ საკითხებთან დაკავშირებით, რომლებსაც გავლენა აქვთ „ობლიგაციების მფლობელების“ ინტერესებზე, მათ შორის, წინამდებარე „პირობების“ ნებისმიერი სახის ცვლილების მიზნით, გადაწყვეტილება მიღებულ უნდა იქნას სათანადოდ მოწვეულ და ჩატარებულ კრებაზე დამსწრე ხმების არანაკლებ 75% უმრავლესობით („განსაკუთრებული გადაწყვეტილება“).
- (ii) „ობლიგაციების მფლობელების“ მიერ გამოტანილი ნებისმიერ სხვა გადაწყვეტილება, რომელიც არ კვალიფიცირდება როგორც „განსაკუთრებულ გადაწყვეტილება“, მიიღება მიცემულ ხმათა არანაკლებ 51% უმრავლესობით („ჩვეულებრივი გადაწყვეტილება“) და მხოლოდ მაშინ არის მართებული და შესასრულებლად სავალდებულო, თუ მიღებულია „ჩვეულებრივი გადაწყვეტილების“ სახით.
- (iii) „ობლიგაციების მფლობელების“ კრებაზე განიხილება მხოლოდ ის საკითხები, რაც წინამდებარე „პირობების“ 2.6.9.გ.(i) პუნქტის შესაბამისად გათვალისწინებულია „ემიტენტის“ ანდა ობლიგაციების მფლობელ(ებ)ის მიერ დადგენილი დღის წესრიგით.

**(ბ) ობლიგაციების მფლობელების კრების მოწვევის უფლებამოსილება:** „ობლიგაციების მფლობელების“ კრების ინიცირების უფლება აქვს მხოლოდ „ემიტენტს“ ან ობლიგაციების ძირი თანხის სულ მცირე 25%-ის მფლობელ(ებ)ს. ყოველგვარი ექვის გამოსარიცხად, აღნიშნული უფლებამოსილება ვრცელდება, როგორც „განსაკუთრებული გადაწყვეტილებით“, ასევე „ჩვეულებრივი გადაწყვეტილებით“ განსახილველ საკითხებთან დაკავშირებით.

ყოველგვარი ექვის გამორიცხვის მიზნით, (1) სააღსრულებო წარმოების დაწყება „ემიტენტის“ ან/და თითოეული, რამდენიმე ან ყველა თავდების წინააღმდეგ, ისევე როგორც „თავდებობის ხელშეკრულებიდან“ გამომდინარე უფლებების აღსრულება შესაძლებელი იქნება მხოლოდ „დეფოლტის შემთხვევის“ გამო ობლიგაციების ვადამოსულად გამოცხადების შემდგომ; (2) თითოეული „ობლიგაციონერი“ აცნობიერებს, რომ „დეფოლტის შემთხვევის“ გამო ობლიგაციების ვადამოსულად გამოცხადება შესაძლებელია მხოლოდ „განსაკუთრებული გადაწყვეტილების“ საფუძველზე და ისინი სხვაგვარად არ არიან უფლებამოსილნი განახორციელონ ამ პროსპექტით ან თავდებობის ხელშეკრულებით გათვალისწინებული აღსრულების რომელიმე ღონისძიება; და (3) ნებისმიერი „სპეციალური გადაწყვეტილება“, რომელსაც ობლიგაციონერები მიიღებენ „დეფოლტის შემთხვევის“

გამო ობლიგაციების ვადამოსულად გამოცხადებისა და შესაბამისი სააღსრულებო პროცედურების დაწყების მიზნით, მიღებული უნდა იქნას ამ „პროსპექტით“ განსაზღვრული წესით. ასეთი გადაწყვეტილება ასევე უნდა შეიცავდეს (ა) გადაწყვეტილებას იმის თაობაზე, თუ რომელ სააღსრულებო წარმოებას მიმართავენ „ობლიგაციონერები“ და რა თანმიმდევრობით; (ბ) მითითებას შესაბამისი გადაწყვეტილების შესრულებაზე უფლებამოსილი ან/და პასუხისმგებელი პირის თაობაზე; და (გ) ნებისმიერი სხვა საკითხის რეგულებას, რასაც „ობლიგაციონერები“ საჭიროდ ჩათვლიან „დეფოლტის შემთხვევის“ გამო ობლიგაციების ვადამოსულად გამოცხადებასთან დაკავშირებული თემების ადმინისტრირების მიზნით.

სააღსრულებო პროცესის წამოწყება არ უნდა მოხდეს „სპეციალური გადაწყვეტილების“ მიღებიდან 30 სამუშაო დღის განმავლობაში, რა ვადაშიც „ემიტენტი“ უფლებამოსილია, გაასაჩივროს აღნიშნული „სპეციალური გადაწყვეტილება“ დავების განმხილველ წინამდებარე ემისიის პროსპექტით განსაზღვრულ ორგანოში.

### **(გ) ობლიგაციების მფლობელების კრების მოწვევა:**

- (i) ობლიგაციების მფლობელი ან „ემიტენტი“ (საკითხის შესაბამისად) უნდა იყვნენ ინფორმირებული ობლიგაციონერთა მფლობელების კრებასთან დაკავშირებით სულ მცირე 14 (თოთხმეტი) კალენდარული დღით ადრე (შეტყობინების გაგზავნის დღისა და კრების ჩატარების დღის გამოკლებით) წინამდებარე „პირობების“ 2.9 პუნქტის შესაბამისად. ამგვარ შეტყობინებაში მითითებული უნდა იყოს „ობლიგაციონერების მფლობელების“ კრების თარიღი, დრო, ადგილი და მისაღები გადაწყვეტილებების დღის წესრიგი შეტყობინება ასევე უნდა შეიცავდეს მითითებას შესაბამისი ვადების შესახებ და ინფორმაციას იმის თაობაზე, თუ როგორ უნდა დანიშნონ „ობლიგაციების მფლობელებმა“ წარმომადგენლები.
- (ii) წინამდებარე „პირობების“ 2.9 პუნქტის შესაბამისად, „ემიტენტი“ ან ობლიგაციის მფლობელი (საკითხის შესაბამისად) გააფრთხილებს „ობლიგაციების მფლობელებს“ ან ემიტენტებს დამატებით შეატყობინებს „ობლიგაციონერების მფლობელების“ კრების დადასტურებულ დროსა და ადგილის, ასეთი კრების გამართვიდან არაუგვიანეს 3 (სამი) დღის ვადაში.
- (iii) კრების ჩატარება შესაძლებელია როგორც ფიზიკურად ასევე დისტანციურად (ელექტრონული საშუალებით). შეხვედრა შეიძლება ჩატარდეს დისტანციურად (ელექტრონული საშუალებით)თუ დაკმაყოფილებულია შემდეგი მოთხოვნები:
  - a. ელექტრონული საშუალებების გამოყენება არ არის დამოკიდებული „ობლიგაციების მფლობელის“, „ნომინალური მფლობელის ან მათი „წარმომადგენლის“ მოქალაქეობაზე ან ბინადრობის ადგილზე;
  - b. „ობლიგაციების მფლობელისთვის“ ან „ნომინალური მფლობელისთვის“ ან ხმის უფლების გამოყენებაზე/განკარგვაზე „წარმომადგენლისთვის“ ინფორმაციის დროულად და ეფექტურად მიწოდებისთვის დანერგულია იდენტიფიცირების შესაბამისი ზომები; და
- (iv) „ემიტენტთან“ შესაბამისი კომუნიკაციის საფუძველზე, „ობლიგაციების მფლობელებს“ ან ნომინალურ მფლობელს ნებისმიერ დროს უნდა ჰქონდეთ შესაძლებლობა, მოითხოვონ ინფორმაციის წერილობით მიწოდება.

### **(დ) ობლიგაციების მფლობელის ან ნომინალური მფლობელის მიერ წარმომადგენლის დანიშვნა:**

- (i) „ობლიგაციების მფლობელი“ ან „ნომინალური მფლობელი(ებ)ი“ უფლებამოსილია შესაბამის კრებამდე სულ მცირე 48 (ორმოცდარვა) საათით ადრე „ემიტენტს“ მიაწოდოს ქართულენოვანი წერილობითი დოკუმენტი (ან, სხვა ენაზე შედგენის შემთხვევაში, ორენოვანი დოკუმენტი, საიდანაც ერთ-ერთი ენა უნდა იყოს ქართული) („მინდობილობა“), რომელიც ფიზიკური პირის შემთხვევაში ხელმოწერილია „ობლიგაციების მფლობელის“ მიერ და დამოწმებულია ნოტარიულად, ხოლო იურიდიული პირის შემთხვევაში, დასმულია ასეთი იურიდიული



პირის ბეჭედი და ხელმოწერილია მისი უფლებამოსილი დირექტორის ან სხვა უფლებამოსილი პირის მიერ, და ამ დოკუმენტის საფუძველზე დანიშნოს წარმომადგენელი („წარმომადგენელი“), რომელიც იმოქმედებს შესაბამისი „ობლიგაციების მფლობელის“ ან „ნომინალური მფლობელის“ სახელით „ობლიგაციების მფლობელების“ ნებისმიერ კრებასთან (გადადებული კრების ჩათვლით, „განმეორებითი კრება“) დაკავშირებით.

- (ii) ზედა პუნქტის შესაბამისად დანიშნული ნებისმიერი „წარმომადგენელი“, მათი დანიშვნის მოქმედების ვადის განმავლობაში, „ობლიგაციების მფლობელთა“ კრების ან „განმეორებითი კრების“ მიზნებისთვის, ჩაითვლება იმ „ობლიგაციების“ მფლობელად, რომელთა მიმართაც მისი დანიშვნა განხორციელდა.
- (iii) ნებისმიერი ხმა, რომელიც მიცემულია „წარმომადგენლის“ მიერ შესაბამისი „მინდობილობის“ პირობების შესაბამისად, ითვლება ნამდვილად, იმ პირობით, რომ შესაბამისი კრების ჩატარების დრომდე სულ მცირე 24 (ოცდაოთხი) საათით ადრე არ მომხდარა „ემიტენტისთვის“ წერილობითი შეტყობინების გაგზავნა „მინდობილობის“ გამოხმობის, გაუქმების ან/და ცვლილების თაობაზე.

**(ე) ობლიგაციების მფლობელების კრების თავმჯდომარე:**

- (i) „ობლიგაციონერების მფლობელების“ კრების თავმჯდომარეს წერილობითი ფორმით ნიშნავს „ემიტენტი“ ან ობლიგაციის მფლობელი ან/და „ნომინალური მფლობელი“ (შემთხვევის შესაბამისად). თუკი „ემიტენტი“ არ დანიშნავს კრების თავმჯდომარეს ან დანიშნული თავმჯდომარე არ გამოცხადდება კრებაზე მისი დაწყების დროიდან 15 (თხუთმეტი) წუთის განმავლობაში, მაშინ მოწვეულ უნდა იქნას „განმეორებითი კრება“.
- (ii) სავალდებულო არ არის, რომ „განმეორებითი კრების“ თავმჯდომარე იყოს ის პირი, რომელიც თავმჯდომარეობდა თავდაპირველ კრებას.

**(ვ) ობლიგაციების მფლობელების კრებაზე დასწრება:**

- (i) კრებაზე დასწრებისა და სიტყვით გამოსვლის უფლებამოსილება აქვთ:
  - a. „ობლიგაციების მფლობელებს“, „ნომინალურ მფლობელებს“ და მათ „წარმომადგენლებს“;
  - b. რეგისტრატორს
  - c. თავმჯდომარეს; და
  - d. „ემიტენტს“, ისევე როგორც მის ფინანსურ, სამართლებრივ ან სხვა მრჩეველებს;
- (ii) სხვა პირებს არ აქვთ კრებაზე დასწრებისა და სიტყვით გამოსვლის უფლებამოსილება.

**(ზ) ობლიგაციების მფლობელების კრების კვორუმი:**

- (i) **განსაკუთრებული გადაწყვეტილება:** „განსაკუთრებული გადაწყვეტილების“ განსახილველად მოწვეული ნებისმიერი კრების კვორუმს წარმოადგენს (i) პირ(ებ)ი, რომლებიც „ობლიგაციების მფლობელების“ კრების განხილვის დროს ფლობენ ან წარმოადგენენ „ობლიგაციების“ საერთო ძირი ოდენობის ნახევარზე მეტს, ან (ii) ნებისმიერი „განმეორებითი კრების“ დროს, პირები, მიუხედავად „ობლიგაციების“ იმ ძირი ოდენობისა, რომელსაც ისინი ფლობენ ან წარმოადგენენ, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც ამგვარი კრების საქმიანობა მოიცავს, შემდეგი „განსაკუთრებული გადაწყვეტილების“ შესახებ წინადადებების განხილვას:
  - a. „ობლიგაციებთან“ მიმართებით, ნებისმიერი ძირი თანხის ან პროცენტის გადახდის თარიღის ცვლილებას;
  - b. „ობლიგაციებთან“ მიმართებით, ნებისმიერი გადასახდელი თანხის ოდენობის გამოთვლის მეთოდის ცვლილებას;
  - c. „ობლიგაციებთან“ მიმართებით გადასახდელი ძირი თანხის ან პროცენტის ოდენობის ცვლილებას;

- d. „ობლიგაციების“ „ემიტენტის“ აქციებში ან სხვა ფასიან ქალაქებში კონვერტაციას;
- e. „ობლიგაციების“ შესაბამისი გადახდის ვალუტის ცვლილებას (გარდა მარეგულირებელი კანონმდებლობით გამოწვეული ცვლილებისა);
- f. „ობლიგაციების მფლობელების“ კრებებთან მიმართებით კვორუმის მოთხოვნების ან „განსაკუთრებული გადაწყვეტილების“ მიღებისთვის საჭირო უმრავლესობის ოდენობის ცვლილებას; ან
- g. წინამდებარე „პირობების“ შესაბამისი „დეფოლტის შემთხვევების“ განსაზღვრების ცვლილებას
- h. დეფოლტის შემთხვევის გამო ობლიგაციების ვადამოსულად გამოცხადება

ასეთ შემთხვევებში, მსგავსი „განსაკუთრებული გადაწყვეტილების“ მისაღებად მოწვეული კრების კვორუმის აუცილებელი ოდენობა იქნება პირები, რომელიც განსახილველ დროს ფლობს ან წარმოადგენს „ობლიგაციების“ ძირი თანხის არანაკლებ ორ მესამედს, ან განმეორებით კრებაზე - არანაკლებ ერთ მესამედს.

(ii) **ჩვეულებრივი გადაწყვეტილება:** „ჩვეულებრივი გადაწყვეტილების“ განსახილველად მოწვეული კრების კვორუმს წარმოადგენს პირები, რომელიც „ობლიგაციების მფლობელების“ კრების განხილვის დროს ფლობს ან წარმოადგენს განსახილველ დროს „ობლიგაციების“ საერთო ძირი ოდენობის ნახევარზე მეტს, ან ნებისმიერი ასეთი „განმეორებითი კრების“ მიმართ შემთხვევაში - პირ(ებ)ს, მიუხედავად საკუთრებაში არსებული ან წარმოდგენილი „ობლიგაციების“ ძირი თანხისა.

(iii) **„ობლიგაციების“ ვადაზე ადრე გამოსყიდვის შესახებ გადაწყვეტილება:** „ობლიგაციების“ ვადაზე ადრე გამოსყიდვის შესახებ გადაწყვეტილების განსახილველად მოწვეული ნებისმიერი კრების კვორუმს წარმოადგენს პირ(ებ)ი, რომლებიც „ობლიგაციების მფლობელების“ კრების განხილვის დროს ფლობენ ან წარმოადგენენ „ობლიგაციების“ საერთო ძირი ოდენობის სულ მცირე 95%-ს.

**(თ) ობლიგაციების მფლობელების კრების გადაწყვეტილება უნარიანობა და გადადება:**

- (i) არცერთი საკითხი (გარდა თავმჯდომარის არჩევისა) არ უნდა გადაწყდეს კრებაზე, თუ ამგვარი საკითხის განხილვისას კრებაზე არ არის წარმოდგენილი შესაბამისი კვორუმი. თუ კვორუმი არ შედგა კრების დაწყების დროიდან 15 (თხუთმეტი) წუთის განმავლობაში, ამგვარი კრება უნდა გადაიდოს და განმეორებით ჩატარდეს თავდაპირველი კრების თარიღიდან არ უადრეს მე-7 და არა უგვიანეს 30-ე კალენდარული დღისა. თუ ამგვარ „განმეორებით კრებაზე“ კვორუმი არ შედგება კრების დაწყების დროიდან 30 (ოცდაათი) წუთის განმავლობაში, კრება დათხოვილ უნდა იქნას.
- (ii) „განმეორებითი კრების“ დროსა და ადგილს განსაზღვრავს „ემიტენტი“ ან „ობლიგაციის მფლობელი (შემთხვევის გათვალისწინებით). განმეორებით კრებაზე დასაშვებია მხოლოდ იმ საკითხების გადაწყვეტა, რომელთა გადაწყვეტა დასაშვებია იყო თავდაპირველ კრებაზე.
- (iii) „განმეორებითი კრების“ შესახებ შეტყობინება უნდა გაკეთდეს იმ ფორმით, რომლითაც გაკეთდა თავდაპირველი კრების შესახებ შეტყობინება.

**(ი) ხმის მიცემა:**

- (i) „ობლიგაციების მფლობელების“ კრების წინაშე დასმული ყველა საკითხი უნდა გადაწყდეს ხელის აწევით, გარდა იმ შემთხვევისა, როცა თავმჯდომარე, „ემიტენტი“ ან ერთი ან მეტი პირი, რომლებიც ჯამში წარმოადგენენ „ობლიგაციების“ 10%-ს, მოითხოვს (ხელის აწევის პროცედურის დაწყებამდე ან ხელის აწევის პროცედურის შედეგების გამოცხადებისას) ფარული კენჭისყრის ჩატარებას.
- (ii) თუ ფარული კენჭისყრა იქნა მოთხოვნილი, თავმჯდომარის განცხადება იმის თაობაზე, რომ გადაწყვეტილება იქნა ან არ იქნა მიღებული, წარმოადგენს გადაწყვეტილების მიღების ან

არმილების საკმარის მტკიცებულებას, გადაწყვეტილების სასარგებლოდ ან საწინააღმდეგოდ მიცემული ხმების რაოდენობის მტკიცებულების გარეშე.

- (iii) თუ ფარული კენჭისყრა იქნა მოთხოვნილი, გადაწყვეტილების მიღება უნდა მოხდეს ამ ფორმით და კენჭისყრა უნდა ჩატარდეს იმ დაუყოვნებლივ ან განმეორებით კრებაზე, როგორც ამას თავმჯდომარე გადაწყვეტს. კენჭისყრის შედეგი უნდა ჩაითვალოს იმ კრების გადაწყვეტილებად, რომელზეც იგი იქნა მოთხოვნილი, და იმ თარიღის გადაწყვეტილებად, როცა იგი იქნა მიღებული. ფარული კენჭისყრის ჩატარების მოთხოვნა ხელს არ უშლის კრებას გადაწყვეტოს სხვა საკითხები, რომელთა დაკავშირებითაც მსგავსი კენჭისყრა არ არის მოთხოვნილი.
- (iv) ფარული კენჭისყრა, რომელიც მოთხოვნილია თავმჯდომარის არჩევის ან კრების გადადების საკითხთან დაკავშირებით, უნდა ჩატარდეს იმავე მომენტში.
- (v) (v) კრებაზე თითოეული ობლიგაციის მფლობელს და/ან ნომინალურ მფლობელს (შემთხვევის გათვალისწინებით) აქვს 1 (ერთი) ხმა ყოველ [100,000] ლარზე იმ ობლიგაციების ძირი რაოდენობის გათვალისწინებით, რომელსაც ფლობს (შემთხვევის გათვალისწინებით). პირი, რომელსაც აქვს 1 (ერთი) ხმაზე მეტი, არ არის ვალდებული გამოიყენოს ან მისცეს ყველა ხმა ერთნაირად. ხმების თანაბარი რაოდენობის შემთხვევაში, როგორც ხელის აწევის, ასევე ფარული კენჭისყრის შემთხვევაში, თავმჯდომარეს სხვა ხმებთან ერთად აქვს გადაწყვეტი ხმის უფლება.

**(კ) ობლიგაციების მფლობელების კრების გადაწყვეტილება:**

- (i) **განსაკუთრებული გადაწყვეტილება:** განსახილველი დროისთვის გამოშვებული „ობლიგაციების“ 75%-ის ან მეტის მფლობელი „ობლიგაციების მფლობელების“ მიერ ან მათი სახელით ხელმოწერილი წერილობითი გადაწყვეტილება ძალაში შევა, როგორც „განსაკუთრებული გადაწყვეტილება“. ამგვარი წერილობითი გადაწყვეტილება შესაძლებელია შედგეს ერთ ან ერთი და იმავე ფორმისა და შინაარსის რამდენიმე დოკუმენტად, რომელთაგან თითოეული ხელმოწერილია ერთი ან რამდენიმე „ობლიგაციების მფლობელის“ მიერ ან მისი სახელით.
- (ii) **ჩვეულებრივი გადაწყვეტილება:** განსახილველი დროისთვის „ობლიგაციების“ 51%-ის ან მეტის მფლობელი „ობლიგაციების მფლობელების“ მიერ ან მათი სახელით ხელმოწერილი წერილობითი გადაწყვეტილება ძალაში შევა, როგორც „ჩვეულებრივი გადაწყვეტილება“. ამგვარი წერილობითი გადაწყვეტილება შესაძლებელია შედგეს ერთ ან ერთი და იმავე ფორმისა და შინაარსის რამდენიმე დოკუმენტად, რომელთაგან თითოეული ხელმოწერილია ერთი ან რამდენიმე „ობლიგაციების მფლობელის“ მიერ ან მისი სახელით.

**(ლ) ობლიგაციების მფლობელების კრების გადაწყვეტილების ძალაში შესვლა:**

- (i) „ობლიგაციების მფლობელების“ კრებაზე მიღებულ ნებისმიერ გადაწყვეტილებას, მიუხედავად იმისა, იგი არის „განსაკუთრებული გადაწყვეტილება“ თუ არა, აქვს შესასრულებლად სავალდებულო ძალა ყველა „ობლიგაციების მფლობელისთვის“, მიუხედავად იმისა, ისინი ესწრებოდნენ თუ არა კრებას.
- (ii) „ობლიგაციების მფლობელების“ კრებაზე მიღებული ნებისმიერი გადაწყვეტილება დაუყოვნებლივ გამოქვეყნდება „ემიტენტის“ ვებ-გვერდზე და ძალაში შედის მისი „ემიტენტის“ ვებ-გვერდზე საჯაროდ გამოქვეყნების შემდეგ.

**(მ) კრების ოქმი:** ოქმები უნდა შედგეს თითოეულ კრებაზე, ყველა გადაწყვეტილებასა და პროცედურასთან დაკავშირებით, და ხელმოწერილი უნდა იქნას იმავე კრების თავმჯდომარის მიერ. ამგვარი ოქმი წარმოადგენს მასში განსაზღვრული საკითხების გადაწყვეტის საკმარის მტკიცებულებას. სანამ საწინააღმდეგო არ დამტკიცდება, ყველა კრება, რომლისთვისაც შედგა და ხელი მოეწერა ოქმს, ითვლება სათანადო წესით მოწვეულად და ჩატარებულად, და ყველა მასზე მიღებული

გადაწყვეტილება და განხორციელებული პროცედურა მიიჩნევა სათანადო წესით მიღებულად და განხორციელებულად.

### 2.6.10 შემდგომი ემისიები

„კომპანია“ უფლებამოსილია „ობლიგაციების მფლობელებთან“ შეთანხმების გარეშე და იმ პირობით, რომ დაცული იქნება წინამდებარე „ემისიის პროსპექტი“ გათვალისწინებული ფინანსური შეზღუდვები, დათქმები და ვალდებულებები, დროდადრო გამოუმუშავს სხვა ფასიანი ქაღალდები იმავე ან განსხვავებული პირობებით, როგორც ამას „კომპანია“ დამოუკიდებლად განსაზღვრავს, გამოშვების მომენტისათვის ფასიანი ქაღალდების ბაზარზე არსებული მდგომარეობის გათვალისწინებით.

### 2.6.11 გამოსაყენებელი სამართალი და იურისდიქცია

(ა) **გამოსაყენებელი სამართალი:** წინამდებარე „პროსპექტი“ და „ობლიგაციები“ და მათთან დაკავშირებული ყველა არასახელშეკრულებო ვალდებულება რეგულირდება და განიმარტება საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

(ბ) **იურისდიქცია:** ნებისმიერი დავა, რომელიც შეიძლება წარმოიშვას პროსპექტთან ან ობლიგაციებთან დაკავშირებით, გარდა „თავდებობის ხელშეკრულებიდან“ გამომდინარე ან მასთან დაკავშირებით წარმოშობილი დავებისა, უნდა გადაწყდეს არბიტრაჟით, რომელიც მდებარეობს (ან იურიდიული მდებარეობა არის) ლონდონში, ინგლისში და პროცესი წარიმართება ინგლისურ ენაზე ერთი არბიტრის მიერ, რომელიც დანიშნულია ლონდონის საერთაშორისო არბიტრაჟის სასამართლოს მიერ ("LCIA"). ასეთი არბიტრაჟი ჩატარდება UNCITRAL-ის საარბიტრაჟო წესების შესაბამისად, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც ცვლილება შეტანილია წინამდებარე ხელშეკრულების დებულებებით (ასეთი არბიტრაჟი ასევე უნდა იმართებოდეს LCIA-ს მიერ აღნიშნული წესების შესაბამისად)

### 2.6.12 ბათილობა

წინამდებარე „პირობების“ ნებისმიერი დებულების ბათილობა ან ძალის დაკარგვა არ მოახდენს გავლენას „პირობების“ სხვა დებულებებზე. იმ შემთხვევაში, თუ წინამდებარე „პირობების“ რომელიმე დებულების ფარგლები ფართოა რის შედეგადაც დაუშვებელია მისი აღსრულება, ეს დებულება იქნება აღსრულებული იმ მაქსიმალური ხარისხით და ფარგლებით, რამდენადაც ეს დასაშვებია კანონით.

### 2.6.13 განმარტებები

თუ შინაარსი სხვაგვარ განმარტებას არ მოითხოვს, წინამდებარე „პირობებში“ გამოყენებულ განსაზღვრებებს ენიჭებათ შემდეგი მნიშვნელობები:

„ADB“ - ნიშნავს აზიის განვითარების ბანკს, მანილაში (ფილიპინები) მდებარე რეგიონალური განვითარების ბანკი

„ADB“-ის კალკულაციის და გადახდის აგენტი - სს „საქართველოს ბანკს“ (საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად რეგისტრირებული სააქციო საზოგადოება, საიდენტიფიკაციო ნომრი: 204378869) ან ნებისმიერ ჩამნაცვლებელ კალკულაციისა და გადახდის აგენტს, რომელიც დანიშნული იქნება ADB-ის მიერ;

**„გამჭვირვალობის წესი“** - საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის 2020 წლის 7 ოქტომბრის ბრძანება #181/04 „ემიტენტის შესახებ ინფორმაციის გამჭვირვალობისა და ემიტენტისათვის ფასიანი ქაღალდების რეგისტრატორის დანიშვნის წესის დამტკიცების თაობაზე“, მასში დროდადრო შეტანილი ცვლილებების გათვალისწინებით;

**„განმეორებითი კრება“** - ნიშნავს „ობლიგაციების მფლობელების“ კრებას, რომელიც აგრძელებს წინა კრებას, რომელზეც საქმიანობის წარმოებისთვის საჭირო ქვორუმი არ შედგა.

**„დაფარვის თარიღი“** - ნიშნავს თარიღს, რომელიც განსაზღვრულია საბოლოო შეთავაზების პირობების დოკუმენტით და როდესაც „ემიტენტმა“ უნდა დაფაროს „ობლიგაციები“ მათი ძირითადი თანხისა და მათზე დარიცხული და გადაუხდელი ნებისმიერი სარგებლის გადახდით;

**„ემიტენტი“ ან „კომპანია“** - შპს „თეგეტა მოტორს“, საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად დაფუძნებული შეზღუდული პასუხისმგებლობის კომპანია ს/ნ: 202177205;

**„ობლიგაციის მფლობელი“, „ობლიგაციონერი“ ან „ინვესტორი“** ნიშნავს „ობლიგაციების“ რეგისტრირებულ მესაკუთრეს („რეგისტრირებული მესაკუთრე“) (ფასიანი ქაღალდების მარეგულირებელი კანონში მოცემული განსაზღვრების შესაბამისად);

**„სამუშაო დღე“** ნიშნავს ნებისმიერ დღეს (შაბათ-კვირისა და ოფიციალური უქმე დღეების გარდა), როდესაც კომერციული ბანკები და ფასიანი ქაღალდების ბაზრის მონაწილეები ახორციელებენ ტრანზაქციებს და არიან ღია ზოგადი ბიზნესისთვის (მათ შორის, სავალუტო და უცხოურ ვალუტაში დეპოზიტებისთვის) თბილისში (საქართველო).

**„სამუშაო დღის კონვენცია“** ნიშნავს კორექტირებულ შემდგომ დღეს („Modified Following“), რომლის მიხედვითაც „ობლიგაციების“ „პროცენტის გადახდის თარიღი“ ან „დაფარვის თარიღი“ (გარემოებების გათვალისწინებით), გადაინაცვლებს მომდევნო სამუშაო დღეს, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც მომდევნო „სამუშაო დღე“ გადანაცვლებას ახდენს შემდეგ კალენდარულ თვეში, რა შემთხვევაშიც ასეთი „ობლიგაციების“ „პროცენტის გადახდის თარიღი“ ან „დაფარვის თარიღი“ (შესაბამისად) გადაინაცვლებს წინა „სამუშაო დღეს“

**„ჯგუფი“** ნიშნავს „ემიტენტს“ და მის „შვილობილ კომპანიებს“, რომლებიც, დრო და დრო, განიხილებიან ერთობლიობაში;

**„კონტროლი“**, წინამდებარე განსაზღვრების შესაბამისად (დაკავშირებული მნიშვნელობებით ტერმინებისათვის „მაკონტროლებელი“, „კონტროლირებადი“ ან „საერთო კონტროლის ქვეშ“), ნიშნავს კაპიტალის ფლობის მეშვეობით, ხელშეკრულების საფუძველზე ან სხვაგვარად პირის ხელმძღვანელობის და პოლიტიკის წარმართვის უფლებამოსილებას;

**„ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტები“ (IFRS)** ნიშნავს საერთაშორისო ბუღალტერიის სტანდარტების საბჭოს (IASB) მიერ გამოცემულ საერთაშორისო ფინანსური ანგარიშგების სტანდარტებს (ყოფილი საერთაშორისო საბუღალტრო სტანდარტები) და IASB-ის საერთაშორისო ფინანსური ანგარიშგების განმმარტავი კომიტეტის მიერ გამოცემულ განმარტებებს (დრო და დრო შეტანილი, დამატებული ან ხელახლა გამოცემული ცვლილებებით);

**„IFRS ფინანსური პერიოდი“** ნიშნავს ნებისმიერ ფინანსურ პერიოდს, რომლის მიმართაც „ემიტენტმა“ მოამზადა კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგებები IFRS-ის შესაბამისად, რომელიც შეამოწმეს ან გადახედეს „აუდიტორებმა“;

„ნომინალური მფლობელი“ ნიშნავს ფასიანი ქაღალდის ნომინალურ მფლობელს ("ფასიანი ქაღალდის ნომინალური მფლობელი"), „ფასიანი ქაღალდების კანონში“ განსაზღვრების შესაბამისად;

„ნებადართული უზრუნველყოფა“ ნიშნავს:

(ა) იმ ხელშეკრულებების საფუძველზე წარმოშობილი უზრუნველყოფის საშუალება, რომელიც დადებულია „გამოშვების თარიღამდე“ ან ნებისმიერი უზრუნველყოფის საშუალება, რომლის გაცემის ან დადების განზრახვა გამჟღავნებულია წინამდებარე ემისიის პროსპექტში, მიუხედავად იმისა, ხელმოწერილია თუ არა იგი გამოშვების თარიღზე;

(ბ) „ემიტენტის“ ან მისი ნებისმიერი „შვილობილი კომპანიის“ მიერ „ემიტენტის“ ან ნებისმიერი „შვილობილი კომპანიის“ სასარგებლოდ მინიჭებული უზრუნველყოფის საშუალება;

(გ) „უზრუნველყოფის საშუალება“, რომელიც უზრუნველყოფს „პირის“ ფინანსურ ვალდებულებას და არსებობს იმ პერიოდისთვის, როდესაც ამგვარი „პირი“ შეერწყმება ან გაერთიანდება „ემიტენტთან“ ან მის „შვილობილ კომპანიასთან“ ან გახდება „ემიტენტის“ „შვილობილი კომპანია“, იმ პირობით, რომ ამგვარი „უზრუნველყოფის საშუალება“ (i) არ შექმნილა ამგვარი შერწყმის, გაერთიანების ან შემთხვევის მიზნებისთვის; და (ii) არ ვრცელდება „ემიტენტის“ ან მისი „შვილობილი კომპანიის“ ნებისმიერ აქტივზე ან ქონებაზე (გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც შექმნილ „პირს“ და მის „შვილობილ კომპანიებს“ (ასეთის არსებობისას));

(დ) „უზრუნველყოფის საშუალება“, რომელიც გაიცა „ჯგუფის“ რომელიმე წევრის მიერ რაიმე ქონების შეძენისას ან შეძენასთან დაკავშირებით ამგვარი ქონების ნასყიდობის ფასის ან იმ „ფინანსური ვალდებულების“ უზრუნველსაყოფად, რომელიც აღებულია მხოლოდ ამ ქონების შეძენისა და შეძენასთან დაკავშირებული ხარჯების დაფინანსების მიზნით, იმ პირობით, რომ ამგვარი „უზრუნველყოფის საშუალებით“ უზრუნველყოფილი „ფინანსური ვალდებულების“ მაქსიმალური ოდენობა არ უნდა აღემატებოდეს ქონების ნასყიდობის ფასს, შეძენასთან დაკავშირებულ ხარჯებს ან/და მხოლოდ ქონების შეძენის დასაფინანსებლად წარმოქმნილი „ფინანსური ვალდებულების“ ოდენობას;

(ე) ნებისმიერი გაქვითვის მექანიზმი, რომლის მხარესაც წარმოადგენს „ჯგუფის“ რომელიმე წევრი ჩვეულებრივი საქმიანობის ფარგლებში კრედიტისა და დებეტის ბალანსის ურთიერთგაქვითვის მიზნით;

(ვ) „უზრუნველყოფის საშუალება“ არსებულ ან სამომავლო აქტივებზე ან შემოსავლებზე ან მათ ნაწილზე, რაც შექმნილია „რეპო“ ოპერაციის შესაბამისად;

(ზ) ნებისმიერი იმ შეთანხმებიდან (ან შესაბამისი პირობიდან) შესაბამისად წარმოშობილი „უზრუნველყოფის საშუალება“, რომელიც სტანდარტულია ან ჩვეულია შესაბამის ბაზარზე და უკავშირდება საპროცენტო განაკვეთისა და უცხო ვალუტის კურსის ჰეჯირების ოპერაციებს; და

(თ) კანონის მოქმედების საფუძველზე და ჩვეულებრივი საქმიანობის ფარგლებში წარმოშობილი ნებისმიერი „უზრუნველყოფის საშუალება“, საგადასახადო და სხვა არა-ნებაყოფლობითი „უზრუნველყოფის საშუალების“ ჩათვლით;

(ი) ნებისმიერი „უზრუნველყოფის საშუალება“, რომელიც არ არის გათვალისწინებული (ა)-დან (თ)-ს ჩათვლით პუნქტებით, იმ პირობით, რომ ამგვარი „უზრუნველყოფის საშუალებით“

უზრუნველყოფილი ფინანსური ვალდებულების ჯამური ძირი თანხა არცერთ შემთხვევაში არ აღემატება „ჯგუფის“ კონსოლიდირებული აქტივების 5 პროცენტს, რომელიც განისაზღვრება, უკანასკნელი „IFRS ფინანსური პერიოდის“ დასასრულს IFRS-ის შესაბამისად მომზადებულ, „კომპანიის“ კონსოლიდირებულ საბალანსო ანგარიშზე მითითებით;

"პირი" ნიშნავს ნებისმიერ ფიზიკურ პირს, კომპანიას, კორპორაციას, ფირმას, ამხანაგობას, ერთობლივ საწარმოს, გაერთიანებას, ტრასტს, დაწესებულებას, ორგანიზაციას, სახელმწიფო ან ნებისმიერ სხვა საწარმოს, მიუხედავად იმისა წარმოადგენს თუ არა ეს უკანასკნელ დამოუკიდებელ იურიდიულ პირს;

**„პროცენტის განსაზღვრის თარიღი“** ნიშნავს უახლოეს თარიღებს ყოველი საპროცენტო პერიოდის დაწყებამდე როგორც მითითებულია საბოლოო შეთავაზების პირობების დოკუმენტში. „პროსპექტის“ მოქმედების ვადის განმავლობაში, „პროცენტის განსაზღვრის თარიღები“ შესაძლოა დაზუსტდეს, რის შესახებაც „ემიტენტი“ საქართველოს ეროვნულ ბანკში წარადგენს შესაბამის განაცხადს ცვლილებების შესახებ;

**„პროცენტის გადახდის თარიღი“** ნიშნავს თარიღს როდესაც საპროცენტო სარგებელი „ობლიგაციებზე“ ხდება გადასახდელი როგორც მითითებულია საბოლოო შეთავაზების პირობების დოკუმენტში. „პროსპექტის“ მოქმედების ვადის განმავლობაში, „პროცენტის გადახდის თარიღები“ შესაძლოა დაზუსტდეს, რის შესახებაც „ემიტენტი“ საქართველოს ეროვნულ ბანკში წარადგენს შესაბამის განაცხადს ცვლილებების შესახებ;

**„რეგისტრირებული მფლობელი“** ნიშნავს „ობლიგაციონერს“ ან „ნომინალურ მფლობელს, რომელთა სახელზეც რეგისტრირებულია ფასიანი ქაღალდები „რეგისტრატორთან“;

**„საპროცენტო პერიოდი“** ნიშნავს თითოეულ პერიოდს, რომელიც იწყება „პროცენტის გადახდის თარიღზე“ და სრულდება მომდევნო „პროცენტის გადახდის თარიღის“ წინა დღეს, გარდა პირველი პერიოდისა, როდესაც ეს ნიშნავს პერიოდს, რომელიც იწყება „ობლიგაციების“ „გამოშვების თარიღით“ და სრულდება მომდევნო „პროცენტის გადახდის თარიღის“ წინა დღეს და გარდა ბოლო პერიოდისა, როდესაც ეს ნიშნავს პერიოდს, რომელიც იწყება ბოლო „პროცენტის გადახდის თარიღზე“ და მთავრდება „ობლიგაციების“ „დაფარვის თარიღით“ ან თუკი „ობლიგაციები“ ხდება ვადამოსული და გადასახდელი, ეს უკანასკნელი თარიღი (როდესაც „ობლიგაციები“ გახდება ვადამოსული და გადასახდელი), „სამუშაო დღის კონვენციის“ პირობის გათვალისწინებით. ყოველგვარი ეჭვის გამოსარიცხად, თუ „პროცენტის გადახდის თარიღი“ ნაცვლდება მომდევნო „სამუშაო დღით“, პროცენტის დარიცხვა განხორციელდება ასეთ გადავადებულ თარიღამდე (მაგრამ მისი გამოკლებით). გარდა ამისა, როდესაც „პროცენტის გადახდის თარიღი“ კორექტირდება წინა „სამუშაო დღეზე“ (თავდაპირველად კორექტირებული „პროცენტის გადახდის თარიღის“ მომდევნო კალენდარულ თვეში გადანაცვლების გამო), პროცენტის დარიცხვა განხორციელდება ასეთ უფრო ადრეულ თარიღამდე (მაგრამ მისი გამოკლებით).

**„სებ-ის (იგივე „საქართველოს ეროვნული ბანკის“) ვებ-გვერდის ეკრანი“** ნიშნავს შემდეგ მისამართზე არსებულ გვერდს: <https://nbg.gov.ge/en/monetary-policy/tibr> ან (i) ნებისმიერი ჩამნაცვლებელი გვერდი, სხვა გამოქვეყნებული წყარო, ინფორმაციის ვენდორი ან პროვაიდერი, რომელიც ოფიციალურად არის დანიშნული ადმინისტრატორად ეროვნული ბანკის მიერ; ან (ii) თუ ასეთ ადმინისტრატორს ოფიციალურად არ აქვს დადგენილი ჩამნაცვლებელი გვერდი, სხვა გამოქვეყნებული წყარო, სერვისის პროვაიდერი (გარემოებების მიხედვით), ჩამნაცვლებელი საჩვენებელი გვერდი, სხვა გამოქვეყნებული წყარო, სერვისი ან პროვაიდერი, ასეთის არსებობის შემთხვევაში, დანიშნული შესაბამისი ინფორმაციის ვენდორის ან პროვაიდერის მიერ (თუ განსხვავებულია ადმინისტრატორისგან), როგორც ეს

განსაზღვრულია „ADB-ს კალკულაციისა და გადახდის აგენტის მიერ“, რომელიც დაუყოვნებლივ აცნობებს „კალკულაციისა და გადახდის აგენტს“, რომელიც თავის მხრივ დაუყოვნებლივ აცნობებს „რეგისტრატორს“, „ემიტენტს“, ინვესტორებსა და საქართველოს საფონდო ბირჟას წერილობით, სათაურის, გვერდის, ჩამნაცვლებელი ვებგვერდის- ან/და ადმინისტრატორის მითითებით.

**„ალტერნატიული ბენჩმარკის განსაზღვრის პირობები“** ნიშნავს ქვემოთ აღწერილ ალტერნატიულ ბენჩმარკს:

(i) თუ რომელიმე შესაბამისი „პროცენტის განსაზღვრის თარიღთან“ დაკავშირებით, „ADB-ს კალკულაციისა და გადახდის აგენტი“ ადგენს, რომ „TIBR6M“ არ არის ხელმისაწვდომი რაიმე მიზეზით თბილისის დროით შუადღის 11:00 სეზ-ის (იგივე „საქართველოს ეროვნული ბანკის“) ვებ-გვერდის ეკრანზე“, მაშინ საანგარიშო განაკვეთი იქნება ტოლი ე.წ. „რთული TIBR“-ისა, რომელიც გამოითვლება შესაბამისი „პროცენტის განსაზღვრის თარიღში“ „ADB-ს კალკულაციისა და გადახდის აგენტის“ მიერ შემდეგი ფორმულის მიხედვით, და შედეგად მიღებული პროცენტი დამრგვალდება (საჭიროების შემთხვევაში) მეორე ათწილადამდე, 0.005-0.009 ლარი მრგვალდება ზემოთ:

$$\left[ \prod_{i=1}^{d_0} \left( 1 + \frac{TIBR_i \times n_i}{360} \right) - 1 \right] \times \frac{360}{d}$$

სადაც:

“**d**” არის კალენდარული დღეების რაოდენობა შესაბამის „საანგარიშო პერიოდში“;

“**do**” არის “თბილისის სამუშაო დღეების” რაოდენობა შესაბამის „საანგარიშო პერიოდში“;

“**i**” არის მთელი რიცხვების სერია ერთიდან do-მდე, სადაც თითოეული წარმოადგენს შესაბამის „საანგარიშო პერიოდში“ შესაბამის „თბილისის სამუშაო დღეს“ ქრონოლოგიური თანმიმდევრობით და პირველი „თბილისის სამუშაო დღიდან“ ამ თარიღის ჩათვლით;

“**ni**” ნებისმიერი „თბილისის სამუშაო დღისთვის“ „i“ შესაბამის „საანგარიშო პერიოდში“ ნიშნავს კალენდარული დღეების რაოდენობას ასეთი „i“ დღიდან და ჩათვლით მომდევნო „თბილისის სამუშაო დღემდე“ ამ უკანასკნელის გამოკლებით.

“**TIBR<sub>i</sub>**” ნიშნავს TIBR-ს „თბილისის სამუშაო დღისთვის“ „i“ შესაბამის „საანგარიშო პერიოდში“ (და გამოქვეყნებულია მომდევნო „თბილისის სამუშაო დღეს“).

“**TIBR**” ნებისმიერ „თბილისის სამუშაო დღესთან“ მიმართებით, არის განაკვეთი, რომელიც ტოლია ამ „თბილისის სამუშაო დღისთვის“ თბილისის დღიური ბანკთაშორისი განაკვეთის (TIBR), რომელიც მოცემულია „შესაბამისი ვებ-გვერდის ეკრანზე“ და ნაჩვენებია მომდევნო „თბილისის სამუშაო დღეს“ ან თუ ასეთი გვერდი მიუწვდომელია, როგორც ეს მითითებულია „ჩამნაცვლებელი ვებ-გვერდის ეკრანზე“, ასეთი „თბილისის სამუშაო დღის“ შემდგომ „თბილისის სამუშაო დღეს“.

“**საანგარიშო პერიოდი**” ნიშნავს პერიოდს იმ თარიღიდან (და მისი ჩათვლით), ექვსთვიანი პერიოდის დასაწყისამდე, რომელიც „ADB-ს კალკულაციისა და გადახდის აგენტის“ თანახმად, ემთხვევა ექვსთვიანი პერიოდის დასაწყისამდე, რომელიც წინ უსწრებს შესაბამისი „საპროცენტო პერიოდის“ პირველ დღეს (ან ნებისმიერ თარიღს, როდესაც „ობლიგაციები“ ხდება ვადამოსული და გადასახდელი) და ისეთ თარიღამდე



(მაგრამ მისი გამოკლებით), რომელიც, „ADB-ს კალკულაციისა და გადახდის აგენტის“ თანახმად, არის ასეთი „საპროცენტო პერიოდის“ პირველ დღემდე (ან ნებისმიერ მომდევნო თარიღს, როდესაც „ობლიგაციები“ ხდება ვადამოსული და გადასახდელი).

**„შესაბამისი ვებ-გვერდის ეკრანი“** ნიშნავს თბილისის ბანკთაშორისი საპროცენტო განაკვეთის ინდექსს, რომელიც ყოველდღიურად ჩნდება წინა დღის განაკვეთად სათაურით „თბილისის ბანკთაშორისი საპროცენტო განაკვეთი – TIBR INDEX“ ეროვნული ბანკის მითითებულ ვებგვერდზე: <https://nbg.gov.ge/en/monetary-policy>. /tibr.

**„ჩამნაცვლებელი ვებ-გვერდის ეკრანი“** ნიშნავს (i) ნებისმიერი ჩამნაცვლებელ გვერდს, სხვა გამოქვეყნებულ წყაროს, ინფორმაციის ვენდორს ან პროვაიდერს, რომელიც ოფიციალურად არის დანიშნული „შესაბამისი ვებ-გვერდის ეკრანის“ ადმინისტრატორის მიერ; ან (ii) თუ ასეთ ადმინისტრატორს ოფიციალურად არ აქვს დადგენილი ჩამნაცვლებელი გვერდი, სხვა გამოქვეყნებული წყარო, სერვისი ან პროვაიდერი (გარემოებების შესაბამისად), ჩამნაცვლებელი გვერდი, სხვა გამოქვეყნებული წყარო, სერვისი ან პროვაიდერი, ასეთის არსებობის შემთხვევაში, ასეთად დადგენილი შესაბამისი ინფორმაციის ვენდორის ან პროვაიდერის მიერ (თუ განსხვავდება ადმინისტრატორისგან).

*ყოველგვარი ეჭვის გამორიცხვის მიზნით, “რთული TIBR“-ის გამოთვლის ფორმულა აერთიანებს TIBR-ს მხოლოდ იმ დღეების მიმართ, რომლებიც საანგარიშო პერიოდის განმავლობაში არის თბილისის სამუშაო დღეები. TIBR, რომელიც გამოყენებულია იმ დღისთვის, რომელიც არ არის თბილისის სამუშაო დღე, იღებს TIBR-ს თბილისის წინა სამუშაო დღისთვის, მაგრამ რთული გამოთვლის გარეშე. გარდა ამისა, ალტერნატიული ბენჩმარკის განსაზღვრის პირობების“ (i) ქვეპუნქტის შესაბამისად განსაზღვრული რთული TIBR გამოითვლება საანგარიშო პერიოდისთვის და არა მოცემული საპროცენტო პერიოდისთვის. შესაბამისად, ასეთი განაკვეთები შეიძლება განსხვავდებოდეს საპროცენტო პერიოდისთვის გამოთვლილი განაკვეთებისგან.*

თუ შესაბამისი საანგარიშო პერიოდის ნებისმიერ თბილისის სამუშაო დღესთან დაკავშირებით, ADB-ს კალკულაციისა და გადახდის აგენტი განსაზღვრავს, რომ TIBR არ არის ხელმისაწვდომი შესაბამის ვებ-გვერდის ეკრანზე, ან ჩამნაცვლებელი ვებ-გვერდის ეკრანზე (შესაბამისად) ასეთი TIBR იქნება:

(ა) შესაბამისი თბილისის დასრულებისას სამუშაო დღის დახურვისას არსებულ ეროვნული ბანკის მონეტარული პოლიტიკის განაკვეთს (რეფინანსირების განაკვეთი) („საბაზისო განაკვეთი“) (როგორც გამოქვეყნებულია სებ-ის ვებგვერდზე: <https://nbg.gov.ge/en/page/monetary-policy> - განაკვეთი სახელწოდებით „მონეტარული პოლიტიკის განაკვეთი“); დამატებული (ii) TIBR-ის საბაზისო განაკვეთთან სხვაობის (სპრედი) საშუალო მაჩვენებელი წინა ხუთი დღის განმავლობაში, როდესაც გამოქვეყნდა TIBR, ყველაზე მაღალი სპრედის გამორიცხვით (ან, თუ არის ერთზე მეტი ყველაზე მაღალი სპრედი, გამოთვლიდან გამოირიცხება მხოლოდ ერთი ყველაზე მაღალი სპრედი) და ყველაზე დაბალი სპრედის გამორიცხვით (ან, თუ არის ერთზე მეტი ყველაზე დაბალი სპრედი, გამოთვლიდან გამოირიცხება მხოლოდ ერთი ყველაზე დაბალი სპრედი) საბაზისო განაკვეთზე; ან

(ბ) თუ საბაზისო განაკვეთი არ არის გამოქვეყნებული სებ-ის მიერ შესაბამისი თბილისის სამუშაო დღის დახურვისას, ან TIBR არ არის გამოქვეყნებული

შესაბამის ეკრანზე, ან თუ ასეთი გვერდი მიუწვდომელია, როგორც ეს ნაჩვენებია ჩამნაცვლებელ ვებ-გვერდის ეკრანზე, უკანასკნელ თბილისის სამუშაო დღეს, როდესაც TIBR გამოქვეყნდა შესაბამის ეკრანზე ან ჩამნაცვლებელ ეკრანის გვერდზე (როგორც შესაბამისია)

ზემოაღნიშნული დებულებების მიუხედავად, თუ ეროვნული ბანკი გამოაქვეყნებს მითითებებს იმის შესახებ, თუ როგორ უნდა განისაზღვროს TIBR ან (ii) ნებისმიერი განაკვეთი, რომელიც ჩამნაცვლებს TIBR-ს, „ADB-ის კალკულაციისა და გადახდის აგენტს“ შეუძლია, რამდენადაც ეს გონივრულად შესაძლებელია, მიჰყვეს ასეთ მითითებებს, რათა განისაზღვროს TIBR რთული TIBR-ის მიზნებისთვის მანამ, სანამ TIBR არ არის ხელმისაწვდომი ან სხვაგვარად არ არის გამოქვეყნებული ეროვნული ბანკის ან ჩამნაცვლებელი ადმინისტრატორის მიერ,

- (ii) თუ TIBR შეწყვეტს არსებობას ან აღარ არის ინდუსტრიაში მიღებული საბაზისო განაკვეთი სავალო ბაზრის ინსტრუმენტებისთვის ობლიგაციების მოქმედების განმავლობაში, და „ADB-ის კალკულაციისა და გადახდის აგენტი“ განსაზღვრავს, რომ არ არსებობს ინდუსტრიაში მიღებული საბაზისო განაკვეთი სავალო ბაზრის ინსტრუმენტებისთვის, რომელიც დაკავშირებულია TIBR-თან და რომ არც ერთი შემცვლელი ან სხვა ჩამნაცვლებელი საბაზისო განაკვეთი არ არის შედარებული TIBR-თან, საპროცენტო განაკვეთი განისაზღვრება „ADB-ის კალკულაციისა და გადახდის აგენტის“ მიერ მისი შეხედულებისამებრ და კეთილსინდისიერად და კომერციულად გონივრული გზით.

„ADB-ის კალკულაციისა და გადახდის აგენტის“ მიერ განსაზღვრული შესაბამისი განაკვეთი ამ საპროცენტო განაკვეთის „ალტერნატიული ბენჩმარკის განსაზღვრის პირობების“ შესაბამისად (რომელიც ასახავს ADB ობლიგაციების საპროცენტო განაკვეთის სარეზერვო დებულებებს - *mutatis mutandis*) დაუყოვნებლივ უნდა ეცნობოს (წერილობით) ასევე „კალკულაციისა და გადახდის აგენტს“, რომელიც, თავის მხრივ, დაუყოვნებლივ აცნობებს რეგისტრატორს, ემიტენტს, ინვესტორებს და საქართველოს საფონდო ბირჟას.

**"რეპო"** ნიშნავს ფასიანი ქაღალდების გამოსყიდვის ან გადაყიდვის შეთანხმებას, ასევე უკუ-გამოსყიდვის ან უკუ-გადაყიდვის შეთანხმებას. ფასიანი ქაღალდების თხოვების ან სესხების შეთანხმებას, ასევე ნებისმიერ შეთანხმებას, რომელიც უკავშირდება ფასიან ქაღალდებს და გააჩნია ზემოაღნიშნული მსგავსი ხასიათი;

**„ფასიანი ქაღალდების კანონი“** ნიშნავს „ფასიანი ქაღალდების ბაზრის შესახებ“ 1998 წლის 24 დეკემბერს მიღებულ საქართველოს კანონს, შესაბამისი დრო და დრო განხორციელებული ცვლილებებით;

**„უზრუნველყოფის საშუალება“** ნიშნავს ნებისმიერ გირავნობას/იპოთეკას (უფლებრივად დატვირთვას, ყადაღას, ან სხვა სესხის უზრუნველყოფის საშუალებას (რაც შეზღუდვის გარეშე მოიცავს ნებისმიერი იურისდიქციის კანონმდებლობის შესაბამისად ზემოაღნიშნულის ნებისმიერი ანალოგიას);

**„შვილობილი კომპანია“** „ნებისმიერი „პირთან“ („პირველი პირი“) მიმართებით ნიშნავს მოცემულ დროს, ნებისმიერ სხვა „პირს“ („მეორე პირი“) (ა) რომლის საქმიანობას და პოლიტიკას პირდაპირ ან არაპირდაპირ აკონტროლებს „პირველი პირი“ ან (ბ) რომლის კაპიტალის, ხმის მიცემის უფლების მქონე აქციების ან სხვა საკუთრების უფლების 50 პროცენტზე მეტს ფლობს, პირდაპირ ან არაპირდაპირ, „პირველი პირი“;

**„პირობები“** ან **„გამოშვების პირობები“** ნიშნავს წინამდებარე პროსპექტით ობლიგაციების გამოშვებისათვის განსაზღვრულ პირობებს;

„გადასახადი“ ნიშნავს ნებისმიერ გადასახადს, დანაკისრს, ვალდებულებას, ბაჟს ან სხვა საკომისიოს ან მსგავს გამოქვითვას, წარმოშობის (დარიცხული პროცენტებისა და ჯარიმების და შესაბამისი დამატებების ჩათვლით), განსაზღვრის და დაკისრების საფუძვლის და ფორმის მიუხედავად.

„პროსპექტი“ თუ ემისიის პროსპექტის ტექსტი სხვაგვარად არ მიუთითებს, მითითება „წინამდებარე პროსპექტზე“ გულისხმობს მითითებას სებ-ის მიერ სათანადო წესით დამტკიცებულ ემისიის პროსპექტზე.

„ანგარიშგების თარიღი“ ნიშნავს ნებისმიერ იმ თარიღს, რა მდგომარეობითაც „ემიტენტს“ აქვს „ობლიგაციონერებისთვის“ ინფორმაციის გამჟღავნების ვალდებულება ამ პროსპექტის 2.6.2(ზ) პუნქტის საფუძველზე;

„მაჟორიტარი პარტნიორი“ ნიშნავს ნებისმიერ პარტნიორს, რომელიც შესაბამის კომპანიაში ფლობს წილის, აქციების ან ხმის უფლების 50%-ზე მეტს.

„გარანტორ(ებ)ი“ ნიშნავს „ემიტენტის“ ყველა შვილობილ კომპანიას შპს „თეგეტა ევრუვდის“ გარდა: (1) შპს „თეგეტა რითელი“; (2) შპს „თეგეტა თრაქ ენდ ბას“; (3) შპს „თეგეტა ქონსტრაქშენ ექვიფმენტ“; (4) შპს „ქონსტრაქშენ მეშინერი ჯორჯია“; (5) შპს „თეგეტა ქომერშელ ვიიქლს“; (6) შპს „თეგეტა ინდასტრი“; (7) შპს „თეგეტა ავტომოტივ იმპორტი“; (8) შპს „თეგეტა პრაიმ პროდაქტს“; (9) შპს „თეგეტა დისტრიბუცია“; (10) შპს „თეგეტა თაიარ იმპორტს“; (11) შპს „სკანდინავიან ავტო თეგეტა“; (12) შპს „თეგეტა პრემიუმ ვიიქელს“; (13) შპს „კავკასუს ავტომოტივი“; (14) შპს „ტოიოტა ცენტრი თეგეტა“; (15) შპს „თი-ბი-ეი თეგეტა“; (16) შპს „ინტერავტო თრეიდინგი“; (17) Tegeta Motors Baku LLC; (18) Tegeta Motors Central Asia LLC; (19) Tegeta Motors Ukraine LLC; (20) შპს „თეგეტა აკადემია“; (21) შპს „თეგეტა ლიზინგი“; (22) შპს „თეგეტა ლოჯისტიკი“; (23) შპს „თეგეტა კაპიტალი“; (24) შპს „თეგეტა რეალ ისთეით“; (25) შპს „ავტო გალერი“; (26) შპს „თეგეტა რენტალსი“.

„TIBR6M“ ნიშნავს უახლეს განაკვეთს, რომელიც გამოსახულია როგორც „TIBR6M“ „სებ-ის (იგივე „საქართველოს ეროვნული ბანკის“) ვებ-გვერდის ეკრანზე“ სათაურით „თბილისის ბანკთაშორისი საპროცენტო განაკვეთი – TIBR ინდექსი“ „საპროცენტო პერიოდთან“ მიმართებით „პროცენტის განსაზღვრის თარიღზე“, თბილისის დროით დილის 11:00 საათისთვის.

### 1.9. ფასიანი ქაღალდების მფლობელთა წარმომადგენლის და ვებ-გვერდის მითითება.

ტრანზაქციის სტრუქტურა არ ითვალისწინებს ფასიანი ქაღალდების მფლობელების წარმომადგენლის ინსტიტუტს.

### 1.10. ფასიანი ქაღალდებთან დაკავშირებული უფლებების აღწერა, მათ შორის ამ უფლების ნებისმიერი შეზღუდვებისა და ამ უფლებების განხორციელების პროცედურის აღწერა.

იგივე, რაც 2.6 პუნქტში.

### 1.11. ფასიანი ქაღალდების თავისუფალი მიმოქცევის ნებისმიერი შეზღუდვის აღწერა.

მსგავსი შეზღუდვა დაფიქსირებული არ არის.

### 1.12. საკონტროლო პაკეტის შექმნასთან დაკავშირებული საკანონმდებლო მოთხოვნების მოკლე აღწერა

არ არის რელევანტური

**1.13. მითითება, მესამე მხარის მიერ ემიტენტის საჯარო აქციების საკონტროლო პაკეტის შესაძლო შექმნის შესახებ.**

არ არის რელევანტური

**1.14. ინფორმაცია ფასიანი ქაღალდებიდან მიღებული შემოსავლის დაბეგვრის შესახებ. „ობლიგაციების“ დაბეგვრა საქართველოში**

წინამდებარე თავი შეჯამებას უკეთებს ქართულ საგადასახადო სისტემას, რაც შესაძლოა საინტერესო იყოს „ობლიგაციების მფლობელთათვის“. წინამდებარე შეჯამება ეფუძნება „კომპანიის“ მიერ მოქმედი კანონების, რეგულაციების და გადაწყვეტილებების გაგებას და ექვემდებარება საგადასახადო სამართლის ინტერპრეტაციების და პრაქტიკის ცვლილებებს, მათ შორის, ცვლილებებს, ინტერპრეტაციებს და განცხადებებს, რომლებსაც შესაძლოა ჰქონდეთ უკუმაღლა. ქვემოთ აღნიშნული გარკვეული განცხადებები „ობლიგაციების“ მფლობელების შესაძლო საგადასახადო რეგულირებასთან დაკავშირებით ამ კონტექსტში უნდა იქნას წაკითხული.

წინამდებარე შეჯამება არ აღწერს ყველა საგადასახადო რეგულაციას, რაც შესაძლოა საინტერესო იყოს „ობლიგაციების მფლობელებისთვის“, განსაკუთრებით იმ „ობლიგაციების მფლობელთათვის“, რომლებზეც ვრცელდება სპეციალური საგადასახადო წესები. შესაბამისად, აღნიშნული არ წარმოადგენს „ობლიგაციებთან“ დაკავშირებული საგადასახადო საკითხების ამომწურავ შეფასებას. რეკომენდებულია „ობლიგაციების მფლობელებმა“ კონსულტაციები გაიარონ მათ პროფესიონალ მრჩეველებთან „ობლიგაციების“ შექმნის შედეგებთან დაკავშირებით, იმ ქვეყნის კანონმდებლობის გათვალისწინებით, რომლის რეზიდენტებიც არიან.

წინამდებარე ანალიზი წარმოადგენს საგადასახადო საკითხების ზოგად მიმოხილვას „ობლიგაციებთან“ დაკავშირებით, რომელიც მომზადებულია საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობის მიხედვით. როგორც საქართველოს კანონმდებლობის სხვა სფეროები, საქართველოს საგადასახადო სამართალი და პრაქტიკა არ არის ისე მკაფიო და ნათელი, როგორც სხვა უფრო განვითარებულ სახელმწიფოებში. შესაბამისად, შესაძლებელია მასში შევიდეს ცვლილებები, როგორც კანონში, ასევე მის ამჟამინდელ ინტერპრეტაციაში. აქედან გამომდინარე, შესაძლებელია „ობლიგაციების“ მფლობელების მიერ გადასახდელი თანხები დაექვემდებაროს საგადასახადო დაბეგვრას ან ამჟამად არსებული საგადასახადო განაკვეთები გაიზარდოს, რაც შეუძლებელია ნავარაუდები იქნას წინამდებარე „ემისიის პროსპექტის“ თარიღისათვის. „ობლიგაციების“ თითოეულმა პოტენციურმა შემქმნელმა უნდა გაითვალისწინოს საგადასახადო პრობლემატიკა იმ ქვეყნების კანონმდებლობის მიხედვით, რომელიც გავრცელდება მის მიერ „ობლიგაციების“ შექმნაზე, ფლობასა და გაყიდვაზე.

**პროცენტის დაბეგვრა გადახდის წყაროსთან**

საქართველოს საგადასახადო კოდექსის მიხედვით, „ობლიგაციების“ მფლობელებისთვის (რეზიდენტი ან არარეზიდენტი ფიზიკური პირები, არარეზიდენტი საწარმოები და რეზიდენტი ან არარეზიდენტი ორგანიზაციები) გადახდილი პროცენტი იბეგრება გადახდის წყაროსთან 5%-იანი განაკვეთით. გადახდის წყაროსთან დაბეგრილი პროცენტი მიმღები ფიზიკური პირის მიერ არ უნდა იქნას ჩართული მის ერთობლივ შემოსავალში. საქართველოს რეზიდენტი იურიდიული პირები, ასევე არარეზიდენტი იურიდიული პირების მუდმივი დაწესებულებები შემოსავალში რთავენ ობლიგაციის ფლობისგან მიღებულ საპროცენტო შემოსავალს.

საქართველოს საგადასახადო კოდექსის მიხედვით, ობლიგაციებიდან მისაღები პროცენტი გადახდის წყაროსთან არ დაიბეგრება და ამგვარი პროცენტი არ უნდა იქნას ჩართული ობლიგაციების მფლობელების საქართველოში დასადეკლარირებელ შემოსავალში (როგორც ფიზიკური, ასევე არარეზიდენტი იურიდიული პირების შემთხვევაში), თუ ობლიგაციები იურიდიული პირის მიერ საქართველოში საჯარო შეთავაზების გზით არის გამოშვებული და სავაჭროდ დაშვებულია საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ აღიარებულ ორგანიზებულ ბაზარზე („აღიარებული ორგანიზებული ბაზრის გამონაკლისი“).

არარეზიდენტი იურიდიული პირის შემთხვევაში აღნიშნული შემოსავალი არ უნდა მიეკუთვნებოდეს საქართველოში ამ არარეზიდენტის მუდმივ დაწესებულებას. ასევე არარეზიდენტი იურიდიული პირის შემთხვევაში აღნიშნული გათავისუფლება მოქმედია 2026 წლის 1 იანვრამდე.

რეზიდენტი იურიდიული პირის შემთხვევაში, ობლიგაციებიდან მისაღები/მიღებული პროცენტი გადახდის წყაროსთან დაბეგრას არ ექვემდებარება. თუ პროცენტის მიმღები გადასულია მოგების გადასახადის ახალ, ე.წ. „ესტონურ მოდელზე“, ობლიგაციებიდან მიღებული საპროცენტო შემოსავალი, ისევე როგორც სხვა სტანდარტული შემოსავალი გათვალისწინებულ უნდა იქნას გასანაწილებელი მოგების გაანგარიშებაში და მოგების დივიდენდის სახით განაწილების შემთხვევაში, უნდა დაბეგროს არსებული კანონმდებლობის შესაბამისად. თუ პროცენტის მიმღები ჯერ არ გადასულია ე.წ. მოგების გადასახადის ესტონურ მოდელზე (ფინანსური ინტიტუტები), დასაბეგრი მოგების გაანგარიშებისას მან ობლიგაციიდან მიღებული საპროცენტო შემოსავალი უნდა ჩართოს ერთობლივ შემოსავალში.

„ობლიგაციების“ იმ მფლობელებისთვის გადასახდელი პროცენტი, რომლებიც წარმოადგენენ საქართველოს მთავრობის მიერ ოფშორულ ზონებად აღიარებულ და შეღავათიანი დაბეგვრის სისტემის მქონე ქვეყნებში რეგისტრირებულ კომპანიებს, იბეგრება 15%-იანი განაკვეთით.

პროცენტის გადახდის წყაროსთან დაბეგვრაზე შეიძლება გავლენა მოახდინოს ორმაგი დაბეგვრის თაობაზე საქართველოს და იმ ქვეყანას შორის გაფორმებულმა შეთანხმებამ, რომლის რეზიდენტიც არის „ობლიგაციების“ მფლობელი, რის საფუძველზეც ობლიგაციის მფლობელმა შესაძლებელია ისარგებლოს შეღავათით (გათავისუფლდეს გადახდის წყაროსთან დაბეგვრისგან).

### **„ობლიგაციების“ გაყიდვის დაბეგვრა**

საქართველოს საგადასახადო კოდექსის შესაბამისად, მოგების ან საშემოსავლო გადასახადი არ იქნება გადასახდელი „ობლიგაციების“ გაყიდვასთან დაკავშირებით, თუ მასზე გავრცელდება „აღიარებული ორგანიზებული ბაზრის გამონაკლისი“.

თუ „ობლიგაციების“ გაყიდვაზე არ გავრცელდება „აღიარებული ორგანიზებული ბაზრის გამონაკლისი“, შესაძლებელია წარმოიშვას შემდეგი საგადასახადო ვალდებულებები:

„ობლიგაციების“ მფლობელი არარეზიდენტი იურიდიული პირების მიერ „ობლიგაციების“ გაყიდვის დაბეგვრა

თუ „ობლიგაციების“ გაყიდვაზე არ გავრცელდება „აღიარებული ორგანიზებული ბაზრის გამონაკლისი“, არარეზიდენტი იურიდიული პირები 15%-იან მოგების გადასახადს გადაიხდიან თავდაპირველი ყიდვის ფასსა და შემდგომი გაყიდვის ფასს შორის არსებულ სხვაობაზე. თუ ამგვარი გაყიდვა წარმოშობს საგადასახადო ვალდებულებას, გამყიდველ არარეზიდენტ პირს აქვს ვალდებულება სათანადოდ განაცხადოს და გადაიხადოს მოგების გადასახადი საქართველოს საგადასახადო ორგანოების წინაშე, ან თუ ნასყიდობა განხორციელებულია ქართული საბროკერო კომპანიის მეშვეობით, ასეთი საბროკერო კომპანია ვალდებულია დააკავოს შესაბამისი გადასახადი. იმ

შემთხვევაში, როცა გადასახადის დაკავება ხდება საბროკერო კომპანიის მიერ, გადასახადის განაკვეთი შეადგენს არარეზიდენტის მიერ მიღებული ნამეტი შემოსავლის 10%-ს. მოგების გადასახადის გადახდაზე შესაძლოა გავლენა მოახდინოს საქართველოსა და იმ ქვეყანას შორის დადებული ორმაგი დაბეგვრის შესახებ შეთანხმებამ, რომლის რეზიდენტიც არის გამყიდველი საწარმო (რის საფუძველზეც გამყიდველმა შესაძლებელია ისარგებლოს შეღავათით და გათავისუფლდეს გადასახადის გადახდის ვალდებულებისგან საქართველოში).

#### **„ობლიგაციების“ მფლობელი არარეზიდენტი ფიზიკური პირების მიერ „ობლიგაციების“ გაყიდვის დაბეგვრა**

თუ „ობლიგაციების“ გაყიდვაზე არ გავრცელდება „აღიარებული ორგანიზებული ბაზრის გამონაკლისი“, არარეზიდენტი ფიზიკური პირები 20%-იან საშემოსავლო გადასახადს გადაიხდიან თავდაპირველი ყიდვის ფასსა და შემდგომი გაყიდვის ფასს შორის არსებულ სხვაობაზე. თუ ამგვარი გაყიდვა წარმოშობს საგადასახადო ვალდებულებას, გამყიდველ არარეზიდენტ პირს აქვს ვალდებულება სათანადოდ განაცხადოს და გადაიხადოს საშემოსავლო გადასახადი საქართველოს საგადასახადო ორგანოების წინაშე, ან თუ ნასყიდობა განხორციელებულია ქართული საბროკერო კომპანიის მეშვეობით, ასეთი საბროკერო კომპანია ვალდებულია დააკავოს შესაბამისი გადასახადი. იმ შემთხვევაში, როცა გადასახადის დაკავება ხდება საბროკერო კომპანიის მიერ, გადასახადის განაკვეთი შეადგენს არარეზიდენტის მიერ მიღებული ნამეტი შემოსავლის 10%-ს. საშემოსავლო გადასახადის გადახდაზე შესაძლოა გავლენა მოახდინოს საქართველოსა და იმ ქვეყანას შორის დადებული ორმაგი დაბეგვრის შესახებ შეთანხმებამ, რომლის რეზიდენტიც არის გამყიდველი პირი. გამონაკლისები შესაძლებელია გავრცელდეს „ობლიგაციების“ ზოგიერთ მფლობელზე, რომლებიც „ობლიგაციებს“ ფლობენ ორ კალენდარულ წელზე მეტი ხნის ვადით და არ იყენებენ მათ ეკონომიკურ საქმიანობაში.

#### **„ობლიგაციების“ მფლობელი რეზიდენტი იურიდიული პირების მიერ „ობლიგაციების“ გაყიდვის დაბეგვრა**

თუ „ობლიგაციების“ გაყიდვაზე არ გავრცელდება „აღიარებული ორგანიზებული ბაზრის გამონაკლისი“, რეზიდენტი იურიდიული პირები ვალდებული არიან შემოსავალში ჩართონ „ობლიგაციების“ გასხვისებით მიღებული ნამეტი შემოსავალი, რომლის დაანგარიშება ხდება თავდაპირველი ყიდვის ფასსა და შემდგომი გაყიდვის ფასს შორის არსებულ სხვაობაზე. საგადასახადო კოდექსში შეტანილი ახალი ცვლილებების თანახმად, მოგების გადასახადის გადახდა უნდა მოხდეს მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ დივიდენდების განაწილება მოხდა იურიდიული პირის პარტნიორებს შორის. შესაბამისად, რეზიდენტ იურიდიულ პირს შესაძლებელია დაუყოვნებლივ არ წარმოეშვას მოგების გადასახადის გადახდის ვალდებულება.

#### **„ობლიგაციების“ მფლობელი რეზიდენტი ფიზიკური პირების მიერ „ობლიგაციების“ გაყიდვის დაბეგვრა**

თუ „ობლიგაციების“ გაყიდვაზე არ გავრცელდება „აღიარებული ორგანიზებული ბაზრის გამონაკლისი“, რეზიდენტი ფიზიკური პირები ვალდებული არიან გადაიხადონ 20%-იანი საშემოსავლო გადასახადი „ობლიგაციების“ გასხვისების შემდეგ. საშემოსავლო გადასახადის დაანგარიშება მოხდება თავდაპირველი ყიდვის ფასსა და შემდგომი გაყიდვის ფასს შორის არსებულ სხვაობაზე. თუ ნასყიდობა განხორციელებულია ქართული საბროკერო კომპანიის მეშვეობით, ასეთი საბროკერო კომპანია ვალდებულია დააკავოს შესაბამისი გადასახადი. გამონაკლისები შესაძლებელია გავრცელდეს „ობლიგაციების“ ზოგიერთ მფლობელზე, რომლებიც „ობლიგაციებს“ ფლობენ ორ კალენდარულ წელზე მეტი ხნის ვადით და არ იყენებენ მათ ეკონომიკურ საქმიანობაში.

#### **გადასახადი ძირი თანხის გადახდაზე**

„ობლიგაციის“ მფლობელების მიერ „ობლიგაციების“ გამოსყიდვისას მიღებული ძირი თანხა არ ითვლება დასაბეგრ შემოსავლად და, შესაბამისად, არ ექვემდებარება დაბეგვრას საქართველოში, იმ პირობით, რომ გამოსასყიდი ფასი არ აღემატება „ობლიგაციის“ თავდაპირველი გამოშვების ფასს.

### **დამატებული ღირებულების გადასახადი**

საქართველოს საგადასახადო კოდექსი „ობლიგაციების“ გაყიდვას განიხილავს იმგვარ ფინანსურ ოპერაციადა, რომელიც გათავისუფლებულია დამატებული ღირებულების გადასახადისგან.

### **სხვა საკითხები**

საქართველოს საგადასახადო კოდექსი საგადასახადო ორგანოს აძლევს უფლებას გადაამოწმოს მხარეების მიერ მითითებული ტრანზაქციის ფასი, შესაბამისი პროცედურული მოთხოვნების დაცვით.

#### **1.15. არსებობის შემთხვევაში ემიტენტის ან მისი სავალო ფასიანი ქაღალდების საკრედიტო რეიტინგები.**

„ემიტენტის“ მოქმედი საკრედიტო რეიტინგია BB-, რომელიც 2022 წლის 5 ოქტომბერს Scope Ratings-მა განაახლა და უცვლელი დატოვა განახლებამდე მოქმედი BB- კატეგორიით და განსაზღვრა ნეგატიური პერსპექტივით.

#### **ანგარიშსწორება და გადახდები:**

(ა) ანგარიშსწორება:

(I) ანგარიშსწორება განხორციელდება ლარში „პროცენტის განსაზღვრის თარიღზე“ „ფასიანი ქაღალდების რეესტრში“ რეგისტრირებული „ობლიგაციონერებისა“ და „ნომინალური მფლობელების“ სასარგებლოდ „განთავსების აგენტთან“ მათ საბროკერო ანგარიშზე გადარიცხვის გზით. „ფასიანი ქაღალდების რეესტრში“ რეგისტრირებულმა „ობლიგაციონერებმა“ და „ნომინალურმა მფლობელებმა“ უნდა უზრუნველყონ „რეგისტრატორისათვის“ განახლებული, სრული და სწორი ინფორმაციის მიწოდება მათი საბანკო ანგარიშების შესახებ, რომელზეც მოხდება „ობლიგაციებთან“ დაკავშირებული ნებისმიერი სახის გადახდა. არც „ემიტენტი“, არც „რეგისტრატორი“ და არც „კალკულაციისა და გადახდის აგენტი“ არცერთ შემთხვევაში იქნებიან პასუხისმგებელი გადახდის არ / ვერ განხორციელების შემთხვევაში, თუ „ობლიგაციონერი“ ან/და „ნომინალური მფლობელი“ „რეგისტრატორს“ დროულად არ მიაწვდის მისი საბანკო ანგარიშების შესახებ ინფორმაციას, ან „ემიტენტის“ ან „რეგისტრატორის“ მოთხოვნის მიუხედავად, „პროცენტის განსაზღვრის თარიღისათვის“ ვერ უზრუნველყოფენ ამგვარი ინფორმაციის განახლებას.

(II) თუ „ობლიგაციონერის“ ან „ნომინალური მფლობელის“ ზემოაღნიშნულ ქვეპუნქტში მითითებული საბროკერო ანგარიში არ არის გახსნილი „განთავსების აგენტთან“, განხორციელებული გადახდებიდან შესაძლოა დაიქვითოს მიმსახურების საკომისიოები. თუ „ობლიგაციონერის“ ან „ნომინალური მფლობელის“ საბანკო ანგარიში არ არის აშშ დოლარში, ანგარიშსწორება მოხდება შესაბამისი ვალუტის კონვერტაციის ხარჯების გამოკლებით.

(III) ძირითადი თანხისა და დარიცხული პროცენტის სრული ოდენობით მიღებაზე „პირობებით“ გათვალისწინებული „ობლიგაციონერთა“ უფლებების შეუზღუდავად, თუ ნებისმიერი გადახდის თარიღისათვის გადახდილი თანხა ნაკლებია ამ თარიღისათვის გადასახდელ თანხაზე, „ემიტენტი“ ვალდებულია ასეთი არსებული თანხა გადაანაწილოს თითოეულ „ობლიგაციონერს“ შორის მათი წილის პროპორციულად.

(IV) ანგარიშსწორებასთან დაკავშირებული პროცესები და შეზღუდვები დამატებით დგინდება კანონმდებლობით, ასევე მის საფუძველზე „რეგისტრატორისა“ და სხვა შესაბამისი ფასიანი ქაღალდების მონაწილეთა მიერ შემუშავებული წესებითა და პროცედურებით და კალკულაციისა და გადახდის აგენტთან გაფორმებული ხელშეკრულების შესაბამისად.

გადახდის დაგვიანება / არასამუშაო დღეები:

„ობლიგაციონერი“ ვერ მოითხოვს ჯარიმის დაკისრებას ნებისმიერი გადასახდელის დაგვიანებით გადახდისთვის იმ შემთხვევაში, თუ ასეთი გადასახდელის გადახდის თარიღი არ ემთხვევა „სამუშაო დღეს“. ვადამოსული გადასახდელის გადახდა მოხდება მომდევნო „სამუშაო დღეს“, დარიცხულ პროცენტთან ერთად, რომელიც დაკორექტირდება გადახდის გადავადების დღეების რაოდენობის მიხედვით.

## 2. საჯარო შეთავაზების პირობები

2.1. შეთავაზების პირობები, მოსალოდნელი გრაფიკი და შეთავაზებაში მონაწილეობისათვის საჭირო პროცედურები

2.1.1. პირობები, რომლებსაც უნდა აკმაყოფილებდეს შეთავაზება.

შეთავაზება უნდა აკმაყოფილებდეს საქართველოს კანონმდებლობით და ამ ემისიის პროსპექტით გათვალისწინებულ პირობებს.

2.1.2. ემისიის/ შეთავაზების ჯამური ოდენობის საორიენტაციო მაჩვენებელი.

შეთავაზებული „ობლიგაციების“ მაქსიმალური შესაძლო ჯამური ოდენობა იქნება 20,000,000 ლარი.

2.1.3. პერიოდი, რის განმავლობაშიც იქნება შესაძლებელი ემისიით განსაზღვრული ფასიანი ქაღალდების შექმნა, ასევე მასში მონაწილეობის მისაღებად საჭირო პროცესის აღწერა.

„ობლიგაციების“ შეთავაზება დაიწყება წინასწარი პროსპექტის დამტკიცებასთან ერთად და დასრულდება [●] წ. პროსპექტის მოქმედების ვადად განსაზღვრება საბოლოო შეთავაზების პირობების დოკუმენტის დამტკიცებიდან 12 თვე. შეთავაზების პროცესი წარიმართება ქვემოთ განსაზღვრული პროცედურის შესაბამისად:

### (ა) „ობლიგაციების“ შეთავაზების პროცესი

„ობლიგაციების“ შეთავაზებას „ემიტენტის“ სახელით და მასთან გაფორმებული ხელშეკრულების საფუძველზე ახორციელებს „განთავსების აგენტი“ (რომელიც განსაზღვრულია საბოლოო შეთავაზების პირობების დოკუმენტში). საჯარო შეთავაზების დაწყებამდე, „ობლიგაციებით“ დაინტერესების მიზნით, „განთავსების აგენტს“ ან/და მათ უფლებამოსილ შუამავალს/შუამავლებს უფლება აქვთ, გააგზავნონ დამტკიცებული „პროსპექტი“ პოტენციურ ინვესტორებთან.

საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ „პროსპექტის“ დამტკიცების შემდეგ „ემიტენტი“ ახდენს „ობლიგაციების“ საჯარო შეთავაზებას საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად. „ემიტენტი“ გამოაქვეყნებს შეტყობინებას „ობლიგაციების“ შეთავაზების შესახებ საკუთარ ვებ-გვერდზე. „ემიტენტი“, „განთავსების აგენტი“ ან/და განთავსების პროცესში ჩართული ფინანსური შუამავალი/შუამავლები პოტენციურ ინვესტორებს მათი სურვილის შესაბამისად მიაწვდიან „პროსპექტის“ ელექტრონულ ბმულს, მის დასკანერებულ ვარიანტს ან „პროსპექტის“ დაბეჭდილ ასლს. საბოლოო „პროსპექტი“ პოტენციურ ინვესტორებს მიეწოდებათ (მათ შორის, „ემიტენტის“ ვებ-გვერდზე



გამოქვეყნების გზით) საჯაროდ შეთავაზებული „ობლიგაციების“ გაყიდვის დაწყებამდე, დაწყებისთანავე ან/და გაყიდვის პროცესში.

პოტენციურ ინვესტორებს შეუძლიათ, „ობლიგაციების“ შესყიდვაზე ინტერესი გამოხატონ „განთავსების აგენტისათვის“ შესყიდვის შესახებ განაცხადის/შეტყობინების მიწოდებით. ამგვარი ინტერესის გამოხატვა შესაძლებელია ელექტრონული კომუნიკაციის საშუალებებით ან „განთავსების აგენტისათვის“ მისაღები ნებისმიერი სხვა ფორმით. „ობლიგაციების“ შესყიდვის შესახებ განაცხადის მიღების ბოლო ვადას ერთპიროვნულად განსაზღვრავენ „განთავსების აგენტი“. თუ განაცხადების მიღების საბოლოო თარიღს დაემთხვა დასვენების დღე, ამგვარი დღის წინა „სამუშაო დღე“ ჩაითვლება „ობლიგაციების“ შესყიდვის შესახებ განაცხადის მიღების საბოლოო თარიღად.

თუ პოტენციური ინვესტორებისგან „ობლიგაციების“ შესყიდვის შესახებ განაცხადის/შეტყობინების მიღების („book-building“-ის) პროცესში პოტენციური ინვესტორებისგან „ობლიგაციების“ შესყიდვის თაობაზე გამოხატულია ინტერესი იმაზე მეტი „ობლიგაციის“ შეძენაზე, ვიდრე გათვალისწინებულია წინამდებარე „პროსპექტით“, პოტენციური ინვესტორების განაცხადების დაკმაყოფილება მოხდება ნაწილობრივ, შემოსულ განაცხადებში მითითებული რაოდენობების პროპორციულად ან სხვაგვარად, „ემიტენტის“ შეხედულებისამებრ. ამასთანავე, იმ შემთხვევაში, თუ პოტენციური ინვესტორის განაცხადი დაკმაყოფილდა მხოლოდ ნაწილობრივ, პოტენციური ინვესტორი უფლებამოსილია, უარი განაცხადოს „ობლიგაციების“ შესყიდვის პროცესში მონაწილეობაზე ან გააგრძელოს მასში მონაწილეობა. ამგვარი გადაწყვეტილების თაობაზე „განთავსების აგენტებს“ უნდა ეცნობოს დაუყოვნებლივ (არაუგვიანეს მომდევნო „სამუშაო დღის“ 14.00 საათამდე (თბილისის დროით) მას შემდეგ, რაც ინვესტორს ეცნობება მისი განაცხადის კორექტირების („ობლიგაციების“ ოდენობასთან მიმართებით) შესახებ). წინააღმდეგ შემთხვევაში, „განთავსების აგენტი“ უფლებამოსილია, თავიანთი შეხედულებისამებრ, კვლავ განიხილოს ინვესტორის საწყისი განაცხადი (მოთხოვნილი „ობლიგაციების“ სრულ ოდენობაზე), ან უარი განაცხადოს მასზე.

პოტენციური ინვესტორებისგან „ობლიგაციების“ შესყიდვის შესახებ განაცხადის/შეტყობინების მიღების („book-building“-ის) დასრულების შემდგომ „განთავსების აგენტი“ განაცხადებს შეთავაზების საბოლოო ოდენობის განსაზღვრის შესახებ და იმ ინვესტორებს, რომელთა შესყიდვის შესახებ განაცხადებიც (მათ შორის, შეცვლილი რაოდენობით) დაკმაყოფილდა, მიაწვდის შესაბამის შეტყობინებას (ინდივიდუალურად ან ჯგუფურად). შეტყობინებაში მითითებული უნდა იყოს „ობლიგაციების“ ის რაოდენობა, რომლის ფარგლებშიც დაკმაყოფილდა პოტენციური ინვესტორის შესყიდვის შესახებ განაცხადები. შეთავაზების საბოლოო ოდენობის გამოცხადების მომენტიდან იმ პოტენციურ ინვესტორთა განაცხადები, რომლებიც დაკმაყოფილდა, გახდება შეუქცევადი/გამოუთხოვადი და მათ ექნებათ სავალდებულო ძალა ამგვარი ინვესტორებისათვის (შემდგომში „ხელმომწერი ინვესტორები“).

„ხელმომწერი ინვესტორები“ ვალდებული არიან შესაბამისი ოდენობის „ობლიგაციების“ შესასყიდი თანხები სრულად განათავსონ საბროკერო ანგარიშზე „გამოშვების თარიღამდე“ არანაკლებ 2 „სამუშაო დღით“ ადრე. „ხელმომწერმა ინვესტორებმა“ აღნიშნული საბროკერო ანგარიში უნდა გახსნან „განთავსების აგენტთან“. ამავე ანგარიშზე მიაწოდებს „ემიტენტი“ შესყიდულ „ობლიგაციებს“ შესაბამისად „გამოშვების თარიღზე“. გამონაკლის შემთხვევებში, „განთავსების აგენტს“ შეუძლია თავისი შეხედულებისამებრ დართოს ნება „ხელმომწერ ინვესტორს“ „ობლიგაციების“ შესასყიდი თანხები, ნაცვლად „განთავსების აგენტთან“ გახსნილი „ხელმომწერი ინვესტორის“ საბროკერო ანგარიშისა, მიმართოს „ემიტენტის“ ნომინალური მფლობელობის ანგარიშზე, რომელიც გახსნილია „განთავსების აგენტთან“. ასეთ შემთხვევაში, „ობლიგაციების“ მიწოდება განხორციელდება „რეგისტრატორთან“ ან სხვა უფლებამოსილ „ნომინალურ მფლობელთან“ არსებულ „ხელმომწერი ინვესტორის“ ანგარიშზე.

„ობლიგაციების“ განთავსების შემდეგ „ობლიგაციონერები“ უფლებამოსილი არიან, ფლობდნენ „ობლიგაციებს“ სხვა „ნომინალურ მფლობელთან“ გახსნილ

### **(ბ) შესყიდვა სტრატეგიული ინვესტორის მიერ**

წინამდებარე პროსპექტის მომზადებისას „ემიტენტი“ მოლაპარაკებას აწარმოებს განვითარების ბანკთან, კერძოდ, ADB-სთან (აზიის განვითარების ბანკი, მანილაში (ფილიპინები) მდებარე რეგიონალური განვითარების ბანკი) ჩარჩო (საინვესტიციო) ხელშეკრულების დასადასტურებლად, რომლის თანახმადაც ADB-მ შესაძლოა შეიძინოს „ობლიგაციები“ ჩარჩო ხელშეკრულებაში მოცემული გარკვეული პირობების გათვალისწინებით. სხვა საკითხებს შორის, ჩარჩო ხელშეკრულება შეიცავს „ემიტენტის“ ვალდებულებას, დაიცვას ADB-ის პოლიტიკის მოთხოვნები, მათ შორის, შეზღუდვის გარეშე, გარემოს დაცვისა და სოციალურ საკითხებთან, სანქციებთან, ფულის გათეთრების, კორუფციისა და თაღლითობის აღკვეთასთან დაკავშირებით.

წინამდებარე პროსპექტის ოფიციალურად წარდგენის თარიღისათვის ADB-ის მოპოვებული აქვს პირველადი საკრედიტო დამტკიცება „ობლიგაციების“ შესყიდვასთან დაკავშირებით.

### **(გ) საჯარო შეთავაზების პერიოდში ცვლილების შეტანის პროცედურა**

იმ შემთხვევაში, თუ საჯარო შეთავაზების პერიოდში (საბოლოო შეთავაზების პირობების დოკუმენტის დამტკიცებიდან საბოლოო „პროსპექტის“ მოქმედების ვადის დასრულებამდე) „ემიტენტი“ გადაწყვეტს, შეცვალოს „ობლიგაციების“ შესახებ ინფორმაცია, მან უნდა მიიღოს „ფასიანი ქაღალდების კანონითა“ და ფასიანი ქაღალდების ბაზრის მოქმედი რეგულაციებით დადგენილი აუცილებელი ზომები.

### **(გ) საქართველოს საფონდო ბირჟაზე ლისტინგის პროცედურა**

„ემიტენტი“ „ობლიგაციების“ განთავსების შემდგომ, რაც შეიძლება მალე, მიმართავს საქართველოს საფონდო ბირჟას განაცხადით „ობლიგაციების“ სავაჭრო სისტემასა და საფონდო ბირჟის ლისტინგში დაშვების თაობაზე. დაშვების შემთხვევაში, შესაძლებელი გახდება საქართველოს საფონდო ბირჟაზე „ობლიგაციებით“ ვაჭრობა ბირჟის წესებისა და ბირჟაზე დაშვებულ ფასიან ქაღალდებთან მიმართებით მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

#### **2.1.4. მითითება, რა დროს და რა გარემოებებში არის შესაძლებელი გაუქმდეს ან შეჩერდეს შეთავაზება და არის თუ არა შესაძლებელი შეთავაზების გაუქმება გაყიდვების დაწყების შემდეგაც.**

იმ შემთხვევაში, თუ „ობლიგაციების“ ან მათი ნაწილის გასხვისება ან განთავსება ვერ მოხდა შესაბამის მფლობელებზე, „ობლიგაციები“ ან მათი ნაწილი ჯერ დაუბრუნდება „კომპანიას“ და შემდეგ კი გაუქმდება.

#### **2.1.5. განმცხადებლების მიერ გადახდილი ზედმეტი თანხის დაბრუნების შესაძლებლობის აღწერა.**

იმ შემთხვევაში, თუ განმცხადებლის მიერ შეთავაზების ეტაპზე გადმორიცხული იქნება იმაზე მეტი თანხა, ვიდრე ეს მიემართება მისთვის გადაცემული ობლიგაციების რაოდენობას, იგი უფლებამოსილია მიმართოს „განთავსების აგენტს“ და ეს უკანასკნელი თანხის დაბრუნებას უზრუნველყოფს 10 (ათი) სამუშაო დღის ვადაში.

**2.1.6. ფასიანი ქაღალდების საფასურის გადახდის, ფლობის გადაცემის და მიწოდების მეთოდებისა და ვადების აღწერა.**

ფასიანი ქაღალდების საფასურის გადახდის, ფლობის გადაცემის და მიწოდების მეთოდები და ვადები გაწერილია 3.1.3 (ა) „ობლიგაციების“ შეთავაზების პროცესის პუნქტში.

**2.1.7. იმ შემთხვევაში, თუ ინვესტორებს უფლება აქვთ გააუქმონ თავიანთი განაცხადი, იმ პერიოდის მითითება, რომლის განმავლობაშიც განაცხადი შეიძლება გაუქმებული იყოს ინვესტორის მიერ.**

ინვესტორებს არ აქვთ გაგზავნილი „განთავსების აგენტისთვის“ გაგზავნილი ოფიციალური განაცხადის გაუქმების უფლება.

**2.1.8. შეთავაზების შედეგების გასაჯაროების საშუალებებისა და დროის მითითება.**

შეთავაზების შედეგები გასაჯაროვდება კანონმდებლობით დადგენილ ვადაში განთავსების ანგარიშის ეროვნულ ბანკში წარდგენიდან 1 (ერთ) კვირის ვადაში „ემიტენტის“ ვებ-გვერდზე გამოქვეყნების მეშვეობით. განთავსების ანგარიშის ეროვნულ ბანკში წარდგება ფასიანი ქაღალდების საჯარო შეთავაზების დასრულებიდან 1 თვის განმავლობაში.

**2.1.9. პროცედურები უპირატესი შესყიდვის უფლების განხორციელების, ამ უფლების შესაძლო ცვლილების და ამ უფლების არ გამოყენების შემთხვევაში.**

ობლიგაციებთან მიმართებით არ მოქმედებს უპირატესი შესყიდვის უფლება.

**2.2. განაწილებისა და წილების მიკუთვნების გეგმა**

**2.2.1. პოტენციური ინვესტორების სხვადასხვა კატეგორიები, რომელთათვისაც ხორციელდება ფასიანი ქაღალდების შეთავაზება.**

იხილეთ ქვეთავი 3.1.3(ბ).

**2.2.2. ფასიანი ქაღალდის შემენაზე/გამოწერაზე განაცხადის განმახორციელებელი პირებისთვის მათზე განაწილებულ რაოდენობასთან დაკავშირებით შეტყობინების გაგზავნის პროცესი.**

პოტენციური ინვესტორებისადმი „ობლიგაციების“ შეთავაზების პროცესის დასრულების შემდეგ, „განთავსების აგენტი“ გააკეთებს განცხადებას შეთავაზების დასრულებასთან დაკავშირებით და შეატყობინებს იმ ინვესტორებს (ინდივიდუალურად ან ჯგუფურად), რომელთა განაცხადები (მათ შორის, „ობლიგაციების“ რაოდენობის მხრივ კორექტირებული განაცხადები) დაკმაყოფილდა. ამგვარი შეტყობინება უნდა შეიცავდეს მითითებას „ობლიგაციებზე“ დასარიცხ საპროცენტო განაკვეთზე და იმ „ობლიგაციების“ რაოდენობაზე, რომელთა მიმართაც პოტენციური ინვესტორების შესყიდვის მოთხოვნები დაკმაყოფილდა. შეთავაზების დასრულების შესახებ განცხადების გაკეთებისთანავე, პოტენციური ინვესტორების ის განაცხადები, რომლებიც დაკმაყოფილდა, იქნება გამოუხმობადი და სავალდებულო ძალის მქონე ამგვარი ინვესტორებისათვის. ვაჭრობის დაწყება დაუშვებელია ამგვარი შეტყობინების მიღებამდე.

**2.2.3. მითითება ემიტენტის მენეჯმენტზე, დირექტორებზე და აქციონერებზე თუ აპირებენ შეთავაზებაში მონაწილეობის მიღებას.**

„ემიტენტისთვის“ ასეთი ინფორმაცია უცნობია.

### **2.3. ფასის დადგენა**

#### **2.3.1. ფასიანი ქაღალდების შეთავაზების ფასის მითითება, ინვესტორზე დაკისრებული ნებისმიერი ხარჯის ან გადასახადის დაკონკრეტებით.**

„ობლიგაციების“ განთავსება მოხდება მხოლოდ ნომინალური ღირებულების 100%-ის ფასად. „ემიტენტი“ არ განიხილავს ფასიანი ქაღალდების სხვაგვარ განფასებას. თუმცა, იმ შემთხვევაში, თუ საბოლოო ფასი განსხვავებული იქნება აღნიშნული გაცხადებული ფასისაგან, ინვესტორს შეუძლია გააუქმოს შექმენაზე ან გამოწერაზე გაკეთებული განაცხადი საბოლოო ფასის გასაჯაროებიდან სულ მცირე 2 სამუშაო დღის განმავლობაში.

#### **2.3.2. შეთავაზების საბოლოო ფასის დადგენისა და ინვესტორებისთვის მიწოდების პროცესის აღწერა.**

შეთავაზება განხორციელდება ნომინალური ღირებულების 100%-ად და „ემიტენტი“ არ განიხილავს სხვაგვარ განფასებას.

### **2.4. განთავსება**

#### **2.4.1. შეთავაზებაში/განთავსებაში ჩართული იურიდიული კომპანიის ან/და ობლიგაციონერების წარმომადგენლის დასახელება და საკონტაქტო ინფორმაცია.**

ტრანზაქციას არ ჰყავს ობლიგაციონერის წარმომადგენელი;

#### **2.4.2. ანგარიშსწორების აგენტების დასახელება და მისამართი/საკონტაქტო ინფორმაცია.**

შპს „თიბისი კაპიტალი“ (საიდენტიფიკაციო კოდი: 204929961)

მისამართი: ქ. თბილისი 0102, მარჯანიშვილის ქუჩა N7

ელ. ფოსტა: info@tbccapital.ge

ტელ.: (+995 32) 227 27 33

„ობლიგაციების“ განთავსება ხდება „თიბისი კაპიტალს“ და „თეგეტა მოტორსს“ შორის 2023 წლის 1 მაისს გაფორმებული შეთანხმების წერილის საფუძველზე. „ობლიგაციების“ განთავსების შედეგად „თეგეტა მოტორსის“ მიერ მიღებული წმინდა სახსრები (განთავსების საკომისიოს გათვალისწინებით) იქნება მინიმუმ 19,800,000 ლარი.

#### **2.4.3. განთავსების აგენტის დასახელება და საკონტაქტო ინფორმაცია; ასევე, კონტრაქტის ძირითადი პირობები რაოდენობების, განთავსების საკომისიოს მითითებით.**

შპს „თიბისი კაპიტალი“ (საიდენტიფიკაციო კოდი: 204929961)

მისამართი: ქ. თბილისი 0102, მარჯანიშვილის ქუჩა N7

184

ელ. ფოსტა: info@tbccapital.ge

ტელ.: (+995 32) 227 27 33

#### **2.4.4. მითითება, თუ როდის ჩაითვლება განთავსების ხელშეკრულება შესრულებულად.**

განთავსების ხელშეკრულება შესრულებულად ჩაითვლება „ობლიგაციების“ განთავსებასთან ერთად, თუკი „კომპანიის“ და „განთავსების აგენტის“ შეთანხმებით არ მოხდა ვადის გაგრძელება.